

114
1945/2

საქართველოს
ბიბლიოთეკა

მნათობი

15

11-12

თბილისი
1945



მნათობი

სრულიად - საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ - საპოლიტიკო
ქურონალი

წელიწადი ოცდახუთე

11-12



19 ნოემბერი — დეკემბერი
სახელმწიფო



4044

საკრედიტო კოლეგია

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
ბაგსახურობა კონსტანტინე
კალაძე კარლო
მაჭავარიანი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე ბალატიონ
ჭიაჩელი ლეო
შენგელაია დემნა

ხელმოწერილია დასაბუთად 13/II-46 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 14.
UD 00736. შეკვეთის № 2129. ტირაჟი 5000.

რედაქციის მისამართი: მარაბლოს № 13, შუერალთა კავშირი. ტელეფ. 3-04-64.
სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, ვოროსის ქ. № 5.



ქართველი
წიგნწერების
კავშირთა
კავშირთა

დიდი ოქრობის სოციალისტური ჩეპოლუსის XXVIII წლისთავი

3. ა. მოლოგოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზიგომ სხრობაზე 1945 წლის 6 ნოემბერს

ამხანაგებო, რამდენიმე წლის მძიმე ომის შემდეგ დღეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავს ვდღესასწაულობთ მშვიდობიანობისა და ფაშიზმზე სახელოვანი გამარჯვების პირობებში. (ტაში).

განვლილია ოთხი წელი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას და მთელ ევროპას სტანჯავდა, აგრეთვე აღმოსავლეთში აგრესიული იაპონიის წინააღმდეგ ომი, რომელშიც ჩვენ იძულებული გავეხდით ჩავბმულიყავით ამ წლის შემოდგომაზე. გმირული ბრძოლით, რომელშიც საბჭოთა ხალხს გადაწყვეტი ადგილი ეკუთვნის, მოპოვებულია მშვიდობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის, ლიკვიდირებულია მსოფლიო ფაშიზმისა და მსოფლიო აგრესიის მთავარი კერები დასავლეთისა და აღმოსავლეთში. ახლა ჩვენ საშუალება მოგვეცა დავებრუნდეთ მშვიდობიან შრომას, რათა განვაძვირებთ ჩვენი გამარჯვება.

როგორც ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„ჩვენი საბჭოთა ხალხი ძაღებსა და შრომას არ იშურებდა გამარჯვებისათვის. ჩვენ მძიმე წლები გადავიტანეთ. მაგრამ ახლა თვითვე ჩვენგანს შეუძლია სთქვას: ჩვენ გავიმარჯვეთ. ამიერიდან ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გადარჩენილია გერმანელთა შემოსევის საფრთხეს დასავლეთში და იაპონელთა შემოსევის საფრთხეს აღმოსავლეთში. დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის“.

I

მეორე მსოფლიო ომი და საბჭოთა კავშირი

გერმანელები ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ იმ იმედით, რომ მათი ავაზაკური თავდასხმის მოულოდნელობა მათს წარმატებას უზრუნველყოფდა. არა მარტო გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც ბევრი ფიქრობდა, რომ საბჭოთა კავშირი დიდხანს ვერ გაუძლებდა, რომ უკვე რამდენიმე კვირაში, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე თვეში — გერმანია სსრ კავშირს გაანადგურებდა და ჰიტლერი გამარჯვებას იზეიმებდა. დასავლეთ ევროპაში ჰიტლერელთა შედარებით იოლ წარმატებათა შემდეგ ბევრს ეს გარდუვალი ეგონა. ასეთი დასკვნები გამოჰქონდათ, უწინარეს ყოვლისა, მათ, ვინც სა-

ერთოდ არა სცნობდა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის „კანონიერებას“, აგრეთვე მათ, ვინც უუნარო აღმოჩნდა გაეგო ჩვენი რევოლუციის მიერ შექმნილი საბჭოთა სახელმწიფოს ნამდვილი ხალხური ბუნება. საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმა დიდი გამოცდა იყო აგრეთვე ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრებისათვის, რომელნიც გულის ფრთხილად აღიქმნებდნენ თვალყურს იმ განსაკუთრებულ სიძნელეებს, რასაც ჩვენი ქვეყანა ომის პირველ პერიოდში განიცდიდა.

საბჭოთა კავშირმა გაუძლო, მიუხედავად თავდასხმის უეცრობისა. მატერიალურმა ზარალმა და ომის პირველ წლებში მოყენებულმა ღრმა ჰრილობებმა ვერ შეარყიეს მისი ფიზიკური და სულიერი ძლიერება. წითელმა არმიამ შესძლო გარდაქმნილიყო და წელში გასწორებულიყო პირველი დარტყმების შემდეგ. საბჭოთა ხალხმა მთელი ძალები დაძაბა და უზრუნველყო გამანადგურებელი წინააღმდეგობის გაწევა მტრისათვის. ყველას ახსოვს ის დრო, როდესაც ჩვენი არმია თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა ჯერ ფრონტის ცალკეულ უბნებზე, შემდეგ კი მთელ ფრონტზე.

თვითდაცვის ინტერესებმა გვიკარანახეს დიდი და მცირე დემოკრატიული სახელმწიფოების ერთიანი ანტიოპორტუნული ფრონტის შექმნის საქიროება. ყველასათვის ცნობილია, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციამ წარმატებით შესარულა თავისი ისტორიული ამოცანა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ დემოკრატიული ქვეყნების საერთო ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში. ცნობილია აგრეთვე, რომ დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნამ, როცა გერმანია ორი ფრონტის მარწყუბში აღმოჩნდა, გერმანიის ფაშინზმის მდგომარეობა უიმედო გახდა. ამასთანავე ვერ დავიფიქვებთ, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის მდგომარეობაში ძირეული გარდატეხა დაიწყო ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე მეორე ფრონტის გახსნამდე, როცა ჰიტლერელთა ჯარები სამარცხენიოდ უკუიქცნენ წითელი არმიის მძლავრი და სულ უფრო მზარდი მიძალების გამო. (ზანგრძლივი ტაში).

ამრიგად, ოქტომბრის რევოლუციის მიერ შექმნილმა ჩვენმა სახელმწიფომ შესძლო არა მარტო თავი დაეცვა ფაშისტური თავდასხმისაგან, არამედ შეტევაზეც გადასულიყო, რათა ბოლო მოეღო ფაშინზმისა და აგრესიის მთავარი კერისათვის. მაშინ ყველამ დაინახა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არა ჰგავს წარსული მსოფლიო ომის დროის ცარიზმის დაუძლურებულ ხელისუფლებას.

ამრიგად, ამჟამა გახდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძალემა ღირსეულად დაიცვას თავი და შეუძლია გაუძლოს ყველაზე ძნელ განსაცდელს, როგორც კი ყოფილა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. (ტაში).

ჰიტლერული გერმანია მარტო საბჭოთა სახელმწიფოს როდი ემუქრებოდა. ჯერ კიდევ სსრ კავშირზე თავდასხმამდე გერმანელმა ფაშისტებმა დაიპყრეს ნორვეგია, ბელგია, პოლანდია, საფრანგეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია. გერმანელებს თავიანთ მოკავშირეთა შორის ჰყავდათ არა მარტო ფაშისტური იტალია, არამედ ევროპის მთელი რიგი სხვა ქვეყნებიც, რომლებმაც სამხედრო კავშირი შექმნეს გერმანიასთან. ესპანეთი და ზოგიერთი სხვა ქვეყანა ნახევრადაშკარა დახმარებას უწევდნენ ჰიტლერს. ჰიტლერელთა თავდასხმის საფრთხე დაემუქრა ინგლისს. საბჭოთა კავშირში ლაშქრობა რომ წარმატებით დამთავრებულიყო, მთელი ევროპა ჰიტლერის ფეხქვეშ აღმოჩნდებოდა.

პიტლერელები უკვე ყოველნაირად აქებდნენ „ახალ წესრიგს“, რომელსაც ისინი ევროპაში დაამყარებდნენ. ყოველგვარი კვისლინგებისა და ლავლების მსგავსი ფაშისტთა დამქაშები უკვე ჩაებნენ მუშაობაში თავიანთი გერმანელი ბატონისათვის. პიტლერიზმის ბატონობა ყველგან მყარდებოდა ყოველგვარ დემოკრატიულ დაწესებულებათა მოსპობისა და მსოფლიო კლასების ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებათა ლიკვიდაციის მიზნით. ამასთან პიტლერელები დამონებულ ქვეყნებს სტაცებდნენ და ართმევდნენ მთელ მატერიალურ რესურსებს, რათა მოემარაგებინათ და სულ უფროდაუფრო შეეიარაღებინათ თავიანთი ავანაჯური ფაშისტური ურდოები. საბჭოთა კავშირზე შემოსევის პირველმა წარმატებებმა უფრო მეტად დაახვია თავბრუ პიტლერელებს. მათ უფრო გულახდილად იწყეს ლაპარაკი არა მარტო ევროპაზე თავიანთი ბატონობის შესახებ, არამედ მსოფლიო ბატონობის თავიანთ პრეტენზიებზეც. მთელი მსოფლიოსათვის აშკარა გახდა მათი საშიში გეგმები — ავანტიურისტული გეგმები გერმანული რასის ბატონობისა ევროპის სხვა ხალხებზე, და არა მარტო ევროპის. „დაბალი რასის“ თანრიგისათვის მიკუთვნებულ სხვა ხალხებზე „უმადლესი რასის“ ბატონობის გერმანულ-ფაშისტური თეორია ევროპის ცივილიზაციის არსებობის პირდაპირი საფრთხე გახდა.

იმ ქვეყნებში, სადაც პიტლერელთა ბანდები შეიჭრნენ, ხალხი ცუდად მომზადებული აღმოჩნდა, რომ წინააღმდეგობა გაეწია ფაშისტი დამპყრობლებისათვის. მხოლოდ თანდათან, საუკეთესო პატრიოტ დემოკრატთა ღონისძიებების მეოხებით, იქმნებოდნენ და იზრდებოდნენ დამპყრობთათვის წინააღმდეგობის გამწვევი დემოკრატიული ძალები. მაგრამ იმ ქვეყნებშიც კი, როგორც არის იუგოსლავია, სადაც მთელმა ხალხმა დაუჭირა მხარი აჯანყებას დამპყრობთა წინააღმდეგ, საკმაო ძალები არ იყო, რათა გაეტეხათ პიტლერიზმის სამხედრო ძლიერება. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი არმია შეტევაზე გადავიდა, გერმანიის ჯარების განადგურება იწყო და მათ უძლეველობის შარავანდედი ჩამოაცალა, შეიქმნა ფართო შესაძლებლობა გერმანიის იმპერიალიზმის მიერ დამონებულ ხალხთა განთავისუფლებისათვის. წითელმა არმიამ, რომელიც დასავლეთისაკენ მიიწვედა, განთავისუფლება მიუტანა მუშობელ ქვეყნებს და ევროპის სხვა ხალხებს. საბჭოთა არმიები მოკავშირეთა არმიებთან ერთად ახლა ევროპის ქვეყნების, მათ შორის იმ ქვეყნების განმათავისუფლებლის როლში გამოვიდნენ, რომლებმაც კავშირი გასწყვიტეს გერმანიასთან და ჩადგნენ პიტლერიზმის ლიკვიდაციისათვის მებრძოლ ხალხთა რიგებში.

ამრიგად, პიტლერიზმის უღლისაგან ევროპის ქვეყნების განთავისუფლების საქმე ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიის ისტორიაში შევა როგორც სახელოვანი ფურცელი. (მქუხარე ტაში).

ფაშისტური იტალია პირველი გამოვიდა ევროპაში ომის გამჩაღებელი გერმანიის მხარეზე. სსრ კავშირზე თავდასხმის მომენტისათვის რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთის მთავრობებმა სამხედრო კავშირი შეჰკრეს პიტლერულ გერმანიასთან და თავიანთი ქვეყნები ჩააბეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში. გერმანიასთან კავშირში აღმოჩნდა ბულგარეთიც და პიტლერულ აგენტთაგან შემდგარი მისი მაშინდელი მთავრობაც. ამრიგად, თუ გამოწვევისაგან არ ვილაპარაკებთ, ევროპის იმ ქვეყნებმა, სადაც ფაშისტური რეჟიმი არსებობდა, თავიანთი ბედი პიტლერული გერმანიის ბედს დაუყავ-

შორეს მეორე მსოფლიო ომში. ამიტომ გერმანიის დამარცხება მარტო გერმანიის ფაშიზმის დამარცხებას როდი ნიშნავდა. გერმანიის დამარცხებამ გამოიწვია ფაშიზმის დამარცხება ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

მაშასადამე, ჩვენი გამარჯვების მნიშვნელობა უნდა განვიხილოთ არა მარტო გერმანიის ფაშიზმის განადგურების თვალსაზრისით, არამედ მთელ ევროპაში ფაშიზმის სამხედრო და მორალურ-პოლიტიკური განადგურების თვალსაზრისითაც. (ტაში).

ევროპაში ომის დამთავრების შემდეგ მოკავშირე სახელმწიფოთა წინაშე წამოიჭრა აღმოსავლეთში იაპონიის აგრესიის ლიკვიდაციის ამოცანა, რათა დანქარებულყო მშვიდობის აღდგენა მთელ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირს არ შეეძლო მონაწილეობა არ მიეღო ამ ამოცანის გადაჭრაში როგორც სსრ კავშირსა და მის მოკავშირეებს შორის არსებულ ურთიერთვალდებულებათა გამო, ისე იმიტომაც, რომ ამას დაეინებით მოითხოვდნენ აღმოსავლეთში ჩვენი უშიშროების ინტერესები. ჩვენ ყველას გვახსოვს, რომ იაპონია წარსულში არაერთხელ დასხმია თავს ჩვენს ქვეყანას, და აღმოსავლეთში ჩვენი სახელმწიფოსათვის არსებობდა იაპონიის შემოსევის მუდმივი საფრთხე. ყოველივე ამან აუცილებელი გახადა, რომ საბჭოთა კავშირი ჩამბმულიყო ომში იაპონიის წინააღმდეგ. ძნელი არ არის იმაში დარწმუნება, რომ მას შემდეგ, რაც გერმანიის ფაშიზმი ზედოხედ მარცხდებოდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, — ამ დროიდან წინასწარ გადაწყვეტილი იყო აღმოსავლეთში იაპონიის აგრესიის ბედიც. ბოლოს, საბჭოთა კავშირი გამოვიდა იაპონიის წინააღმდეგ, რითაც დააჩქარა ამ უკანასკნელის დამარცხება და ამითვე დააჩქარა ომის დამთავრება აღმოსავლეთში.

იაპონიამ კაპიტულაცია მოახდინა მოკავშირეების წინაშე, იგი გააყვანა პიტლერული გერმანიის გზას. დაიხსენრა არა მარტო გერმანიის იმპერიალიზმის გეგმები ევროპაში ბატონობისა, არამედ იაპონიის იმპერიალიზმის პრეტენზიებიც აზიაში ბატონობისა. ამასთანავე სულ ამ ცოტა ხნის წინათ როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ფაშისტებს ეს გეგმები მიანდათ მსოფლიოში გაბატონების მხოლოდ ეტაპად, მათ თავიანთი მაგალითით დაგვანახვეს, თუ რამდენად ბეცი და ავანტიურისტულია ასეთი აგრესიული ზრახვები ჩვენს დროში. იაპონიის იმპერიალიზმის, როგორც აღმოსავლეთში ფაშიზმისა და აგრესიის მთავარი კერის, დამარცხებას და იაპონელ დამპყრობთაგან ჩინეთის განთავისუფლებას უდიდესი დადებითი მნიშვნელობა აქვს აზიის ქვეყნების დემოკრატიული განვითარებისათვის, და არა მარტო აზიისა. ამ გამარჯვების განმტკიცება ყველა დემოკრატიული ქვეყნის ინტერესს წარმოადგენს. ამიტომ გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირი ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოკავშირეთა შორის წარმოებულ მოლაპარაკებას იაპონიის კაპიტულაციის პირობებისადმი ძირითად მოკავშირე სახელმწიფოთა სათანადო კონტროლის დაწესების შესახებ. ამ საკითხში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი წამოჭრილი სიძნელებები. მაგრამ საბჭოთა კავშირი რწმუნას გამოსთქვამს, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო გამსჭვალულია იმის შეგნებით, რომ საჭიროა განმტკიცდეს გამარჯვება აგრესიულ იაპონიაზე და შეიქმნას ამისათვის მოკავშირე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის შესაბამისი პირობები.

როგორც გერმანიას, ისე იაპონიას უსიტყვო კაპიტულაცია უნდა მოეხდინათ მოკავშირეთა წინაშე. ამრიგად, ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის

კოალიციამ მიაღწია მის მიერ დასახულ მიზანს. ახლა ჩვენი ქვეყნის ადამიანები კმაყოფილი არიან იმის შეგნებით, რომ დემოკრატიული ქვეყნების ინტერესთა სასარგებლოდ მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილად დათავრებაში და, განსაკუთრებით, ფაშისმისა და აგრესიის ყველაზე სოშიში კერის—პიტლერული გერმანიის ლიკვიდაციაში გადამწყვეტი ადგილი ეკუთვნის საბჭოთა კავშირს. საბჭოთა ხალხმა პიტლერულმა გერმანიის წინააღმდეგ თავის ომს დიდი სამამულო ომი უწოდა. საბჭოთა ხალხის შაგალითით სხვა ქვეყნების პატრიოტები სწავლობდნენ, თუ როგორ უნდა ბრძოლა თავისი სამშობლოსათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ცნობილია აგრეთვე, რომ საბჭოთა ხალხმა არა მარტო ვათავისუფლა თავისი ქვეყანა, არამედ გმირულ ბრძოლასაც ეწეოდა მთელ ევროპაში მშვიდობისა და თავისუფლების აღსადგენად.

ერთი წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„ახლა ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტ დამარბევთაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე.“
(ხანგრძლივი ტაში).

11

მშვიდობის დამყარება მთელ მსოფლიოში და მშვიდობის- მოყვარე ხალხთა ინტერესები

მეორე მსოფლიო ომი პირველი მსოფლიო ომისაგან მრავალმხრივ განსხვავდებოდა და, უწინარეს ყოვლისა, ამ ომში ხალხთა მონაწილეობის მასშტაბით, აგრეთვე ადამიანთა მსხვერპლისა და ომით მიყენებული მატერიალური ზარალის რაოდენობით. დედამიწის მოსახლეობის ოთხი მეხუთედი ცოტად თუ ბევრად მონაწილეობდა უკანასკნელ მსოფლიო ომში. ორივე მემკვიდრე ბანაკში მობილიზებულთა რაოდენობამ 110 მილიონზე მეტ კაცს მიაღწია. თითქმის შეუძლებელია ისეთი ქვეყნის დასახელება, რომელიც ნამდვილად ნეიტრალური ყოფილიყო ამ წლებში. მეორე მსოფლიო ომი რომ დაუშვა, ესე იგი დროულად რომ არ მიიღო ზომები ფაშისმის იმ აგრესიული ძალების წინააღმდეგ, რომლებმაც ეს უნაგალითო მასშტაბის ომი გააჩაღეს, კაცობრაობამ აურაცხელი მსხვერპლი გაიღო ადამიანთა სიცოცხლისა და მრავალი სახელმწიფოს განადგურების საბით.

ომი თავს მოახვევს ჩვენს ხალხს, რომელმაც თავდასხმის პასუხად დიდი სამამულო ომი გამოაცხადა. პიტლერული გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს არა მარტო ჩვენი ტერიტორიის დაპყრობასა და საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობის მიზნით. პიტლერიზმმა თავის მიზნად გამოაცხადა რუსი ადამიანების და საერთოდ სლავების გაყლეკა. იმ მომენტამდე, როცა რუსი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხები, მთლიანად დაირაზმა სტალინის მოწოდებისამებრ „ყველაფერი ომისათვის“, და როცა ბოლოს მათ გერმანიის არმიას ხერხემალი გადაუმტვრიეს, გამხეცებული პიტლერელები არაფერს არ ერიდებოდნენ, რათა დაპყრობილ ტერიტორიებზე განეხორციელებინათ თავიანთი კაცთმოძლეობითი მიზნები. ამის დაეიწყება დანაშაული იქნებოდა მილიონობით დაღუპულ სრულიად უდანა-

შეულო აღმამანთა ხსოვნის წინაშე, მათი დაობლებული ოჯახების წინაშე, მთელი ხალხის წინაშე. არც იმის დაეიწყება შეიძლება, თუ რა უდიდესი მატერიალური ზარალი მოგვყენეს გერმანელმა დამპყრობლებმა და მათმა მოკავშირეებმა, რომლებიც საბჭოთა ტერიტორიაზე ყაჩაღობას წვენიან მრავალი თვის განმავლობაში. ყოველივე ამისათვის პასუხი უნდა ზღონ, უწინარეს ყოვლისა, ომის მთავარმა დამნაშავეებმა.

გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა მოლიანად თუ ნაწილობრივ დაანგრეს და დასწვეს 1.710 ქალაქი და 70.000-ზე მეტი სოფელი, დასწვეს და დაანგრეს 6.000.000-ზე მეტი შენობა და უსახლკაროდ დასტოვეს 25.000.000-მდე კაცი. დანგრეულ და ყველაზე უფრო დაზარალებულ ქალაქთა შორის არის ჩვენი ქვეყნის უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრები: სტალინგრადი, სევასტოპოლი, ლენინგრადი, კიევი, მინსკი, ოდესა, სმოლენსკი, ხარკოვი, ვორონეჟი, დონის როსტოვი და მრავალი სხვანი. პიტლერელებმა დაანგრეს და დააზიანეს 31.850 სამრეწველო საწარმო, რომლებშიც 4.000.000-მდე მუშა და მოსამსახურე მუშაობდა. პიტლერელებმა გაანანაგეს და გაძარცვეს 98.000 კოლმეურნეობა, მათ შორის უკრაინისა და ბელორუსიის კოლმეურნეობათა უმეტესობა. მათ დაკლეს, ჩამოართვეს და გერმანიაში გაიარევეს 7.000.000 ცხენი, 17.000.000 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ათეულ მილიონობით ღორი და ცხვარი. სახალხო მეურნეობისა და ჩვენი მოქალაქეებისათვის მიყენებული მარტო პირდაპირი ზარალი საგანგებო სახელმწიფო კომისიამ 679 მილიარდი მანეთით განსაზღვრა (სახელმწიფო ფასებით).

ჩვენ ვერ დაეიწყებთ ყოველივე ამას და უნდა მოეთხოვოთ ომის გამჩაღებელ ქვეყნებს მოყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურება მაინც. არ შეიძლება ხადავო გახდეს საბჭოთა ხალხის ამ სურვილის სამართლიანობა. არც იმას უნდა აფუაროთ გვერდი, რომ სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებანი გერმანიისაგან რეპარაციათა შესახებ ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ დაძრულა წინ.

მაგრამ ჩვენს შორის არ არიან დამარცხებული ხალხების მიმართ შურისძიების პოლიტიკის მომხრენი. ამხანაგ სტალინს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ შურისძიების გრძნობა, ისევე როგორც შეურაცხყოფისათვის სამავთეროს მიზღვევის გრძნობა, — ცუდი მრჩევლებია პოლიტიკაში და ხალხთა შორის ურთიერთობაში. ჩვენ დამარცხებული ხალხების მიმართ უნდა ვიხელმძღვანელოთ არა შურისძიების გრძნობით, არამედ იმით, რომ გაეაძნელოთ ახალი აგრესიის წარმოშობა და რომ შესაძლო ახალი აგრესორი აღმოჩნდეს ხალხთა შორის ყველაზე მეტი იზოლაციის მდგომარეობაში. ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ არა იმით, თუ რა შეურაცხყოფა მოგვყენის წარსულში, არამედ ომის შემდგომ პერიოდში მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვის ინტერესებით.

უდავოა, რომ მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესები მოითხოვენ, რათა თავისუფლებისმოყვარე ხალხებს საჭირო შეიარაღებული ძალა ჰყავდეთ. ეს ყოველ შემთხვევაში შეეხება იმ ქვეყნებს, რომელთაც მთავარი პასუხისმგებლობა აკისრიათ მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. მაგრამ მშვიდობის დაცვის ინტერესებს საერთო არაფერი აქვთ შეიარაღებაში დიდ სახელმწიფოთა შეჯიბრების პოლიტიკასთან, რასაც საზღვარგარეთ ქადაგებს იმპერიალიზმის პოლიტიკის ზოგიერთი განსაკუთრებით თავ-

გამოდებული მომხრე. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ატომის ენერჯის აღმოჩენისა და ატომური ბომბის შესახებ, რომლის გამოყენებამაც იაპონიასთან ომში ცხადყო მისი უდიდესი დამანგრეველი ძალა. მაგრამ ატომის ენერჯია ჯერ კიდევ არ არის გამოცდილი აგრესიის თავიერთი ასაცილებლად ან მშვიდობის დასაცავად. მეორე მხრე, აქამდე არ შეიძლება არსებობდეს დიდი მასშტაბის ისეთი ტექნიკური საიდუმლოებები, რომლებიც შეიძლება დარჩეს რომელიმე ერთი ქვეყნის ან ქვეყნების ერთი ვიწრო ჯგუფის კუთვნილებად. ამიტომ ატომის ენერჯის აღმოჩენა არ უნდა აქვებდეს არც ძალთა საგარეო-პოლიტიკურ თამაშში ამ აღმოჩენის გამოყენებით გატაცებას, არც მშვიდობისმოყვარე ხალხთა მომავლისათვის უღარდებლობას.

საკმაოდ დიდი ხმაურია სახელმწიფოთა ბლოკებისა და დაჯგუფებების, როგორც გარკვეულ საგარეო ინტერესთა დაცვის საშუალების შექმნის ირგვლივაც. საბჭოთა კავშირს არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა სახელმწიფოთა დაჯგუფებებში, რომლებიც მიმართული ყოფილიყოს სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ. დასავლეთში კი ამგვარი ცდა, როგორც ცნობილია, არაერთხელ ყოფილა. წარსულში მთელი რიგი ასეთი დაჯგუფებების ანტისაბჭოთა-ხასიათი აგრეთვე კარგად არის ცნობილი. ყოველ შემთხვევაში დასავლეთის სახელმწიფოთა ბლოკებისა და დაჯგუფებების ისტორია მოწმობს, რომ ისინი ემსახურებოდნენ არა იმდენად აგრესორთა ალაგმვის საქმეს, რამდენადაც, პირიქით, აგრესიის გაღვივებას და, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის მხრივ. ამიტომ საბჭოთა კავშირმა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა ამ მხრივ სიფხიზლე არ უნდა შეასუსტონ.

მთელ მსოფლიოში მშვიდობის აღდგენამ ვერ გამოიწვია და არც შეეძლო გამოეწვია ქვეყნების ურთიერთობაში ომამდელი მდგომარეობის აღდგენა. გერმანია, იტალია და იაპონია ერთი ხნით გამოვიდნენ იმ დიდ სახელმწიფოთა შემადგენლობიდან, რომლებიც მთლიანად საერთაშორისო ცხოვრებას ტონს აძლევენ. მაშასადამე, ეს სწორია იმ პერიოდისათვის, სანამ მათ მიმართ მოქმედებს მოკავშირეთა გაერთიანებული კონტროლი, რომელიც მიმართულია ამ ქვეყნების აგრესიულობის აღორძინების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ხელს არ უშლის ამ ქვეყნების, როგორც მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოების, განვითარებასა და აღმავლობას. მცირე მნიშვნელობა როდი აქვს ევროპის მომავლისათვის იმ ფაქტსაც, რომ მთელი რიგი ფაშისტური და ნახევრადფაშისტური სახელმწიფოები დემოკრატიულ გზას დაადგნენ და ახლა მისწრაფვიან მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ მოკავშირე სახელმწიფოებთან. მგონია აშკარაა, რომ არათუ ხელი არ უნდა შეეშალოს, არამედ საჭიროა ხელი შეუწყოს ამ სახელმწიფოებში დემოკრატიულ საწყისთა განმტკიცებას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოკავშირე ქვეყნების ბანაკში ომმა საკმაოდ ბევრი ცვლილება გამოიწვია. როგორც წესი, აქ რეაქციულმა ძალებმა მნიშვნელოვანწილად დაჰკარგეს წინანდელი პოზიციები, გზა გაუწმინდეს ქველსა და ახალ დემოკრატიულ პარტიებს. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში განხორციელებულია ისეთი ძირეული სოციალური რეფორმები, როგორც დრომოკმული მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია და ხელმოკლე გლეხებისათვის მიწის გადაცემა, რაც ძირს უთხრის რეაქციულ-

ფაშისტური ძალების ყოფილ დასაყრდენს და სტიმულს აძლევს დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობის აღმავლობას ამ ქვეყნებში. ზოგიერთ სახელმწიფოში ახლა დღის წესრიგში დასმულია ისეთი დიფინიშენელოვანი ეკონომიური რეფორმები, როგორცაა მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია, მ-სათთან სამუშაო დღე და სხვა, რასაც ახალი სულსკვეთება და რუმენა შეაქვს ევროპისა და ევროპის ფარგლებს გარეთ დემოკრატიული მოძრაობის მზარდ რიგებში. რეაქციული პარტიის ზოგიერთი ორგანო ცდილობს ამ გაბედული დემოკრატიული რეფორმების გატარება, უმთავრესად, მიაწეროს საბჭოთა კავშირის გაზრდილ გავლენას. ასეთი არგუმენტების უსაფუძვლობა აშკარაა, რამდენადაც ყველასათვის ცნობილია, რომ ევროპის მოწინავე ქვეყნებში ამგვარ პრობლემებს წინათაც წარმატებით სწყვეტდნენ.

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ფაშიზმის ძალები საბოლოოდ იყოს მოსპობილი და შეიძლებოდეს მათ ანგარიში აღარ გაეუწიოთ. ჩვენ ყველას წაქითხული გვაქვს სამი სახელმწიფოს ყირიმის დეკლარაცია განთავისუფლებული ევროპის შესახებ, სადაც ნათქვამია: „ევროპაში წესრიგის დამყარება და ნაციონალურ-ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნა მიღწეულ უნდა იქნას ისეთი გზით, რომელიც განთავისუფლებულ ხალხებს საშუალებას მისცემს მოსპონ ნაციზმისა და ფაშიზმის უკანასკნელი ნაშთები და დემოკრატიული დაწესებულებანი შექმნან საკუთარი არჩევით“. კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყირიმის დეკლარაციის მართებული შესრულება. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ რა უარყოფითი შედეგიც უნდა იყოს, ფაშიზმის წინააღმდეგ ომმა, რომელიც გამარჯვებით დამთავრდა, ბევრი მხრივ შეუწყო ხელი იმას, რომ პოლიტიკური ჰაერი გაწმენდილიყო ევროპაში და ახალი გზები დასახულიყო ანტიფაშისტური ძალების აღორძინებისა და განვითარებისათვის, რაც წინათ არასოდეს არა ყოფილა. ასეთი მდგომარეობა, უეჭველია, შეეფერება მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ინტერესებს და უნდა ვისურვოთ, რომ ევროპის ხალხებში კიდევ უფრო განმტკიცდეს „ნაციზმისა და ფაშიზმის უკანასკნელი ნაშთების მოსპობის“ საჭიროების შეგნება.

საბჭოთა კავშირი მუდამ ერთგულად იცავდა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ნორმალური ურთიერთობის განმტკიცების პოლიტიკას. ომის წლებში საბჭოთა კავშირმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა დიდ ბრიტანეთთან და შეერთებულ შტატებთან, საფრანგეთთან და ჩინეთთან, პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან და იუგოსლავიასთან, — და ახლა თითქმის ყველა ამ ქვეყანასთან დადებული აქვს მრავალი წლით ხელშეკრულება იმ სახელმწიფოთა მხრივ შესაძლებელი ახალი აგრესიის წინააღმდეგ მოკავშირეობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომლებიც მთავარი აგრესორები იყვნენ უკანასკნელ მსოფლიო ომში. ჩვენი მხრივ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ნორმალურ კალაპოტში ჩავაყენოთ და კარგი ურთიერთობა დავამყაროთ აგრეთვე სხვა ქვეყნებთან, რომლებმაც ხელი აიღეს საბჭოთა კავშირისადმი მტრობისა და უნდობლობის პოლიტიკაზე. ამას ემსახურება ჩვენი ჭეყნის სევაკრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაც უცხო სახელმწიფოთა სულ უფრო ფართო წრესთან. ძლიერდება კულტურული კავშირიც მათთან.

ახლა სწარმოებს ომის დროს წარმოშობილი ინგლის-საბჭოთა კავშირ-

ამერიკის ანტიპიტლერული კოალიციის სიმტკიცის შემოწმება. აღმოჩნდება თუ არა ეს კოალიცია ასეთივე ძლიერი და უნარიანი ერთობლივი გადაწყვეტილებებისათვის ახალ პირობებში, როცა ომის შემდგომი პერიოდის სულ ახალ-ახალი პრობლემა წარმოიშობა? ხუთი მინისტრის ლონდონის თათბირის წარუმატებლობა ამის შესახებ ერთგვარ გაფრთხილებას წარმოადგენს. ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციაში სიმტკიცის ომის დროსაც იყო. თუმცა ყოველთვის არაერთბაშად, მაგრამ სამი სახელმწიფოს კოალიცია პოულობდა მორიგი ამოცანის სწორ გადაწყვეტას დიდი და მცირე სახელმწიფოების მთელი ანტიპიტლერული კოალიციის ინტერესებისათვის, ამასთანავე ანგარიშს უწევდა დიდი დემოკრატიული სახელმწიფოების თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საჭიროებას.

ბოლოს, წელს შეიქმნა ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია „გაერთიანებული ერები“. იგი შეიქმნა ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის ინიციატივით, რითაც მან თავის თავზე აიღო მთავარი პასუხისმგებლობა მისი მომავალი მუშაობის შედეგებისათვის. ჩვენთვის ცხადია, რომ ორგანიზაცია „გაერთიანებული ერები“ არ უნდა ჰგავდეს ერთა ლიგას, რომელიც სრულიად უუნარო აღმოჩნდა აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის საკითხებში და წარმოშობილი აგრესიის წინააღმდეგ ძალთა ორგანიზებაში. ახალი ორგანიზაცია არ უნდა გახდეს აგრეთვე რომელიმე დიდი სახელმწიფოს იარაღი, რადგან საერთო მსოფლიო საქმეებში რომელიმე ერთი სახელმწიფოს ხელმძღვანელი როლის პრეტენზია იმდენადვე უსაფუძვლოა, რამდენადაც მსოფლიო ბატონობის პრეტენზია. მხოლოდ იმ სახელმწიფოთა ერთობლივი ღონისძიებანი, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ომის სიმძიმე და უზრუნველყვეს ფაშისმზე დემოკრატიული ქვეყნების ვამარჯვება, მხოლოდ ასეთი თანამშრომლობა შეუწყობს ხელს ხანგრძლივი მშვიდობიანობის სასარგებლოდ ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობის წარმატებებს. ამისათვის საკმარისია როდია კეთილი სურვილების გამოთქმა. ამასთანავე საჭიროა დავამტკიცოთ, რომ ძალგვიძს ასეთი თანამშრომლობა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ინტერესებისათვის. საბჭოთა კავშირი სიმედო დასაყრდენი იყო და კვლავაც იქნება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვაში და მზად არის ეს დავამტკიცოს არა სიტყვით, არამედ საქმით. (ხანგრძლივი ტაში).

III

საბჭოთა სახელმწიფოს უმედგომი განმტკიცება და საბჭოთა დემოკრატიის განვითარება

გერმანიის წინააღმდეგ ოთხი წლის ომი საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ძალების გამოცდა იყო. საბჭოთა კავშირმა ღირსეულად ჩააბარა ეს გამოცდა. კვლავ და კვლავ აღსრულდა დიდი, უკვდავი ლენინის სიტყვები:

„ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომელშიც მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავის, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს იმის შესაძლებლობას, რომ ისარგებლონ კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით“. (ტაში).

წითელი არმია ომიდან გამოვიდა გამარჯვებულის დიდებით მოსილი. იგი განმტკიცდა, როგორც შეიარაღებული ძალა, და უფრო ძლიერი გახდა თავისი საბჭოთა საბრძოლვა სულსკვეთებით. მისი რიგებიდან ახლად თავიანთ სახლკარს, მშვიდობიან შრომას უბრუნდებიან მილიონობით რამდენები, რომელნიც ასე საუბრონი არიან კოლმეურნეობებისა, ფაბრიკებისა, ქარხნებისა და მთელი ჩვენი სამშობლოსათვის, რომელიც ახლად შექმნილ სოციალისტური მშენებლობის ახალი აღმავლობის დიად ამოცანათა განხორციელებას. საბჭოთა ხალხი ახლა დარაზმულია თავისი პარტიის გარშემო, როგორც წინათ არასოდეს არ ყოფილა დარაზმული, და ორგანიზებულ რიგებად მიდის წინ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. ეს ჩვენი ბედნიერება იყო, რომ ომის მიმე წლებში წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს წინ მიუძღოდა საბჭოთა კავშირის ბრძენი და ნაცადი ბელადი დიდი სტალინი. (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან). გენერალისიმუს სტალინის სახელით ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და მსოფლიო ისტორიაში შევა ჩვენი არმიის სახელოვანი გამარჯვებანი. (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში). დიდი ბელადისა და ორგანიზატორის სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ ახლა შევუღლებით მშვიდობიან მშენებლობას, რათა მივაღწიოთ სოციალისტური საზოგადოების ძალთა ნამდვილ აყვავებას და გავამართლოთ მთელ მსოფლიოში ჩვენი მეგობრების საუკეთესო იმედები. (ხანგრძლივი ტაში).

ყველამ იცის, თუ როგორ ძლიერ გაიზარდა სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი. ეს შესაძლებელი გახდა ჩვენი ქვეყნის სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური წარმატებების მეოხებით. ერთი წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა ეს შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

„ისევე, როგორც წითელმა არმიამ პირიპირ ხანგრძლივ და მიმე ბრძოლაში სამხედრო გამარჯვება მოიპოვა ფაშისტთა ჯარებზე, საბჭოთა ზურგის მშრომელებმა პიტლერული გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ორთაბრძოლაში ეკონომიური გამარჯვება მოიპოვეს მტერზე“.

ამხანაგმა სტალინმა აგრეთვე სთქვა: „ომის მსვლელობაში პიტლერელებმა არა მარტო სამხედრო დამარცხება განიცადეს, არამედ მორალურ-პოლიტიკურიც“. ომმა ყველას დაანახვა, თუ როგორ გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი ქვეყანა სამხედრო-ეკონომიური მხრივ. ომმა არანაკლებ დაგვანახვა ისიც, თუ რა ძლიერ გაიზარდა საბჭოთა კავშირი სხვა ხალხთა თვალში მორალურ-პოლიტიკურად.

ჩვენ განსაკუთრებული ეკონომიური სიძნელეები გადავიტანეთ ომის პირველ წლებში, და მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანას აღმოაჩნდა უნარი უზრუნველყო ჩვენი გმირი არმია ყოველივე იმით, რაც მას სჭირდებოდა, მათ შორის პირველხარისხოვანი შეიარაღებით, რომელიც თავისი ხარისხით მტრის იარაღს სჯობდა. საბჭოთა აღამიანები, რომლებიც ომიანობის დროის გაჭირვებასა და სიდუხჭირეს განიცდიდნენ, მაინც დაუღალავად მუშაობდნენ და ჩვენ სათანადოდ უნდა დავაფასოთ ჩვენი ზურგის მუშაკები, განსაკუთრებით თავდადებული საბჭოთა ქალი და სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული საბჭოთა ახალგაზრდობა. (ხანგრძლივი ტაში). ამის მეოხებით ჩვენ შევძელით შეგვენარჩუნებინა ჩვენი ხალხის საარსებო დონე ომიანობის მიმე დროს.

მუშათა კლასის მილიონობით შვილი მობილიზებული იყო და ფრონტზე იბრძოდა. მაგრამ ქარხნები და ფაბრიკები განაგრძობდნენ მუშაობას, მათ შეემატათ ახალი კადრები, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდობის ხარჯზე. ომიანობის წლებში საკმაოდ ბევრი აშენდა ახალი ქარხნები, ელექტროსადგურები, შახტები, რკინიგზის ლიანდაგები, რაც უმეტესად სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგად მოხდა. სოციალისტური რეკონსტრუქცია და შრომის ნაყოფიერების ზრდის მისი ახალი ფორმები, მუდამ მოქცეული იყო მოწინავე მუშების და მთელი მუშათა კლასის მზრუნველობის ცენტრში. პროფესიული კავშირები და მუშათა სხვა ორგანიზაციები დაძაბულ ორგანიზატორულ და აღმშრდებლობით მუშაობას ეწეოდნენ მუშათა მასებში. მუშები უფრო მეტს მუშაობდნენ, ვიდრე ომამდე. ამის შედეგად გადალახულ იქნა მრავალი სიძნელე.

კოლმეურნე გლეხობამ ომის წლებში გვიჩვენა თავისი პოლიტიკური შეგნებულობა და საკოლმეურნეო ორგანიზებულობა სოფლის მეურნეობაში. გლეხებმა — ქალებმა და კაცებმა — კარგად გაიგეს ახლა თუ რა მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ შეჯიბრებას კოლმეურნეობებში, და ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რათა აენაზღაურებინათ ის უდიდესი ზარალი, რომელიც სოფლის მეურნეობას მიადგინა გერმანულ რეჟიმანტა მიერ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის დროებით დაკავებამ. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა ომის წლები გავვეტარებინა პურის საიმედო მარაგით და უზრუნველგვეყო აუცილებელი სამრეწველო საწარმოები სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით. ამ ამოცანის დაძლევა ადვილი როდი იყო, განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენი წითელი არმიის რიგებში მეტწილად კოლმეურნეები არიან.

ომიანობის დროს ჩვენ თავი გავართვი ფრონტისა და ზურგის ამოცანებს აგრეთვე იმიტომ, რომ საბჭოთა ინტელიგენციამაც მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. ომმა თვალნათლივ დაგვანახვა, თუ რად იქცა ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლების წლებში. უკვე აღარ ისმის ლაპარაკი ძველსა და ახალ ინტელიგენციაზე. ეს პრობლემა თვით ცხოვრებამ მოხსნა. ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა პატიოსნად და წარმატებით ასრულებს თავის მაღალ მოვალეობას სამეურნეო მუშაობის ორგანიზაციის საქმეში, სპეციალისტთა ახალი კადრების აღზრდის საქმეში, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში. დიდი კმაყოფილებით შეგვიძლია ახლა ვთქვათ, რომ საბჭოთა ინტელიგენცია ღირსია თავისი ზალხისა და ერთგულად ემსახურება თავის სამშობლოს. (ტაში).

ომიანობის წლებში განმტკიცდა საბჭოთა კავშირის ზალხთა მეგობრობა. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფო, მისი ენის, ყოფიანობის, კულტურისა და ისტორიის სხვადასხვაობით, გახდა კიდევ უფრო შემქმნელობითი, და კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდნენ ერთმანეთს საბჭოთა ზალხები. ვერც ერთი სხვა მრავალეროვანი სახელმწიფო ვერ გაუძლებდა იმ განსაცდელს, რაც ჩვენ გადავიტანეთ ომიანობის წლებში. მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოს, სადაც ადგილი არა აქვს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, სადაც არ არიან ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასები, ხოლო მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, როგორც თანასწორუფლებიანი მოქალაქენი, განაგებენ როგორც ადგილობრივ საქმეებს, ისე სახელმწიფოსაც, — მხოლოდ ასეთ სახელმწიფოს და არა ძველ თავადაზნაურულ-ვაჭრულ რე-

სეთს შეეძლო გამკლავებოდა გერმანელთა შემოსევას 1941-1942 შობიერ წლებში, საკუთარი ძალებით დაემარცხებინა გათავებულნი მტერი, გაეძევებინა იგი თავისი ტერიტორიის საზღვრებიდან და, გარდა იმისა, მძლავრი დახმარება აღმოეჩინა სხვა ხალხებისათვის უცხოელ დამპყრობელთაგან მათი განთავისუფლების საქმეში. ჩვენს ქვეყანაში ახლა აღარ არიან ჩაგრულნი ან არათანასწორუფლებიანი ხალხები, რომლებიც ვერც ვერც ამ ცოტა ხნის წინათ, ცარიზმის რეჟიმის დროს, კოლონიებისა და ნახევარკოლონიების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. საბჭოთა სახელმწიფოში ყველა ხალხს მინიჭებული აქვს დამოუკიდებლობისა და თავისუფალი ნაციონალური განვითარების უფლება, ყველა ხალხი იზრდება მეგობრობისა და ერთმანეთისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე თავისი ნაციონალური კულტურის განვითარების საქმეში და მთლიანად საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი აღმავლობის საქმეში ყოველი ხალხის ღონისძიებათა შესაბამისად მისი დამსახურების აღიარების სულსკვეთებით.

ჩვენი ურიტები პროფკავშირული, საწარმოო, კულტურული, სასპორტო და მუსიკალური ორგანიზაციების აქტიულობაში, კოლმეურნეობების შექმნაში, რომლებიც აერთიანებენ მრავალმილიონიან საბჭოთა გლეხობას საბჭოთა კავშირის მთელს ვრცელ ტერიტორიაზე, ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შატებში და რკინიგზებზე სოციალისტური შეჯიბრების განუხრელ ზრდაში, — ყოველივე ამაში მოსჩანს აყვავება ნამდვილი სახალხო დემოკრატიზმისა, რომელიც ჩვენ არ ვგქონდა-ძველ დროს და რომელიც არ შეიძლება იყოს არცერთ სხვა სახელმწიფოში, სადაც არსებობს დაყოფა მჩაგვრელთა და ჩაგრულთა კლასებად, რასაც უკვე დიდი ხანია ბოლო მოუღო საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების სწრაფ ზრდაში და იმ ფაქტში, რომ ახლა ინტელიგენცია, როგორც მოწინავე და ყველაზე კულტურული ნაწილი, შეუერთდა თავის ხალხს, რითაც საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა, — ყოველივე ამაში არ შეიძლება არ დავინახოთ ახალი აღმავლობა საბჭოთა დემოკრატიზმისა, რომელიც აღგვაფრთოვანებს ახალი იმედებითა და ჩვენი ქვეყნის მომავლის რწმენით. იმაში, რომ საბჭოებმა უზრუნველპყვეს ყველა ხალხისათვის ნაციონალური კულტურის განუხრელი აღმავლობა, ნაციონალური ტალანტების აღზრდისათვის აქტიური ზრუნვა და თანასწორუფლებიან საბჭოთა ხალხებს შორის მზარდი მეგობრობა და მშერი ურთიერთ დახმარება, რაც ძველ რუსეთში არ ყოფილა და ჯერ კიდევ არ არის სხვა ქვეყნებში არც მონარქიის რეჟიმების დროს, არც რესპუბლიკის რეჟიმების დროს, — ამაში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა დემოკრატიის ყოვლისმძლე ძალას, მის უდიდეს მნიშვნელობას ხალხთა ნამდვილი პროგრესული განვითარებისათვის. საბჭოთა დემოკრატიზმის დამრავლებელმა ძალამ და საგმირო საქმეებისათვის აღმაფრთოვანებელმა საბჭოთა პარტიოტიზმმა განსაკუთრებით იჩინეს თავი ომიანობის წლებში. საბჭოთა ადამიანები ბედნიერი არიან იმით, რომ ოქტომბრის რევოლუციის მეოხებით, რომელმაც იხსნა ჩვენი ქვეყანა მეორეხარისხოვან სახელმწიფომდე დაქვეითებისაგან, განთავისუფლებულ იქნა თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმით შებოკილი ძალები ხალხებისა, რომლებსაც საბჭოების ხელისუფლების საფუძველზე მიეცათ განვითარების წინათ არნახული შესა-

ძლებლობა. ამიტომ ვხედავთ ჩვენ ფაშიზმზე გამარჯვებაში აგრეთვე საბჭოთა დემოკრატიის დიდ გამარჯვებას.

ომის მსვლელობაში საბჭოთა ადამიანები ძალიან შორს უნდა წასულიყვნენ თავისი ქვეყნის საზღვრებს იქით. ფაშიზმის ჯიუტმა წინააღმდეგობამ აიძულა ჩვენი ჯარები შესულიყვნენ მთელი რიგი უცხო სახელმწიფოების საზღვრებში, უფრო ახლოს გასცნობოდნენ მათი სოფლებში, ქალაქების ცხოვრებას და მისულიყვნენ დასავლეთში ისეთ დედაქალაქებში, როგორც არის ვენა, ბუდაპეშტი, ბერლინი. ყველა ამ სახელმწიფოში, მათ შორის იქაც, რომლებიც გუშინ ფაშიზმის მხარეზე იყვნენ, საბჭოთა ადამიანებმა ადვილად იპოვნეს საერთო ენა მშრომელთა კლასებთან და დემოკრატიულ წრებთან. საბჭოთა ადამიანებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ თავიანთ მეგობრებად ჩაეთვალოთ გუშინდელი მტრები ფაშიზმის მსახურთა ბანაკიდან და საზოგადოების ზედა ფენიდან, რომელსაც მხარს უჭერდა ფაშისტური ხელისუფლება. რა თქმა უნდა, სხვა ხალხთა ყოფაცხოვრების გაცნობა ჩვენს ადამიანებს სარგებლობას მოუტანს და გაათავითებს მათს წარმოდგენას. ყოველ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ საბჭოთა ადამიანები შინ ბრუნდებიან თავისი სამშობლოსადმი და საბჭოთა ხელისუფლები-სადმი ერთგულების კიდევ უფრო მხურვალე გრძნობით. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია ხალხისადმი თავისი სიახლოვით. პარლამენტური დემოკრატიისაგან განსხვავებით საბჭოთა დემოკრატიას ნამდვილი ხალხური ხასიათი აქვს. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც ახალი ტიპის სახელმწიფოს ახასიათებს ისეთი ამოცანები, რომლებიც უცხოა ძველი ტიპის სახელმწიფოებისათვის. ასე, მაგალითად, საბჭოთა სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესების დაცვის სულისკვეთებით, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის დამყარების სულისკვეთებით ხალხთა პოლიტიკური აღზრდის ამოცანები, რაც არამც თუ არ გამოირიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს ახალი აგრესიის მოშლადებისა და ფაშიზმის აღორძინების ყოველგვარი ცდის გამოძღვლების აუცილებლობას, რის დაეწევათ არ შეიძლება ომის შემდგომ წლებშიაც. საბჭოთა კონსტიტუციით დანაშაულად ითვლება რასებსა და ერებს შორის მტრობის ქადაგება, ანტიემიციზმი და სხვა, ისევე როგორც შეუწყნარებელია ჩვენს პრესაში მკვლელობის, ძარცვისა და ადამიანის მიმართ ძალადობის შეჭება. ასეთი „შეზღუდვები“ საბჭოთა დემოკრატიის პირობებში ისევე ბუნებრივია, როგორც, სამწუხაროდ, ბუნებრივია ზოგიერთი სახელმწიფოსათვის სწორედ ამის საწინააღმდეგო ამბები.

ზოგიერთ ქვეყანაში სიტყვისა და პრესის თავისუფლება ჯერ კიდევ ისევ ისმით, რომ ფაშიზმის მოსყიდულ მსახურთ ნიღბის გაკეთებაც კი არა სჭირდებათ, რათა გასწიონ აგრესიისა და ფაშიზმის აღვირახსნილი პროპაგანდა, თუმცა მსოფლიოს ყველა ნაწილის ხალხებმა უკვე კოლოსალური მსხვერპლი გაიღეს თავიანთი სისხლითა და გაჭირვებით იმის გამო, რომ წინათ დაუშვეს მსოფლიო აგრესიისა და ფაშიზმის თარეში. ყველა სახელმწიფოს როდი ძალუქს იკისროს ხალხის პოლიტიკური აღზრდის ამოცანა, ხოლო როცა ფაშისტური სახელმწიფოები ხელს ჰკიდებდნენ ამ საქმეს, მათ სხვა არაფერი გამოსდიოდათ, გარდა ხალხის სულიერ ცხოვრებაზე, კულტურასა და უფლებებზე ძალადობისა. საბჭოთა დემოკრატიის უპირატესობანი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დაამტკიცა საბჭოთა კავშირმა ომიანო-

ბის წლებში. სსრ კავშირმა გამოიარა ომის განსაცდელის ქარცეცხლი და კიდევ უფრო განმტკიცდა, როგორც ნამდვილად ხალხური სახელმწიფო. როგორც ცნობილია, ხალხის პოლიტიკური აღზრდის საქმისათვის ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ბოლშევიკურ პარტიას აკისრია. ამ საქმეში წარმატებებს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ უნდა უშაბდლოდეთ ჩვენს დიდ პარტიას. ამიტომაც საბჭოთა ხელმძღვანელების აძლევს სიტყვებს ბოლშევიკური პარტიის ბელადის შესახებ, როცა მაღლობითა და დიდი სიყვარულით ამბობს: „ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი მამა, ჩვენი ბელადი—ამხანაგი სტალინი“. (მჭუხარე ხანგრძლივი ოცავია. ყველანი ფეხზე დგებიან).

ჩვენ ვუახლოვდებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახალ არჩევნებს. ახალი საყოველთაო არჩევნები ჩატარდება ყველა იმ განსაცდელის შემდეგ, რაც საბჭოთა სახელმწიფომ დიდ სამამულო ომში გამოიარა. ჩვენი ხალხი საარჩევნო ყუთებთან მივა ამ წლებში დაგროვებული უდიდესი პოლიტიკური გამოცდილებით, მას შემდეგ, რაც ბევრი იფიქრა თავისი სამშობლოს ბედის შესახებ, ევროპისა და მთელი მსოფლიოს ამბების შესახებ. ბოლშევიკური პარტია საბჭოთა უპარტიო აქტივის ფართო წრეებთან ერთად ემზადება ამ არჩევნებისათვის; იგი მასში ხელავეს საბჭოთა დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს გამოვლინებას და ჩვენი ხალხის დარაზმვისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების კიდევ ერთ მძლავრ საშუალებას.

IV

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლა და ჩვენი ამოცანები

ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან მშენებლობაზე გადავიდა. მთელი ხალხის წინაშე ახალი დიდი ამოცანები დაისახა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, საჭირო ყურადღებას დავუთმობთ სსრ კავშირის შემადგენლობაში შემოსულ ახალ ტერიტორიებსაც. როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში შემოკრილმა მტერმა ხელი შეგვიშალა სათანადო ყურადღება დაგვეთმო დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოწყობისათვის, რომლებიც ომამდე სულ ცოტა ხანს იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ახლა, პილონეთთან დადებული ხელშეკრულებით, დადგენილია საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ახალი საზღვარი. ამის შედეგად ბელორუსებით დასახლებული მთელი ტერიტორიები საბოლოოდ გაერთიანებულია ერთიან საბჭოთა ბელორუსიად, რომელსაც შეუძლია მტკიცედ იაროს წინ თავისი თავისუფალი ეროვნული განვითარების გზით. როგორც ცნობილია ჩეხოსლოვაკიასთან დადებულ ხელშეკრულების მიხედვით, იმიერკარპატის უკრაინაც ბოლოს ჩვენი სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოვიდა, და ახლა საბჭოთა უკრაინა მთლიანად აერთიანებს უკრაინის ყველა ტერიტორიას, რაზეც საუკუნეობით ოცნებობდნენ ჩვენი უკრაინელი ძმები. რუმინეთთან დადებული ხელშეკრულებით საბჭოთა მოლდავეთმა აგრეთვე მთლიანად გააერთიანა მოლდაველებით დასახლებული ტერიტორიები, რაც მისი შემდგომი ეროვნული განვითარების ფართო შესაძლებლობას იძლევა. ჩვენი ქვეყნის დასავლეთი საზღვარი გაფართოვდა აგრეთვე საბჭოთა კავშირისათვის კენიგსბერგის ოლქის შემოერთებით,

რამაც კარგი გაუყინავი ნავსადგური შეგვიძინა ბალტიის ზღვაში. ბალტიის-პირეთში აღდგენილი არიან საბჭოთა ლიტვა, საბჭოთა ლატვია, საბჭოთა ესტონეთი. ასეთია ჩვენი ახლანდელი დასავლეთი საზღვრის მოხაზულობა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ჩრდილო-დასავლეთში ჩვენ აღვადგინეთ ჩვენი საზღვარი მდინეების საბჭოთა კავშირ-ფინეთის 1940 წლის საზავო ხელშეკრულების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩრდილოეთში საბჭოთა კავშირს დაუბრუნდა პეჩენგის (პეტსამოს) რაიონის ტერიტორია.

დასასრულ შორეული აღმოსავლეთის შესახებ. აქ საბჭოთა კავშირის ხელში გადმოდის სახალინის სამხრეთი ნაწილი და კურილის კუნძულები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის უშიშროებისათვის. ბოლოს უნდა გავიხსენოთ ჩვენი სახელმწიფოს უფლებათა აღდგენა მანჯურიის რკინიგზაზე, აგრეთვე ჩვენი უფლებების აღდგენა პორტ-არტურის და დალნის რაიონებზე მანჯურიის სამხრეთ ნაწილში.

ყველა ამ რაიონს, აგრეთვე ფინეთის ტერიტორიაზე პორკალა-უდესო ჩვენი სამხედრო-საზღვაო ბაზის რაიონს უნდა დაეფუძნოს სათანადო ყურადღება და, რამდენადაც საქმე შეეხება ახალ საბჭოთა ტერიტორიებს — მათ გაძლიერებული ყურადღება დასჭირდება ჩვენი სახელმწიფოს მხრივ.

ჩვენ, რაც შეიძლება მალე, უნდა გადავწყვიტოთ გადაუდებელი ამოცანები იმ საბჭოთა ტერიტორიების მიმართ, რომლებიც მტრის არმიების მიერ დროებით იყო ოკუპირებული. გერმანელებმა ბევრი გაჩანაგებული ქალაქი, ათასობით დანგრეული, გაძარცვული სოფელი და დაბა დასტოვეს. დამპყრობთა განდევნისთანავე აქ ყველგან დაიწყო აღდგენითი მუშაობა. მაგრამ ჯერჯერობით გაკეთებულია საქმის მხოლოდ ნაკლები ნაწილი. მთელმა საბჭოთა ხალხმა, ყველა საბჭოთა რესპუბლიკამ იმისაკენ უნდა მიმართოს ღონისძიებანი, რომ დაეხმაროს ამ რაიონების სამეურნეო და კულტურული ცხოვრების უსწრაფეს და სრულ აღდგენას. ფაბრიკა-ქარხნების აღდგენა, კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების, სკოლებისა და საავადმყოფოების აღდგენა, ბინების აღდგენა, რათა ამ ადგილების ყოველი ქალაქისა და სოფლის მცხოვრებს კვლავ ექნეს საზღვარი და მოაწყოს თავისი ოჯახი, — ყოველივე ეს ჩვენი გადაუდებელი საქმეა.

იმ აღამიანებისათვის ზრუნვა, რომლებიც ომობდნენ და ახლა არმიიდან შინ ბრუნდებიან, აგრეთვე ინვალიდებისათვის, წითელი არმიის მეომართა დაობლებული ოჯახებისათვის ზრუნვა საბჭოთა და პროფკავშირული, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე კოლმეურნეობათა და მათი სოფლის ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს მოვალეობად უნდა ითვლებოდეს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ წარმატებით განვახორციელოთ ეს პასუხისაგები ამოცანა და რაც შეიძლება მალე მოვიშუშოთ ომით მოყენებული ქრილობები. ასეთია კიდევ ერთი გადაუდებელი ამოცანა.

ახლავე უნდა მოვკიდოთ ხელი სახალხო მეურნეობის აღმავლობის ძირეული ამოცანის გადაწყვეტას, რათა რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გადავჭარბოთ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების ობიექტულ დონეს და უზრუნველყოთ მთელი მოსახლეობის ცხოვრებას ღონის



მნიშვნელოვანი ამალგება. ეს არის დედააზრი პარტიისა და მთავრობის ამას წინათ გამოქვეყნებული გადაწყვეტილებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენისა და განვითარების სათანადო გეგმის შემუშავების შესახებ. ჩვენმა ხალხმა კარგად იცნო ქალა სტალინური ხუთწლეულებისა, რომლებმაც ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება შექმნეს და ჩვენი გამარჯვება უზრუნველპყვეს. ჩვენ გვესაჭიროება მძიმე მრეწველობის ახალი აღმავლობა, რათა ქვეყანა უზრუნველყოთ ლითონით, ქვანახშირით, ნავთით, ორთქლშავლებით, ვაგონებით, ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ავტომობილებით, სხვადასხვა გემებით, ელექტროსადგურებითა და მრავალი სხვა მოწყობილობით. სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობა მოელის ფართო მოხმარების საქონლის მნიშვნელოვან გადიდებას, აგრეთვე კვების პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესებას. კოლმეურნეობათა საჭიროებისა და სოფლის მეურნეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი ახლა განსაკუთრებით მომწიფებულია. ჩვენი კულტურული მოთხოვნილება გაიზარდა და გაცილებით უფრო მრავალმხრივია. ვერც ერთი წუთით ვერ დავივიწყებთ აგრეთვე ჩვენს დიდ მოვალეობას იმ მხრივ, რომ ჯეროვნად უზრუნველყოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროება, წითელი არმიის საჭიროება და სამხედრო-სახლგო ფლოტის საჭიროება. ჩვენში არ არის და არც იქნება უმუშევრობა. ჩვენს ქვეყანაში სამუშაო ყველას აქვს, რადგან ჩვენი სახელმწიფო შრომელთა სახელმწიფოა. ჩვენ მეტი უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოვაწყობთ უფრო სწორად შრომა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და ყველა ჩვენს დაწესებულებაში, რათა საბჭოთა ადამიანის შრომის ნაყოფიერებამ და მისი მუშაობის ხარისხმა საუკეთესო შედეგი მოგვცეს.

მალალი ტექნიკისა და წარმოებაში მეცნიერების ფართო გამოყენების ჩვენს ხანაში, როცა უკვე შესაძლებელი გახდა აგრეთვე ატომის ენერჯისა და სხვა დიდი ტექნიკური აღმოჩენების გამოყენება, სამეურნეო გეგმებში უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ტექნიკის საკითხებს, ჩვენი მრეწველობის ტექნიკური დონის ამალგების და მალალკვალიფიციური ტექნიკური კადრების შექმნის საკითხებს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე მსოფლიო ტექნიკის მიღწევები მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და უზრუნველყოთ პირობები საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველმხრივი წინსვლისათვის. მტერმა ხელი შეუშალა ჩვენს მშვიდობიან შემოქმედებითს მუშაობას, მაგრამ ჩვენ ყოველივეს ავიწინააღმდეგებთ, როგორც საჭიროა, და მივალწევთ ჩვენი ქვეყნის აყვავებას. ატომის ენერჯიაც გვექნება და ბევრი სხვა რამაც. (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან). მაშ ხელა მოკვიდოთ ამ ამოცანების განხორციელებას მთელი ჩვენი დაუშრეტელი ბოლშევიკური ენერჯით, საბჭოთა ადამიანების მთელი მძლავრი ენერჯით. მოდით ვიმუშაოთ ისე, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი! (მჭუხარე ტაში).

ბოლოს, ჩვენი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების შესახებ. საბჭოთა კავშირი მუდამ პირველ ადგილზე აყენებდა ზრუნვას სხვა ქვეყნებთან მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და საქმიანი საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების სასარგებლოდ. სანამ ჩვენ „სახელმწიფოთა სისტემაში“ ვცხოვრობთ და ფაშიზმისა და იმპერიალის-

ტური აგრესიის ფესვები საბოლოოდ არ ამოძირკულა, არ უნდა შესუსტდეს სიფხიზლე მშვიდობის შესაძლებელ ახალ დამრღვევთა მიმართ, ხალხი მშვიდობის მოყვარე სახელმწიფოთა თანამშრომლობის განმტკიცებისათვის ზრუნეა წინანდებურად ჩვენი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა იქნება.

განმარჯვებულნი
განმარჯვებულნი

ჩვენი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა განვამტკიცოთ ჩვენი გამარჯვება, რასაც შეუპოვარი ბრძოლით მივალწიეთ და რამაც გაჰკაფა გზა ჩვენი ქვეყნის ახალი დიადი აღმავლობისაკენ, ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისაკენ. ჯერ კიდევ არასოდეს არა გვქონია სოციალისტურ მშენებლობაში ასეთი გაქანების პერსპექტივები და საბჭოთა კავშირის ძალთა აყვავების ასეთი შესაძლებლობანი, ჩვენი ხალხი აღსაყვარებელი თვისი დიადი საქმისადმი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საქმისადმი. (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს — გამარჯვებულ ხალხს, მის წითელ წრმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს! (ხანგრძლივი ტაში).

დღეგრძელობდეს და ჰყვავოდეს ჩვენი დიდი სამშობლო, ოქტომბრის რევოლუციის სამშობლო! (მჭუხარე ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას! (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას, ჩვენი გამარჯვებების სულს-ჩამდგმელსა და ორგანიზატორს! (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს — დიდ სტალინს! (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად ხქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები: „დიდ სტალინს — ვაშა!“).

ალექსანდრე აბაშვილი

სვალინის რკომა

გამარჯვებულნი შინ ბრუნდებიან
სახელოვანი ჩვენი გმირები.
მთებზე წინაპართ ჩრდილნი დგებიან,
გაბრწყინვებიით შუქით პირები.
მესმის სიმღერა გასაკვირველი:
ერთად მღერაიან ხმაშეწყობილად—
ვინც ჩვენს ბრძოლებში იყვნენ პირველნი
და ვინც წარსულში გმირნი ყოფილან.
ახალს ჩაერთო ხმა უწინდელი,
მთებმაც მზიური დროშა ამართეს.
ბრწყინავს ჰაერში ფარჩა წითელი
და ზედ სვალინის სახე ანათებს.
მტერი ვერავი თქვენ გააძევეთ
და შეასრულეთ დანაპირები,
ციდან არწიენი სალამს გაძღვევენ,
ჩამოგძახიან მთიდან ირმები.
ქვეყანას დიდხანს ემახსოვრება:
რა ცეცხლიანი გზა გავიარეთ,
როგორ ვანათდა ჩვენი ცხოვრება,
რა სიხარული გავიზიარეთ!
ეს დრო წარსულის ანდერძს ამართლებს,
მოაქვს დიდება მომავალ დროსაც,
რადგან სვალინის სახე ანათებს
მარად უძღვევს სამშობლოს დროშას.
თუმცა ყოველგან გვზიბლავს ბუნება,—
ერთ კუთხეს ჰქვია დედა სახელად.
რა საამოა შინ დაბრუნება
და მშობელ ცის ქვეშ თვალისგახელა!
შორს დაგრჩაით ძლეულ მტერთა სიავე
და ამომწვარი ბუნავი მხეცთა.
მშობელი ქვეყნის გატკობთ ნიავე
აქ ყოველ ქვასთან და ყოველ ხესთან.
და ახლა დგახართ მტკერის წყალვარდნილთან,
გასცქერით მწვერვალს ღამეგანათევს.
ცა გაიხსნება და ლაევარდიდან
სვალინის დროშა ამოანათებს.

მოის ნინ



მე თითქო ვხედავ
საბჭოეთის გულს და გონებას,
მე ვხედავ მოსკოვს ნათურებში თეთრად მოვერცხლილს,
მოსკოვის კრემლი არის შშვიდი, როგორც ბუნება,
მოსკოვის კრემლში სტალინთან დგას ბოგომოლვეცი.

მოუთხრობს დინჯად მეცნიერი ბელადს საყვარელს
მრავალ უახლეს აღმოჩენას, ახალ ძიებას,
ბელადიც აქიშს შშობლიურად სთხოვს და ავალებს
კაცთა სიცოცხლის წუთისოფლის გახანგრძლივებას.

შორს კი ბერლინზე იჭუფრება ცა აღმაცერი,—
ადამიანთა ელექტას ბრძანებს რაიხსკანცლერი.

ალიო ალაშია

სვადინი იხავეა მოსკოვს

დეკემბრის სუსხში და ქართოვაში,
მოადგნენ ქალაქს, სურდათ მოსპობა;
მოსკოვი ჰქუხდა ორთაბრძოლაში,
მტერი პირისპირ იდგა მოსკოვთან.
დეკემბრის სუსხში ქვემეხი სჭექდა,
და მოსკოვის ცას ელვა ბზარავდა,
სტალინი იდგა მოსკოვის ბჭესთან
და დედაქალაქს მკერდით ჰფარავდა.
და ენთებოდნენ ბნელში ელვები,
ხანძარი — ცამდის ამოტანილი,
სანგრებს რომ სთზრიდენ მოსკოველები
მათ მხარში ედგა დიდი სტალინი...
თავათ წარუძღვა ჯარებს და თავათ
ამცნო შეტევის მრისხანე ეამი,
დაჰკრეს და თოვლის მინდორზე შავად
დაჰყარეს მტერთა ურიცხვი გვაში.
შემოამსხვარიეს ჯაჭვის პერანგი,
გული გაუპეს სიკეთის მომსპობთ,
ვერ შეესია მოსკოვს ვერაგი,
რადგან სტალინი იცავდა მოსკოვს...

სვადინის მონუმენტი უოთვი



როგორ ამშვენებს ამ ზღვის ნაპირებს
 ეს მონუმენტი, ეს პედესტალი.
 დილის მზე შენთან მოსვლას აპირებს,
 რომ გეამბოროს, დღეგრძელო სტალინი!
 როგორ ელვარებს, როგორ დიდდება
 შენი მხარ-ბეჭი ცად აწეული,
 ზღვას გადახედავ—ტალა მშვიდდება,
 თოლიას ფრთებით გადაარწეული.
 ნარიონალში ჩამდგარი წყალი
 აღარ კიაფობს აქ ძველებურად,
 განათდა ზეცა სხივით ცინცხალით—
 ერთ დროს კოლხიდას თავს რომ ებურა.
 ბედნიერია ქვა, საიდანაც
 შენი სახება არის ნათალი,
 ბედნიერია ოსტატის დანა,
 რომ გამოგკვეთა, დღეგრძელო სტალინი!
 კვლავ ბევრი სიტყვა დაიხარჯება,
 ვინ ამოსწურავს შენს ქებას ხალას?
 ძნებო, ვიმღეროთ: „მაშ, გამარჯვება“...
 — სტალინის შუქი დაადგა ქალაქს.

სანდრო ეული

გზა შორეული

ი. ბ. სტალინი გადაჰყავთ ბათუმის საპატრონოში.
 მისი გადასახლების მიზნით „ირკულტკის საშუალო-
 გენერალ-გუბერნატორის გამგებლობაში, ნოვორო-
 სისკსა, როსტოვსა, ცარიცინსა და სამარაზე გავ-
 ლით პატიმართა შორეულ პარტიისთან ერთად“.

ლ. ბ. ე. რ. ი. ა., „ამიტერკავკასიის, ბოლშევიკური
 ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

1

ნოემბრის ქარი აჭარის მთიდან
 შავ ზღვას დაეცა გაშლილი ფრთებით,
 მებს ქარიშხალი იწვევდა ციდან,—
 ნისლს იბურავდა გურიის მთებიც.
 დამე ზღვად ქუხდა, ზღვაც ღამედ იქცა,
 ზღვის მკერდზე გემი ბურთივით ეგდო,
 სიბნელე ნთქავდა ზეცას და მიწას,
 მხოლოდ იმ გემზე ვარსკვლავი ენთო...

გემს ბათუმიდან მიჰყავდა კაცი,
ვინც გააბრწყინა აზრით ხმელეთი,
ვინც ბრძოლის ცეცხლში იყო მამაცი,
სურდა დაემხო ქვეყნად ბნელეთი.
ქარი ღმუილით გლეჯდა შავ ფარდებს,
გემის აფრებთან ჰქონდა ჭიდილი.
ჰაბუკი გვრიდა იმედს ტუსალებს,
არ აშინებდათ მასთან სიკვდილიც.

«კობა!

გვითხარი რამ საიმედო!
ვაგვიტენდება თუ არა ღამე?!
ეგება ბედმა არ ვაგვიმეტოს,
გვითხარი რამე,
გვითხარი რამე!»

ჰაბუკი იდგა, ღამეს გასცქერდა,
წყვედიანი იყო ირგვლივ მომდგარი,
და ყველას გული მის ხმაზე ძგერდა,
ყველას ესმოდა სიტყვა მოძღვარის:
«ტანჯვის გარეშე ბრძოლა არაა,
არც გამარჯვება ბრძოლის გარეშე,
გვწამდეს, დიად მზეს ვიხილავთ ჩქარა,
წყვედიანი ქვეყნად ვერ ითარეშებს».

2

ზოგს თაფაჩინდრულს, ზოგსაც მთვლემარეს,
თვალწინ ესახათ წარსული დღენი,
ამ ქვეყნად ესვათ მრავალჯერ მწარე,
მაინც უცქერდნენ მომავალს ღხენით.
მხოლოდ გვირ ჰაბუკს ვერ ტეხდა ქარი,
ქარი საშინელ ზღვის ტალღებს შლიდა,
მას იტაცებდა მხარე ნეტარი
და გაჰყურებდა ქარიშხალს მშვიდად.
და იმ დროს შორით ინათა ოდნავ,
გამოჩნდა მთვარე, განათდა ღამე.
ღრუბლებში შორი ნათელი კრთოდა,
გაბრწყინებული და მოკამკამე.
და როცა წუთით ღრუბელმა მნათობს
გადააფარა შავი კალთები,
მთვარეს მიმართა ჰაბუკმა ამ დროს,
გაუზიარა გულის ნადები:
«მაშ, ტურფავ, წინანდებურად
ღრუბლებში გაიკამკამე,
ლურჯ კამარაზედ საამოდ
სხივები შეათამაშე».



მეც გადავიხსნი საკინძეს
და მკერდს მოგიშვერ მთვარესა.
ხელგანწყობილი თაყვანს გცემ
ქვეყნად შუქ მომფინარესა“.*

3



როს ცის კიდური მზით აელვარდა
და სხივმა ნისლი გაადნო ცეარად,
ზღვა დადგა, მაგრამ გული დელავდა
და ჭაბუკს რწმენა ანთებდა მარად.
აჭარის მთისკენ მიაპყრო თვალი,
ფიქრით ნაპირზე დაეშვა მთიდან,—
სად მისი რწმენა, საქმე მართალი
რაზმავდა ხალხს და მეომრებს ზრდიდა.
გადაეხვია მშობლიურ მხარეს,
ტურფა მიდამო მისი დაპყოცნა
და შემდეგ ფიქრმა აგვმა მწარე,—
შორს, ცივ ქვეყნისკენ გადაიტყორცნა.
ფიქრებში გართულს საყვარელ ჭაბუკს,
შემოეხვიენენ მებრძოლნი მაშინ.
ჭაბუკი სულით ადარეს ქარბუქს,
ის ამხნევებდა ჩაგრულებს ზღვაში.
ერთმა მათგანმა ამოიკენესა,
წინ გაიშვირა მარჯვენა ხელი,
მისი ხმა ზღვაში გადაითესა,
გადაეფინა სახეს ნადველი:
„გემშვიდობები, სტიქიავ, ლალო,
უკანასკნელად შენს წინ თავსა ვხრი,
აგორებ ცისფერ ტალღებს ჩემს ახლოს
და სილამაზით შენ კრთი ამაყი“.**
იგი შესდგა და დაღუმდა წამსვე,
რადგან ჭაბუკმა თვალით შერისხა:
„მე კი რწმენით ვარ, ძმაო, აღსაფსევ
ფრთებს საბრძოლველად ისევ შევისხამ,
გადმოფრინდები მშობლიურ მხარეს
და გადაცუარავ შავი ზღვის ზვირთებს,
თანამებრძოლებს კვლავ ვავახარებ,
შევუძსუბუქებ მშრომელ ხალხს ტვირთებს.
მაშ, კვლავ დავსჭექოთ, ძმებო, სიძღვრა!
ხომ ხედავთ დარი მიგვევება გზაში,
ჩვენ ვერ შეგვაკრთობს ზღვის დელვა, ვერა,
სიყრმით გაზრდილებს მღელვარე ზღვაში“...

* სტალინის მიერ ახალგაზრდობისას დაწერილი ლექსი „მთვარეს“, ნაწყვეტი
** პუშკინის ლექსიდან „ზღვას“.

აქ რაიბაღა



კვლავ ენახე სახლი, საყვარელი,
სახლი პატარა.
აქ იშვა ბრძენი, ყრმობის დღენი
აქ გაატარა!

სიღამო იყო, სღუმდა სივრცე
თვალდაბუჭული,
ზეცით ისმოდა ვარსკვლავების
ჩემი ჩურჩული.

მთებს გაეშალათ ჩრდილთა მწვანე
ბაბრალები,
და საამურად შრიალებდნენ
ქართლის ბალები.

შხუოდა მტკვარი მოხიბლული
მთეარის ალერსით.
გორის მიდამოს ცა შეენოდა
უბრწყინვალესი.

ლაქვარდ ნათელში ამოდ კრთოდა
სახლის სარკმელი,
როგორც დიადი სიხარულის
შუქი ნათელი.

აქ, ამ სარკმელთან, სად ეთერი
თრთის გამჟვირვალი,
პატარა სოსომ გაახილა
პირველად თვალი.

•
•

ქუცქერ ძვირფას სახლს და ვოცნებობ
განმარტოებით,
ტოკავს ცა, კვალად შრიალებენ
ხეთა რტოები.

შორით მოსჩანან ცადახრილი
მთათ გრეხილები,
თავშესაფარი მოგუგუნე
ქარტეხილების.

მაღალ მწვერვალზე უფლისციხია
ელაეს თაღები,
მოშხუის მტკვარი სალ კლდეებზე
შენაჯახები.



ქართველთა
წიგლისწამყვანთა
კავშირისა

ნელი ოზვრანი მოაქვს ნიაცს
ბნელი ზევისა,
და გორის ციხეს კვლავ დარაჯობს
„ბურთი ღვეისა“.

ვუცქერ ძვირფას სახლს, აელერებულს
მთვარის ნიავში,
„მუშლი მუხასო“—თითქოს მღერის
სტალინი ბავშვი.

თითქოს დედიკოს ყელს ეხვევა,
ტოკავს და ღელავს,
უამბობს—კრივეში ვით იმარჯვა,
აჯობა ყველას.

თითქოს სარკმლიდან გასცქერას მწვერვალს
აბრისს ცათამდე,
შემდეგ წიგნს იღებს და კითხულობს
განთიადამდე.



ქართულო მიწავ, მკერდში გიდულს
ცეცხლი ციური,
შენ შობე გმირი, ყველა გმირზე
ტიტანიური.

ვით უკვდავება, გამძლეობა
ქართული ჯიშის,
ვისაც მტერთა წინ არ ჩვევია
ძრწოლა და შიში.

მშობელო მხარეე, ვარ შენი შვის
შემამკობელი,
მიტომ მიყვარხარ, დიად გმირთა
რომ ხარ მშობელი.

უამრავ მტერთა შემმუსვრელი,
დამამხობელი,
ყარიბი სულის უმძაფრესი
კმუნვის მჭრობელი,

მიტომ მიყვარხარ, მზიბლავს შენი
ლაღი მთა-ველი,
რომ შენ აღზარდე მზე თამარი
და რუსთაველი.

ჩვენი დიდება, სიხარული
გულთა მფლობელი.
მარადიული ბრწყინვალეობა
ჩაუჭრობელი.

შენი სიმღერა ვაჟკაცობის
და ძმობის არის.
ცის საფირონი ნაჭედია
დიდ ოპიზარის.

რომ უხვია და ლამაზია
შენი ველები,
რომ შენს წიაღში დავაჟკაცდნენ
არაგველები.

რომ ცეცხლის აღში გახვეულმა
მაინც გასქელი,
გყავდა და ეხლაც მრავლადა გყავს
გმირი მხარგრძელი.

რომ ძღვევის დროშა გაქვს ქარცეცხლში
გამოტანილი,
და შენს სიცოცხლეს დღეს ამშვენებს
დიდი სტალინი!



კარლო კალაძე

გოგი. ღაქეზბის ოსდაერთი

ბელადის სიყრმის მეგობრებს
პ. კაპანაძეს და გ. გულუჯიძეს

მე არჩევანმა დღევ მაპოვნინა, —
იგი დეკემბრის ოცდაერთია!
დღეს, ნეტავ გორის კლდეც დათოვლილა,
თუ ეს მარმარის ორნამენტია...

ეს, ნეტავ, შშრალი უბეა თვალთა,
თუ უფლისციხის ღია თაღები?
მტკვრისპირად მთას რად გაშლია კალთა,
რად მოვერცხლილან მყუდრო ბაღები?!

ღიახ, ოცდაერთს. დილით, ყოველთვის
შორით გორისკენ მიმეჩქარება,
მტკვარს აქ ღიახვი მღელვარედ ერთვის
და მზეს ღრუბელი არ ეკარება!



დათოვლილია ბილიციც ბედად,
ჯულაანთ ქოხთან მივალ პირველი,
დგას აქ დაცული ადგილის-დღედად
უბრალოება გასაკვირველი.

ქოხსა ჰყავს ორი ძმა გულითადი,
ორი მოხუცი, ორი გორველი.
მე მიყვარს დინჯი ბაასი მათი,
მუდამ საამოდ გასაგონელი.

გარს მოეუსხდებით ანთებულ კერას
ჩვენი ვაეებით, ვოგონებითა...
და მხნედ აპყვება ხმა გულისძგერას
გორის წარსულის მოგონებითა.

გაიხსენებენ ძველ სამძიმარსა,
ხანდაზმულ მკერდზე ზელის დადებით —
ვით მუხის ჯავარს — გულისფიცარსაც
წრედ რომ აჩნია წელიწადები!

გაიხსენებენ: ჯულაანთ სოსო
შუქად რომ დაჰყვა მთელს იმ თაობას,
ირჩევდა ისიც თამაშის დროსო,
ლახტის მოჭნევას და კილაობას!

ჩნდება ხალისი მოხუცთა ხმაში
და ყმაწვილურად მოღვრილ ყელით
ვმღერით, რაც სოსოს უყვარდა მაშინ,
„გაფრინდი, შავო მერცხალოს“ ვმღერით.

გვისურათდება წარსული გორის,
ვუცქერ და უცებ თვალი მიდრკება, —
უცებ: ამ ნაცნობ სურათებ შორის
თვითონ სტალინი წარმომიდგება!

აღსავეც რისხვით და მწუხარებით
მძიმე ბრძოლები მესახებიან, —
როცა ის იცავს მოსკოვს ჯარებით
და შუბით ურჩხულს შესჯახებია...

მაგრამ მოხუცთა სიღინჯე, რიდი,
მნუსხავს ვით სახე თეთრი მთებისა
და ვგრძნობ: დეკემბრის დილაა მშვიდი,
დილა, თვით ზევსის დაბადებისა.



როცა მზის მედგარ ამოსვლასავით
სახელი მისი ამობრწყინდება, —
სოსოც ვით ხსოვნის შორი ვარსკვლავი
გორში სტალინის შუქით ინთება.

აქა ჰყავს ორი ძმა გულთაღი
ორი მოხუცი — ორი გორელი,
და ისმის დინჯი ბაასი მათი,
მუდამ საამოდ გასაგონელი.

მეც, ვით უმცროსი, აქ ვარ ყოველთვის,
როცა დეკემბრის ოცდაერთია...
დღეს აქ წარსული მომავალს ერთვის.
გორი თვით წმინდა დედის მკერდია!



გიორგი კახანიძე

აქ ბეღადი დაიბადე

ეს ნათელი სარკმელი და სუფთა კარი,
თითქოს იყოს მოტანილი მერცხლის ფრთებით.
რა პატარა და ფბიზელი სახლი არის,
რა უბრალოდ მორთული და ნაკეთები!
მაგრამ რომელ მოოქროვილ ქართულ დარბაზს
გაუთბია ასე ფართოდ ხალხის გული!
მზედ და შვეზად აქ ბეღადი დაიბადა,
ხალხთა მამა, ხალხთა დიდი სიხარული.
მან ამ ჰერქვეშ გააბილა მკვირცხლად თვალი,
ჭეყნის მხსნელად ამოიღვა ჩვილმა ენა;
ამ სარკმლიდან დაინახა შუქი მთვარის,
სხივი მზის და მოჭიკვივე მერცხლის ფრენა.
მომღიმარმა გაუშვირა იმ სხივს ხელი, —
ელტაცებულს კაცის ოხერა აკვირებდა;
დღის ნათელი, ნაღვლიანი ღამე ბნელი
ვაიგო და გაარჩია აქ პირველად.
ღამე დაჰგმო, სიზმრებს ფიჭრი აარიდა,
ვეიწროვა ეს ჰერი და დედის კალთა...
მხარგაშლილი ის გავიდა ამ კარიდან
და ქვეყანა მზედშობილმა გაანათა.



განთიარისას



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენდება. შუქი შეაფრქვია ღამეს ცისკარმა.
შეკრთა სიბნელე, შებარბაცდა, ატეხა შფოთი,
სინათლემ ცაში ვარსკვლავებიც ააკანკალა,
მოულოდნელად მეზობლისას გაეარდა თოფი.
კვლავ განმეორდა და მესამედ დასრულდა სროლა,
მე წამოვიჭერ და ფანჯრიდან მოვრთე ძახილი.
რა ამბავია, გამაგონეთ ვინ შეგებრძოლათ,
ცისმარე დილით ვინ ამართა სამტროდ მახვილი.
პასუხად მესმა: — აღტაცება ცაში გაიბნეს,
შორს, შორს გაიჭრეს, გული ჩემი ღებნას ეძლევა.
დიდი ქართველის და ბელადის დაბადების დღეს,
თოფის ხმით გამცნეთ, მეზობლებო, ვაჟის შექმნა.

ალიო მახაზვილი

ძველი მაზაკა

გამოუვლია მკაცრ ბრძოლებში წლები ხანგრძლივი,
მუდამ ქაირიშხლად აღმართულა ცეცხლის წინაშე,
დიდი ხანია — ომგადახდილ ჯარისკაცივით,
დაბრუნებულა და ისვენებს კრემლის ბინაში.

როცა ომის ხმა, მოვარდნილი წვიმით და ქაირთ,
მიწას აჩუყედა, მძვინვარებდა, ზეცას ბზარავდა,
ის, ცარიცინში, მტრის ურდოთა პირისპირ მდგარი,
რევოლუციის შეუპოვარ მკერდს იფარავდა.

ჰგავდა მღელვარე შუქის ტალღას გზა განუზრელი,
კვამლის წყვილიადში ინთქებოდა დღე—ცისმარადი,
ის იყო მისი მეგობარი, ძმა განუყრელი,
შეუფსკვალავი, შეუფკრთალი, ვით მუზარადი.

მან ღრმა ცხოვრების მეწამული ზღვა გადასცურა,
ცეცხლის რიერაჟში რვალისფერად ფრთა შექლებია,
ძმადშეფიცულთა სანუკვარი გრძნობის დასტურად
დიდი ლენინის თბილი ხელი მას შეჰხებია.

ბრძოლის ველიდან დაბრუნებულს, ნასეტყვის, ნატყვიარს
თავს ევლებოდა დროშის ქაირი ფრთების ალერსით,
თითქოს გულმკერდზე ვარსკვლავივით ახლაც ატყვიო
დედის ამბორი, დედის კოცნა უმზურვალესი.

თითქოს იგონებს ბრძოლის წარსულს, საზარელ ომებს,
მაგრამ ეს ომი არ უნახავს,—უფრო საზარი,
შეიშმეუნება, როცა გვერდით ჩაუვლის ხოლმე
ფოლადის კაცი შემოსილი მარშლის მაზარით.

სჯაღინი



ადგება დილით და თვალებით შეხედება ლენინს, რომლის სურათი მას დასცქერის კედლიდან მუდამ. კაცობრიობის მოამაგეს, უმისოდ შთენილს, თითქოს საყვარელ მასწავლებლის დასტური უნდა! მარად ცოცხალი, ბუმბერაზი წინამორბედი ნას სიყვარულით გადმოხედავს;—მან კარგად იცის, რომ თავათ სტალინს ჩააბარა მსოფლიოს ბედი— კაცს დაუძლეველს, შემსრულებელს დიადი ფიცის. და როცა ღამით, დიდი ფიქრით ჩვენზე გართული, ეგი შენიშნავს ფანჯარაზე მომდგარ ალიონს,— შეხედავს ლენინს, გაუღიმებს შეტლგამართული, მოაგონდება თავის ქოზი, მიწა ქართული და აღუღებთ მოუკიდებს ისევ ყალიონს.

სანდრო შანშიაშვილი

შენ, გულმართალო, ხელმართალო ადამიანო!

ვიქმენ სიბნელით გამოსული და მზე ვიხილე.
დამზრალი გრძნობა მან გამითბო და მოვილხინე.
აღესდექ, ვიმღერე, შევიმოსე კელავ ძლიერებით...
სხვაე მოვალხინე სიყვარულის ბედნიერებით.
იგი მზე შენ ხარ, ყოველდღით ამომავალი.
შენ შემაყვარე ჩემი აწმყო და მომავალი;
შენ ამიცხადე საოცნებო და უნახავი,
არ ვგონებ, დამრჩეს რამ სიძნელე გარდულახავი!
ერცელი ქვეყანა ბალნარია ფერად-ფერადი
და ამ ბალნარის შემოქმედი შენ ხარ ბელადი!
გადავდგამ ნაბიჯს, გულში ღებნა ჩამეკონება,
არ შემიღამდეს, არც სალამი დავაგვიანო;
მუდამ შენ წინ ხარ, შენ გესწრაფის ჩემი გონება,
შენ, გულმართალო, ხელმართალო ადამიანო!
შენ მუდამ ჩვენთვის ზრუნვაში ხარ, დაუღალავი
მით შეგვაყვარე ჩვენი აწმყო და მომავალი;
არ ვგონებ, დავგრჩეს რამ სიძნელე გადულახავი,
შენ მზე ხარ ჩვენი, ყოველ დღით ამომავალი,
შენ აგვიცხადე საოცნებო და უნახავი,
მოვმართე ჩანგი და მსურს შენთვის ავახმეიანო,
შენ გიმღერ, სტალინი...
შენ, გულმართალო, ხელმართალო ადამიანო!

აივანზე



პატარა ეზო, ლამაზი ოდა
და აივანზე სუფრა გაშლილი.
ტოლ-მეგობრებთან შეექცეოდა
გმირი ჭაბუკი, ომგადახდილი.

ერთი საფერავს ასხამს ხელადით
და ეკითხება მეგობარს ტკბილად:
— მართლა პირადად ნახე ბელადი?
დიდი პატივი გხდომია წილად.

— მე ვერასოდეს, ჩემს სიცოცხლეში,
ვერ დავეიწყებ, ძმებო, იმ წუთებს:
ჯოჯოხეთური ტყვიების თქემით,
ვერაგი მტერი დიდ მოსკოვს უტევს;

ცისა და მიწის ქექა-ზანზარში
იბრძვის ლაშქარი ჩვენი მამაცი, —
ამ დროს, უეცრად, ჩნდება სანგარში,
რუხი მაზარით, ნათელი კაცი.

— სტალინი!.. — ირგვლივ გაისმა ხმები,
და აგვიტანა საამო ჟრუღლამ, —
თითქოს ვიქცეით ყველა ლომებად,
თითქოს ჩვენ უკვე მოვიგეთ ბრძოლა!...

ფეხზე დგებიან ყველანი ხელად,
და სახეები უბრწყინაეთ ბიჭებს, —
აღღვრაძელებენ უდიდეს ბელადს,
აწყრიალეზენ აესებულ ჭიჭებს.

კონსტანტინო ზიზინაძე

ოპის შეგდება

როცა მან ზღაპრულ ძალით ალაგმა
ჯოჯოხეთური ძალის თარეში,
ის მიიზიდა ტურფა ალაგმა
დასასვენებლად ძვირფას მზარეში.

ქარვის დღეების ნელი გალევით,
დამშვიდებული ბუნების რულით,
ნაომარი და ნაგრიგალევი
სძლევდა დაქანცვას იმისი სული.

დაჯდა ტბის პირას—ბედისწერასთან
შეტოქებული და მორკინალი.
ასე გაშალა მშობელ კერასთან
უმაგალითო ბრძოლის, ფინალი.

უიმედობას, კმუნვას აძეებს
ხალხთა გულიდან ხალხების მსხნელი,
მისი წარბების აწეე-დაწეევას
მისჩერებია მსოფლიო მთელი.

აღმოსავლეთით სინათლე ჩნდება,
თითქოს აღსავლის კარი იღება.
მისი დიადი სახელით ხდება
დიადი ქამის დათარიღება.

ვამაყობთ ამით და ეხარობთ მეტად
მისი პატარა სამშობლოს ძენი.
დროთა ნაღველი და გულისწყვეტა
მან შეგვიცვალა ერთბაშად ღზენით.

ბევრი გვესხმოდა თაგს ამკლებელი,
ჩვენს დასაფლობად სამარე თზარეს,
მაგრამ გაუჩნდა შემხორცებელი
ბასრი მახვილით გაკვეთილ მზარეს.

დაე ქვეყანა უკეთ დალაგდეს,
და სხივისანი ეს ჩვენი დილა
ყოველ მოსისხლეს და მოძალადეს
გადაეფინოს თვალეზზე ჩრდილად!



მენჯი-რობუ

რომანი განიცადებით

განიცადენი

I

ისევე მომაკითხე, ჩემო ციბედულ?

ჩემი გონებიდან მუდამ განუყრელო და ჩემი გულისთქმისათვის მუდამ სანუკვარო! ჩემთვის სულ უცნობო და უხილველო, მაგრამ ჩემი ცხოვრების გზაზე სულ სხვადასხვა მომზიბლველ ქალის სახით გამოცხადებულ!

რამდენი ხანი დამიყვია შენთან, რამდენი კარგი დამე გამოითევია, მხოლოდ დამტკბარზე მაინც გამოვიგია, რომ ეს შენ არ იყავი. შენ ჩემთვის მუდამ ერთი, მაგრამ მრავალსახიანი, ნაირფერადცვლილი.

ამის გამო მიყვარდა ყველა და ისინიც თავის თავს აწერდნენ ამ უცხო, წარმტაც გრძნობას ჩემში გამოწვეულს.

მე კი მხოლოდ შენ მიყვარდი, ციბედულ!

შენ თითქო თვითველ მათგანში ჩადგებოდი შენის მშვენიერებით და მე მიეწინდებოდი ამ მშვენიერებებსაც.

აი, ახლა, კვლავ მარტო ვარ და შენ ისევე ისე შორეული ხარ, ზელთდაუპერი, მიუწვდომი, ციბედულ!

და კიდევ უფრო მეტის სიგიჟით მიყვარხარ, მოწიფულის, მთელა ჩემი არსების შემძერელ სიყვარულით.

თუმცა ჩემთან არ ხარ, მაგრამ ჩემი კი ხარ.

არ მოსულხარ და მომაკითხე კი.

მაშ დაესხდეთ ამ ლამაზ საღამოს ბინდბუნდში და...

მივეცეთ ფიჭრთაგვრიობას.

ნაწილი პირველი

— ა —

ტყიდან გამოვიდა კაცი.

ცხენოსანი.

ნაბღიანი.

თავი ყაბალახწაკრული კქონდა მეგრულად და ზურგთან თოფის ლულა მოუჩნდა გვერდზე მოგდებულ ნაბღის კუთხიდან.

ცხენი მენჯი-რობუს ფერდობზე შეაჩერა და თვითონ აღმოსავლეთისკენ გაიხედა.

სოფელ ლეძამებს შეავლო თვალი.

სოფელი ჩვეულებისამებრ თითქო ბალნარში იყო ჩაფლული, ამ გაზაფხულის პირას კი თეთრად გადაბუნტილ ბუჩქნარს ჰგავდა აქაქტი^{მხეხმლწარი},
იჭა-აქ ატამიც აჭვიებულყო მიმქრალ კია-ფერად.

ეს გაზაფხულის სუნი თითქო მოედინა მხედარს. იგრძნო, რომ მის ზურგს უკან ჩამოტოვებულ ტყიდან მოდიოდა გამზალისებელი სურნელება. იქვე ახლოს იელის ბუჩქებსაც ყვითლად ეფეთქნათ და საყნოსველს დამათრობლად ელაშენებოდნენ.

ლეძამებს ზემოთ ერთი მეორეზე მიყოლებით სამ პაწია გორაკზე, თითქო სამტრედებიანო, თეთრად შელესილი ეკლესიები გაცრცენილ ხეებ შორის გამოკიაფობდნენ. აქ ჯერ არ ეტყობოდა გაზაფხული. სამაკვიროდ ერთ-ერთ ამ ეკლესიის ეზოდან მხედარს მოესმა ბუქის ხმა.

ყური ცქვიტა.

ეს რისი ნიშანია? ცხადია, ბალხს თავს უყრიან. რაო ვითომ? პრისტავი ხომ არ ჩამოსულა და ჩემს დაქვრახზე ხომ არ ექნება საუბარი?

მაგრამ უეცრად გუნებაში ჩაეცინა:

— „დამფრთხალი ძაღლი მთვარეს უყეფდაო“, სწორედ ისე მომდის. დღეს ხომ ბზობის წინა დღეა. ბუქის ძახილით ბალხს დაუქმებას აუწყებენ ზუცები. ჩვენში დიდი ზარები, გარდა დიდი მარტვილის მონასტრისა, ესეთ ეკლესიებს მაინც არ მოეპოვებთ, პატარა ზანზალაკები აქვთ, ათიოდე ნაბიჯის სიაბლოვეზე თუ გაიგონებენ. ამიტომაც დღესასწაულებზე ძველებურ „ოყეს“ — ბუქს აყვირებენ. სოფლის კანცელარიაზეში, როდესაც გლეხების „შაყარა“ — თავ-ყრილობა უნდათ მოახდინონ. პრისტავიც უმეტეს წილად იქ მოდის. მე კი ჩვენ კანცელარიაზე ძალიან შორსა ვარ, აგერ ლეძამებსა და ბერთემ შუა. მენჯი-რობუსაც ხომ ეს უსიერი ტყე მოდგამს. აქ რომ მომავნონ კიდეც, ჩემი ქესქენჯი ისე გამაქროლებს, ჩიტიც ვერ დამეწიოს. მაშინ მოკლდეს მანჩა ჯგერენაია, თუ მე ქესქენჯმა გამწიროს. მაგრამ ახლარა მოდის? რა ატოკებს? ჰა, ჰა არ გინდა გაჩერება, მეგობარო? გინდა მიეცე შენი მხედრისათვის ჩვეულ ტყე-ღრეთა მიღმოებას?

ცხენი ტოკავდა და მის ჩლიქებქვეშ მიწის თეთრი ხვერეთი ცვივოდა პირს.

მანჩა ჯგერენაიამ მარჯვენა ხელით ქესქენჯს ყელზე მიუალერსა, დაუყვავა.

— მოვასწრებთ, მოვასწრებთ, ჩემო კარგო! ჯერ კიდევ სინათლეა, შეზინდდეს ცოტა.

ქესქენჯი შეჩერდა, თითქო დაუჯერა პატრონის დასაბუთებას, მაგრამ ჩლიქებქვეშ ხვერეთი მაინც ჩამოცვინდა.

მანჩამ თვალი შეაჩერა ამ ხვერეთზე:

მარალა რა თეთრია! ეს არა ჰგავს ეწრის მიწას, თუმცა მენჯი-რობუ ბალხში ეწრად არის მიჩნეული. ეს არ არის სამეგრელოში ცნობილი „მელოქვირი“, უნაყოფო, თითქო ბოში მიწა. მართალია, ირგვლივ, ფერდობზე-მთო გვიმრიანია, ერთგან „გვიმარაპიტას“ ტყულია არ ეძახიან, მაგრამ ამის შემდეგ უდაბური ტყე ახლავს ასწლოვანი ხეებით.

ეს ტყე უფრო თელიანი და წიფლნარია, მუხა იქა-აქ თუ ურევია, საშავიეროდ აქ ნახავთ პანტა მსხლის სხეებსაც და „კუტა“ ვაშლსაც. მაშასადამე, ნიადაგი ნაყოფიერი ყოფილა. ერთ ღრუს ამ არემარეში ბოსტნებიც ჰქონიათ ძაძმიების წინაპრებს.

ეს ხუერფე კი საიდან წამოსულა? ერკინული
კირსა ჰგავს, კირნარს, მაგრამ არ არის კირნარი. ნიგლირთქა
ასე რომ ჰყოფილიყო, აქამდე ამ სოფლის ბოზოლა, ბიჭინა ჭითანაა, აქ საკირეს გააჩაღებდა.

ეს კარგად იცის მანჩამ, სოფელ ბერთემში ბიჭინას ზომ აგურხანაცა აქვს. არა! ეს არ არის კირნარი. მანჩას დიდი ხანია გაკონილი აქვს, რომ ამ თეთრ მიწაში და მის გარშემო მადნეულის ბუდობიაო.

ახსოვს ისიც, რომ აქაურ მებატონეებს, გვირგვლიანებს, ხშირად მოუყვანიათ სხედასხვა უცხოელი მრეწველები, რომ აქაურ მენჯი-რობუსა და საერთოდ ამ არე-მარის მადნეულობას გაცნობოდნენ და შემდეგ მათთვის მიეყიდნათ, ან იჯარით გადაეცათ მათი მამა-პაპეული მიწა-წყალი.

ამით მოელოდნენ გვირგვლიანები გამდიდრებას. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ამის იმედით სულდგმულობდნენ გვირგვლიანები. ახლაც ამის იმედი აქვთ. ეგების ოდესმე მაინც გასჭრას ზედმა.

მანჩას გულში ჩაეცინა. მიწას თვალი მოაშორა და გაჰხედა ბერთემის მიდამოს.

უკვე ღამდებოდა, მაგრამ ამ მიღობიდან მაინც კარგა მოსჩანდა ბერთემის დაცემული ჰალა და ზედ გაკლაკნილი, ლაყვარდოვანი და გამჭვირვალე მდინარე ტეხური. მის მოღმა ახალ-სენაკიდან მომავალი გზა-ტყეცილი და მის ზემოთ კიდევ სამ ტერასად აზეული ტყიანი ეზო-კარ-მიდამოები, მაყვალის ეკლიან ბუჩქნარებით გარშემოსხლული და ისლიან ქობებით გამომყურე. წყალ-გაღმა ნაქალაქებისა, ჯოღუვისა და აბედათის გორები მოსჩანდა. იმათ იქით კიდევ შორეული, ცხვირიანი კვაუთი. უფრო ახლოს კი ჩრდილო-დასავლეთით, თითქო სოფელს უეცრად თავს წამოდგომიაო, ლე-ბარკალეს ფართო გულმკერდიანი მთა, ამჟამად მზის სხივთაგან წვერო-კარნებზე ხალისიანი სიწითლით აჭვიებულთ, რაც თანდათან უკვე უჩინარდებოდა, როგორც ხელთდაუჭერელი, წარმავალი ბედნიერება, რომელიც, ატყობ, ხელიდან გეცლება და ვერ მიწვდომიხარ კი.

მანჩას ენიშნა: — ჩემ ბედსა ჰგავსო. ესეთ ახალგაზრდას როგორ გამეცალა ზეღრიდან ცხოვრების სიკეთე?

მაგრამ ამაზე ფიქრი აღარ შეაჩერა. რამდენჯერ განუხვია თავისი ცხოვრება.

შორეული მდინარე ტეხურის შხუილი მოესმა.

— აი ჩემი მისაბაძი! მუღმივი ბრძოლა წინშეხედრილ დაბრკოლებებთან, მუღმივი მოქმედება, წინსვლა!

— კი! — მწარედ გაეღიმა. — ბრძოლა? მარტოს, მიუსათარს?

მის თვალთა წინ, წყალგაღმა უკვე ჩაშავდა გარშემოსულდული გორები. თუმც ეს სიშავე არ არის, ეს უფრო თითქო სალუქი, მოლურჯო ლენაქია ამ საყვარელ ფერდობებს ახლა რომ ესე ნაზად გადაეფარა.

არა, აქ უიმედობა არ არის. ამას განჭვრეტა უნდა.

თვალი მოაშორა ამ ადგილებს. სოფლის გამოღმა, წისქვილის არხზე შე-

უჩინო მხედველობა. იქ ხომ ამ წისკვილში მისი ბავშვობის ნაამხანაგარიც, ფარნა ბეალააც არის მონაწილე.

წისკვილი ადგილობრივი მებატონეების, გვირგვინიანებისაა, მაგრამ ორი-ოდე გლეხიც მონაწილედ არის შეყვანილი, რადგან მათ ამ არხში ბავშვანა-ში და თვით წისკვილის გამართვაში მებატონეებზე ბევრად მეტად გამოვიძლია.

განსაკუთრებით ფარნას.

ამისთანა საწისკვილე ქვის კოდვა ამ არე-მარეში არავინ არ იცის და საერთოდ მშვენიერი მოხელე კაცია. ხელიდან ყველაფერა გამოუდის. ხუროც კი არის საუტხოო და იმ სოფელში კი არა, მისი სოფლის გარეთაც უმეტესი ჯარგვალეები თუ ფიცრულეები, „პიტაფიცარა“, ფარნას ხელით არის ნაკეთები. კაცმა რომ თქვას, ეს წისკვილიც იმ ორიოდე გლეხთან ერთად უფრო ფარნას გაკეთებულია. მებატონეებმა მხოლოდ ზოგმა ფული გაიღო და ზოგმა მასალა შემოიტანა. მთავარი მუშაობა კი ფარნას ჩატარებულია.

მანჩას უყვარს ფარნა.

ბავშვობიდანვე.

თითქმის ერთად არიან აღზრდილნი და მათი სიყვარულის ღერო თანდათან თუ ბერძულდება და მტკიცდება, თორემ არ კლებულობს. ამას აქვს სხვა მიზეზებიც. მაგრამ სამწუხარო მხოლოდ ერთი აქვს ორთავეს: მათ რომ უნდათ, ისე ხშირად ვერ ხედებიან ერთი-მეორეს.

მანჩა უფრო ხილდება ფარნას ოჯახს. მანჩა ხომ აბრაგი კაცია. ამიტომაც მშვიდად ესტუმრება ხოლმე. უფრო ხშირად კი, საპიროების დროს, ვისმე სანდოს პირით იბარებს ზოჯჯერ სადმე საიმედო ალაგას.

ღღეს კი ძალიან უნდა მისი ნახვა. მაგრამ რომ არ გაუფრთხილებია? მივიდეს, სახლში ეწვიოს? ამისათვის შავ-ბნელი, ყურყუმელა ღამეა საჭირო. მართალია შავი ღრუბლები უკვე ირევიან ცაზე, მაგრამ დასაფლეთისკენ, ზღვისკენ მოწმენდილია. პო, შეიძლება მთიდან, კურხულდან, წამოვიდეს წვიმა, აქამდე მოატანს. იცის ხანდახან.

სალხინოსკენ წვიმს—ეტყობა. ძალიან ჩაშავებულია.

თქვი უბრუნდება ფარნას. მანჩას ახსენდება მათი ბავშვობა. სოფელ მოხაშიდან არის თვითონ. ეს სოფელი ზედ აკრავს ლეძამაძეს და ბერთემს. ამიტომ მოჩიტულ მანჩას და ფარნას არ უჭირდათ ერთმეორის ოჯახში ფეხშიშველი „გადატანტალება“. განსაკუთრებით მაშინ, თუ თხები უნდა გადაერეკნათ მენჯი-რობუს ჯაგნარისაკენ, ან ძროხა მოეძოვებინათ, სიმი-ნდის ყანებს არიდებულებს, იქვე მდებარე დაბლობის ხასხასა ბალახზე.

აქ უსაუბრნიათ მათ, აქ გადასულან ორთურმას, აქ „უქაქუნიათ“, აქ უოცნებიათ.

და წმინდა იყო, გულუბრყვილო, ხალისიანი მათი ოცნებით გატაცება. მაშინ წერა-კითხვა არც ერთმა არ იცოდა. ეს შემდეგ შეისწავლეს ორთა-ვემ ბარამ გვირგვინიანის ღეთისნიერ მეუღლიდან. მხოლოდ ფარნა შემდეგ ჩამორჩა და მანჩა ხელსაყრელი პირობების გამო უფრო გაიწაფა, მეტი წიგნიერი გახდა. მაშინ კი ფარნა სადმე ბრტყელ ქვას დაინახავდა თუ არა, მაშინვე ახალუხის ჯიბიდან თასმებში გახვეულ სადგისს ამოიღებდა და იწყებდა ხაზვას. პირველ ხანებში უფრო ქოხებს ხატავდა, საყდრებს და

ზოგჯერ ხეებსაც. შემდეგ სულიერ საგნებზეც გადავიდა და ერთხელ თე-
ანთი ვაციც კი დახატა.

ოო, რამდენი იცინეს მაშინ!

მანჩას რამდენჯერ უფიქრნია, რომ ფარნასთვის გარემოებას ხელი შეეწყ-
ყო ან მხატვარი გამოვიდოდა, ან ხუროთმოძღვარი.

მაგრამ სად იყო ეს „გარემოება“!

უბირ გლუხს, ისიც ხიზანის შვილს — ფარნას, ვინ აღირსებდა სასწავლე-
ბელს. ან ფარნას მამას ესმოდა სწავლის მნიშვნელობა, რომ როგორმე „წე-
ლებზე ფეხ დაედგა“ და შვილის სწავლას გაძლოდა? ავი ამისთანებიც
ხდებოდა ზოგჯერ მათს არე-მარეზე:

აგერ, ლუკიას ქერივმა, ცა და ქვეყნის შემწეობით, პირდაპირ მათხოვ-
რობით, აღზარდა თავის შვილი და ამჟამად იგი ექიმია სამაზრო ქალაქში.

მაგრამ ეს იყო გამოჩაქლისი და ფარნას მამა ამისთანებს არც კი უკვირ-
დებოდა. მას უნდოდა დამხმარე მუშა ხელი მის ღარიბ ქოხში და უკეთესს
ვის იშოვნინა, თუ არა მის მკვირცხლ ფარნას.

ამ დროს სწავლის გემო კიდევ არ ჰქონდათ გაცნობილი ფარნას მამას
მაგვარ აღამიანებს.

ეს შემდეგ შემოვიდა სამეგრელოში, 90 წლების მიწურულში, როდესაც
გლუხობამაც, ასე თუ ისე იწყო დენა სკოლებისაკენ.

მანამდე კი გლუხობა თითქოს შერიგებული იყო თავის ბედს: 50-იანი
წლების აჯანყება უტუ მიქიას მეთაურობით და კიდევ უფრო ახალი მო-
ფთქებაც 70-იანებში რაკი მარცხით დამთავრდა, თითქოს მწარე გაკეთი-
ლად მიიჩნიეს და გარეგნულად გაყუჩდნენ. თუმცა გულში კი ჩაიშარხეს
მთელი ბოღმა და ვაება მათი დღესჭირი ცხოვრებისა და ყრუ პროტესტად
გაიფანტეს შინაობაში.

ყველაფრის ამის გახსენება მოზღვავედა მანჩას გონებაში და ერთ წუთს
მწარედ დანადგლიანდა.

მაგრამ საკვირველია აღამიანის ფიქრი!

ახლა ამ ფიქრზე იწყო მანჩამ მსჯელობა:

როგორ დაჰქნობს ეს ფიქრი წალმა-უკულმა? ხან რა აღმართს მიადგება
და ხან როგორი თოხარიკით ჩაიღალმართებს? ან საიდან სად გადახტება?
ზოგჯერ თითქოს საერთო არაფერი აქვთ ამ გაბმულ აზრთაგვირობას ერთ-
მანეთში, თუმცა კარგა რომ დაუკვირდე, ერთ ძაფზე კია აცმული კრიალო-
სანიეთი: სხვადასხვა გვარი ქარვა, მარჯანი და გიშერი, მძივი და უბრალო
შუშის ბურთულები, მაგრამ უთუოდ ერთ ძაფზეა გამობმული. ეს არის
ფიქრი ცხოვრებაზე.

მანჩა კიდევ უფრო ჩაუღრმავდა თავის თავს:

— მეც ხშირად, ძალაუნებურად მარტო მყოფს, მიხდება ფიქრი ხანგრძ-
ლივი და... ჰო, მოუწყინარი. მოსაუბრებლად კი წყაროები მყვანან, რაღაც
უცნაურს რომ მილიკლიკებენ; ეს ხეები, ესე ფართო გუმბათად გადართხ-
მულნი, თავიანთ ფოთლებთ შრიალში რომ მინერგავენ სიბრძნეს ბუნებე-
სას, თვით ეს ქვებიც კი, მარადისობის შეგნებას რომ მასწავლიან, ყველა-
ფერი ეს მაცოცხლებს და მათხოვრებებს. მხოლოდ აღამიანი? მას ხშირად
ვერ ვხედავ სასაუბროდ. თუმცა გულით მივილტვი მისკენ, რადგან ყველა-
ფერზე უკეთესი მაინც აღამიანია, უბედურება კი ის არის — ვერა აქვს

მოწყობილი ცხოვრება. სიღუბლით აუღესია ამ ქვეყნის სიკეთე. და ამიტომ
ზშირად არც მენატრება მისი ნახვა.

ტეხური უკვე ბორგავდა.

მანჩამ ყურა მიუვლო. გაიფიქრა:

— ჰო! ტეხური მატულობს. მთაში წვიმს და პატარა მდინარეები
ასკდებიან, ტეხურზე მოაქვთ იერიში. ჰა, ჰა! ტეხურიც ბრახონს, მის ფუნ-
ტულ გულ-მკერდზე ახირებულად არ იკარებს ამ მღვრიე სტუმრებს და და-
უშოგველად მიერეკება ფოთისაკენ, ზღვისაკენ, რომ იქ ჩალუპოს ეს არა-
მკითხები. ეს უნდა გვინდოდეს ჩვენც, ადამიანებს — გაწმენდა მწიველი-
საგან“.

ღრუბლები ძალზე ჩამოჭურბუნდნენ, ჩამობნელდა, მაგრამ მანჩამ შორი-
დან კარგა შეამჩნია გზა-ტყევილზე მომავალი ორი ცხენოსანი.

თავის ქესქენჯს ოდნავ მუსლი ჰკრა, ლაგამიც ცოტაზე მიუშვა, ჩაივიაკა
და ერთ ბერძულ ზეს ამოეფარა.

განიცადენი

II

შენ •ცი რასაც ნიშნავს „განიცადენი“, ციბედულ!

თუ ეს არასოდეს არ ყოფილა შენთვის საყურადღებო?

გაგახსენებ:

„განიცადენი“ ეწოდება მართლმადიდებელთა ეკლესიაში ერთ მომენტს,
როდესაც მღვდელმოქმედებენ. უფრო წირვაზე. მღვდელმოქმედნი დაკე-
ტენ აღსაგლის კარებს, კრეტსაბმელსაც (ფარდას) ჩამოათარებენ და ამ
დროს იქ საკურთხეველში სწარმოებს ზიარება მწიგნულოთა. ხმამაღალი არ
შოისმის არც ლოცვა არც გალობა.

გარეთ, ტაძარში კი უეცრად სიჩუმე ჩამოეარდება.

ამ დროს დიაკონი, ანუ ვინმე კარგი მკითხველი სადავითნესთან კითხუ-
ლობს რაიმე ზნეობის სასწაულებელ, სამქადაგებლო თხზულებას: არა პირ-
დაპირ სამღვთო წერილიდან, არამედ თითქო გაჩეშე, არა საეკლესიო ნა-
წარმოებიდან რაიმე ადგილს.

ჩვენში კითხულობდნენ უფრო ზშირად ცნობილ გაბრიელ ეპისკოპოსის
ქადაგებებს.

და კითხულობდნენ საეკლესიო კილოთი კი არა, შემღერებთ, არამედ
სრულის რეალურის, სასაუბრო ტონით.

და აი ამ მომენტს ერქვა „განიცადენი“.

მეც ამას ვბაძავ, ციბედულ!

და შენ არ მოგწყინდეს.

ჩემს „განიცადენში“, ჩემი თხრობის მსვლელობას ვაჩერებ განგებ და
გაღმოვეცემ სულ სხვა რაიმე შეხედულებას ამა თუ იმ საგანზე, ანუ იმ ის-
ტორიულ მოვლენებზე, რომლებიც გვხვდებიან ჩემი თხრობის სხვადასხვა
მანძილზე...

და ეს არის ავტორის ლირიკული გადახვევა.

ამითი ვიქარებ გულს.

უფრო იმიტომ, რომ ამას საჯაროდ შენ ვიზიარებ, ჩემო დაუფიქარო
ციბედულ!

გზად მომავალ ერთ ცხენოსანს მეფის მოხელას ყვითელთა კეპიანს სერთუი ეცვა და კოკარდინი „ჩინოვნიკური“ ქუდი ეხურა. ერთ ხელშიც კარგა გაბერილი პორტუელი ეჭირა და მეორეში—ზოზრდული, შავი, კოლგა. მეორე ჩოხიანი იყო. ქამარ-ხანჯალი ერთყა და ზეგუც-მეფის-ქაქალი, წერწეტა რევოლვერიც ეკიდა. თან რაღასაც ბზზუნებდა თავისთვის.

უეცრად სერთუოსანს ცხენზე მათრახი დაურტყა და ცხენიც მოულოდნელობისაგან ცოტაზე ვახტა ისე, რომ მზღდარი კინალამ ჩამოაგდო.

— რა დაგემართა, ბანძლი, ხომ არ შეიშალე! — კარგა წყენით მიუბრუნდა სერთუიანი და ცხენს ლაგამი დაუჭირა. — მართლა ბანძლი ხარ ვიღაცა ხარ! — უკვე უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა.

— ბანძლი კი არა, ბატონო, გავუჩქაროთ, გავუჩქაროთ, თორემ უკვე დიდ წვიმას ამირებს, ხელედი წამოვა და გურძემიაში ვეღარ გავალთ... იმ წყეულმა ამისთანა დროს ტეხურზე უფრო დიდი მომატება იცის... გაუჩქარე, ევტიხი, ბატონო, გაუჩქარე, თორემ ცუდად მოგვივა საქმე...

— რაც შეუძლია, მიღის ეს ცხენი და სხვა რა უნდა ვუყოს.. შენ მაინც არ უნდა დაგერტყმია ჩემი ცხენისათვის... კინალამ გადმოვარდი, როგორ მაკადრე!

— გაკადრე, ბატონო, კი არა... უბედურ ადგილს მოვხედით, უბედურს... აგერ მენჯი-რობუს მივაღეჭით...

— მერმე და რაო?

— რაო და ნაძრახი ადგილია, შენე კირი შემეყაროს. სახიფათო, აბრაგების ბუნავი აქ არის...

— მერე და სად არიან ჩვენში აბრაგები?... ახლანდელმა ვეზდი ნაჩალნიკმა სულ ბოლო მოუღო...

— უპ, აბა რას ბრძანებ! მე და შენ მარტო ერთი მანჩა ჯგერენაიაც გვეყოფა. ღმერთო, ნუ მისმენ, ღმერთო!

— ოო, შენც იტყვი ერთი! მანჩა ჯგერენაია რა აბრაგია... გამიფონია არავის ერჩისო... ნასწაველი კაციო.

— უო, ღმერთი ააშენებს! ნასწაველი კი არა, ბათუმში ვედო, საცხა ქარხნებში, იქ ქარხნის რომელიღაც უფროსი მოუკლავს და ახლა გადავარდნილია...

— ჰო და სულ სხვა ჯგერის გადავარდნილი ყოფილა... შენისთანა გამოცდილმა კაცმა ეგ როგორ არ იცი?... ა?! რა იყო?...— ძლივს მოასწრო ამის თქმა ევტიხიმ რომ ვიღამაც წინიდან ცხენი უტაკა და ცხენიანად გზა-ტყევილის თხრილში გადაჩეხა.

ბანძლი მიხედა რაშიც იყო საქმე და რევოლვერზე ხელი წაივლო, მაგრამ სანამ ამოღებას მოასწრებდა, მანჩა ჯგერენაიამ მკერდზე თავისი რევოლვერი მიაბჯინა, თან შესძახა:

— არ გაინძრე! ახლაც აიხადე იარაღი!

ბანძლიმ ზანტად იწყო ქამრის შეხსნა. მაგრამ მანჩამ საძრაობა არ მისცა, რევოლვერის ლულა მის მკერდს არ მოაშორა, სანამ იარაღი მიწაზე არ დააგდებინა. შემდეგ ფულებიც მოთხოვა, რაც ჰქონდა დააყრევინა და უყვირა:

— აბა, მოჭურცხლე! უკან არ მოიხედო ისე... — თან თოფი მოუღირა.

ბანძლიმ იკადრა და ცხენი კენებ-კენებით წაიყვანა.

მანჩა თავის ქესქენჯიდან ჩამოხტა, ბანძლის იარაღი, ფულუბი აიღო და შემდეგ თბრილისკენ გაემართა, სადაც ცხენს თავის მხედარისაგან თავი გაენთავისფულებინა და თბრილის ზემოდან თითქო ამყაყად დასცნობდა მკვენსარე ევტიზის.

მანჩა მივიდა, დაეხმარა და რის ვაი-ვაგლახით თბრილიდან დაეფუქუნდა-ფევილი ადამიანი. თან ბოდიში მოიხადა: ცოტა უსიამოვნებას მასწავნებო.

ევტიზის მწარედ გაეცინა:

— დამცინი განსა!.. შენგან ამას არ მოველოდი! შენ მანჩა არა ხარ, ჯგერენაია?

— გახლავართ.

— მერმე და შენ, რამდენადაც ვიცი, იდეის კაცი ხარ, მძარცველობა რატომ იყადრე?.. აკი აბრაგი არ არისო, შენზე ამბობდნენ...

— მე ვაიცი ვინც გაუძარცვეო... მე უსამართლობას არაფერს ჩადივარ, მაგრამ თქვენ, თქვენ ინტელიგენტ კაცს არა გრცხვენიათ, რომ ვითომდა სასამართლოს საბელით ბევრჯერ უსამართლობას ეწვევით და ბანძლისთანა წურბლებს დარიბ-დატაკების აწიოკებაში ხელს უწყობთ? მე გიცნობთ შორიდან. თქვენ სასამართლოს ბოქაული, სუდებნი პრისტავეი ევტიზი ბაწე-ლაძე არ ხართ? როგორ არა გრცხვენიათ? ერთხელ მასწავლებლად ყოფილხართ და ახლა კი ქვეყნის ამწიოკებელი გამზდარხართ.

— რა ეჭნა, შევილიო წვრილ-შვილი დამესია... თორმეტი სული ვართ თჯახში... რჩენა არ უნდა? მასწავლებლის ჯამაგირი აბა რას მეყოფოდა... ისიც თვეობით ჯამაგირი არ გვეძლეოდა. ვაინაჩრობით ვცხოვრობდით, ჩვენებურ მასწავლებელზე უსაწყლესი ვინ არის ამ ქვეყნად? მე ვერ გაუფიქლე!

ევტიზის ხმას ცრენლების გადაყლაპვა დაეტყო. ხანდაზმულ კაცს გული აჩუყებოდა, თან გუნებაში თავის თავს უწყრებოდა: — ეს რა მომდის, ვის წინაშე ვმართლულობ თავს, სად ან რა გარემოებაშია.

მაგრამ ამის გარკვევა არ დასცალდა. მანჩასაგან უკვე სულ სხვა, მტკიცე ხმა მოესმა:

— ახლა ეგ პორტფელი მე მიბოძეთ...

ევტიზი პირველად ვერ მიხვდა, თუ რას თხოვდნენ, მხოლოდ, როდესაც მანჩამ მეროვეჯერ შეუძვალად მოთხოვა პორტფელი, მაშინ კი აწრიალდა და ხმაში სრული უმწეობა დააჩნდა:

— მაგას რას მეუბნები, შევილიო! პორტფელი როგორ უნდა მოგცე?.. ნერწმუნე ამაში ფულუბი არა მაქვს... სულ საბუთებია...

— მე ფულუბს არცა გთხოვთ... ფულს მე თვით მოგართმევთ, თუ სახარჯო გჭირდებათ... შეიძლება ბანძლიმ თქვენი გასამრჯელო არც კი მოგართვათ...

— უი, დასწყევლოს ღმერთმა იმ ბანძლის თავი... რა იქნა, სად გამეჭცა? — და იქით-აქით მიიხვდა ევტიზიმ.

— ბანძლის ნუ ეძებთ. იმას ახლა თქვენი თავა არა აქვს. ეგ პორტფელი კი მე მიბოძეთ...

— რას ამბობ, რას, ადამიანო! აქ საბუთებია, სასამართლოს ქაღალდები, აღმასრულებელი ფურცლები...

— პო და სწორედ ეგ მინდა მეც...

— როგორ შეიძლება? გინდა დამლუპო? სამსახურიდან დამითხოვენ, გაციმბირებენ,—და იქვე გზა-ტყევილზე ვედრებით ზუზლი მოძვარა.

მანჩამ შუბლი შეიკუმუნა, ხელი წაავლო:

— აღეჭით, აღეჭით! როგორ გეკადრებათ ესეთი შიში? — წამოაყენა, განაგრძო: — არაფერს არ გაგაციმბირებენ, არც სამსახურიდან წაგაგაძვრებენ... აბა გონება კარგა მოიკრიფეთ... ეს მე მქონდეს... — და თხოვნიის მხლით წაართვა პორტფელი ისედაც მოდუნებულ ევტიხის. შემდეგ მანჩა უფრო გაულმობიერდა: — იტყვი, რომ აბრაგი დაგიხედათ და გაგძარცვათ. ამას ზომ თითონ ბანძლი სიამოვნებით დაგიმოწმებთ. არაფერია, არაფერია! არაფერიც არ დაგიშვებდათ. მობრძანდით ახლა, ცხენზე შეგსვამთ.

ცხენი თხრილ გალმა ლაგმიანი იყო, მაგრამ მაინც ბალახს წიწყნიდა. მანჩამ აღვირში ხელი წაავლო, მოუყვანა, ავეანდი ჩამოუწია და ისე შესვა თითქმის გამოლენიებული ევტიხი. შემდეგ თითონაც თავის ჭესქენჯს მოახტა, „გზა მშვიდობისა“ უსურვა ჯერ კიდევ გაშტერებულ სერთუკოსანს და გაჰქუსლა.

უკვე ქარი ძალზე უბერავდა. მანჩა თითქოს სიამოვნებით შეეგება ამ ბორიოს. ცხენი მიჰუნობდა და ქარი უფრო ძლიერ ხედებოდა, მაგრამ თითქოს ამას არ ეპუებოდა. ფიქრობდა:

— ნეტა ამ ქარის ძალი მომცა. დავუბერო ვისაც მინდა და აღვგავო ამ ქვეყნიდანო.

ოტა ხნის შემდეგ ერთ პატარა კობტა ეზოსთან შეაჩერა მისი ჭესქენჯი. ეს ფარნას კარმიდამო იყო.

ევტიხი კი ძლივს მოეგო გონებას, ცხენი შეატრიალა და ბერთემისკენ გასწია.

უკვე სრულიად დაღამდა. სენაკამდე ამაღამ რა ჩააღწევს? მართალია, აქედან სამაზრო ქალაქამდე მხოლოდ 21 ვერსია, მაგრამ ცხენით ოთხი საათის სასიარულოა. ახლა რვა საათზე მეტი იქნება. იქ მხოლოდ შუალამისას იქნება, მაგრამ გზაში, ამ სიბუნელში, ისიც ამ ქარში. მერე მარტის სუსხია კიდევ. რომ გაცივდეს? ფილტვების ანთება? მერე რაღა ეშველება მის წვრილ-შვილს. აი ახლაც სიცივისაგან ძივძივებს. ესეც არ იყოს, გზაში შეიძლება სხვა რამ ხიფათი შეხედეს. ან ერთი აბრაგი კიდევ. წელან იკეეხნიდა: მაზრის უფროსმა სულ გააქროვო, მაგრამ ახლა კი ფიქრობს, რომ შეიძლება კიდევ იყოს საღმე. ყველა ჯგერენაისთანა ზომ არ იქნება! ამას კიდევ იოლად გადაჩა. პორტფელზე კი მართალი არის ჯგერენაია. აბრაგის წართმეულია, მოწმეცა ჰყავს... ბანძლი.

კინალამ ხმა-მაღლა წამოცდა:

— ბანძლი! მში რა უცნაური სახელები იციან მეგრელებმა. ბანძლი ზომ მეგრულად დავიდარბას ნიშნავს... და ავი გადაშვიდა კიდევ დავიდარბას... უჰ, რა დაეჭილი ვარ! — წელზე წაივლო ხელი. ტყვიელები იგრძნო. — ბიქოს! აქამდე რატომ ვერ შევამჩნიე?.. უჰ, რა კარგია ახლა თბილი ოთახი, რბილი საწოლი, დასვენება... მაგრამ სად, სად? ამ სოფელში არაფერ არა მყავს ნაცნობი...

ამ დროს იგი უკვე შევიდა ბერთემის შუა-გულ ქალაში, საიდანაც გამოჩნდა მდ. გურქემიაზე გადმოზღვარი, ძველებური, ორსართულიანი სასახლე ქენინა ნეტარინა გვირგვილიანისა.

ვეტიხიმ გაიზარა. სასახლის მრავალ ფანჯრებიდან უხეად მოსჩანდა ლამპრების სინათლე. ამ ჭარსა და სიბნელეში თითქოს სანეტაროდ იწვევდა სასახლე გაჭირებულ მგზავრს. ვეტიხიმაც იქით გაუხვია.

თან გულში ფიქრობდა:

— რა ვუყოთ, თუ არ ვახსოვარ კნენა ნეტარინას. გაცნობილენ კი, ვარ. ერთი ორჯერაც გამოვივლია მის სახლში. საერთოდ ძალიან მშვენიერი ადამიანია. განთქმულია თავის სტუმართმოყვარეობით, პურ-მარილით. განსაკუთრებით კარგად ღებულობს ჩინოვნიკებს, გუბერნატორიდან დაწყებული და გათავებული პრისტავით. მეც ხომ ბოქაული ვარ, მართალია არა ბოლიციისა, სასამართლოსი...—და აქ გულს ნაღველი შემოაწვია:— რა უბედურება ზელობა მაქვს, არავის არ უხარია ჩემი წვევა. ყველას პკონია თუ რაიმე ვალში ქონების ასაწერად მოვდივარ... დასწყევლოს ღმერთმა ჩემი ბედი..

ერთხელ კიდევ მიაჯოჯოხეთა თავის თავს ვეტიხიმ და კნენა ნეტარინას ფართო ეზოს კიშკარს მიადგა.

განიცადენი

III

ხომ არ მოგაწყინე, ციბედულ!

ვერ ვამბობ ისე, ვით შეპფერის ამ ამბებს მბობა?

მიუტყევე, ციბედულ, ჩემს ნიქს და უნარს, თუ ვერ შესძლო უკეთესი.

ხელეყავ ამ საქმეს კი იმისათვის, რომ დიდხანს ეიცხოვრე საციფრულს ეპოქაში და ჩემმა სათაყვანო საქართველომ ჩემ თვალთა წინ განელო დიდი, ისტორიული გზა.

ბევრი რამ ვნახუ და განვიცადე.

სირცხვილი იყო, სხვა რომ არა ვთქვა—რა, ეს არ აღმენუსხა ჩემის სუბტი ძალით.

ჰა, ჰა!

შენ მახსენებ, რომ შენ გაქვს დაწყებული შენი მოგონებები, შენი „რაც გამაზსენდაო?“

იქ ვისაუბრო ნახულსა და განცდილზე?

მაგრამ შენ კარგად იცი, ჩემო ციბედულ!

შენ რა არ იცი!

მე ესე მყავხარ ყოვლისმცოდნედ წარმოდგენილი.

შენ იცი, რომ იქ მართლა სასაუბროდ ვარ განწყობილი. აქ კი მინდა ცვალო ერთხელ კიდევ მზატვრულად ჩამოძვრწვა.

რა ვუყოთ, რომ ყველა ჩიტი ბულბულებრ ვერა ჰვალობს მაინც და მაინც...

ყველა მჭვრინავს თავისი ხმა აქვს.

„ყოველი სული აქებდეთ უფალსაო“ ამბობს ბიბლიური დიდი პოეტი, დავით წანასწარმეტყველი.

მეც მინდა შევაქო ჩემი უფალი, ჩემი ღმერთი, ჩემი სათაყვანო საქართველო.

აქ მართალია მარტო ქება არ არის და არც შეიძლება იყოს, მაგრამ საერთოდ კი მის საზეიმოდ, მის ასამაღლებლად არის ჩემი კალამი მომართული.

შენ ეს კარგად გეხმის, ტურფა ციბედულ!
ჩემო შთამგონებელო, ჩემო ყველაე!



— 3 —

თითქმის ნახევარი კილომეტრის სიგრძეზე გადაჭიმული იყო წინა ეზო კენიან ნექტარინას სასახლისა, კიშკრიდან მოყოლებული კი თითქმის სახლის კიბემდე, ზევით ასხლეტილი ქადრის ზეივანი მიუყვებოდა. ასე რომ კიშკრიდან შემოსული სტუმარი თუ შინაური ვერაფრით ვერ დაეშალებოდა სასახლეში მყოფთ. ისე პირდაპირ იყო გაისართული ზეივანი.

ღამე იყო, მაგრამ ევტიხიმ მინც შეამჩნია, რომ აივანზე ვიღაც გადმოდგა და მისკენ იწყო ტყერა: ეს მისთვის უფრო ადვილი იყო, რადგან აივანზე გადმომდგარს ფანჯრებიდან გამოსული სინათლე ანათებდა და კარგა მოსჩანდა მისი ნაკეთი. სამაგიეროდ ძნელი იყო ევტიხის აივნიდან შემჩნევა ჩაბნელებულს ეზოში, მაგრამ იქიდან გადმომდგარი ადამიანი მინც არ ეშვებოდა თავის დაკვირვებას.

ევტიხიმ თავის ცხენს გაუჩქარა და ის იყო კიბის ახლოს პაწია მოედანზე მდგარ დიდი ცაცხვის ქვეშ უნდოდა ცხენიდან ჩამომხტარიყო, რომ იქვე ყურის ძირში მოესმა:

— ბატონ ევტიხის სიცოცხლე და გამარჯვება!

ევტიხი მოულოდნელობისაგან ცოტა არ იყოს შეკრთა, მაგრამ მოსაუბრესთან თავი ახლოს რომ მიიტანა, იცნო ადგილობრივი მღვდელი თედორე სისორდია იყო.

— მგონია შეგაშინე, ბატონო ევტიხი! ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თქვენ რომ კიშკარში შემობრძანდით, მეც აქვეთ გეახლებოდით, შეგიცანით კიდეც, მხოლოდ აქამდე ვერ დაგეწიეთ... ჩამობრძანდით, ბატონო!

და სანამ ევტიხი უნაგირიდან ფეხს გადმოიდებდა, ეს ანაფორიანი ადამიანი დიდის სისწრაფით გადმოეშვა თავის განუყრელ მომცრო ჯორიდან და ევტიხის ცხენს აღვირი დაუჭირა.

სანამ ევტიხი თედორეს თავაზიანობისათვის მადლობას გადაუხდოდა, სიტყვაწულიანი მღვდელი თავისას განაგრძობდა:

— აქეთ სად ბრძანებულხართ, ბატონო ევტიხი? მერე ესე შეგვიანებით და ესეთ ამინდში? თუმცა ეტყობა წვიმა აღარ იქნება. ქარმა გაჰფანტა ღრუბლები და ხედავთ ეგერ მთვარეც აპირებს მის დამხნელებლებს ხელიდან გაუსხლტეს... ჰა, ჰა ასე იცის მარტმა, უცნაური თევა.

ასე უხესიტყვაობდა თედორე და თან ცაცხვის რტოებზე ევტიხის ცხენისა და მისი ჯორის მიბმაში იყო გართული.

— დაშლილი კი გვაქვს ამ ცაცხეზე ცხენების მიბმა... კენიან ნექტარინამ აგვიკრძალა, მაგრამ არაფერია, ახლა ღამეა და მერე კიდეც ეგერ გუტატი... აი, აივანზე რომ გადმომდგარა... ვეტყვით და შინაყმებს წააყვანივებს ჩვენს ცხენებს შინა ეზოში... გუტატის ზომ იცნობთ?

— გუტატის? — ცოტა შეჩერდა ევტიხი. ბოლოს გაიხსენა: — ეს კენიანს მოურავი რომ არის?

— პო! — და აქ ეშმაკურად ჩიქირქილა მამა თედორემ. შემდეგ საიდუმლოდ ყურში წისჩურჩულა ევტიხის: — მოურავიც არის და... ყველაფერიც ამ სასახლეში... გაგვგონება. თუ რამე საქმე გაქვს კნენინასთან — გასოვდეს — გუტატის ვარემ არ გაკეთდება. აბა გავწიოთ!

ცხენები უკვე მიბმული იყო. ტანისამოსი ხელით გაიბღერებდა. გაიწიორეს და შეუდგნენ მოედნიდან კიბისკენ მიმავალ, გადაკონფერულ, მარჯა- აღმართს.

თედორე კვლავ განაგრძობდა:

— ამალამ უთუოდ იქ დარჩებით, ბატონო ევტიხი... თუმცა კნენინას დიდძალი სტუმრები ჰყავს... და, ბატონო ევტიხი, — შეაბრუნა უცბად თედორემ, — ჩემსას წამობრძანდით, ვეცდები კარგად მოგიხვედით.

— დიდი მადლობელი ვარ, მამაო თედორე, მაგრამ რაკი მოვსულვარ, ვინახულებ მაინც კნენინას და თუ ისე შევატყვეთ საქმეს, რა გავწიოთ ამალამ შეგაწუხებ ჩემის სტუმრობით.

— კი ბატონო, კი შენი ჭირიმე!.. უთუოდ ნახეთ, რასაკვირველია, კნენინა, თორემ რომ გაიგოს რომ თქვენ აქ იყავით და მისი უნახავი წამობრძანდით ჩემთან, მერე მე აღარ დამედგომება აქ, დიდად შემომწყრება და მისი წყრომის ატანა ჩემთვის კი არა, ამ არე-მარეში ჩემზე უფრო დიდებისათვისაც ძნელი საქმეა.

— ოო, დიდი კნენინაა უსათუოდ... — სხვა აღარაფერი თქვა ევტიხიმ, შეიძლება იმიტომაც რომ აიენის დიდ კიბესთან იყვნენ მიღწეულნი. ეს კი იყოთბა:

— ვინ სტუმრები ჰყავს?

— ძალიან ძვირფასი სტუმრები. უცხოელების კამპანიაა ჩამოსული. ლევარსიმ ჩამოიყვანა ფოთიდან.

— ლევარსი — ეს ფოთელი ვაჰარია?

— დიად. გვირგვინიანებთან მოიყვანა. მთაში ტყეს ევაჰრებიან. აქ კიდევ მენჯი-რობუს.

— მენჯი-რობუს?

— პო. რაღაც დიდი მადნეულია იქაო.

— უი, დასწყევლის ღმერთი მაგ მენჯი-რობუს! — ყრუდ წამოცდა ევტიხის. თედორეს გაუკვირდა ევტიხის წყევლა, მაგრამ კითხვა აღარ დასცალდა, რადგან უკვე აივანზე ავიდნენ კიდევ და მათ გუტატი შემოეგება.

— დ —

დიდს დარბაზში კნენინა ნექტარინას სტუმრები იმყოფებოდნენ.

ერთს კარგა ფართო მრგვალ მაგიდას უსხდნენ უცხოელები და პეტერბურგიდან სააღდგომო დღესასწაულებზე ჩამოსული კნენინა ნექტარინას და შინა, შინადორა ბარონ იესკულ-შტანგის ჭეროვი.

ის ბავშვობიდანვე რუს-ხელმწიფის ბრძანებით, როგორც დიდი გვარის-შვილის ქალი, პეტერბურგში იყო წაყვანილი და სმოლნის ქალთა ინსტიტუტში იზრდებოდა.

ზოგჯერ რაიმე მიზეზის გამო, ან პროტექციით, ან რაიმე განსაკუთრებული წყალობის მიზეზით სმოლნის ინსტიტუტში კანტი-კუნტად სწავ-

ლობდნენ მაღალის წრის ქართველი ქალიშვილები და პაწია მინაც ამ არისტოკრატიულ სასწავლებელში მოხვდა.

შემდეგში რაკი სახიერიც და საუცხოო ტანადიც იყო გარეგნულად, თანაც ძალზე ზრდილი და ტაქტის ადამიანი, ალექსანდრე III სასახლის კარზე მოხვდა, იმპერატრიცას ყურადღებაც დაიმსახურა და ფრევილინობაც მიიღო. ამას კი ის მოჰყვა, რომ მისი სილამაზით დედისა და მამის მოხიბლულმა რუსეთის დიდმა და შეძლებულმა არისტოკრატმა ფონ იესკულ-შტანგმა შეირთო და ამიერიდან ბარონესა მინალორა ალექსეევნა იესკულ-შტანგის ცხოვრების კარიერა სრულიად უზრუნველყოფილი იქნა. თავის გამკრიახობით და ქმრის ნათესაობის წყალობით კი პეტერბურგის უმაღლეს წრეებში ისეთი თვალსაზრისი აღვილი დაიჭირა, რომ თუ ვისმეს რაიმე საქმე ჰქონდა ან უმაღლეს სასამართლოს ინსტანციებში და სენატში, ან თვით სასახლის კარზე, ან თუ ვისმე ახალგაზრდას უნდოდა სამსახურბარივი დაწინაურება მიეღო ბარონესა იესკულ-შტანგი ამ შემთხვევებისათვის უსათუოდ ერთი მეტად საჭირო პიროვნება იყო. თანაც, რა კი ეს მიღებული იყო პეტერბურგის მაღალ წრეებში, ნელ-ნელა სხვადასხვაგვარი ქველმოქმედებასაც ეწეოდა და სტუდენტობის ხომ დიდი დამხმარე იყო.

თავისი მშობელი მხარე კი გულთ უყვარდა და ამასათვის პეტერბურგში მოხვედრილი ქართველების დიდი მფარველი იყო. ზოგჯერ საქართველოშიაც გამოეშურებოდა და მთელს მის მრავალრიცხოვან ნათესაობას ჩამოუვლავდა ხოლმე. მაგრამ ყველაზე უფრო უყვარდა თავის და ნექტარინასთან ჩამოსვლა, სოფლის პრიმიტიულ ცხოვრებაში, აქ ესთქვათ, ჩაყურყუმელაეება, თუმცა იმავ დროს დიდად აფასებდა და მოსწონდა სამეგრელოს მცხოვრებთა ზრდილობიანი საქციელი, მათა გარეგნული იერი და თითქმის დიპლომატიური ურთიერთობა ერთიმეორეს შორის.

ხშირად ალტაცებით იხსენიებდა: — ხომ არ შეიძლება, რომ მეგრელმა, უბრალო, უსწავლელმა გლეხმაც კი, გამოთხოვების დროს მაშინვე ზურგი შევაქციოს და ისე წავიდეს. უთუოდ ძალზე უკან დაიხეცს და მხოლოდ შემდეგ მიბრუნდება წასასვლელად.

ეს ბარონესას დიდი ზრდილობის ნიშნად მიაჩნდა.

ბოლოხანებში, რაც ქმარი გადაედო, კიდევ უფრო უხშირა ნექტარინასთან საგაზაფხულოდ ჩამოსვლას. უკვე ყოველწლივით ჩამოდიოდა, რადგანაც გაზაფხულზე ალდგომის დღესასწაულები იწყებოდა და ალდგომის შემდეგ მთელი კვირა სამეგრელოს სხვადასხვა სოფლებში განუწყვეტელი ეგრედწოდებული „ჯარიანობა“ იყო ერთიმეორეზე მოწყობილი და ხალხის ღზანს, ქეიფს, მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა.

ამ უამადაც სააღდგომოდ იყო ჩამოსული თავის დასთან და თან თავის ერთადერთი ქალიშვილი დაგმარაც ჰყავდა ჩამოყვანილი.

დაგმარა კი ქალს მიტომ დაიარქვა, რომ ალექსანდრე III-ს ცოლს, იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნას ქალიშვილობის სახელი იყო და მის პატივსაცემლად უნდოდა ქალიშვილს ეს უცხო სახელი რქმევოდა.

დაგმარასთან ერთად თან ჩამოიყვანა ერთი მისი ქმრის მონათესაე, ობოლი ქალიშვილიც მარინა ბარანოვსკაია, დაგმარას ტოლი და თანშეზრდილი ახალგაზრდა.

ეს ორი ქალიშვილი აქამად გვერდით უსხდნენ ახალგაზრდა ინჟინერ

ვოლკოვს, რომელიც უცხოელების კამპანიას ჰყავდა როგორც სამთო-მადნო სპეციალისტი წამოყვანილი.

ვოლკოვიც პეტერბურგიდან იყო, კარგად ჩაცმული, მოხდენილი თამბაქანი და ქალიშვილებს, ეტყობოდა, ართობდა სალონური ანეგლოტიებით.

იქვე პატარა მაგიდაზე წარდს თამაშობდნენ ფოთელი ვეპარი ლევარსი კვიზინია და ნექტარინას მასლი, თავადი ბარამ გვირგვინიანი. მათ თავზე ადგა ბარამის უმცროსი ქმა ბეგი და გულით ხარხარებდა, როდესაც ლევარსის კამათელი არ მოდიოდა და ამის გამო წითლდებოდა, ოფლში იწურებოდა, თან „დავ, დავ-ბასეთი“ საგრძნობელ ფულსაც აგებდა. ბარამი კი აუშფოთებლად, თითქოს უღარდელად ეთამაშებოდა და ლევარსის მიერ გადაღებულ ფულს მოგებასთან ერთად სათნო ღიმილით თანდათან თავისკენ ეზიდებოდა. ეს ეტყობოდა აბრაზებდა ლევარსის. ამაზე იცინოდა ბეგი და კიდევ უფრო ცეცხლს უკიდებდა ლევარსის. ლევარსი-კი ზოგჯერ წამოიძახებდა კიდევ:

— აი, იმას რა ვუთხრა ვინც მე ამ ოხრობის თამაში მასწავლა! — და ხელს გაიშვერდა წარდის დაფისაკენ.

— პორტში მცხოვრები კაცი ხარ, წარდს და ღომინოს ძალაუნებურად შეისწავლიდი. თქვენთან ხომ ყველა ყავახანის წინ, ვინც არ გინდა, წარდს თამაშობს. — ჩაულიმილებდა ბარამი.

— ოო, დასწყევლოს ჩემი გამჩენი! — თითქო შაინც ვიღაც სხვას აბრალებდა ლევარსი თავის დღევანდელ წაგებას და იმას არ ფიქრობდა, რომ მოშვებოდა თამაშს და ამითი უზრუნველყო შემდგომი მოსალოდნელი წაგება. ყოველ წაგების შემდეგ ის კიდევ უფრო შინაგანი გააფთრებით იწყებდა ახალი ხელის თამაშს.

მაგრამ, აგერ მათთან მოვიდა ახალგაზრდა, მეტად მწყაზარი სახის, ტანწირწეტი შეილობილი კნეინა ნექტარინასი და ბარამს თავს დაადგა.

კვიზინიამ ზევით აიხედა და, ახალგაზრდა გოგო რომ დაინახა, თამაში სულ აებნა და თითქმის თვალი ველარ მოაშორა გულმკერდსაც კი ქალის მკერდზე სხეულს.

ქალი კი იდგა კდემამოსილებით აღსაცხე და ლევარსის მიშტერებული თვალების გამო, თითქოს რაღაც უსიამოვნობა იგრძნოვო, თვალები ძირს დახარა და პირისაზე უფრო ბარამს მიაბყრო. ბარამი კვლავ თამაშში იყო გართული და რძლის შეილობილისათვის ყურადღება არ მიუქცევია. სამაგეროდ ბეგი გამოელაპარაკა:

— რა გინდა, თოლისქვამი? ჩემ რძალს ხომ არ გამოუგზავნიხარ?

— დიად, ბატონო! — წარმოსთქვა თოლისქვამმა, ცოტა ნაზად, მაგრამ ისეთი გულში ჩამწვდომი ხმით, რომ ლევარსი სულ აირია, თამაში მიატოვა და წარდის ხელი არ დაუთავებია ისე, რაც ერგებოდა, ის ფული ბარამს მიაწოდა. ახლა უფრო დაკვირვებით შეაელო თვალი ლევარსიმ თოლისქვამის სრულს აღნაგობას და ის აზრი, რამაც პირველად ოდნავ გაუელვა თავში, როცა იქ მოსვლისას პირველად მოკრა თვალი თოლისქვამს, ახლა თითქო უფრო შედედდა, უფრო შეშქიდროვდა, გულში გაივლო:

— ვითომ რა? კნეინა ნექტარინა ამ თავის შეილობილს ვერ მომათხოვებს? მართალია თავადი არა ვარ, არც აზნაური, ამათი ნაყმევიცა ვარ, მაგრამ ვანა ჩვენ დროში ამას ყურადღება მიუქცევა? კარგად იცის ამ არემარეში ყველამ, რომ კარგა შეძლების პატრონი ვარ, სახელმოხვეპილი

„ფორანიკი“. ამ თავადებს ჩემი შეძლებით სულერთიან შევისყიდი. რაღა გააჩნიათ საწყლებს? იქ მთაში რაღაცა ტყე და იქ კიდევ ბერთეში მენჯი-რობუს მადნეული. ეს კამპანიაც მე მოეუყვანე. შეიძლება ამოიქოცხრონ მო-ობრუნონ სული. მე სიკეთე მინდა მაგათთვის და ვითომ არ დამიფასებენ?

თანდათან ფართოვდებოდა კვიზინიას ფიქრთა კიდე-განს. ამასობაში კი გამოირკვა, რომ სოფლის მამასახლისს გვირგვლიანებურსავე უწყებები გამოეგზავნა, რომ ბერთეშში მთავრობის გამოგზავნილი მიწისმზობელი მო-დიოდა და ამისათვის შემზადებულიყვნენ.

ბარამი და ბეგი წავიდნენ კენინა ნექტარინასთან, რომელიც თავის ოთახ-ში მამასახლისის ნაცვალს ელაპარაკებოდა და თან სათვალეზადებული უწყებებს კითხულობდა. თოლისქვამიც მათ გაჰყვა და თან წაიყოლა ლე-ვარსის მამაცური და თითქოს ერთგვარად კადნიერი ფიქრი და ზრახვანი.

სწორედ ამ დროს შემოვიდნენ დარბაზში ევტიხი ბაწელაძე და მამა თე-დორე.

დარბაზში დარჩენილებს მათთვის დიდი ყურადღება არ მიუტყვევიათ, მხოლოდ ბარონესამ მისალმებისათვის ცოტათი თავი დაუქნია.

მოსულებს გუტატიც შემოჰყვა და იქაურებს მოახსენა მათი ვინაობა, მაგრამ არც იმას დაუტოვებია იმათზე დიდი შთაბეჭდილება. მხოლოდ ფარ-თო მაგიდასთან უცხოელებთან მჯდომი ერთი სერთუკოსანი ცოტათი წა-მოიწია და სათნოდ თავი დაუკრა მღვდელსა და ევტიხის. ისინიც მორჩი-ლებით, ხელწამოერთმეველად მიჯდნენ მოშორებით დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში.

ევტიხიმ მაშინვე იკითხა იმ სერთუკოსანის ვინაობა.

გუტატიმ უპასუხა:

— როგორ? არ იცნობ? ეს ვამეხია.

— ვამეხი? კატორღელი?

— ჰო, იყო კატორღაშიც, მაგრამ ჩვენში მაინც მიჩნეული კაცია.

— ეგ ვიცი. ბევრი კარგი გამიგონია. მხოლოდ აქამდე არ მინახავს.

— გაეცანი, საინტერესო კაცია—უპასუხა გუტატიმ და დარბაზიდან გა-ვიდა. თან შორიდან ანიშნა ლევარსის და ისიც თან გაიყოლია.

ევტიხი მიაჩერდა ვამეხს:

ის არ ჰგავდა გვირგვლიანებს, თუმცა ევტიხიმ იცოდა, რომ ვამეხი მათი მკვიდრი ძმა იყო. ვამეხის მთელს აღნაგობას ევროპული იერი ჰქონდა. მხოლოდ თვალწარბში იპოვნილით მსგავსებას. ვამეხის თვალწარბიც გვირ-გვლიანების, საგვარეულო განთქმული თვალწარბი იყო: უბებში ცოტა განზიდული, მაგრამ კარგა ფართო და მრგვალი ისეთი, რომ არც ძალიან წინ იყო წამოსული და არც ცხვირის არეებში ღრმად შევარდნილი. პირი-სახესთან სათანადო დონეზე მდგარი, მხოლოდ ფერი იყო ამ თვლების იშვიათი. თითქო მათი სოფლის ანკარა მდინარე ტუხურის ფერს მოგაგო-ნებდათ—თითქო სისვი, ზოგჯერ ლაქვარდოვანი იერი რომ წაჰკრავს. ასე-თი თვლები ჰქონდათ ვამეხის ძმებსაც—ბარამ, ბეგის და სხვა მათ ბიძა-შვილებს. ეს თითქო მართლა საგვარეულო თვლები იყო. ამას დაუმატეთ წარბებიც მართლა მშვილდურად მოზიდული, არც თუ ძალიან ხშირი და სქელი და არც ძალიან წერილი ძაფივით, თითქო განგებ ჩამოქნილიყო.

ასეთი თვლებით ცხოვრობდნენ საერთოდ გვირგვლიანები. ამ თვალე-ბით უყვარდათ, ამ თვლებით მრისხანებდნენ, ამ თვლებით ხიბლავდნენ

სხვებსაც, ამ თვალებით გადმოიტანეს დიდი ტვირთი მათი გვარის შთოთ-
ვარე ხანგრძლივი ცხოვრებისა. დიდი მიწიდიველობა ჰქონდათ გერგვი-
ლიანების ამ თვალს და ისინიც ბევრჯერ განსაცდელისაგან დაუბრუნიათ
ასეთ თვალებს.

ვამეზი კი ერთ დროს ვერ იხსნა. თვალებმა ვერ გადაარჩინა ვამეზი გან-
საცდელს: ერთ დროს მას 20 წლის კატორღა მესაჯა ვალენსინდრე II-ს
დროს და მხოლოდ ახლა იყო ნიკოლოზ II-ს ხანაში, ვადის გათავების
შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებული.

დაბრუნდა კი, როგორც ღირსებააბდილი და მამულჩამორთმეული ადა-
მიანი.

ეს იცოდა ევტიხიმ და აი შესცქერის ამ თითქოს კანონგარეშე მღვარ. კაცს.
მანც როგორ დიდის ღირსებით უჭირავს თავი. სახეზე უკვე ეტყობა ერთ-
გვარი სევდის თუ წუთისოფლის უმადურობის კვალი, მაგრამ ესეც ეტყობა,
რომ იგი ტანჯვას ვერ მოუტეხნია. სხეულბრივადაც ემჩნევა — ჯანსაღად
არის: კარგა ჩასხმული ტანმკვირივი კაცი, მოკლე, კოხტად შეკრეპილი და
შავი წვერ-ულვაში მის დაუბერებლობას აკლავნებს, მხოლოდ თმა აქვს
ბამბასავით გათეთრებული, მაგრამ ეს გარეშობა კიდევ უფრო მიმზიდველ
ადამიანად აჩენს. იმავე დროს კი მთელი მისი პირისაზე და სხეულიც მიუკა-
რებლობის შეტყველია. აცვია შავი, მოქველებული, მაგრამ კარგად შენახუ-
ლი, სუფთად დაცული მტკიცე კამგარის სერთუკი და ყველა მისი დიდი
შეკრული აქვს. თითქოს გულჩახვეული უნდა იყოსო.

ეს არ ვაჰკვირებია ევტიხის:

ხუმრობაა 20 წელიწადი კატორღაში! იქ გულჩათბობილობასაც მიეჩე-
ოდა. მაგრამ საკვირველია, რომ არ დავარდნილა და თავის ფარეზობაც არ
უკუუვდილა. აგერ როგორი გაქათქათებული თეთრი საყელო გამოუჩანს შავ
წვერქვეშ და პერანგის სახელოებიც როგორ საუცხოო თეთრად აქვს ვახა-
მებული. ეტყობა ფაქიზი კაცია. მაგრამ ვინ უვლის? მგონი ცოლ-შვილი
არა ჰყავს. რითი ცხოვრობს? როგორ არის საქმე?

ყველა ამ კითხვამ უეცრად გაურბინა ევტიხის და ხნადახლა მიმართა მამა
თედორეს:

— ვისთან ცხოვრობს? — ანიშნა ვამეზზე, — რითი ცხოვრობს?

მამა თედორე ამ კითხვებზე გამოცოცხლდა და თავისებურად გრძლად
მოუყვა:

— ოო, უცნაური კაცია დაბრუნდა თუ არა კნენია ნექტარინამაც და მის-
მა ძმებმაც შესთავაზეს — სათითაოდ ვისთანაც მოისურვებდა, იმასთან
ეცხოვრა, თან მისი წილი მამულის შემოსავლის განიარებასაც შეჰპირდნენ,
მაგრამ არ იწება და ამითი ცოტა აწყენინა კნენია ნექტარინას. ახლაც ერთ-
მანეთში მაინც და მაინც კარგად ვერ არიან, მხოლოდ ამ ჟამად თუ აქ
არის, უთუოდ იმიტომ, რომ უცხოელები არიან სტუმრად და, როგორც თა-
ვისიანს და განათლებულ კაცს, დაუძახეს. დიდი ნასწავლი კაცი ჰყოფილა.
თავის დროზე ნიკო ნიკოლაძის, აკაკი წერეთლის ნაამხანაგარია თურმე,
ხომ იცი?

— რას ლაპარაკობ! მართლა?

— ასე ამბობენ. თავის დროზე მაგას ოდიშში ჰქუთი და ნასწავლო-
ბით ვერაფერს სჯობნიდა თურმე.

— არა, ეს ვიცი, რომ ამ სოფელში ჰკუის საკითხზე კაცად გყავთ...

— ამ სოფელში? სოფელში კი არა მთელს ჩვენს მაზრაში, არაფერი ისეთი საზოგადო საქმე არ იქნება, რომ მაგასთან არ მოვიდნენ და არ შეეკითხნონ... ჩვენი სოფელი ზომ თუ ვინმეს რამე უჭირს, სასამართლოს საქმეა ეს თუ რამე სასოფლო: გზის გაყვანა, სკოლის აშენება, ეკლესიის არჩევა და სხვა ამგვარები, სულ მაგას ემუდარებიან: პეტროს სწორად გზაზე დაგვაყენო.

— ჰოო, ახლა კი მივხვდი, რითიც ცხოვრობს. ადვოკატობს უთუოდ და ამით, რასაკვირველია, კარგი შემოსავალიც ექნება.

— არა, შენ წარმოიდგინე, სასამართლოში არ გამოდის...

— ჰა, ჰა! სასამართლოში რომ გამოდიოდეს ზომ მეც მეცოდინებოდა, იქ არა ვარ?— გაეცინა ევტიხის, — მაგრამ ამის უფლება როგორც ღირსებააზღვილ ადამიანს მაგას არა აქვს. უთუოდ არზებს და სხვადასხვა ქალაქებს უწერს სოფლებებს და ამით ირჩენს თავს...

— არა, ბატონო, ევტიხი. არაფერს ეგ არავის არ უწერს. ეგ მხოლოდ რჩევა-დარიგებას აძლევს, განუმარტავს, რა არის სწორი და რა არის მრუდე. და მართო სასამართლოს საქმეებში კი არა, როგორც მოგახსენე, სხვა საკითხებშიაც, მაგ., სოფლის მეურნეობაზეც ესაუბრება ხალხს: ეს ჰირანხული სჯობია მოიყვანოთ, ამას და ამას უნდა მოჰკიდოთ ხელი და სხვა. ამასწინათ უთქვამს — ჩაი უნდა მოიყვანოთ.

— ჩაიო?

— ჰო! ჩვენში ჩაი ვის გაუგონია? სადღაც ჩინეთში მოდის მგონი, მაგრამ აქი გეუბნებო, უცნაური კაცია-მეთქი. ამ ჩაიმ ცოტა არ იყოს გაეცინა ხალხი, მაგრამ უნდობლად მაინც ვერ მოეპყრნენ, რადგან სხვა რასაც ამბობს, ყველაფერი გზიანია და მართალი...

— კარგი და ამ რჩევა-დარიგებაში ზომ ართმევს ხალხს თავის საჩინს მაინც.

— რას ბრძანებ! როგორ გეკადრება! მეტად უანგარო კაცია. ის კი არა. ღარიბ-ღატაკებს, გაპირებულებს, დაერლომილებს თვითონ შეულის კიდეც.

— საიდან?

ენაწყლიან მამა თედორეს მეტიც არ უნდოდა და დაიწყო. სულ ერთია სხვა დარბაზში მყოფნი ყურადღებას მაინც არ აქცევენ და საუბრისათვის ბევრი დრო ჰქონდათ.

— მოგახსენო! ჩამოვიდა თუ არა... ეს მეორე წელიწადია რაც დაბრუნდა... მექათმეობას მოჰკიდა ხელი.

— მექათმეობას?

— მისმინე. დაღვა ერთ თავის ოდესღაც ნაყმევ გლეხის ოჯახში და იქ გააჩაღა თავისი საქმიანობა. უნდა ნახო, როგორ მორთო ამ საცოდავი გლეხის ოჯახი. მის ჩამოსვლამდე ერთი უსაწყუსი გლეხი იყო იოსე ზუბუნია და მხოლოდ მეთევზეობით ირჩენდა თავს. ამისათვის სოფელიც მას იოსე-მებაღურს ეძახდა. ჩვენ სოფელში კი, მოგახსენებთ, ორი მდინარეა: ტეხლარი და გურძემია. ორივე მეტად კარგი სათევზაო. იოსეც ამითი ირჩენდა და ირჩენს თავს. თუმცა ბატონ ვამებს მექათმეობაში იოსეც და მისი ცოლიც ეხმარებიან და აქედანაც გვარიანი შემოსავალიც აქვთ, ასე რომ ახლა იოსეს საწყალი აღარ დაეძახება, მხოლოდ ის ქობი, რაც ედგათ, იგივე უდგათ, ისეც ისე ისლით გადახურული და პიტა-ფიცარით აგებული. ვამებმა ერთი

განსხვავება კი შეიძლება: სამხრეთის მხარეზე ერთგან სარკმელი გამოაქრე-
ვინა და მინებიანი ფანჯარაც ჩადგა შიგ. კიდეც კერიის მაგნიტად სისხლი
ლუმელი გააკეთებინა და ისეთია ყველაფერში გამოსადეგი სითხის მშვე-
ნიერს იძლევა და ზედ რამდენიმე თავი საქმელის გაკეთებაც შეიძლება.
ლამაზი ხის ლოგინი, თავის ხელით გაკეთებული, უდგას სარკმელის მაგი-
დაც აგრეთვე მისი გარჯილობით მონაგარი. განჯინაც აქვს სულ წიგნებით
გამორტიკნული და გაზეთებიც დაუდის. ამ არემარეში თითქმის ერთადერთა
კაცია, რომელიც გაზეთს დებულობს. კვირაში ერთხელ კი სადამოობით ან
თვითონ მასთან, ან წისკვილში, სადაც ხშირად უყვარს სიარული და იქ
თავმოყრილ გლეხებთან საუბარი, გვიკითხავს გაზეთს სოფლელებს, მეც
დავდივარ ხოლმე მოცილობისას და გვაცნობს ქვეყნის ამბებს. თვითონ
კი ყველაფერი გამოუდის ხელიდან: ღურგალიც არის, ზეინკალიც—ჩვენ
სამკედლოში ზოგჯერ ისეთ ბასრ თოხს ან ნაჯახს გამოაწრთობს, რომ შე-
ნი მოჭრნებული. უსაქმოდ გაჩერებულს ვერასოდეს ვერ ნახავ: ან წიგნებს
უხის და კითხულობს, ან წერს, ან ბაღში სხვადასხვა ბოსტნეულს უვლის
და მოჰყავს. შარშან ისეთი ნესვები და კვახები გადმოაგორა, თითო კვახი
ორ ფუტს მაინც იწონიდა. საიდანაც საუცხოო თესვები გამოიწერა, მიწა
ძალიან ღრმად გადააბრუნა, მოანაკელა, შემდეგ თოხით კვლების ზედაპი-
რი სულ ფქვილად აქცია, მერმე მწკრივად თან შორი-შორს დათესა ყოველ-
გვარ ბოსტნეულის თესლი და ასე ჩამორაზმა. მორწყა კიდეც ეზოში ამოთ-
ხრილ ჰის წყალით. ამის შემდეგ მოუვიდა, მაგრამ რა მოუვიდა! ყველაფე-
რი საუცხოო, განსაცვიფრებელი: ღიდროვანი, გემრიელი. ახლა ზოგიერთ
მეზობლებმაც წაბაძეს და ერთ-ორს მართლა რომ მშვენიერი ბოსტნეული
აქვს. იმასავით ჯერ კიდეც ვერ უვლიან, მაგრამ მისივე რჩევით და დარი-
გებით უსათუოდ დაეწევიან.

— საინტერესო კაცი ჰყოფილა, — ჩაურთო ევტიხიმ.

— როგორ გეკადრება! პირდაპირ ხვითო კაცია, ხვითო. ახლა ქათმებზე
მოგახსენებდი. შარშან დაიწყო ქათმების მოშენება. რა და რა ჯიშის არა
ჰყავს. საზღვარგარეთიდანაც კი გამოიწერა. ახლა კიდეც რაღაც ყუთი მოა-
ტანიანა და ლამაზის შემწეობით კვერცხებს აჩეკიანებს. ამ კვერცხებიდან კი
დიდი შემოსავალი აქვს. დაესიენ ბანძელი ებრაელები, მაგრამ კვერცხი იმათ
არ მიჰყიდა. პირდაპირ თბილისში აგზავნის და იქ ასაღებს. სოფლელებს კი
ეუბნება: სადაც ევროპაში არსებობს ერთი პატარა სახელმწიფო, რომე-
ლიც თითქმის კვერცხის შემოსავლით ცხოვრობსო. ახლა უნდა საზოგადოე-
ბაც კი დააარსოს ამ საქმის გამძღოლად მთელს ჩვენს მაზრაში და პირველ-
ლად თავის ძმებს და რძალს მიმართა, მაგრამ იმათ შორს დაიჭირეს თურ-
მე—მეკვერცხე გვირგვინიანები არავის გაუგონია, ნეტავი შენც თავს არ
გვჭკრიდე მაგ შენის მექათმეობითო.

და გაავრძელა და გაავრძელა მამა თედორემ ვამეხის დახასიათება.

ამასობაში ინიენერმა ვოლკოვმა ცოტა არ იყოს ეტყობა გაანაწყენა
ახლაგაზრდა ქალიშვილები, თავისი ანეკდოტები მეტად მდბაღლ ხარისხის
ამბებზე ჩამოიტანა და ბოლოს ისე გააკადნიერა, რომ უამბო:

— ერთხელ პეტრე დიდს ლამაზი, მაღალი წრის ქალები ეწვივნენ. მოუ-
არა ზუმტურმა და ქალებს წინადადება მისცა, რომ მისი ქანდაკებათა დარ-
ბაში დაეთვლიერებინათ. თვითონ მოუცლელობა მოიმიზეზა და ქალებს
სხვები გააყოლა დასათვლიერებლად. სანამ ქალები ქანდაკებათა დარბაზ-

ში მივიდოდნენ, მანამ თვითონ შევიდა, უბრძანა მოსამსახურეებს ზმა არ ამოეღოთ, ტანთ გაიხადა, სრულიად ვამიშვლდა და ასე დედიშობილა დაღვა რომელიღაც თავისუფალ კვარცხლბეკზე. ქალები ამაღლის თანხლებით შემოვიდნენ დარბაზში, შემოიარეს, დაათვალიერეს ყოველივე და შორიდან რომ დაინახეს კვარცხლბეკზე მთელის ტანით აღმართული ვეფხვი. აღტაცება აღმოხდათ: „რა საოცრად მიუმსგავსებიათ ქანდაკებამ! ზღაპრული-სათვისაო“. მართლაც საუცხოო სანახაფი იყო თურმე, დიდებული აღნაგობის, ცოცხალი, მაგრამ უძრავი სხეული პეტრე დიდისა. მხოლოდ ახლოს რომ მივიდნენ, უნებლიედ შეჰკვივლეს და ზურგი შეაქციეს, რადგან, ცხადია, რომ პეტრეს ყველაფერი უჩანდა...

ამის თქმაზე ბარანოვსკიამ ერთი ზიზლით შეჰხედა ინჟინერს და თან მკვახელ მიმართა:

— უზრდელო ყოფილხართ, ქალებთან თავის დაპერა არა გცოდნიათ! — და მრგვალ მაგიდას მიაშურა.

დაგმარა კი სახტად დარჩა: კარგად ვერ გაიგო ანეკდოტის შინაარსი და თან თავისი მეგობარი ქალის წყენაც გაუგვირდა. გრძობდა კი რომ რაღაც უხერხული მდგომარეობა ჩამოეარდა, მაგრამ ვოლკოვმა ამის გამორკვევა არ აცალა: ჩაილაპარაკა:

— მეც სწორედ ეგ მინდოდა. კარგი ქნა რომ ვაგვეცალა. — და თავი გაიქნია მოშორებულ ბარანოვსკიას ქალზე, — მომიტევეთ და მეტიჩარა ენამე ყოფილა. ახლა კარგია მართო დავრჩით და შემიძლიან, რაც მინდა ის გითხრაო.

დაგმარა კიდევ უფრო გაცბუნდა. მაინც თითქოს უნებლიედ წარმოსთქვა:

— რა გაქვთ ჩემთან სათქმელი?

მაგრამ ვოლკოვს არ დასცალდა ეთქვა „სათქმელი“. ბარონესამ თავისთან დაუძახა დაგმარას და ლმობიერად დატუქსა. უთუოდ ბარანოვსკიამ მოასწრო ორი სიტყვით გადაეცა ვოლკოვის უხეშობა.

ვოლკოვიც უკმაყოფილო მიადგა მაგიდას და ვამეხის სკამის ზურგს მოურიღებლად ჩამოეყრდნო.

ვამეხმა ერთი კი ახედა ზევით, მაგრამ არაფერი არ უთხრა და დაწყებულ საუბარი განაგრძო.

უცხოელები ეტყობოდათ უფრო ზრდილობის გამო უდგებდნენ ყურს: ბარანოვსკია კი შაშინვე სმენად იქცა. ჯერ ერთი, ვამეხს მშვენიერი ბარიტონი ჰქონდა, მოლულუნე, თანაგრძნობის გამომწვევი. პირველად ამან მიიპყრო ბარანოვსკიას ყურადღება და, შემდეგ, ვამეხის ნალაპარაკევის შინაარსმაც.

ვამეხი ამბობდა:

— თქვენ ძალიან კარგი გინებებით, რომ ჩვენი ქვეყნისათვის მიგქიცვით ყურადღება. ამ დადუმებულ მთებს სწორედ სჭირდება ოსტატი ხელი, რომ გული ფართოდ გააღოს და მისი საგანძურის სასარგებლო სიუხვე მოჰფინოს კაცობრიობას...

— კაცობრიობას? — დაცინვით ჩაურთო ვოლკოვმა.

— დიად, კაცობრიობას, რადგანც ჩვენში არის ისეთი განძიც, ისეთი მადნეულიც, რომელიც მსოფლიო ბაზარზე პირველობას მოიპოვებს.

ვოლკოვმა ირონიით ჩაიჭირქილა.

ვამეხმა ერთი აღმაცერად ახედა ზურგს უკან და მაინც ასე მოახსენა:

— მე მართალს მოგახსენებთ. თქვენ შეიძლება გგონიათ, რომ საქართველოს მარგანეცის მეტი არა მოეძევა რა, მაგრამ მე გარწმუნებთ რომ ჩვენი უხვად არის გაბნეული თუთია, თუჯი, სპილენძი, ნახშირი, პოლიბრენი, **ოქრო და სხვა მადნეული**. სამკურნალო წყლებზე ხომ ლაპარაკი მეტია, ჩვენი ქვეყანა ყოველ კუთხეში თითოთროლა უსათუოდ არეყვითად მარგებელი სამკურნალო წყალი, მაგრამ თითქმის ყველა ეს გამფხვანებელია, მოუხმარებელი და მიუყვლეველი...

— აგრეც იქნება, — არ ითმენდა ვოლკოვი. თითქოს რაღაც ეშმაკი შეუჯდო, ვულით უნდოდა რაიმე წინააღმდეგი ეთქვა ვამეხისათვის. მას თითქოს წყინდა, რომ აქ, საღდაც „კავკასიის“ გადაკარგულს, მიყრუებულს სოფელში წააწყდა ასეთს ევროპიულად განწყველულ კაცს და თავიდანვე პირველ გაცნობისთანავე აითვალისწინა. ეს მაშინვე შეამჩნია ბარანოვსკაიამ და დიდის ზრდილობით მიუთითა, რომ საერთოდ მორიდებული ყოფილიყო ყველასთან, მაგრამ ვოლკოვი ახლა მიინც, თავს ვეღარ იჭერდა და თითქოს სწორედ ბარანოვსკაიას გამოსაჯავრებლადაც ასე განაგრძობდა.

— მაგასვე გვიმტკიცებდა ქალაქ ფოთში იქაური ქალაქის თავი, ბატონი ნიკოლაძე, მაგრამ განა ველურ ქვეყანაში შეიძლება სხვაგვარად იყოს საქმე?

ეს სიტყვები გაიგონა ეტეხიმ, ფეხზე წამოდგა და მაგიდას მოუახლოვდა. ბარონესას კი წამოცდა:

— ოი, ოი, ოი! არა, რეებს ამბობთ ყმაწვილო კაცო?

ვოლკოვმა საპასუხოდ პირი დაალო თუ არა, ბარანოვსკაიამ ერთი საყვედურით და თან თითქო მუდარით შეხედა ვოლკოვს, რომ სხვა კიდევ უფრო უხეში რამ არ დაეყოლებინა, მაგრამ ვოლკოვმა თვითონ ასე გადაუხვია:

— ბატონი ნიკოლაძე კი მომეწონა. ეგ ერთადერთი კაცი გყავთ მე მგონი ქართველებს...

ვამეხს მიხედა, რომ ეს ჩამოკრული მასაც შეეხებოდა, მაგრამ წარბიც არ შეუხრია, ისე უპასუხა:

— თქვენ, რაღა თქმა უნდა, ერთი ჩვენი დიდებული პიროვნებათაგანია გაგიცვნიათ და ღირსეულადაც აფასებთ. ეს კარგია, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ საქართველოში, ჩვენდა საბედნიეროდ, ის ერთი არ არის. ჩვენ გვყავს კიდევ დიდი და საამაყო პიროვნებები. ესენი არიან ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მაგალითად თუნდაც ეს ორნი: აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე დიდი მომზადების, დიპაზონისა და უნარის ხალხი...

ამ უმად უკვე ყველანი ყურადღებით უსმენდნენ ვამეხს, თედორე მღვდლის გარდა. ის მაინც მიღმა იჯდა და აშკარად ეტყობოდა, რომ თვლემდა კიდევ, ასეთი ჰქონდა ჩვეულება: თუ მას პირადად რაიმე არ აინტერესებდა არც ნალაპარაკევისა და არც წაკითხულის მოსმენა არ შეეძლო, მაშინვე ძილი მოეკიდებოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მზა ნითღარ ამოღიოღა *

11

ჩიქოვანმა უკმაყოფილოდ გადახედა თავის აგენტებს და ჰროლა თვალები მინაბა.

— მაშ, თქვენი აზრით, ბატონებო, ბათუმში სრული სიწყნარეა?

— საკვირაო სკოლაში სრული წესიერებით მიმდინარეობს ლექციები, — მოახსენა არსენიშვილმა. — სხვათა შორის ზუცესი თოთიბაძეც კითხულობს ლექციებს სარწმუნოებაზე.

— მე ყოველ კვირას ვესწრები მუშების ჯარობას ბარცხანაში, — მოახსენა ჩხიკვაძემ, — არის ერთი ცეკვა-თამაში, ბურთის გატანა, სიმღერა. პეტი არაფერი. ოღონდ ერთი რამე კი შევნიშნე ამ უკანასკნელ დროს მუშებს.

— რა? — დაამთქნარა ჩიქოვანმა და ცივად შეხედა ჩხიკვაძეს.

— ეს ერთი თვეა რაღაცა დაეტყო მუშებს. თითქოს უზარიათ რაღაცა... გაველნიან მუშებზე მოგახსენებთ, შენიშნულებზე.

— ეს მართალია, ბატონო, — დაუდასტურა ჩხიკვაძეს ლევან გურიელმა. — ლევან გურიელი ჩინისა და მდგომარეობის მიხედვით კი არ იყო აქ მოწვეული, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ გურიელი იყო.

— რაა მართალი, თავადო? — რბილად ჰკითხა ჩიქოვანმა და თავაზიანად დაჰხარა თავი გურიელისაკენ.

— აი ის, რომ უზარიათ, — ქუჩაში რომ შემხედებოდნენ, გზას ამიქცევდნენ. ახლა კი ზედ ცხვირწინ გამოვლიან მედიდურად, თან ისე მიეყრებენ, თითქოს ისინი იყვნენ გურიელი და არა მე.

— უცნაურია, — ჩაილაპარაკა ჩიქოვანმა.

მზრები აიჩეჩა, თავის ნატიფს ხელებს დააკვირდა და სთქვა: — აი რატომ დაგიახებთ, ბატონებო! ცნობა არის მოსული, რომ თბილისიდან გავიდა გაურკვეველი მიმართულებით საშიში პოლიტიკური მომუშავე იოსებ ჯულაშვილი... მოწერილობას მიიღებდით, მაგრამ საჭიროდ ვცანი პირადად გამომეწვიეთ, რადგან ჯულაშვილი ჩვეულებრივი პოლიტიკური მტერი არ არის. ის მეთაურია სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისა მთელს ამიერკავკასიაში. აი რაშია საქმე. სად შეიძლებოდა მისი წასვლა თბილისიდან? ან ბაქოში, ან ბათუმში.

ყველამ წარბი ასწია, თითქოს წარბებით შეეკითხნენ, რატომ?

— ამას იმიტომ ვფიქრობ, რომ ბათუმში დიდი საწარმოებია უცხოელი კაპიტალისა, დიდძალი მუშები. აქ მუშების ამოძრავებას დიდი მნიშვნელობა აქვს... აი რაშია საქმე! ისიც მოგეხსენებათ ბათუმში ამიერ-კავკასიისა-

* დამასტროლი

თვის ევროპის ფანჯარაა. აქ რომ ასეთი ამბები დატრიალდეს, როგორც ამას წინათ თბილისში რუსეთთან შეერთების ასი წლისთავზე, აირცხვილია, თავი მოგვეჭრება. ეს ამბავი მაშინვე გავა ევროპაში. ეს კი ჩვენი პრესტიჟის დაცემა იქნება. — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დასძინა:

— გახსოვდეთ, ვინც ჯულაშვილს დაიჭერს, მისი წარმატება უსწრებელი ყოფილია! — შემდეგ თავი მოწყალედ დაუქნია კრებულს და უთხრა: — თავისუფალი ბრძანდებით...

ეს ერთი თვეა, რაც მოწინავე მუშებმა სიარულს უკლეს საკვირაო სკოლაში. ზოგმა სრულიად მიატოვა საკვირაო სკოლა. კარლოს ეოცა და ივანეს დააეღა გაიგე, რაშია საქმეო.

ივანემ თუმცა იცოდა მიზეზი, მაგრამ მაინც მოვიდა ბარაკებში. ეოცა, როცა ჩვეულებრივი „დუშაშისა“ და „ქესტუმის“ ნაცვლად, სამსონა ჭყონია წიგნის ხალხში ჩამჯდარა და ყურს უგდებდა კამათს.

— აწი ფეხსაც არ შევედგამ იმ საკვირაო სკოლაში, — ამბობდა თეოფილე.

— რატომ? — ჰკითხა ივანემ და მიუჯდა მოკამათეებს.

— რატომ და კარლომ ლექცია წაიკითხა ამას წინათ ასტრონომიაზე: თუ როგორ ტრიალებენ მზის გარშემო მზე და მთვარე. ეს რომ მასწავლებელს ვლთხარი, სიცილი წასკდა და სთქვა: ჩემო კარგო, მზე და მთვარე თავის გზას არ ასცდებიანო. ამას ჯობია ის ახსნას, თუ რატომ ტრიალებს ეს ცხოვრება ასე უკუღმაო... ახლა, არ იკითხავთ პავლე დოღუბაძეს რა დაემართა? — ჩაურთო მირიანმა, — მოიტანა წრეში „კვალი“, ერთი შემომხედეთ რა განვითარებული ვართ. მასწავლებელმა კი უთხრა: რაში გამოდგება ამაზე აღზრდილი მებრძოლიო.

— მართალია მასწავლებელი! — თქვა თეოფილემ. — გახსოვს, ტარიელ, ჩვენ რომ აფრიკაში ვინდოდა წასვლა ბურების დასახმარებლად?

ბურების ვაგონებაზე ტარიელი წამოიჭრა. მას ვერ მოენელებია ბურების დამარცხება. ვაახსენდა, თუ როგორ აიყოლიეს მან და მირიანმა მუშები აფრიკაში გასამგზავრებლად. მაგრამ გაზეთში ბურებზე ორჭოფული წერილები მოათავსეს და ტარიელიც დააჯერეს დარჩენილიყო.

— ბურებს ნუ გამახსენებ, თუ ვიყვარდე. მაგამი თქვენს „კვალს“ არ ვეთანხმები.

მუშები ტარიელის გარშემო შემოიკრიბნენ. აქ ბევრი იყო ისეთი, რომელთაც ერთ დროს წასვლა უნდოდათ აფრიკაში. მირიანმა გადახედა მუშებს და განაგრძო:

— ბურები დაჩაგრეს, რაო და ძლიერი ვართო და ხუსტი უნდა შეეკამოთო. „კვალმაც“ კვერი დაუკრა.

— ასე არ ყოფილა! — უთხრა ივანემ.

— როგორ არა! ასე იყო. — ინგლისი განათლებული ქვეყანაა და ბურები შეჭამოსო.

— შენ რომ ჩხუბის გუნებაზე იყო, „კვალი“ რა შუაშია? ევროპას განათლება შეაქვს ბურებში. ქარხნებს გახსნის, გზებს გაიყვანს. ასე ფიქრობს „კვალი“, — ევროპის კაბიტალს განათლება მოაქვსო.

— თქვა რუკამ არაჲი, — შეედავა თეოფილე. — როტშილდიც ევროპელია, მაგრამ ბევრი განათლება მოვიტანა? ალექსანდერი ყოველდღე ჯოხს გვირაზუნებს თავში. შენ მაგაში სცდები, ივანე, სცდები, როგორც სცდება საკვირაო სკოლა საერთოდ. ჩემის აზრით ნამდვილ გზაზე მხოლოდ მასწავლებელს მიეყვართ. სწორი გზა ახლა ვიპოვეთ.

ივანესათვის ცხადი იყო, რომ საკვირაო სკოლასა და ეკლესიაში შორის ხიდი ჩატეხილი იყო.

III

ბათომი საახალწლოდ ემზადება. მიღის ძველი წელი და მოღის ახალი. არაჲინ იცის რას მოიტანს ეს ახალი, მაგრამ მინც სიძღვრითა და სიხარულით ხედებიან მას. ასეთია წესი, შებლშეკრული არაჲინ უნდა შეხედეს მას: არც დიდი, არც პატარა, არც მდიდარი, არც ღარიბი.

ამიტომ ფუსფუსებს ძველი წლის მიწურულს ბაზარი და სახეე კალათებს აგზავნის სახლებში. ზოგის კალათა დიდი, ზოგისა პატარა. იმედს კი ყველგან ფართო თვალეზი გაუღია.

სილიბისტრო ლომჯარიას სახლშიაც სიხარულით შემოდის ახალი წელი. დიდიდანვე დატრიალდნენ სილიბისტროს ცოლი ალათი და სილიბისტროს და ვერა: ეზო გაასუფთავეს, სახლი მორთეს, ზუფრა გაშალეს. გრძელ მაგიდაზე ბოთლები გაამწკრივეს, მაგიდას სკამეზი მიუდგეს. სკამეზი რომ არ ეყოთ, ერთგან ტახტი მისწიეს: უფრო შინაურეზი აქ ჩამოსხლებიანო.

აღმოსავლეთის კუთხეში, მრგვალ მაგიდაზე, მორთული ჩიჩილაკი ჩამოდგეს. ეს ჩიჩილაკი შმაგიმ მორთო. შარშან დედას ეხმარებოდა ჩიჩილაკის მორთვაში. ახლა რომ რთავდა მოაგონდა დედა, კოჩა, მეკოჩია, თავისი სახლკარი. მოაგონდა, რომ მთავარი მიზანი მისი აქ ჩამოსვლისა ოდა იყო. მას შემდეგ კი რაც არალეგალურ წრეში მუშაობა დაიწყო, ოღის სახურავი და კედლები თანდათან აიკრიფა მისი ზრუნვისაგან. სხვა საზრუნავი დაესახა: ახალი სამართლიანი ცხოვრების დამყარება. გრძნობდა, რომ მასწავლებელი თუ გაიმარჯვებდა, ყველა საწყალს ეშველებოდა. შამსალამე, ეშველებოდა მასაც.

— რამ ჩაფიქრა შმაგი? — ჰკითხა ალათიმ.

— არაფერი, ბატონო! შარშანდელი ჩიჩილაკი გამახსენდა. დედამ და მე მოვრთეთ. სამეგრელოში ძალიან გვიყვარს ჩიჩილაკი.

— დედა მოგაგონდა? აღუფ? — და ვერამ ნეკი მიუტანა პირთან.

ყველამ გადიხარხარა.

ალათიმ ყვაილები ჩაალაგა ვაზაში. სილიბისტრომ ულუაშეზი აივარინა, ახალი ჩაქურის შარფი გაისწორა და ცოლს უთხრა:

— შენ სტუმრებს დახვდი... მე წავალ იმის მოსაყვანად.

შემდეგ მიუბრუნდა შმაგის:

— შმაგი, დღეს ვერა და პორფილე ივუშაგებენ. შენ თავისუფალი ხარ. დაესწარი კრებას.

შმაგი ოთახში ვერ გაჩერდა. ეზოში გავიდა. სახლს რამდენიმეჯერ შემოუარა. ირგვლივ თალხი ბინდი წვებოდა.

უკანასკნელად დაუღამდა ძველ წელს და ფრთხილად შეძვრა სიბნელეში...

— აბა, მობრძანდით! მობრძანდით! — ეპატიეებოდა მოლიმარი ალათი სტუმრებს, — მართალია, სუფრა ღარიბულია, მაგრამ ნუ დაგვირახავთ!

— რა ღარიბულია, ქალბატონო! — სიცილით უპასუხებენ სტუმრები, — ასეთი სუფრა და ახალწლის შეხვედრა როტშილდსაც არ ეწყობა!

— როტშილდს მართლა არ ექნება, — დაუდასტურა ალათიმ, — აბა დაბრძანდით!

— დაეგვიანეთ? ის მოვიდა? — იკითხეს სტუმრებმა.

— ხომ იცით, იმან დაგვიანება არ იცის, — უპასუხა ალათიმ, — სილიბისტრო მოიყვანს.

შმაგიმ დაათვალიერა მოსულნი. იცნო: მიზა გაბუნია, კოტე კალანტაროვი, პორფილე ქურიძე, ქიშვარდი ცერცვაძე, პავლე დოლუბაძე. ივანე მგელაძეს მორიდებით დაუკრა თავი. თეოფილესა, დომენტის და მირიანს გაუცინა. გვერდით მიუჯდა.

უცნაური და ჯერ განუცდელი გრძნობა დაიძრა შმაგის გულში. მას უყვარდა ღედა, ძმა, მუკოჩია, ცირუ... უყვარდა თავისი სოფელი... ყველა ამ სიყვარულს თავისი სახელი ჰქონდა. მაგრამ ის უსახელო სიყვარული, რომელიც მან იგრძნო ნაცნობ და უცნობ ამხანაგებისადმი, მისთვის ახალი იყო. ყოფილა თურმე ისეთი სიყვარული, რომელიც ღრმა და ძლიერი და არ იცი კი, ვინ არის ამ სიყვარულის გამომწვევი. აი, ამ ამხანაგისათვის! ვინ არის ის? ქიშვარდი ცერცვაძე? ან ის, მეორე? პავლე დოლუბაძე? ჰო, პავლე დოლუბაძე... შმაგი თავს გადასდებს, შმაგი იბრძოლებს, შმაგი ციხეში ჩაჯდება...

— თო, ჯიმა, რამდენი საიდუმლოება დაეტევა თურმე კაცის გულში?

კიბე აქრიკინდა და გაიღო კარი. შემოვიდნენ სილიბისტრო და მასწავლებელი.

ყველანი წამოდგნენ. შმაგიმ თითქოს პირველად ნახა მასწავლებელი. დააკვირდა კიდეც და კიდეც.

მოლიმარი, ჭკვიანი თვალები. თითქოს ვიღაცას უცინისო. ყაბალაზი რომ მოიხალა, შავი გრუზა თმები ჩამოეშვა. თავი ენერგიულად აიქნია და თმები უკან გადაიყარა. საერთო სალამი მისცა ყველას და პალტოს ღილები შეიხსნა. ხელი ჰქონდა გამოკვეთილი, ლამაზი.

— შევუდგეთ საქმეს, ამხანაგებო, დროს ნუ დაგვირახავთ! — დაიწყო მასწავლებელმა.

— ოლონდ, ამხანაგებო, ერთხელ კიდეც, — დაარიგა სილიბისტრომ შეკრებილნი, — საჭიროა სიმღერა, თამადა, სადღეგრძელოები. დალიე, დამილიე. ხანდახან „პაი, ჰეიც“... ჩვენ სხვანაირად ვხვდებით ახალწელს, ხომ იცით?

— ვიცით! ვიცით! — მიაყარეს აქეთ-იქით.

— აბა, დაასხით ღვინო! — და სილიბისტრომ ჰიქა ასწია. — თამადად ვასახელებ მიზა გაბუნიას.

— არა! არა! — იუარა მიზამ, — თამადად სილიბისტრო უნდა იყოს.

— სჯობია მიზა იყოს, ცნობილი თამადაა. — სთქვა სილიბისტრომ, — მე ხშირად უნდა გავიდე გარეთ, იქით-აქეთ გავიხედო.

— მართალია! მიხას გაუმარჯოს! მიხას.

— ხმა ღეთისა და ხმა ერისათ! — გამოაცხადა მიხამ და წამოდგა. ჰქია ასწია და დაიწყო: — ძმებო! ამხანაგებო!

— ოჰ, რა კარგი სიტყვაა... ამხანაგებო! — და შმაგომ შექუშული მუშტი მუხლზე დაირტყა.

ეროვნული

— ამხანაგებო! ეს ჩვენი შეხვედრა, დმერთმა ჰქნას! მუხტუფრისა იყოს. ღღეს ყველა ხედება ახალ წელს. ჩვენც ვხედებით ჩვენს რიგებში, ჩვენს ოჯახში. ძველმა წელმა რაც მოგვიტანა, ვიცით. ვუსურვოთ ერთმანეთს ახალმა, ათას ცხრაას ორმა წელმა, ახალი გამარჯვება და ბედნიერება მოგვიტანოს. ძველ წელს ჩვენ პირველად მოვისმინეთ ამხანაგ სოსოსაგან პირველი მართალი სიტყვა ჩვენს მდგომარეობაზე, და იმაზე, თუ როგორაა აწყობილი ეს ქვეყანა...

ყველამ სოსოზე გადაიტანა თვალი.

მიხამ განაგრძო:

— ხომ ვახსოვთ რუსთაველმა სთქვა:

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

აი, ეს სიმართლე მოგვიტანა ჩვენ მასწავლებელმა. მოგვიტანა გაბედულად. მაშ, ჩვენც ვახედეთ გაბედულნი! შევხედეთ ახალწელს გულლიად. მრავალჯამიერ იყოს ჩვენი შეხვედრა! სილიბისტროს გაუმარჯოს.

— მრავალ-ჯამიერ! მრავალ-ჯამიერ! — მოისმა მზიარული ვეკაცური სიმღერა.

— ერთი წვეთი არ დასტოვოთ! — ვასცა განკარგულება თამადამ.

— ასეთი ღვინო გურიელსაც არ ექნება ღღეს, — იხუმრა სილიბისტრომ.

— მართლაც რომ არ ექნება, — ჩამოართვა სიტყვა მირიანმა... — ბევრი ვაგირევია წყალი.

— ხა... ხა... ხა...

— ყველანი ვართ? — იკითხა მასწავლებელმა.

— როტშილდი, მანთაშევი, სიდერიდი, კაპლანი, რიხნერი, სტამბა, რკინის-გზა... — ჩამოთვალა სილიბისტრომ, — გეაკლია მართო გერონტი კალანდაძე.

— სადღეგრძელოს იტყვის ამხანაგი სოსო, — სთქვა თამადამ.

ყველამ ანთებული თვალები მიაპყრო მასწავლებელს.

შმაგი სმენად იქცა.

— ამხანაგებო! — დაიწყო მასწავლებელმა... — და ისე წარმტაცად, ისე ვასაგებად აავო სიტყვა, თითქოს საუცხოვოდ დაწერილი წიგნი გადაშალაო.

უსმენს შმაგი ამ საუცხოო წიგნს. იფურცლება ეს წიგნი, შრიალებს და მომჯადოებელი, ცხადი სურათები იშლება შმაგის თვალწინ. სურათები მუშათა დიდი, ძნელი საქმისა.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მუშების საქმემ ვაიმარჯვოს? ბრძოლა. ბრძოლა თვითმპყრობელობასთან.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ამ ბრძოლაში მუშათა კლასმა გაიმარჯვოს? ორგანიზაცია, დისციპლინა, მაშინ ადვილი იქნება ბრძოლა და გამარჯვება...

— ორგანიზაციას უნდა ყავდეს ხელმძღვანელი ცენტრი. საჭიროა დიდი სიფრთხილე, დიდი კონსპირაცია. მაგრამ სიფრთხილე და კონსპირაცია ლაზრობას როდი ნიშნავს. ვაჟკაცური სიფრთხილე — აი რა არის საჭირო. ხელმძღვანელ ცენტრში რჩეული და ამტანი ამხანაგები უნდა გვეყავდეს. ეს ხელმძღვანელი ცენტრი იქნება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბათუმის ორგანიზაცია, ჩვენი მომავალი ბრძოლთვის ერთგული ნიშატორი და მეთაური. ამიტომ შევიკრიბებით დღეს წრეების ხელმძღვანელები და მეთაური მუშები.

კარზე დააკაუნეს.

სილიბისტრო გავარდა გარეთ. სუფრა შეშფოთდა.

— არაფერია. ჩვენები საღარაჯოზე დგანან, — დაამშვიდა ალათიმ სუფრა, მაგრამ მაინც გაყვა კმარს.

სუფრამ ფერა იცვალა. მიზა გაბუნიაჰ ხელი დაავლო ჰიქას და შესძახა:

— მირიანს არ დაუღვევია მირიანს ვაჯარიმებ ერთი ჰიქითი!... — და დაიწყო სიმღერა:

„შე დავლიე! შენ დავლიე!
იმას არ დაუღვევია...“

— დალიე მეთქი, ჰიშვარდი, თორემ — ძმობას გეფიცები, მეწყინება, — და თეოფილე წამოდგა, — ქართულ სუფრას ჰობიანი ჰიქა არ შეშვენის.

ჰიშვარდიმ ჰიქა დასცალა და შესძახა:

— ალავერდი მირიანს!

სილიბისტრო შემოვიდა მოცინარი სახით. გვერდით გერონტი ედგა.

— აი, ეს ბატონი ყოფილა. თან დააგვიანა, თან აგვაწრიალა.

— უი, შენ კი რა გითხრა, გერონტი! — გული კი გაგვიხეთქე, — მიაყარეს აქეთ-იქიდან ახლად მოსულს, — რად დააგვიანე?

— შემოსწრებისა! შემოსწრებისა. — მიაძახა თამადამ, — ჩაის ჰიქა მოიტაო, ჩაის ჰიქა!

შემოსწრებულს სკამი არ ეყო, მიიწიეს, მიიწიეს და ტახტის ბოლოს დასვეს. დიასახლისმა ფართო სინზე მშრალად მოხარშული ძროხის ხორცი შემოიტანა.

— აა, ეს კარგია! — შესძახეს ალათის. — თამადა, დიასახლისის სადღეგრძელო არ დაგავიწყდეს!

— გვაპატიეთ, ქალბატონო ალათი! — მიუბრუნდა თამადა დიასახლისს. — ჩვენ დღეს სხვანაირი სუფრა გვაქვს, თორემ თქვენი სადღეგრძელო პირველად უნდა აგველო, წესისამებრ. ძმებო და ამხანაგებო, იმ აღამიანს გაუმარჯოს, ჰირში და ლხინში რომ ჩვენთან არის. დედა და ცოლი ბევრია ჰეყუნად, მაგრამ მეზრძოლი ამხანაგი, ქალი ამხანაგი, აი, ისეთი, როგორიც ქალბატონი ალათი და დესპინე შაფათაგაა, ცოტაა... აი, ასეთ ქალს გაუმარჯოს! ჩვენს დიასახლისს, ქალბატონ ალათის გაუმარჯოს!..

— განვაგრძოთ! — დაიწყო მასწავლებელმა ჰიქები რომ გამოსცალეს. — დაასახელებთ კომიტეტის წევრები...

შმაგი ადგა. ისევ დაჯდა. მოჭარბებული გრძნობები ეერ ეტეოდა მკერდში. ცხოვრება ორად გაიყო.

ერთი ნაწილი უკან დარჩა და ძველს წელს გაყვა. მეორე ნაწილი წინ გაიშალა და ახალწელს შეეგება. იმ ნაწილში, რომელიც უკან დარჩა, იყო

სიბნელე, დამცირება, უფლებობა, ყველფა და მონურად ქედის მოხრა. იმ ნაწილში, წინ რომ იშლებოდა, იყო მეორე ცხოვრება: მზიანი, ხიფათიანი, მაგრამ გმირული და სამართლიანი, ვაქცაური და მამადველი... ამ ცხოვრებას წინ მოუძღოდნენ მასწავლებელი და ის ამხანაგები, კომიტეტში რომ დაასახელეს.

— ბედნიერება ბრძოლაშია! გამარჯვება გაბედულებითაა! მასწავლებელმა კომიტეტის წევრებს და შუბლზე ჩამოსული თმები უკან გადაიყარა.

რწმენა, იმედი და ვაქცაური იერი მოეფინა ახალწლის სუფრას. მის გაბუნიათ ვერ მოითმინა, წამოვარდა, ხანჯალი ნახევრად ამოსწია, ისევ ჩააგო და შესძახა:

— დღეს შემდეგ ღმერთმა ნუ მომკლას ჩემს ლოგინში!

კრება შეიჩხა. ტალღასავით აქანდა. სიყვარულით, რწმენით და იმედით შეხედეს მასწავლებელს.

— გაუმარჯოს ბათომის კომიტეტს და მისს ხელმძღვანელს ამხანაგ სოსოს! ჩვენს ძვირფასს მასწავლებელს! — აღუღებულის ხმით სიტყვა ჩვეულებრივ დინჯმა სილიბისტრომ, — შენ ჩვენი ჩირადდანი ხარ, ამხანაგო სოსო! შენ პირველი ვარსკვლავი ხარ, რომელმაც გზა გაგვინათე... ჩვენ ჯურღმულში ვისხედით, მზის მოლოდინში ვიყავით... შენ ამოანათე და გზა გაგვინათე... იცოცხლე!..

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! — დასცეს ყიყინა.

— ახლა კი, ამხანაგებო, ჩვენი მასპინძლის სადღეგრძელო დაელოთ, — სიტყვა მასწავლებელმა. — ამხანაგო, სილიბისტრო! თქვენ სანდო, მოწინავე და საყვარელი ამხანაგი ხართ. თქვენ დაგაწინაურათ ქარხნის აღმინისტრაციამ. უბრალო მუშა იყავით და ნოქრად დაგნიშნათ. აღმინისტრაციას ეს თქვენი შრომის დაფასებისათვის როდი უქნია. ასე იციან კაპიტალისტებმა: მუშათა რიგებში რომ ნიჭიერსა და გაცლენიანს შენიშნავენ, მაშინვე დააწინაურებენ. ამას განგებ ჩადიან, რომ ნიჭიერ მუშას თავი მოუქონონ და მუშათა კლასს მოსწყვიტონ. არ წამოეგოთ ამ ანკესზე! იყავით მუდამ მუშათა კლასის ერთგული და მუშათა კლასისათვის მებრძოლი!

დალია და დაიწყო „ხასანბეგურა“.

— რა კარგად მღერის? — მოეწონა შმაგის და თავისი ძლიერი ხმა ააყოლა...

ფანჯარას მკრთალი სინათლე მოადგა. ჩინილაკზე მინის ათინათი აბრკვევილდა. აღათიმ დაწნული კალათა შემოიჩინა. კალათა სავსე იყო ფორთოხლებით.

შორს ცას მტრედისფერი აეკრა. ჩქარა იმ მტრედისფერს სინათლე შეეპარა. მზის მოლოდინში ჩემად იღეოდა ღამე. ახალი სხივი შემოიჭრა ოთახში, მასწავლებელს მიაჩერდა და შედგა.

მასწავლებელი ადგა, გაიღიმა და თქვა:

— აი, გათენდა კიდევ! ამოდის მზე. გწამდეთ, ამხანაგებო, ეს მზე ჩვენ გაგვინათებს!

ცა თანდათან წითლდებოდა.

ალისფერ სხივებში მოდიოდა ახალი წელი.

მას შემდეგ, რაც ბათუმის კომიტეტი არჩეულ იქნა, ბათუმში არალეგალურმა მუშაობამ ფართო ხასიათი მიიღო. სულ მოკლე დროში თერაპიტი ძლიერი წრე ჩამოყალიბდა, გაძლიერდა არალეგალური ლიტერატურის გავრცელება, დაარსდა სტამბა და პროკლამაციები მოეფინა. მათთვის უთასნაირ ხერხს მიმართავდნენ არალეგალური მუშაობის შესასრულებლად. ხან გოგორა პურს გულს გამოუღრღინდნენ და ბროშურებით ავესებდნენ, ხან საზღვარში ჩაალაგებდნენ პროკლამაციებს და ზედ დასვამდნენ წიწილებიან კრებს; ხან დაუთოებულ საცვლებში ჩაეცავდნენ აკრძალულ ლიტერატურას მრეცხავი ქალები. ხან შრიფტით გაივსებდნენ უბესა და კაბის კობას და მძიმედ მიაბიჯებდნენ ქუჩებში. შენიღბული მუშაობის ერთ-ერთ ხერხად ჯარობა და ბურთის თამაში იყო მიჩნეული. ეს ხერხი ძალიან მოსწონდა მასწავლებელს. აი, ახლაც, ივლიანე შეფათავასას არალეგალური კრებაა. მასწავლებელი წრეს ამეცადინებს. შმაგი და ნატალია ჭიშკართან სეირნობენ. დესპინე და გაიანე აივანზე სხედან. მინდორში, ხის ძირას, ივლიანე გააფთრებით უკრავს დოლს და არის ერთი გაბურებული ცეკვა.

ბოქაული ჩხიკვაძე ხშირად გამოჩნუბოდა ამ ჯარობაში. შეერეოდა ხალხში, თავის აგენტებს შეათვალთვარებდა. მაგრამ მათ არაფერ აქცევდა ყურადღებას. თითქოს აქ არაფერიცა განაგრძობდნენ თამაშს. დღეს კი თვითონ ჩიქოვანი მოზრძანდა ჩხიკვაძისა და არსენიშვილის თანხლებით.

— ეტლიდან არ ჩამოზრძანდა ისე გვიყურებს — გაიცინა თეოფილე. — გვიყურე, გვიყურე, დაგეფსო თვალები.

ჩხიკვაძე და არსენიშვილი მოთამაშეებს მიუახლოვდნენ.

არც ერთ მხარეს ნალამი არ მიუცია ერთმანეთისათვის.

— საჭიროა ჯგლითი! — მოძაზრა სილიბისტრომ და ხმამალა დასძახა: — აბა, ბურთი, ბიჭებო!

ივლიანემ მიატოვა დოლი. ჩოხის კალთები აიკაბიწა. ქალები განაპირდნენ. შმაგის ადგილი საგუშავოზე ვერამ დაიჭირა.

— ცოლიანი და უცოლონი! — დასძახა სილიბისტრომ.

ხალხი ორად გაიყო, ცოლიანები ცალკე, უცოლონი ცალკე.

— აიყარეთ იარაღი! — გასცა განკარგულება სილიბისტრომ.

ხალხმა იარაღი აიყარა და ერთ ალაგას დააწყო. სილიბისტრომ იარაღი აღათს გადასცა. შმაგის გაეხარდა, რომ მისი იარაღი ნატალიამ აიღო.

— საპატიო პირი გვინდა! — მოისმა ხალხში.

— ხაშიმა! ხაშიმა!

წესით ბურთი ყველაზე მოხუცს უნდა აევდო.

ლიანგს გამოეყო მოხდენილი, ლამაზი მოხუცი და შუა ალაგას დადგა. მას ბურთი მიართვეს. მოხუცმა ხელზე ასწონა ღიდი მძიმე ბურთი. მოიწონა.

ხაშიმამ თვალი გადაავლო მინდორს, ბურთი ხელში შეათამაშა, აავლია პაერში, დასძახა: — „ჰაჰააიტ!“ და განაპირდა. მისი როლი მუდამ ასე თავდებოდა.

— ჰაჰააიტ! — დასცა ყივინა მთელმა მინდორმა და უამრავი ხელი სწვდა ბურთს.

ბურთი უცოლოებმა შეჭკრეს და თეოფილეს გადასცეს. თეოფილე შესა-

ნიშნავი მორბენალი იყო. ბურთი ჩაბღუჯა და საოცარი სისწრაფით გაეჭანა ლელოსაკენ. ფეხდაფეხ მისდევდა შმაგი, დამხმარეთ. ამა მიუახლოვდნენ ლელოს. შმაგი ოდნავ გაეცალა თეოფილეს. თეოფილემ გადასცა ბურთი. შმაგი გაეჭანა ლელოსაკენ. ლელოსთან სამი კაცი იდგა. ბურთის ისე ზვერავენდნენ, როგორც არწივი კაკაბს. წამოვღა ბურთი ტრეფანტრელით. საცაა მიაღწევს ლელოს. მაგრამ სილიბისტრომ მოუჭრა ზნა და მის ბურთი და ისე ღონივრად გასტყორცნა, რომ შმაგიმ ალტაცებით შესძახა:

— ვაშა სილიბისტროს!

სილიბისტროს ღონე და სიმარჯვე განთქმული იყო. ბურთის თამაშში ტოლი არ ყავდა.

— ალათი, — უთხრა ალათის ნატალიამ. — შეხე, შენმა ქმარმა გაიტანა ბურთი.

— ალათიმ გაიღიმა. დესპინეს ახედა აივანზე. დესპინემ თვალით ანიშნა კიდევ მეცადინეობენო...

— სულ ასეა, ბატონო, — მიმართა ჩიქოვანს ჩხიკვაძემ — ბურთის გულისთვის თავს აკლავენ ერთმანეთს.

— ჯანაბას მაგათი თავი, — ჩაიქნია ხელი ჩიქოვანმა.

ეტლები გაბრუნდნენ...

— ჯარობას ახალი ათეული გამოეყო და სხვადასხვა ეზოდან სხვადასხვა კარიდან შევიდა მასწავლებელთან. მინდორში კი ისევ ისე ტრიალებდა ბურთი. ვინც იცოდა რაში იყო საქმე, გამოზოგვით თამაშობდა, ვინც არა და აკლავდა თავს...



— შმაგიმ მთელი დღე ქალაქში დაჰყო, ხან ბაღში, ხან სანაპირო ქუჩაზე, ხან ხეივანში, ეგებ ცირუს შეეხვედ სადმეო. შორიდან მაინც მოგვარაო თვალი. იცოდა, ბათომელ მოწაფეებს ზღვის პირას უყვარდათ სეირნობა.

დაჰყვა ზღვის პირას და ხეივანში მოხვდა. ერთი გრძელი მერხი შეათრია ბანანებში.

ზღვა ჩუმსა და უხარმარ ლურჯ მინდორს გავდა. მხოლოდ ნაპირზე, ხრეშით და კენჭებით სავსე კიდეზე, რაღაც მუღმივსა და აღხსნელს ბუტბუტებდა. თითქოს ერთი და იგივე მეორდებოდა დაუსრულებლივ, ერთი და იგივე ხმები წყლისა და ქვაბრეშისა. მაგრამ იმავე დროს რა სხვადასხვაობაა ხმებში? უყურებს შმაგი ზღვის თამაშს და ეერ ამორებს თვალს. ფერებიც უცნაურად აირია.

აი რამდენი ახალი ფერი გაწვა ზღვაზე. მზე ჩადის. ის ჯერ ნელა დაეშვა კამარაზე. შემდეგ თითქოს შეჩერდაო ზღვის კიდეზე, ფერიც კი იცვალა. ის ახლა მოყვითალო ვეებერთელა თვალს გავდა. თვალმა თითქოს გაუღიმა და ჩაცურდა ზღვაში. იმ, სადაც მზე ჩაცურდა, ერთხანს აწითლებული იყო ცის კიდური. შემდეგ რამოდენიმე ფერმა შესცვალა ერთმორე: ყვითელი, მწვანე, ლეგა, ლურჯი და კიდევ ისეთი, რომელიც შმაგის არ ენახა და სახელიც არ იცოდა. ამ ფერებში ღრუბლები სულ ფანტასტიურ სახეებსღებულობდა. ხან კაცისას, ხან ცხენისას, ხან უნაგირისას. ერთჯან ერთი ღრუბელი ქალის თმებს დაემსგავსა. შმაგის გაეცინა და ცირუ მოაგონდა. შესტობა ოცნებაში.

არ იცის შმაგიმ რამდენ ხანს იოცნება. რალაც ხმაურობამ გამოაღვიძა. ყური დაუგდო: ქალი კისკისებდა.

შმაგი წამოჯდა. მთვარეს შეხედა. მთვარე იყო ფართო და თეთრი, ვილაც ოფიცერი და ქალი მახლობელ მერბზე ჩამოსხდნენ. ოფიცერმა ერთხანს იჩურჩულა. ზოლოს ხმას აუწია.

— ხედავთ რევოლვერს? თავს მოვიკლავ თქვენს ფერხთა ქვეშ!

— დატენილია? — ჰკითხა ქალმა კისკისით.

— ცირუ! — შეჰყვარა შმაგიმ.

— ნუ ხუმრობთ! მე ოფიცერი ვარ! — და ოფიცერმა ბავშვივით აიტაცა ცირუ.

— მომატყუეთ, კაპიტანო? არა გრცხვენიათ? — იბრძოდა ცირუ — ეს ძალადობაა! ამა, ესეც თქვენ! — და რაც ძალღონე ჰქონდა სილა გააწინა ოფიცერს.

შმაგი წამოხტა. კაკტუსის ჩირგეს გადაახტა. ოფიცერმა მაშინვე უშვა ხელი ქალს და შეუბღვირა შმაგის:

— რას დაეთრევი აქ?

— ქალს რომ მივეშველო არავის შეუძლია ამიკრძალოს, — უპასუხა შმაგიმ ოფიცერს და ცირუსკენ მიიხედა.

— შმაგი! — შესძახა ცირუმ სიხარულით.

სანამ ოფიცერი გონს მოვიდა ცირუ და შმაგი გაჰქრნენ.

ხეივანში ჩურჩულობდნენ გრილი ზღვაური და დაგვიანებული წყვილები.

ერთხანს ცირუ და შმაგი ჩუმად მიდიოდნენ. ცირუს რცხვენოდა და თავჩაქინდრულად მიაბიჯებდა. მთელი ტანით მოშვებულიყო და შმაგის ხელს მძიმედ დაყრდნობოდა. შმაგის უხაროდა ცირუს სიახლოვე და შეაშველა მკლავი. პალმებისა, მაგნოლიებისა და ბანანების ტოტებში ხშირად იჭვრიტებოდა მთვარე და მოვერცხლული ხეივანი ირმის ნახტომს გაედა. ერთგან მაგნოლიის ფართო ტოტებს მძიმედ გადაეხურათ ხეივანი და პატარა არეში მთვარის სხივები სირმასავით ჩამოკიდებულიყო. შმაგი შედგა სინათლის სვეტთან და ცირუს ახედ-დახედა. მთვარის სხივებს ცირუს შავი თმები დაევერცხლა და ცირუ გვეებერთელა ციციანთელას გაედა.

— შმაგი, ჩემო შმაგი, რა მადლობელი ვარ შენი, — გაიღიმა ცირუმ მორცხვად და ფართო, ხშირი, თეთრი კბილები გამოაჩინა. — რა ცუდია, როცა კაცში მოტყუევები?

— მართალია, ცირუ! დიდი სიფრთხილეა საჭირო მეგობრის შესარჩევად! განა ყოველთვის კაცია ადამიანი?..

— შმაგი, ვიყოთ ისეთი მეგობრები, როგორც წინათ, სოფელში? — გულწრფელად შესთავაზა ცირუმ. — მითხარი, როგორ ცხოვრობ, რას აკეთებ?..

შმაგი კვლავ დააჩერდა სინათლის სვეტში გახვეულ ცირუს. ისეთი მახლობელი, ისეთი გულწრფელი იყო ცირუ, თითქოს ეს სინათლის სვეტი მისი სულის სიღრმიდან ამოდისო...

ნელა დაიძრნენ და შმაგიმ ფრთხილად, მოიარებით უამბო ცირუს თავისი ცხოვრების ზნალი ამბები. ოღონდ მასწავლებლის სახელი ერთხელაც არ ახსენა. ასე გამოდიოდა, რომ შმაგი წელზე ფეხს იმიტომ იღვამდა, იმიტომ მეცადინებდა, რომ ოდესმე ცირუსაქენ გზა გაეკათა...

კაპიტანი ესტატე ანთაძე ოფიცერთა იმ უმრავლესობას ვკუთვნიდა, რომელსაც ბრძვევილა პაგონების გარდა არავითარი სულიერი გულბიდება არ გააჩნდა.

— მე მეფის მუნდირი მაცვია... მე მეფის პაგონს ვკუთვნი... მე მეფის ტახტის მცველი ვარ...—ამას უნერგავდა ანთაძე თავის ჯარისკაცებს პლაცზე, ყაზარმებში, ბარაკში. ამას იქით არც მისი ქეუა, არც გაქანება არ მიდიოდა.

მისი ოცნება პოლკის უფროსობა და პოლკოვნიკის ჩინი იყო. ფიქრობდა ისე, როგორც ფიქრობდნენ უფროსები. მოსწონდა ის, რაც მოსწონდა უფროსებს. სძულდა ის, რაც სძულდა უფროსებს.

ერთადერთი, რაც მას დამოუკიდებლად მოეწონა და უფროსის დაუთხბავად ამოირჩია, ცირუ იყო.

ცირუ ჩიქოვანის ნათესავი იყო. ჩიქოვანის შემწეობით კი კარიერის გაკეთება ძნელი არ იყო. თვით ჩიქოვანს ცირუს საშუალებით დაუახლოვდა ანთაძე. ჩიქოვანის საღამოებზე დაუახლოვდა სამხედრო გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეს პოლკოვნიკ დრიაგინს. ბედმა გაუღიმა და თვით მანთაშევიც კი გაიცნო ერთ საღამოზე.

და როგორ გავხარდა ანთაძეს, როცა პოლკოვნიკმა დრიაგინმა გამოიძახა და უთხრა:

— მათი აღმატებულების გენერალ სმაგინის განკარგულებით საჭიროა ბათომის გაძლიერებული დაცვა. რევოლუციონერებმა თავი წამოყვეს. უნდა ზომები მივიღოთ. მუშათა უბნებში შემოღებულია გაძლიერებული დაცვა. პოლიციამ ითხოვა და უნდა დავახმაროთ ჯარი. თქვენ განდობთ ამ დიდ საქმეს. გაატარეთ ჯარი ქუჩაში ხალხის დასაშინებლად.

— მესმის, ბატონო პოლკოვნიკო!

ქუჩაში გაისმა ბარაბანის ბრახუნი და ასეულის შეწყობილი ფეხის ყრუ ნაბიჯი. კაპიტანი ანთაძე ხშირად შესძახებდა ჯარისკაცებს:

— ფეხი მაგრად! მაგრად ფეხი!

წრემ ის-ის იყო ახლადდაბეჭდილი პროკლამაციების გარჩევა გაათავა, მასწავლებელს მიაჩერდა.

— რამდენიმე დღეა, რაც ზედიზედ გამოჰყავთ ჯარი, უწინ ასე არ იყო,—სთქვა ილარიონმა.

— შენ ამბობ თვითმპყრობელობას ვებრძოლოთ,—მიუბრუნდა მასწავლებელს სამსონა.—როგორ ვებრძოლოთ, სად გვაქვს იარაღი?

მასწავლებელმა ხელი მოჰკიდა სამსონას, ფანჯარასთან მიიყვანა, ფარდა გადასწია და აწეული ხიშტები აჩვენა.

— აი, იარაღი... და ის იარაღი ჩვენი გახდება.

— ეჰ, ეს როდის იქნება?

— საჭიროა ბრძოლა და ესეც მალე იქნება.

უცებ მოურიდებელი კაკუნი მოისმა.

— მე ვარ, მე! სილიბისტრო! გააღეთ!

ოთახში აღელვებული სილიბისტრო შემოვიარდა.

— ბოდიშო, რომ უპაროლოდ დაგეკაცუნე. მაგრამ არაჩვეულებრივ ამ-
ბავია. როტშილდის ქარხანაში განცხადება გამოაკრეს წარმოების რე-
რებთ და მეშვებს ეითხოვეთ. უკვე გამოკრულია 389 კაცის სია. სულ ორ-
განიზაციის წევრებია. მაინც, როგორ შეურჩევიათ იმ მამადღმარებელს
ყველამ მასწავლებელს შიდაყრო თვალი. მასწავლებელი ადგა.

— ზომებს იღებენ წინასწარ. სურთ რევოლუციური სულის ჩაქრობა
ქარხნიდან. არსებითად ეს ბრძოლის დაწყებაა...

შეჯგუფდნენ მასწავლებლის გარშემო. უყურებდნენ თვალში, როგორც
მებრძოლნი სარდალს.

— შეტევაზე გადმოდიან. მივიღოთ ბრძოლა!—მოკლედ მოსჭრა მასწავ-
ლებელმა.



შმაგის ჯერ კიდევ ეძინა, როცა ფანჯარაზე ცილიამ მაგრად დააკაკუნა.
ადგა, ფარდა გადასწია. ნატალია იდგა და სევდიანი თვალებით უკერებ-
და. შმაგი დაფაცურდა, საჩქაროდ ჩაიძვია.

— მობრძანდი, ნატალია, მობრძანდი!

— რა გაძინებს, ბიჭო! მთელი ბათოში ფეხზე! წუხელის მოწინავეები
დააპატიმრეს, 32 კაცი.

შმაგი ჩაფიქრდა. იგრძნო, რომ ლაპარაკის დრო გათავდა. დაიწყო სხვა
რალაც, მაგრამ ამ ახალში კარგად ვერ გარკვეულიყო. ეწყინა ამხანაგების
დააპატიმრება, მაგრამ ისიც ეწყინა, რომ თავად არ დააპატიმრეს. მაშასადა-
მე, მე არ მთელიან დააპატიმრების ღირსად, არა ვარ მეთაურებში... თან
ბუნდოვანად ისიც კი უხაროდა, რომ თავის ოთახში იყო და არა სადღაც
ბნელ ოთახში.

— ახლა არ იტყვი დღეს რა მოხდა?—განაგრძო ნატალიამ,—ოთხასამდე
მეშა გაემართა პოლიციის სამმართველოსაკენ, რომ გაანთავისუფლონ და-
პატიმრებულები. მე დესპინემ გამომაგზავნა. მასწავლებელი გიბარებთ შენ
და თეოფილეს.

— სად ვნახო? იმისი ბინა ორ-სამ კაცმა იცის. ისინიც თუ დააპატიმრე-
ბულები არიან?

— თეოფილე გამოგივლის და გაიგებ. აბა, მე თეოფილეს მოვსძებნი,
მშვიდობით, შმაგი!

ნატალიამ ნაწნავები ყელზე შემოიხვია და გამოემშვიდობა. კარებთან
შეჩერდა.

— ჰო შმაგი. ყოველ შემთხვევისათვის იცოდნე: ამ დილას მე შენთან ვა-
ლის მისაღებად მოველი. ხალათი რომ შეგიკერე, გახსოვს? შენ უპირო მო-
ვალე ხარ! არ იხდი ვალს.

შმაგის ფერი ეცვალა. როგორ? აქი ნატალიამ ფული არ აიღო მაშინ?
ახლა რატომ ითხოვს ფულს? ვაი, თუ არ ეყო ფული?

— რანაირი ხარ?—გაედიმა ნატალიას.—ამას კონსპირაციისათვის გეუ-
ბნებენ... დაგაეიწყა კონსპირაცია? თუ შენ დაგიპირეს ან მე, ასე უნდა
ფუთხრათ. გაიგე? ვალის მისაღებად იყო თქო... სულელი!..

ნატალიამ უცებ თავისი თეთრი, პატარა, ნემსით დაჩხვლეტილი ხელი ქორხორში ჩაუყო შმაგის, მისწია, მოსწია და გავარდა კარში.

შმაგი ერთხანს რეტდასხმულივით იდგა. ეტლის ევენების კლარუნმა გამოარკვია. ეტლი ჰისკართან გაჩერდა. ვილაც გიმნაზიელი ქალი გაუმობტა და ეზოში შემოიბრინა.

— თო!—გაუყვირდა შმაგის.—ცირუ!

შმაგის ისე ვერ წარმოედგინა ცირუს მოსვლა თავის ოთახში, როგორც ვერ წარმოიდგენდა ცთომილი ვარსკვლავის შემოჭრას თავის დანჯარაში. ეტყობოდა, ცირუც შეშფოთებული იყო, სახეზე ხშირად ეცვლებოდა ფერი და ტუჩები უთრთოდა.

— შმაგი, აი რატომ მოველი,—დაიწყო ცირუმ.—წუხელის შენი ამხანაგები დააპატიმრეს! ამ დილით დრიაგინი იყო ბიძაჩემთან და უთხრა: დანარჩენი შენიშნულებიც დაევიწროთ და ეტაბით გავაგზავნოთ. შენი გვარიც დაასახელა. თავს უშველე.

— გაფრთხილებისათვის მადლობა, მაგრამ მე არსად წავალ,—ამაყად უპასუხა შმაგიმ.—ახლა ჩვენ ბრძოლას ვიწყებთ და მე ამხანაგებს ვუღალატებ? განა შენ ასე მიცნობ?

ცირუს მოეწონა შმაგის ამაყი პასუხი და მზრუნველობით უთხრა:

— გარდა ამისა ბიძაჩემი და დრიაგინი თქვენი მეთაურის ჯულაშვილის გვარს ასახელებდნენ? გააფრთხილე ისიც.

ეს სთქვა, მოტრიალდა და გავიდა. გასვლისას გრძელი ნაწნავის ბოლო კარის ხეტარს მოხვდა და ხეტარს რამდენიმე თმა შერჩა. შმაგმ მოწიწებით ჩამოხსნა თმები და გულისჯიბეში ჩაიღო.



პოლკოვნიკ დრიაგინის თვალი შეჩვეული იყო მწყობრად დარაზმულ აღაპიანებს. ამიტომ ყოველთვის უძნელდებოდა უმწყობრო ხალხის დანახვა. ის ვერ იტანდა იმას, რომ სამოქალაქო ხალხი უწესრიგოდ დადიოდა: ზოგი თავდალუნული, ზოგი მოწყენილი, ზოგი მხიარული, ზოგი ხელგზის ქნევით. ასეთ ხალხს რომ დაინახავდა, ენაზე ადგა:

— შანტრაპა!

აი, ახლაც, პოლიცემისტრის დაქინებითი მოთხოვნით ის იძულებული გახდა ბათომის ციხის სამმართველოში გამოცხადებულყო. ახ, რა სიამოვნებით დაიყვირებდა—„დაიშალენით, თქვე მამაძაღლებო!“ მაგრამ გუშინ თვითონ გენერალი ესაუბრა მუშებს. დრიაგინმაც უნდა მოუსმინოს...

— რა გინდათ?

— გამოუშვით დაპატიმრებულები!

— სანამ გუბერნატორი არ ბრძანებს და სანამ მუშაობას არ დაიწყებთ, არ შეიძლება.

დრიაგინი თვალის ცეცებით ეძებდა ვინ იყო მეთაური, ვინ ვის აქებებდა. მაგრამ მეთაურად, წამჭეზებლად არავინ სჩანდა. ყველანი ისე იდგნენ, თითქოს უდავო და გადაუდებელ საქმეზე მოსულიყვნენ.

— ან გამოუშვით დაბატიმრებულები, ან ყველანი დაგვაბატიმრეთ,—გა-
წაცხადეს მუშებმა.—ჩვენ ყველას ერთი საქმე და ერთი გზა გვაქვს,

— რაინდობას იჩენენ, დაგვაბატიმრეთო,—სარკასტულად გაიღიზნა დრია-
გინმა და დაცინებით უპასუხა,—პოეაღუსტაი..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბნელი ღამეა. კომიტეტის წევრები და გამოწვეული მუშები თითო-
თითოდ გამოდიან სიბნელიდან და ჩიტის ნაბიჯით ამოდიან კიბეზე.

დომენტი ვადაქკორია თვითონ უღებს კარს.

— მასპინძელი ვარ. მტერსა და მოყვარეს პირველად მე უნდა შევხედვო,
ამბობს.

გულის ფანტკალით აკვირდება შემოსულებს შმაგი. ვაი თუ ვინმე დაიჭი-
რეს გზაში და დააქლდეს სხდომას. არ იფიქროს მასწავლებელმა, რომ შმა-
გიმ არ გადასცა დაეალება. ბოლოს როცა უკანასკნელი მოწვეულა შემო-
ვიდა (ბეგლარ მელუა), შმაგიმ თავისუფლად ამოისუნთქა. მაღლობა
ღმერთს, ყველანი მოვიდნენო.

— ამხანაგებო!—დაიწყო მასწავლებელმა—ჩვენი ამხანაგები სრულიად
უდანაშაულოდ დააბატიმრეს. მაგრამ პროლეტარიატმა უნდა აჩვენოს მთაფ-
რობას, რომ ძალა მასაც აქვს, პროლეტარიატს. ჩვენი ძალა ჩვენს ერთო-
ბაშია. ხვალ მთაფრობამ უნდა დაინახოს, რომ როტშილდის მუშების გა-
ფიცვა მართო როტშილდის მუშების საქმე როდია... როტშილდის მუშების
გაფიცვა ყველან მუშას ეხება. ამიტომ ხვალ მთელს ბათომში უნდა შეჩერ-
დეს მუშაობა. უნდა გამოცხადდეს პროლეტარული სოლიდარობის გაფიც-
ვა. მოვაწყოთ ძლიერი პოლიტიკური დემონსტრაცია, და დაბატიმრებულე-
ბი ძალით გავათავისუფლოთ. ვაჩვენოთ მთაფრობას, რომ გვაქვს ძალა...

ყველამ ერთმანეთს გადახედა. დღემდე წარმოებული აგიტაცია თუ პრო-
პაგანდა ზოგს სიმართლისათვის მოსწონდა, ზოგს ვაჟაკობისათვის, ზოგს
სიახლისა და კეთილშობილური მიზნებისათვის. იცოდნენ, რომ ბრძოლა
მოხდებოდა. მაგრამ როდის მოხდებოდა ბრძოლა, ეს არავინ იცოდა. ზოგს
წიგნში წაკითხულ ამბავებით ეჩვენებოდა ყველა ეს ამბები და თავი მოთხ-
რობის გმირად მოქონდა. ახლა კი, ყველაფერი ის, რაც ასწავლა მასწავ-
ლებელმა, საკუთარი ცხოვრების წიგნივით გადაიშალა. ყველაფერი ის, რა-
ზედაც ფიქრობდნენ, ოცნებობდნენ, თვალწინ დადგა, თითქოს ამბობდა:
აბა, აქამდის რომ ხმალი ლესეთ, ხომ ალესეთ? მაშ დაჰკარით!.. და იგრძ-
ნეს ის, შორეული, მოახლოებულად. შმაგიც ამ ფიქრებიდან დომენტის შე-
ვითხვამ გამოარკვია:

— პოლიტიკური დემონსტრაცია და ძალა, ე. ი. ბრძოლა მთაფრობა-
თან, აშკარა ბრძოლა, ქუჩაში?

— დიახ, აშკარა ბრძოლა მთაფრობასთან—დაემოწმა მასწავლებელი.

— არა! მე ამისი მომხრე არა ვარ!—თქვა დომენტიმ და კრებას გადა-
ხედა—ვეუადოთ გუბერნატორს. ჩემის აზრით ზედმეტია დემონსტრაცია.

შმაგის ეუტხოვა დომენტის სიტყვა. უნდოდა წამოეარდნილიყო და სცუ-
პოდა დომენტის: რას ამბობო, რა დროს უკან დაბეჯაო, აქამდე სულ

ბრძოლაზე არ ვლაპარაკობდითო? მაგრამ შმაგი ყველაზე უმცროსი იყო და მოერიდა გამოსვლას. ენახოთ, ჩემზე უფროსები რას იტყვიანო.

— რას ამბობ, დომენტი? შეგეშინდა?—უთხრა ილარიონმა.

— მართალია, შიში რას ჰქვიან?—მოისმა აკეთ-იკით.

მასწავლებელი ადგა და დაიწყო დინჯად (შმაგამ შეატყუებდა, მასწავლებელი თავს იჭერდა, თორემ გაბრაზებული იყო).

— განა შეიძლება მუშა მეფის მთავრობის შემყურე იყოს? განა სანდოა მთავრობა? რატომ იმარჯვებდა მთავრობა დღემდე? მთავრობა დღემდე იმარჯვებდა იმიტომ, რომ მუშათა კლასის რიგებს არღვევდა. დაქაქსულ მოწინააღმდეგეზე კი თოლია ბატონობა. ჩვენი საბას არავი არ გახსოვთ? მაშამ სიკვდილის წინ შეილებს ისრები მოატანინა. შეპკრა ერთად, მოსწია მუხლზე, ვერ გასტეხა. დააცალკევა, და თითო-თითოდ ყველა დაამსხვრია. აი, შეილებო, ხომ ხედავთო, სანამ ერთად იქნებით მტერი ვერას დაგაკლებთ, დაიშლებით და დაგამტყრევთო, ძალა ერთობაშიაო... ასეა აქაც. თუ ჩვენ ერთმანეთს მხარი არ დავუჭირეთ, მტერი დაგვძლევს. თუ ერთად ვიქნებით გავიმარჯვებთ. მუშათა კლასის ძალა ერთსულოვნობასა და მთლიანობაშია. რევოლუციონერი ბრძოლას არ უნდა შეუშინდეს.

— შიში აქ რა მოსატანია, მაგრამ მაინც რომ რამე მოხდეს?—უპასუხა დომენტი.

— ის მოსატანია, რომ შენ გეშინია,—უთხრა მასწავლებელმა.—შენ, დომენტი, არასოდეს არ იქნები რევოლუციონერი..

— შეიძლება მსხვერპლი მოჰყვეს პოლიტიკურ დემონსტრაციას!

— სამაგიეროდ ქვეყანა გაიგებს, რომ თვითმპყრობელობა—კაპიტალიზმის დამცველია. ხოლო თვითმპყრობელობა იმას გაიგებს; რომ მუშათა კლასი უენო პირუტყვების გროვა არაა, არამედ მებრძოლი და მოაზროვნე ძალაა. რომ წავიდა პირუტყვული მოთმინების დრო. რომ მუშათა კლასს შეუძლია თავისი ღირსებისა და ინტერესების დაცვა... ვინაა მომხრე დემონსტრაციისა?

დომენტისა და ბეგლარის გარდა ხელი ყველამ ასწია.

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ შმაგი კომიტეტის წევრებთან ერთად თანაბარივით წყვეტდა საკითხს.

V

წყნარი და მშვიდობიანი ბათუმის ქუჩები დილიდანვე უცნაურად ახმაურდა. ხმაურობა როტშილდის ქარხანასთან დაიწყო, თანდათან გაიზარდა და საერთაშორისო საპატიმროსკენ გაჰყვა მრავალათასიანი ხალხის მღვლეარე და მრისხანე ნიაღვარს. გზა-გზა ეს ნიაღვარი თანდათან მატულობდა, ემატებოდა სივრცე, განი, ღონე. მისმა მოულოდნელობამ და მრისხანებამ ქალაქის სამშვიდე შეარყია, სახლებში, დაწესებულებებში, მაღაზიებში შეიბრინა და უხილავი ხელით გარეთ გამოშალა ხალხი.

დემონსტრაციას ორი მეთაური მიუძღოდა: თვითღვე გოგიბერიძე და მიქელ ხირიშიანი. ორივე სუფთად, კოხტად გამოწყობლიყო, თითქოს ქორწილში მიდიანო. მათ მორიდებულ სიახლოვეზე მიყვებოდა შმაგი.

— რამდენი ვიქნებით?—ჰკითხა თვითღვემ შმაგის, როცა დემონსტრაცია პუშკინის ქუჩაზე გაიშალა.

— მე რიგები ჩამოვიარე და ჩემის ანგარიშით ექვსათასზე მეტი ვიქნებოთ, — უბასუბა შმაგიმ.

— კარგია, კარგი — მოიწონა თეოფილემ და რიგებს გადასმა — წესრიგზე, ამხანაგებო! მწყობრად!.. აბა, სიმღერას სამსონა, ვარსკვლავისა ვაქცაქურმა სიმღერამ სისხლი ააჩქროლა და ფეხი აჩქარე-ვლევამ სტვენა დაიწყო, ვიღაცა აყვა და ასე სტვენით, სიმღერით ხალხის ნიაღვარი საეტაპო ყაზარმებისაკენ გაექანა.

ტროტუარზე უამრავი ხალხი გამოფენილიყო. მოსახვევში შმაგიმ დაინახა ნაცნობი სახეები: დესპინე, ალათი, გაიანე, ნატალია, ლიზა, ატატო, ვერა, ნინუცი, ბაბილინა. ქალები ტროტუარით აედევნენ მეტროლ ამხანაგებს. მუშათა რიგებს ხალხის შეეფრქვია, სიმღერა გალამაზდა და თითებმა უღვაშები აგრიხეს. შმაგის გუშინდელი დილა გაახსენდა და გაუცინა ნატალიას.

— შმაგი, გენაცვალე, სადაა ის? — ჰკითხა ნატალიამ.

— აი, ის... მოწინავე რიგებში...

ნატალიამ შურით გადახედა იმ რიგებს. სულ შერჩეული ვაქცაქები ენვიენენ გარს მასწავლებელს: სილიბისტრო, პორფილე, ანდრო ქიშვარდი, კოტე, გერონტი, ილარიონი, დარისპანი, მიხა, ვართანა, ხაჩიკა...

დემონსტრაცია საეტაპო ყაზარმების მოედანზე გაიშალა. წითელი დროშა მსაჯულივით მიადგა საეტაპოს. ფანჯარას პატიმრები მოაწყდნენ. შმაგიმ დაინახა მირიანი, ტარიელი, ივანე, ოპანენა.

— ძმებო! გამარჯობათ, ძმებო! — შესძახეს დემონსტრაციიდან პატიმრებს.

— ძმებო! გაგვათავისუფლეთ, ძმებო! — გადმოსძახეს პატიმრებმა.

შმაგი აენტო ეს სიტყვები რომ გაიგონა და ტროტუარისაკენ გაიწია. უცებ ცირუს შეეფეთა, გაეხარდა და ამაყად გასწორდა წელში. იცოდეს ცირუმ, რომ შმაგის არ ეშინია მეფის მთავრობისა. ნახოს ცირუმ, რას იზამს დღეს შმაგი... ცირუსთან ინტელიგენტები იდგნენ. შმაგიმ ცირუს თავი დაუქრა და მათ საუბარს ჯერი დაუგლო.

— ეს, ძმაო, საკვირაო სკოლის ამბავი არაა, — უთხრა ერთმა ინტელიგენტმა მეორეს. — აქ თავდება ზოოლოგიასა და ასტრონომიაზე ლექციები და იწყება რევოლუცია.

მეორემ თავი დააქნია და დაუმატა:

— მიკვირს, რა დაემართა ბათუმის მუშებს? ზოგ მათგანს პირადად ვიცი. საკვირაო სკოლაში დადიან... მიკვირს ასეთი დარაზმულობა, ასეთი ორგანიზაცია. ეს ხომ პოლიტიკური დემონსტრაციაა! აშკარა პოლიტიკური გამოსვლა... ვიღაც ძლიერი და გაბედული მუშაობს... ამდენი ათასი მუშა რომ ბრძოლის ველზე გამოიყვანა და მერე როგორ... ყველას სჯერა თავისი ძალისა.

შმაგი წამსვე მოტრიალდა, მასწავლებელთან მივიდა და ინტელიგენტების საუბარი გადასცა. მასწავლებელმა გაიღიმა:

— მიხედარან! მოდის რევოლუცია...

— დრიაგინი! დრიაგინი! — გაისმა ამ დროს ხალხში.

პარმალზე დრიაგინი გამოჩნდა და თევზის ცივი თვალებით გადახედა ლიანგს. დილები, პაგონები, ხმლის ვადა და ბალთა მზეზე ულაპლაპებდა.

— გაწმენდილი სამოვარეოთ ბზინავს მამაძალი, — იხუმრა ანდრო შანიძემ და რიგებში სიცილმა ჩაირბინა.

თოფილემ უღვაშებზე გადაისვა ხელი, წელში გასწორდა, სატყეარი მოირგო და დამტკრეული რუსულით უთხრა:

— გაათავისუფლეთ პატიმრების რატომ არ ათავისუფლებს მანუა?

— ახლავე გაათავისუფლეთ! — რიხით დაუმატა მიქელს.

— განთავისუფლება არ შეიძლება, — უპასუხა დრიაგინმა. — ვინც სოფლიდანაა ეტაპით გადავგზავნი, ვინც ბათუმელია დავსჯით. თქვენ კი დაიშალენით!

შმაგი დაწინაურდა და ხმამაღლა, რომ ცირუს გაეგონა, შესძახა დრიაგინს:

— არ დავიშლებით თუ არ გამოუშვებთ! ძალით გავათავისუფლებთ!

ცალი თვალით მიაჩერდა ცირუს. ეტყობოდა, ქალმა გაიგონა შმაგის შეძახილი და გაუღიმა მას. ამ ღიმილმა იმდენი ძალა შემატა შმაგის, რომ იგი ახლა მარტოდმარტო ეცემოდა ციხეს.

— ძმებო! ამხანაგებო! გაგვათავისუფლეთ! — მოისმა თანჯრებიდან და გამოწვილილ ხელები ცხურს გადმოეკიდა. რომელიღაც ხელი წვეტიან ცხურში გაეჩხირა და საცოდავად ფართხალედა. თითქოს ღველფი დაყარესო დენთით საესე კასრს, ისე ატორტმანდა ხალხი, იგრიალა და ციხის ყარებისკენ გაიწია.

— ჯარი მოდის! ჯარი! — გაისმა ხალხში.

შმაგიმ მიიხედა. ელექტრონის ქურჩის შესახვევიდან ოდესის ქურჩაზე ჯარი გამოვიდა. წინ ქურჩანა ცხენზე კაპიტანი ანთაძე მოუძღოდა. ჯარის გამოჩენამ პოლკოვნიკ დრიაგინს რიხი შემატა. ჯარმა რომ გამოწყრივება დაიწყო ხალხში გაბრაზებამ იმატა. აღრინდელი ხალხისი სიძულელია და ბრაზის თინმა შესცვალა.

მოედანი ერთხანს უსიტყვოდ იყო. ყველამ ერთმანეთს გადახედა.

დესპინემ თვალით მოძებნა ქმარი, გაუცინა და რიგებში შეერია. გაიანემ მანდილი გაისწორა. ნატალიამ უთხრა:

— „გლეხი კაცის ისტორიიდან“ გამახსენდა ქალების სიტყვები: „მანდილს წამოვიდებთ და კრილობებს შეგხვევთ“...

— გველი კი დაგეკიდა მაგ ენაზე, ეგ რა სთქვი? — გაუწყრა გაიანე, შეიკრა მანდილი და ქმრისკენ გასწია. ვერა ლომჯარიამ ძმები მოძებნა. მაგდანამ ქმარს დაუწყო თანჯრებში ძებნა, მოძებნა, ხელი დაუქნია, გაუჭინა, ერთხანს უყურა ქმარს და მერე რიგებში შეერია.

იტატო მამიას ეძებდა.

— აგერ მამია! — უთხრა ფეფომ. — ვერა ხედავ? ჩემი ნამზოც მანდაა. ნამზო! მამია! მოდით აქ!..


ნამზომ და მამიამ მოიხედეს, ხელები დაუქნიეს, მაგრამ რიგებიდან არ გამოვიდნენ. ნამზო და მამია შვლის ნუკრებივით ჩანდნენ ამ ლომების ჯარში. დედები ჩადგნენ შვილების გვერდით.

მასწავლებელი წინა რიგებში ჩადგა და მიმართა დრიაგინს:

— უკანასკნელად გეუბნებით — ან გამოუშვით ჩვენი ამხანაგები, ან ძალით გავათავისუფლებთ!

შმაგიმ იგრძნო, რომ ახლა დადგა გადამწყვეტი წუთი. იგრძნო დრიაგინ-

მატ. მაგრამ დრიაგინის ყავდა ჯარი, ჯარს ჰქონდა თოფები. და დრიაგინმა ცივად უპასუხა:

— არ გავათავისუფლებ! დაიშალენით, თორემ გაგრეკავთ! გაგრეკავთო?...


— დაჰკარიათ ძირს ბასტილია! ძირს თვითმპყრობელობა! უფაიკვირა, შმაგიმ, აღზნებული თვალებით შეხედა ცირუს და ეცა ციხის კედლებს. თითქოს ამ შეძახილსა და ვეფხვის ნახტომს უცდიდა ხალხი, იგრილა, ეცა ციხის კარებს და შელეწა იგი. თითქოს ამას უცდიდნენ პატიმრებიც. გამოანგრიეს საკნების ფანჯრები და გამოეფინენ გარეთ. საერთო ყიფინაში ცირუმ დაინახა, რომ რამდენიმე განთავისუფლებული პატიმარი ხალხმა ხელზე აიტაცა და ქუჩაში გამოიყვანა.

— თავისუფალი ხართ, ივანე! ტარიელ! მირიან! ოპანეზა! — ესმოდა ცირუს და ამ ზღვა ხალხის ხალისი და სიხარული თანდათან მასაც ცეცხლივით ედებოდა. იქ კი, ციხის კარებთან, კვლავ ტრიალებდა შმაგი, კვლავ ყვიროდა „ძირს ბასტილია!“ და ახალ-ახალი განთავისუფლებულები გამოჰყავდა ქუჩაში. ცირუ ხედავდა, რომ ეს იყო საოცრად გამოცვლილი, ახალი შმაგი. თავისდა უნებურად თვალი ანთაძებუ გადოიანა. ანთაძე ცივად, სიძულვილით უფურება ხალხს და თითქოს არ ამჩნევდა ცირუს.

— ცეცხლი! — დაიღრიალა ამ დროს დრიაგინმა.

ცირუმ დაინახა, რომ ანთაძე შეერთა, გაფითრდა და მოიხარა. მაგრამ წამსვე გასწორდა უნაგირზე და ასწია სტეკი.

— სმენა! — გასცა განკარგულება ანთაძემ. — პირდაპირ ბრბოსავენ.

ანთაძემ ასეული თავიდანვე ხალხის ფლანგზე დააყენა. ჯარმა რომ თოფი მოიმარჯვა, ხალხი შეჩერდა და მოულოდნელად სიჩუმე ჩამოვარდა. წვეტიანი ხმშტების აკანკალებულმა ჩაზმა საშინელის ძალით გაჰყო ხალხი და ჯარი. თოფების ლულა სიკვდილის უღმობელი თვალებით მისჩერებოდა ხალხს.

— რას შერებით? ხალხი უიარაღო! — შეჰკივლა ცირუმ ანთაძეს.

— ფუჭი ვაზნებია! არ შეშინდეთ! არა აქვთ სროლის უფლება, — დაიძახეს კამერაში დარჩენილებმა.

— წაართვით იარაღი ძირს თვითმპყრობელობა! ძირს კაპიტალიზმი! — დაიძახა ნოემ და უთითო ხელი ფიწალივით ასწია.

— პირდაპირ ბრბოსავენ! — კვლავ დაიძახა ანთაძემ. — ცეცხლი! — თითქოს უხილავი გველებე შეძვრნენ ხალხში, და დაკბინეს. ზოგმა სად იტაცა ხელი და ზოგმა სად. რამდენიმე კაცი დაეცა და სისხლმა შელევა მიწა.

— ჰეა მაგათ! — დაიგრილა ხალხმა და ეცა ჯარს. სისხლმა გაახელა ხალხი და ახლა მისი გაჩერება არავითარ ძალას არ შეეძლო.

— პირდაპირ... ცეცხლი! — კვლავ გასცა განკარგულება ანთაძემ.

შმაგიმ დაინახა, რომ ახლა ბევრი წაიქცა. ზოგი წამოდგა, ზოგი ვერა. ვინც წამოდგა ისევ-ისე წინ მიიწევდა. წინ მიიწევდა დაქრილი ოპანეზაც და ყვიროდა: „საე, ამხანაგებო! ერთად, ამხანაგებო!“

— შმაგი, განაგრძეთ ბრძოლა! სისხლი არ შეარჩინოთ! — მოესმა შმაგის და დაინახა მიწაზე გამხლართული ანდრო შანიძე. ანდროს თავში მოხვედროდა ტყვია. გაბელებული შმაგი თავდავიწყებით შეეკარდა ჯარის წყობაში, წაართვა ერთს თოფი, გადაუმტვრია მეორეს, ხოლო მესამე თოფის ნამტვრევით ჩააჩოქა. ახლა ბრძოლა მთელ მოედანს მოედო. ხალხი ქვასა და მიწას

უშენდა ჯარს. ნამწომ ქუჩის ქვები ააძრო და დაუშინა ჯარს. მაშინა გაუ-
ჭირდა ქვის ამოძრობა, რადგან ორი თითი აკლდა. ბავშვს ბრანჯისაგან ცრემ-
ლი მოერია. ბოლოს ამოთხარა და ესროლა ანთაძეს.

შმაგიმ შენიშნა, რომ ერთი უნტერ-ოფიცერი მასწავლებელს და მცველ
ჯგუფს დააკვირდა. ეტყობოდა, უნტერ-ოფიცერა მიხვდა, რა უნდა იყო ამ
ბოპოქარი ხალხის წამმართავი ძლიერი ხელი და თოფმსწველს მამართა.
დინოქა, ნიშანში ამოიღო. მანძილი მასწავლებლამდე უფრო ახლოს იყო,
ვიდრე უნტერ-ოფიცერამდე, ამიტომ შმაგი უნტერ-ოფიცერს ვერ შეუშლიდა
ხელს. ეს წამსვე მოისახრა შმაგიმ და თვალის დახამხამების უმაღ გადახტა
მასწავლებლისაკენ. იმ წამსვე გავარდა თოფი და შმაგიმ იგარძნო, რომ
შკლავები რაღაც ცივი შეიჭრა, გააეროლა და აწეული ხელი ჩამოუვარდა.
არც შმაგის ნახტომი, არც უნტერ-ოფიცერის გასროლა არავის უნახავს, რად-
გან იმ წუთსავე მესამედ გაისმა ანთაძის ცივი, გამყვიანი ხმა «ცეცხლი!»
ველავ ჩაიკეცა რამდენიმე რიგი. შმაგის თვალწინ ჩაიკეცა გერონტი კალან-
დაძეც. მასწავლებელი მივარდა გერონტის, ხელზე აიყვანა და გაანაბრა.
მასწავლებელს დაბრუნება უნდოდა, მაგრამ მცველი ჯგუფი გარს შემო-
ერტყა, სილიბისტრომ ეტლი დაუყენა და ჩაჯდომა მოსთხოვა. მასწავლე-
ბელი ჩაჯდა ეტლში, დაჭრილი მხარზე მიიწვინა და გარს შემოხვეულ მე-
გობრებს უთხრა:

— დღეს მუშათა კლასი რამდენამე წლით გაიზარდა...

ეტლი დაიძრა. შმაგი მოტრიალდა. ხალხი უკვე იშლებოდა და ჯარმა და-
უშვა ბოლიანი თოფები.

— ქალებო, შეუხვიეთ დაჭრილებს!— მოესმა შმაგის დესპინეს ხმა.— შმა-
გი, დათვალე რამდენია მოკლული და დაჭრილი!

დესპინე იდგა დაჭრილ-დახოცილთა შორის და სარდალივით იძლეოდა
განკარგულებას. ასეთი მრისხანე, ასეთი დედობრივი, ასეთი ლამაზი ჯერ
არ უნახავს შმაგის დესპინე. შმაგი ჩაყვა სისხლიან ქუჩას.

— შმაგი, დაჭრილი ხარ? გაჩერდი, შეგვიხვიო, — მოესმა შმაგის და ცი-
რუმ ფრთხილად ასწია შმაგის ხელი. ცირუს ტუჩები უფროთოდა და თვა-
ლებში ცრემლები ჩასდგომოდა. ფესტამალი გაიხია, პრილობა შეუხვია,
შუქიანი თვალები შეანათა შმაგის და მზრუნველობით უთხრა:

— ბევრი სისხლი დაგექცა, შმაგი!

— საშაგიეროდ ხალხიც ბევრს მოიპოვებს, — შთაგონებით უპასუხა შმა-
გიმ. — უსისხლოდ და უმახვერპლოდ ხალხს არასოდეს გაუმარჯვინია...

ვაილოზი

გავიდა ორი წელი. გაზაფხულმა მწვანე ფარჩა ააშრილა და ველმინდო-
რი ყვავილებით მოქარვა.

შმაგის არასოდეს უგრძვნია ასეთი გამმაფრებით გაზაფხულის სილამაზე,
როგორც ახლა, როცა მტკოჩიას ფანატურში ცირუს გვერდით ოჯდა. ამ-
დენი ხნის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ცირუ და შმა-
გი ბაქმანზე ხელდებოდნენ ერთმანეთს. ისინი უჩუმრად ისხდნენ ერთმანე-
თის გვერდით. მზის სხივებს ფოთლების ჯიღა გაერდვით და ბაიათი მორ-
თულ მიწაზე თამაშობდნენ. შმაგის თავის ფართო, გარუჯულ ხელში ნჭი-
რა ცირუს პატარა ხელები. თითქოს თეთრი ყურძნის მტევნები მუქ თოფ-

ზე დაუწყვეიათ. რამდენი ხანია სხედან გარინდულნი, უხმოდ, მხოლოდ თვალებით თუ ლაპარაკობენ. საოცარია, რა გასაგები ენა ჰქონათ თვალბს!.. რა ტკბილი მუსაიფი გაიბა წამწამსა და წამწამს შუა..

ბოლოს, თუმცა არავენ უსმენდათ, ცირუმ ჩურჩულთ სთქვა:

— უნდა გაზარო, შმაგი მასწავლებელი გამოიქცა და ბაზრობდა..

— რას მეუბნები!—წამოხტა შმაგი და ცირუც აყვა უწყვეტად..

— პო, ჩამოვიდა და დაიწყო თავისი მოწაფეების შემოკრება. შემოვი-
თვალეს, ჩამოდიო.

— მაშ, დაუსხტა ხელიდან ჯალათებს? წავალ... რასაცვირველია წა-
ვალ. აქ რა გამაჩერებს?.. შენ, ცირუ?

ცირუმ თვალბი გაუსწორა შმაგის და გაბედულად უთხრა:

— მე უკვე ვიცი ჩემი გზა... მოლაღატეს სახელი შეურცხვეს...

ამდენი ხნის განმავლობაში დაგუბებულმა გრძნობამ მოკრძალების გე-
ბირი გაარღვია და შმაგამ ხელი მოხვია ცირუს.

ამაყი და მიუწყდომელი ჩიქოვანის ასული დაემორჩილა მის მძლავრ
მკლავებს.

მეორე დღეს, განთიადზე, შმაგი ემშვიდობებოდა ბაბუას, დედას, კო-
ნას. შმაგი ჩქარობდა და როცა ბაბუამ ცხენი დაუყენა, სწრაფად მოახტა.
ღირთუ კუდის ქნევით მივიდა და ფეხი მოულოკა შმაგის.

— შეილა! შეილა! კეთილი იყოს გზა შენი,—ლოცავდა ქონია შეილს.
მერე მუკოჩიას მიუბრუნდა და ამოიხზრა:—ვინ იცის რა მოელის? ნასწავ-
ლი მაინც იყოს, თორემ ორი კლასი?

— სწავლა სტუმარია, ქკუა მასპინძელი,—უპასუხა მუკოჩიამ.

— ნუ გეშინია, დედაჩემო! მე არ დავიყარეები,—გაუღიმა შმაგამ დედას,
შემდეგ კონა დაარია,—ქკუთ მყავი, კონა! დედას დაუჯერე!.. მშვი-
დობით!

შმაგამ ცხენი მიუშვა და თემშარას თოხარიკით დაჰყვა. ერთგან გზა მალ-
ლობზე აღიოდა. იმ მალლობზე, უზარმაზარი კაკლის გვერდით, ცირუს ოდა
იღვა და მედიდურად დაჰყურებდა სოფელს. შმაგამ ცხენი დაიოკა, და-
აკვირდა.

შორს, მთაზე, ცის კიდურს ალი გადაეკრა და მზის პირველი სხივები
კაკლის ქენწეროს სვანური ქუდივით დაადგა. სხივები რომ დაბლა ჩამო-
იშალა, შმაგამ შუქში გახვეული ცირუ დაინახა. ცირუ სინათლის სვეტივით
იღვა, სხივიანი, შუქიანი და ნიშანს აძლევდა შმაგის: მეც ჩქარა წამო-
ვალო.

შმაგი ატოკდა უნაგირზე. აღეღება გადაეცა ცხენს და ბაჩამ დაიფრუ-
ტუნა. შმაგი აიწურა, ცირუს ხელი დაუქნია და დასჰყვილა.

— პა-პაიტ, ბაჩა!

ბაჩა შევარდნევით გაეკრა გზას.

მიჰქროდა შმაგი. უკან რჩებოდა ძველი სოფელი და წინ იშლებოდა ახა-
ლი, შორი, აღისფერ სხივებით განათებული გზა.

მზე წითლად ამოდიოდა.



ომის გზებზე

1. ბერლინთან

ეს შეხვედრა მოხდა ბერლინის ახლოს, მდინარე ოდერის დასავლეთ ნაპირზე.

თავშეკტიანი ფიქალის სახურავი ალაგალაგ შეუხვრევი საბჭოთა ყუმბარებს, სოფლის ქუჩა ნახევრად მოცალიერებულა.

ერთ ყოფილ სამსართულიან სახლში შეიკრიბნენ ქართველი მეომრები. ვრცელ სარდაფში დგას ორი ძველი ყაიდის სავარძელი და რამდენიმე დენთის ყუთი. კედელთან ჯარისკაცივით ატუზულია უზარმაზარი ბიურგერული საათი, რომელიც რეკს უსიამოვნო ხმით.

დენთის ყუთზე ჩამომჯდარა ჩოჩხათელი კოლმეურნე თომა ძიმისტარიშვილი. მან გაიარა ძლევაშოსილი გზა თერგიდან ოდერამდე. სასტიკი ბრძოლის წარმოება მოუხდათ ჩვენს ნაწილებს ოდერის გაღმა ნაპირზე. განსაკუთრებით მძინვარებდა გერმანელთა ავიაცია. გერმანელთა ბომბდამშენების თავდასხმის დროს მწყობრიდან იქნა გამოყვანილი მეზობლად მდგომი საზენიტო ქვემების მეზისნე. ფაშისტმა მფრინავმა შეამჩნია ცეცხლის შესუსტება ამ უბანზე და კვლავ შემოტრიალდა საიერიშოდ. უცებ საზენიტო ქვემები გამოცოცხლდა. გათავებდებულ სვავს ელვარე სვეტი შიგ მოტორში დაეძგერა. აფეთქდა ბენზინის ავზი და აღმოდებული თვითმფრინავი ოდერში ჩავარდა. ეს ოსტატური ნასროლი იყო და იგი თომა ძიმისტარიშვილს ეკუთვნოდა.

ამასწინათ თომას ცხოვრებაში დიდი და სასიხარულო ამბავი მოხდა. იგი პარტიაში მიიღეს. იყო რაღაც სასიამოვნო, ამაღლეებელი იმაში, რომ ჩოჩხათელ კოლმეურნეს პარტიაში იღებდნენ იმ დასახლებულ პუნქტში, რომელიც ბერლინიდან 55 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ძიმისტარიშვილი. მან სთქვა: „მე კომუნისტებთან ერთად მივდივარ. ისინი მუდამ წინ არიან. მეც მიინდა ვიყო კომუნისტი“.

როდესაც მას პატარა წითელკანიანი წიგნაკი ჩააბარეს, თომა დიდხანს სინჯავდა ძვირფას ოთხ სიტყვას, წიგნაკს სათაურად რომ აწერია, შემდეგ სათუთად შეახვია ქალაქში და უბეში ჩაიდო...

დენთის მეორე ყუთზე წამოსკუბებულა მეტყვიამფრქვევე გიორგი ჯაფოშვილი. სავარძელში ზის გევრდიის უფროსი სერჟანტი სიმონ პოფრალიძე, მის გვერდით წითელარმიელი ლაერენტი ბეკენაძე და დიდების ორდენის სამი კავალერი—შინდისელი რუბენ მირზაშვილი, შოთა დვალიძე და ილარიონ მოჭია.

გრიალევენ საბჭოთა ქვემებები. ზანზარებს მიწა და სახლი. საწყლად პასუხობს არტილერიის ხმაურს საათის ზამპარა.

ძნელად თუ გამოერევა ჯარისკაცის ცხოვრებაში თავისუფალი საათი. აი ასე, დამშვიდებით რომ დაჯდეს და საკუთარ ფიქრებს მისცე თავი. ზოგჯერ არც ფიქრისთვის გეცალა. დაუსრულებელია და საოცრად მოკლეა დრო.

შეებრძოლები მას, ძალით გამოგლეჯ ოც, ორმოც წუთს. ხელში აიღებ წიგნს, სულამოუთქმელად წაიკითხავ გაზეთის პაწაწინა გაყვითლებულ ნაკუწს, რომლის სტრიქონებში სამშობლოს სიცოცხლეს და აღუბრს იგრძნობ. უღვაშებიანი თომა ძიმისტარიშვილი მოწიწებით იღებს უბიდან დატყვევლ წიგნს— „ქართული ხალხური ლექსები და სიმღერები“—აწერია ეჭვქვეშაობა.

— კარგი წიგნია!— ამბობს ძიმისტარიშვილი, — კითხულობს, ხსენებდა მშობლიური მხარე, და უფრო მეტი გამაფრებით იბრძვი. ზოგჯერ შევიკრიბებით ერთად, ჩავალიღინებთ „ციცინათელას“ ან „სულიკოს“, თითქოს ახალი ძალა შეემატაო მარჯვენას!

2. ისინი მოვიდნენ ბერლინიში

თვითმფრინავმა უკანასკნელი წრე გააკეთა და ქმინვით დაეშვა ძირს. სწრაფად გადმოვხტით თვითმფრინავიდან. ჩვენს ფერხთა ქვეშ ბერლინის მიწაა — აღლერპოფის აეროდრომი.

ბერლინიში პირველად ვართ. ქალაქი-ავაზაკი, ქალაქი-დამპყრობელი, ჯაგარაყრილ მხეცივით რომ შეღრინავდა მთელს მსოფლიოს, ახლა საცოდავად მოკუნტულა და გაყუჩებულა. მისი სხეული დასერილია მძიმე ნაიარევით.

ცენტრისაკენ მივემგზავრებით. ბერლინის ცენტრი პირობითს ცნებას წარმოადგენს. ცენტრისაგან თითქმის აღარაფერი დარჩენილა. აღგვილია პირისაგან მიწისა ობელნ-შტრასე, კეპიონიკე-შტრასე, ბრიუენ-შტრასე. ვილჰელმ-კაიზერ-შტრასე და სხვა მრავალი „შტრასები“. არცერთი ქუჩა, არცერთი სახლი, არცერთი ფანჯარა. ნანგრევებია ირგვლივ, ფერფლი და ქვიშა. ბერლინის ცენტრმა მრავალტანჯული ვარშავა მომაგონა, რომელიც განთავისუფლების შემორე დღეს ვინახულე. დავდიოდით ვარშავის ჩაყრუებულ ქუჩებში და გული გვტკიოდა. თითქოს საშინელმა სამუშმა გადაიარა ოდესღაც მშვენიერ ქალაქზე და გადაბუგა, უდაბნოდ აქცია ყოველივე. შემადარწუნებელი სიჩუმე სუფევდა. ვარშავა წააგავდა მეომარს, რომელიც უთანასწორო ბრძოლაში სისიკვდილოდ დაჭრილი დაეცა. ბერლინი სხვა გრძნობებს იწვევს. ბერლინი მიწაზე განრთხმულ კბილებამოგლეჯილ აფთორის შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი სიკვდილის მოციქული იყო ყველგან. ბერლინი სააკვაციოდ გზავნიდა თავის აბეზარ შვილებს, გზას ულოცავდა მათ. ეინ მოსთელის რამდენი სისხლი დაღვარეს ჰიტლერელმა არაკაცებმა, რამდენი სახლი და ქალაქი გადასწვეს, რამდენი ადამიანი გააუბედურეს. ბერლინი წარბსაც არ იხრიდა. ბერლინი იწონებდა ნაშიერთა ბორბტ საქმეებს. ეკონა უვნებელი გადარჩებოდა. ვერ მიართევს! ხალხთა შიზღი და ბოღმა, სიძულვილი და გულის ვარამი ზარად დაეცა გათავებდებულ ბერლინს. და ბერლინი მოიკარუნჩხა, დაპატარავდა, წკაგ-წკაგი იწყო. ჰკუასწავლეს ბერლინს. მას დიდხანს დაახსომდება 1945 წლის აპრილი და მაისი. დაახსომდება საბჭოთა ცეცხლის ქარტეზილი და გათვლიანებული წითელარმიელები ავტომატებით ხელში. დაე ახსოვდეს, დაე ნუ დააიწყებდა! ასეთი ფიჭებები ვეიტრიალებდა თავში, როდესაც აღუქსანდერ-პლაცზე გავედით. აღუქსანდერ-პლაცი ბერლინის ცენტრალურ მოედანს წარმოადგენს. აქ დიდი სტენდია გაკეთებული. სტენდის შუაში მოთავსებულია ამხანავ სტალინის მხატვრულად შესრულებული სურათი. მარცხნივ და მარჯვნივ ჩამწკრივებულია საბჭოთა კავშირის მარშალთა პორტრეტები.

ალექსანდერ-პლაციდან მანქანამ სარჯენივ გაუხვია. ვერღებოთ ვილქელმის სასახლის წინ. სასახლე გუთურ სტილზეა აშენებული. „სტილიდან“ წაწვეტებული ჩონჩხებიღა დარჩენილა. აგური დაფშენილია ყველგან. რკინის ბოძები წელში მოხრილან და საცოდავად დაღმუშვან. ედლის ქვემო ნაწილი ნაყვავილარ ადამიანის სახეს წააგავს. შაშხანის ტყეების და უჩრვრეთათ იგი ყველგან. ასე გამოიყურება კაიზერის სარჯენიდან. შიგნით არაფერია სანახავი. იგივე მტერი, ზრეში და მიწა.

სასახლის პირდაპირ, მაღალ პიედესტალზე გამოსახულია კაიზერ ვილქელმის ფიგურა. ვილქელმი ცხენზე ზის, ცხენს დინამური პოზა აქვს. წინ, უსაზღვროებისაკენ მიისწრაფვის. საპქოთა ყუმბარა ფეხში დასტგერებითა „მეოცნებე ცხენს“ და მისთვის ფეხი ჩამოშტტრევიდა. ვერც მკეეხარა ვილქელმს დაუღწევიდა თავი საბქოთა არტილერიის ბობოქრული ცეცხლისაგან. მას დაუქარგავს მარჯვენა ხელი, ბრწყინვალე თავიდან ჩამოვარდნია სამეფო გვირგვინი და ნაკუწ-ნაკუწ ქცეულა. ვილქელმს პიედესტალზე ორი გოლიათი ახლდა—ერთი მარცხნივ, მეორე მარჯვნივ. თუ ვილქელმი სახელმწიფოებრივ კქუსასა და აზროვნებას გამოხატავდა, გოლიათები, ალბათ, ფიზიკურ ძალასა და გამძლეობას. სპილენძის ერთი ნიბელუნგი რაღაც ვანგებით დარჩენილა ზემოდ, წონასწორობა კი დაუქარგავს. ეს-ეს არის ზღაბთანს მოადენს. მეორე აფეთქების მძლავრ ტალღას ძირს დაუნარცხებია. კიბებზე გდია პირქვედაშობილი ვეებერთელა გოლიათი მახვილით ხელში.

ეს სიმბოლიურ სურათს წარმოადგენს.

ვილქელმის ძეგლზე უამრავი წარწერებია: „Был здесь москвич Удовиченко“,—ვკითხულობთ ერთგან. მეორე მებრძოლს ირონიულად წაუწერია: „Был, вино пил, с редиской закусывал“, „Здесь был Исаев из Орла, помните фрицы“, „Мой прадед был и я сюда пришел—Брызгалев“. ქართველი ცანავაც არ ჩამორჩენია ამხანაგებს. მას ლაკონიურად გამოუთქვამს თავისი აზრი—„Был кабак, стал порядок“.

რაიხსტაგი რამდენიმე ასეული მეტრით არის დაშორებული ვილქელმის სასახლისაგან. გეხს რაიხსტაგისკენ ვიღებთ. რაიხსტაგის პირდაპირ „გამარჯვების ხეივანია“. მას მართლაც შეჭფერის ამჟამად ასეთი წარწერა. „გამარჯვების ხეივანში“ სამი გამარჯვებული სახელმწიფოს ზელმძღვანელთა პორტრეტებია გამოფენილი—შუაში ამხანაგ სტალინის პორტრეტია.

გავიარეთ „ბრანდენბურგის კარები“. „ბრანდენბურგის კარებთან“ აღმართულია უზარმაზარი კოშკი ხვეული რკინის კიბეებით. კოშკიდან ბერლინი ხელის გულივით მოსჩანს.

აი რაიხსტაგიც.

საწყლად გამოიყურება ფაშისტთა მჩხავანა ბუდე. ცხვირპირი ჩამტვრეული აქვს და გვერდები მიღწილი. ცენტრალური შესასვლელის მარცხენა კედელზე უზარმაზარი წითელი ასოები მოსჩანს. ასოები რომ შევეერთოთ, გამოდის „ოთარ კაჰარავა“. ქართველი კაჰარავა ყოფილა აქ და ბერლინის აღბომში შეუტანია თავისი გვარი.

რაიხსტაგში ვაპირებდით შესვლას. ვილაც კარგად ჩაცმული გერმანელი ქალი წამოგვეწია. შეკითხვით მიმართა მაიორ ადლიუშკოს. მაიორმა ვერა გუგო რა. მე დამიძახა. ფრაუმ ჯერ გაიღიმა და კბილები გამოაჩინა. (კბილები კი არა ღირდა საჩვენებლად). შემდეგ დაიწყო ჩამაქარლამებულე ზმით, თანაც თვალებს ნაბავდა და წაწამებს კოკეტურად ახამხამებდა.

— იქნებ ბატონ რუს ოფიცერს აქვს პაპიროსი, ხომ არ დამითმობს ერთ ცალს?

მე პორტსიგარი გავუწოდე. მოკრძალებულმა ფრთხილ თითებო წაბრუნა სამ პაპიროსს და მალეობის ნიშნად მდებლად თავი დაგვიკრა.

— კი, რა ფრინველია! — ბრაზიანად ჩაილაპარაკა ადგილზე მჯდომი მალე ქალმა ვნებიანად შეანათა მას თვალები, კომპლიმენტები უხორცო ტანი და ფეხების ბაკუნით გაგვიშორდა, ხის ტუფლები სცმია თურმე.

რა არის ახლა ღირსშესანიშნავი რაიხსტაგში? მხოლოდ ერთი რამ — საბჭოთა მებრძოლების წარწერები. ყველა წარწერა რამდენიმე ნოზრდილ ტომში ძლივს დაეტევა. მე თანამემამულეთა გვარებს ვეძებ. ვიპოვნე კიდეც. ქართულ ენაზე დაწერილი სიტყვები დავინახე — „თბილისი — ბერლინი. ჰიხეილ რეზვიანოვილი და შალვა ჩუბინაშვილი“. უბის წიგნაკში შევეიტანე. იქნებ წავაწყდეთ სადმე უცნობ მეგობრებს, რაიხსტაგის კედელზე რომ უკვდავუყვით თავიანთი სახელი!

ეტოვებოთ რაიხსტაგს და მეტროსკენ მივეშურებოთ. ჩვენი „ოპელკაბიტანი“ გაკირვებით მიიკვლევს გზას. ბერლინში ვაცხოველებული მოძრაობა დაზოზინებენ ორსართულიანი ომნიბუსები, მუშაობს ტრამვაი. მანქანა მანქანას მისდევს, ქრელი კოლეგცია მანქანებისა. სკარბობენ გულფიცხი საბჭოთა „ზისები“ და „ემკები“. ქუჩის მოძრაობის დირიჟორია საბჭოთა გოგონა, ეფრეიტორი ან სერჟანტი. ერთი მათგანი გვიცანით. ოღლა ვოსტროვას ეძახიან გოგონას, ქალაქ ბატაისკშია დაზადებული. მას წითელი ბაირადი უკავია. მხარზე ავტომატი აქვს გადაკიდებული. დვას ქეისვან გაკეთებულ ბორცვზე და ხელების ელასტიური ქნევით აწესრიგებს ტრანსპორტის ტალღას. მის გვერდით ატუხულა აყლაყულა გერმანელი პოლიციელი — „შუტმანი“. „შუტმანი“ უიარაღოდაა. ხელში უქირაავს შავი ბრქვევილა კვერთხი, თავზე ფოლადის კეხიანი მუზარადი ახურავს. ის თანაშემწეა ამ გოგონასი.

ვოსტროვამ მიგვასწავლა მეტროს გზა. აქვე ახლოს ყოფილა. მაიორმა ტეტიპოვმა წინადადება შემოიტანა: მეტროს დათვალეირებაშდე პირი „ჩავიტებარუნოთ“ რესტორანში, ვნახოთ რითი გავვიმასპინძლებიან ბერლინელებიო. ტეტიპოვის აზრი ყველამ მოიწონა. კითხვა-კითხვით მივაგვენით ბაუერის ცნობილ რესტორანს. რესტორანი პრენცლაუს ქუჩის კუთხეშია მოთავსებული.

როგორც კი რესტორანში შევედით, მაშინვე ჩვენს წინ გამოიჭიმა ხის ფეხიანი ოფიციაინტი მხარზე გადაგდებული თეთრი პირსახოცით. მოწიწებით გამოგვიწოდა მოგრობ ქალაღი სადილების ჩამონათვალით. წავიკითხეთ. სულ სამი სახელწოდებაა. პირველად მოგვიტანეს ეგრედწოდებული „ბორში“. აქა-იქ დატივტივებდა თხილის ოდენა კარტოფილი. ოფიციაინტმა უცებ თავში ხელი შემოიკრა. — საბჭოთა ოფიცრებს უყვართ მუსიკა. როგორ გამოჩინა მხედველობიდან? არჩევანი მე შემხედა — სუფრის თავში ვიჯექი. ოფიციაინტი შემეკითხა:

- როგორი მუსიკის მოსმენა სურს ბატონ ოფიცერს?
- „სულიკოს“ მელოდია იციან?
- იციან, როგორ არა! ქართველი ზომ არ ბრძანდება ბატონი ოფიცერი?
- ქართველი ვარ!

— კარგი ქვეყანაა კავკასია, ვყოფილვარ ხმ მხარეში,—სთქვა ოფიცია-
ნტმა და ენა მოიკვნითა—ეს რა წამოვროშეო.—ღიახ, ომამდე ვყოფილვარ,
მანც მახსოვს. (ხის ფეხი თუ გამოჰყვა კავკასიის სამახსოვროდ).

- ჯარში გიმსახურიათ?
- მომიხდა. არ მინდოდა, ძალით გამიწვიეს.
- ფრონტზე იყავით?
- ცოტა ხანს, რამდენიმე თვე.
- რომელ ფრონტზე იბრძოდით?

— მე არ ვიბრძოდი. ჩემი პროფესია ოფიციანტობაა. მე ყოველთვის
ომის წინააღმდეგ ვიყავი! ბოდიში, დროს გართმევთ უაზრო ლაყბობით,—
სიტყვა ბანზე შეაგდო ოფიციანტმა.—მამ „სულეოს“ მოსმენა გსურთ, სა-
სიამოვნოა. ახლავე შევასრულებ თქვენს ბრძანებას,— და საჩქაროდ თავი
აარიდა უსიამოვნო საუბარს.

მუსიკოსები თვალს არ გვაშორებდნენ, ეტყობოდათ წელებზე ფეხს
იდგამდნენ. დაკვრას რომ მორჩნენ; ოფიციანტმა გვთხოვა ჩვენი აზრი გა-
მოგვეთქვა.

— არა უპირს, მოტივი სცოდნიათ. გმადლობთ!

ენაპირტალა ოფიციანტი ფეხის ჩლახუნით მიიჭრა მუსიკოსებთან და
ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. მუსიკოსები ფეხზე წამოხტნენ და თავი და-
გვიკრეს.

„ლაზათიანად“ დავნაყრდით ამ ნაქებ რესტორანში. გამომშვიდობებისას
მუსიკოსებს და კოკლ ოფიციანტს ვაჩუქეთ ფული და თითო კოლოფი პა-
პიროსი. რამდენჯერ დაგვიკრეს თავი, არ დაგვითვლია, მართალი მოგახსენ-
ნოთ, არც გვაინტერესებდა.

გზაჯვარედინზე შევაჩერეთ მანქანა. ერთი ვინმე გერმანელი მისეირნობ-
და და ელეგანტურად მიაქნევდა ჯოხს. ჩვენსკენ გამოიხედა. პოლკოვნიკმა
კუზნეცოვმა თითი დაუქნია—მეტროს გზა უნდოდა ეკითხა. გერმანელს ხე-
ლად შეეცვალა ნირი. როგორც კი მოგვიახლოვდა, მაშინვე ჩამოივიდა ჯო-
ხი პალტოს ჯიბეზე, ხელები მალლა ასწია და ნახევრადგალიმებული საბით
ცქერა დაგვიწყო.

— სად არის აქ მეტრო?

— ახ, მეტრო, მეტრო, მეტრო,—გაიმეორა სამჯერ.—ახლოა, ახლო.
მარცხნივ გაუხვევთ, ას მეტრამდე იქნება. თუ ნებას მომცემთ მიგაცილებთ,
მე ფეხით წავალ და გზას გიჩვენებთ!

მადლობა გადავუბადეთ. მანქანა დაიძრა და ინსტინქტურად უკან მოვიხე-
დეთ. გერმანელი ისევ იდგა მალლა აწეული ხელებით. ამ გერმანელმა სხვა
გერმანელი მომაგონა. 1945 წლის იანვარში ბელორუსიის 1-ლ ფრონტზე
ვიყავი. ფრონტის ჯარები შეუსვენებლივ მიერეკებოდნენ ჰიტლერელებს
ოდერისაკენ. ჩვენმა ნაწილებმა ღამით აიღეს გერმანელთა დიდი სამრეწველ-
ო ქალაქი ლანდსბერგი. სისხამ დილით გენერალ ბერზარინის ტანკისტებ-
თან ერთად ლანდსბერგში მოვედით. ქალაქი სანახევროდ გადაშვარი იყო,
ქიჩებში ეყარა პატლერელთა გვამები, დამტვრეული ფურგონები, მუცელ-
გაფატრული ცხენები. ბევრჯერ გვინახავს ასეთი სურათი. ჩვენი ყურად-
ღება სხვამ მიიპყრო. ლანდსბერგის ცენტრში მშვეანე ბაღია გაშენებული.
ბაღის პირდაპირ მარცხენა მხარეს დიდი ოთხსართულიანი ქვის სახლი
დგას. ეს სახლი რომელიღაც გერმანელ ბიურგერს ეკუთვნის. მიუხედავად

იმისა, რომ მხოლოდ ექვსი საათი გავიდა ქალაქის აღების დროიდან, ბიურ-გერს გასაოცარი საქმიანობა გაეჩაღებინა. ოთხსართულიანი სახლის ყოველ ფანჯარაში გადმოეკიდნა თეთრი ზეწარი—კაპიტულაციის ნიშანი. ერთ-გან წითელი ბაირალიც ფრიალებდა. ასე სჩვევია ზოგიერთ გერმანელს— ავზაკური თავხედობიდან მონურ ლაქუცობამდე დასვლას. ვიფიქვს, რომ ამ ახ უნდა მოგვაცუფოს. ბერლინის მეტროსთან გამოფენილი უკონკრეტო კვლევი აგონებს ჩვენს მებრძოლეს—მშობლიური მიწა-წყლის საზღვარგარეთ განსაკუთრებით ფხიზელი იყვენენ!

...ჩაფიქრებით ბერლინის მეტროს კიბეებზე. კონტროლიორმა შეამჩნია საბჭოთა ოფიცრების ჯგუფი. უმაღ შეაჩერა მგზავრები და ჩვენ წინ გავვიშვა. გულდასმით ვათვალიერებთ ბერლინის მეტროს და არა გვეჯერა. სად მოვხვდით? როგორი უზარმაზარი სხვაობაა მოსკოვის მეტროსთან შედარებით. პარალელი უადილოა. შედარება შეიძლება ორი საგნისა, თუ მათ შორის არსებობს რაიმე სახეობითი მსგავსება მაინც. ბერლინის მეტროს არაფრით წააგავს მეტროს ჩვენი წარმოდგენით. მეტროს სიღრმე სამ-ოთხ მეტრამდე აღწევს. დერეფნები ჩაბნელებულია. სადღაც მოშორებით ბეუტაეს ელნათურის მიმქრალი სხივი. ნესტისა და ობის სუნი დგას, ყველაფერს ნაცრისფერი დაჰქრავს. ვაგონები მომცროა, ვიწრო. დიდი ვაი-ვაგონებით დაეტევა ოცდაათი კაცი. დასაჯდომს შუა გასავალი ისე ვიწროა, რომ თუ ენერგიულად არ შეაწუხებ შეზობლები, გაჩერებაზე ვერ ჩამოხვალ. ფანჯრებს შერჩენია ბანიკური გერმანული წარწერები: „პსტ“, „კონტინტი არ დასძრავ“, „თუ სიცოცხლე გინდა, ხმას ნუ ამოიღებ“. ამ სადგურს „ენი“ ეწოდება. მივემგზავრებით დასავლეთისაკენ. „შანდაუს მიმართულებით, სიმენსშტადტი ვენდა დაეთვალიეროთ. მახლობელ სკამზე რამდენიმე საბჭოთა მებრძოლი ზის. ფაფახიანი ზემდეგი ცქვიტად წამოხტა და რუსულ ენაზე მომმართა:

— ამხანაგო კაპიტანო, დაბრძანდით!

შე შევხედე ზემდეგს. შავგვრემანი, სამხრეთული იერის სახე მეგობრულად მიღიმოდა. რაღაც მახლობელი, ქართველური ამოვიკითხე მისა შავი თვალების ციაგში. თავში ერთმა აზრმა გამიღვლა და კეითხე:

— სადაური ხართ, ამხანაგო ზემდეგო?

— ონიდან, ქართველი ვახლავართ!

— რეზვიაშვილი?

ზემდეგი განცვიფრებით შემომამეტერდა.

— დიახ, რეზვიაშვილი, როგორ გაიგეთ?

— რაინსტაგის კედელზე ამოვიკითხე. „თბილისი—ბერლინი“, თქვენი დაწერილია?

— ჩემია, ჩემი, — აღელვებით მიბასუნა ზემდეგმა და სიხარულით გადა-მეხვია.

როგორი შეხედრაა, ღმერთო ჩემო, რას მოვიფიქრებდი, რომ ბერლინის მეტროში შევხედებოდი ქართველ კაცს!

ჭიორელი (ონის რაიონში არის ასეთი სოფელი) მიხვილ ღენტორის-ძე რეზვიაშვილი კავალერისტია. ვარშაის განთავისუფლებაში მიიღო მონაწილეობა, მედგრად იბრძოდა რაინსტაგთან და დაიჭრა, ქალაქ ნაუნში იყო სამკურნალოდ. ახლა ჰოსპიტლიდან ბრუნდებოდა. შალვა ჩუბინაშვილი კი

დაიღუპა. სამხედრო პარტიით დაასაფლავეს ქართველი მეომარი ბერლინის ცენტრში.

— შოთა ასანიძეს ხომ არ იცნობთ?— გულუბრყვილად შეშინებულ რეზენიაშვილი.

— არა!

— მას ყველა იცნობს. რაიხსტაგი ცუდად დაგიფიქსირებდა, მთელი სართულზე მარჯვნივ მისი გვარია წაწერილი. იცით რა არის შეტად საინტერესო ასანიძის ცხოვრებაში? პარტიაში მიღების თარიღი და ადგილი. პარტიაში ბერლინში მიიღეს, 2 მაისს, ბერლინის ალემის დღე იყო სწორედ. კარგად მომბდა ასანიძე და დაიმსახურა ბოლშევიკის მაღალი სახელი... როცა ჩვენ შებრძოლები მიუახლოვდნენ. რაიხსტაგს, მძიმედ დაიჭრა ოცეულის მეთაური ნიკანოროვი. ასანიძემ წინ წაიწია და შესძახა:— „არწიებო, მომყეთ, ბოლო მოვუღოთ მტერს!“ იგი ოცეულით შეიჭრა რაიხსტაგში. ადგილიდან ადგილზე ცქვიტად გადაბოდა, ამოეფარებოდა ქვას, ავტომატის ჯერს მოაყოლებდა და კვლავ შეიცვლიდა პოზიციას. მეგობრებს ამხნევებდა შეძახილით:— „წინ, წინ, ძმებო!“

ათზე მეტ პიტლერს გაუთხარა სამარე რაიხსტაგის კედლებში ქართველმა გმირმა.

რაიხსტაგში ბრძოლა რომ დამთავრდა, სერჯანტი ალექსი ტოლსტოი შეეერთბა ასანიძეს.

— რატომ ყვიროდი, „დაიჭით, არ გაუშვათ“?

შოთას გაეცინა.

— შევეცი კაცო, პირველად შეშემთხვა ასეთი ფაქტორი.

— მაინც რაში იყო საქმე?

— ერთი ფრიცი დავინახე, შავი, ჩია ტანისა, მაიმუნივით სახეწაგრძელებული, ჰებელსი მეგონა ის წყეული.

— ჰებელსია, ჰებელსი, არ გაუშვათ, შეეძახე ნმხანაგებს! ფრიცი დავიჭირეთ, მაგრამ ვინმე იოჰან რეიდერი აღმოჩნდა; ისე მეწყინა, თითქოს ძვირფასი რამ გამომაცალეს ხელიდან.

ასანიძე დაამშვიდა იაკობ ნოვიკოვმა:— „რას იზამ, ყოველთვის როდი აგზნდება გულისწადილი. განა გვარდიის სერჯანტი გიორგი ლომიძე ნაკლები ვაჟკაცია? აბა წაიკითხე საფრონტო გაზეთ „წითელი არმიის“ 19 მაისის ნომერი! მეორე გვერდზე ლომიძის სურათია მოთავსებული. სურათს წარწერა აქვს— „ბერლინის ალემის გმირი გვარდიის სერჯანტი გ. ლომიძე. ბრძოლაში გამოჩენილ ვაჟკაცობისათვის მამაცი მეომარი დაჯილდოებულია სამამულო ომის ორდენით, ორი მედლით „მამაცობისათვის“ და სტალინგრადის დაცვის მედლით“. ლომიძესაც სწორედ ასეთივე ისტორია შეემთხვა.

სტალინგრადიდან მოდიოდა გვარდიელი და ოცნებობდა ცოცხალი პიტლერი ჩავდო ხელში. ვინ აღწერს სერჯანტის სიხარულს, როცა მან პრენცლაუს ქუჩაზე ცოცხალი პიტლერი შეამჩნია. ბევრჯერ უნახავს ლომიძეს გაზეთებში პიტლერის იდიოტური ფიზიონომია. ქუჩაში მიმავალი ძალიან მიაგავდა ნამდვილ პიტლერს. ლომიძე არწიებვით დააფრინდა პიტლერს და კინწისკვრით წაათრია შტაბისაკენ. ხმა გაგარდა პიტლერი დაიპირესო. მერე გამოირკვა. ეგ მაჯლაჯუნა პიტლერის ორეული ყოფილა. საწყენი არ იყო?“

— მგონი თავი მოგაბეზრეთ, გლახს ქრიაშვილივით გავაქიანურე, — სთქვარეხვიაშვილმა. — ყველაფერს სად მოგიყვებ, დღეები არ გვეყოფა. ბევრია აქ ქართველები. ტრაბახობად არ ჩაგვითვალოთ და კარგი სასული დაეშახურეთ. მაგრად დაეცხეთ ბერლინელებს ბერლინში. თუ თბილისში მოხვდით როგორმე, გადაეცით ჩვენს თანამემამულეებს: ბევრი სისხლი დაგვიღვრია გზაში, მამულისადმი სიყვარული კი ბერლინში ჩაიხრახრაკა. მოგვიტანია. წმიდად შევინახავთ მას. მე ეს დღეც მინდა ჩავიბეჭდო გულში — 1945 წლის 10 ივნისი, ქალაქი ბერლინი, ბერლინის მეტრო, ორი ქართველის შეხვედრა სადგურ „ენსთან“.

3. დანიაში.

ბერლინიდან მანქანამ კოლბერგისაკენ გაგვაქროლა. ჩვენი შემდგომი მარშრუტი იყო დანია, კუნძული ბორნჰოლმი. დღის ორ საათზე კატარდა გაშორდა კოლბერგის ნავსადგურს.

ბალტიის ზღვა პირქუშად შეგვხვდა. ტალღების არმადა შესვენებლივ უტევდა პატარა კატარდას. კატარდა ნერვიულად ხტოდა, მაგრამ შეუპოვრად მიიწევდა წინ და მკერდით მიაპობდა ზვირთებს. მოულოდნელად ღრუბლებიდან მზემ გამოიხედა, გაიფანტა ნისლი და კუნძულის ბუნდოვანი ნაკეთები გამოჩნდა. ეს იყო დანიის კუნძული ბორნჰოლმი.

კატარდა აჩქარებული ქშენით მიუახლოვდა ნავსადგურს. დაგვიანხეს დანიელმა მეფეებებმა და მეგობრულად მოიძვრეს თავიდან ქილის ქუდები, ქალები მოგვესალმნენ ხელმანიღლის ფრიალით, ბავშვები კი რაღაც გაურკვეველ სიტყვებს გაიძახოდნენ. მხოლოდ ერთი სიტყვა გავარჩიეთ მათში — „კოდე“. დანიელთა ენაზე „კოდე“ გამარჯვებას ნიშნავს.

თავდაპირველად მრავალ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. როდესაც კუნძულზე ჩვენი ჯარები გადმოსხდნენ, მოსახლეობა მიიშალა. ფაშისტებმა დააშინეს — მოვლენ ბოლშევიკები და ნაცარტერად აქცევენ ყველაფერსო. ცვირს არავინ პყოფდა გარეთ. ბოლოს კუნძულის გუბერნატორმა გადასწყვიტა „თავისგანწირვა“. მოიკრიფა მთელი თავისი ვაჟაკობა და ვიზიტით ესტუმრა საბჭოთა სარდლობის წარმომადგენელს. გუბერნატორის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა დანიახა მშვენიერად ჩაცმული, სასიამოვნო სახის პოლკოვნიკი. პოლკოვნიკმა თავაზიანად მიიღო სტუმარი. გუბერნატორი ერთხანს ჩუმად იყო და ყურადღებით ათვალეირებდა პოლკოვნიკს. ბოლოს გაუბედავი ხმით შეეკითხა — გვაქვს თუ არა მე და ჩემს ოჯახს ქუჩაზე სეირნობის უფლებაო. პოლკოვნიკმა რიზანოვმა ღიმილით უპასუხა: ისეირნეთ რამდენიც გნებავთ და როდესაც მოგესურვებთ! მანვე განუმარტა გუბერნატორს, რომ წითელი არმია არ ჩაერევა დანიელთა შინაგან საქმეებში, ხელს არ ახლებს მშვიდობიან მოსახლეობას. გუბერნატორმა თითქოს დაიჯერა პოლკოვნიკის სიტყვები, მაგრამ გაიფიქრა — სიფრთხილეს თავი არა სტკივაო. პირველ დღეს მარტო გამოვიდა სასეირნოდ, მეორედ მოხეტეხული ცოლი გამოიყოლია, მესამე დღეს ახალგაზრდა ქალიშვილიც. თანდათანობით გაქრა ცრუმორწმუნეობრივი შიში წითელი არმიისადმი და კუნძულმა ნორმალური ცხოვრება იწყო.

კუნძულის მოსახლეობა უდიდეს ინტერესს იჩენს საბჭოთა ხელოვნებისადმი. 16 ივნისს ნაწილში, სადაც პოლიტგანყოფილების უფროსია ამხანა-

გი ტურენკო, წითელი არმიის მეირძოლებმაათვის კონცერტი გაიმართა. ღობის გადაღმა შეიკრიბა დანიელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი. დანიელებმა ნაწილის მეთაურს „შუამავალი“ შეუგზავნეს, სალამოზე დასწრების უფლებას სთხოვდნენ. ტურენკომ მოღიში ძოიხადა—ხელი წარმანდით სპეციალურ კონცერტს მოვაწყობთო. დაპირებამ არ დააკმაყოფილა მუსიკის მოყვარულნი. მოხდევებულმა ხალხმა შეანგრია დანიელთა და ფრიამულით შეიჭრა ეზოში.

მეორე განყოფილებაში ანსამბლმა საცეკვაო მუსიკა დაუკრა, დანიელებმა ერთსულოვანი პროტესტი განაცხადეს: ცეკვა არა გვსურს, საბჭოთა სიმღერები შეასრულეთო. საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა მიხეილ ისაკოვსკის „კატიუშამ“. მის მოტივს ბავშვებიც მღერიან.

დანიელთა სიმბატია წითელი არმიის მიმართ ბევრ რამეში მტკიცედ იფიცურ მიტნიეს ზნაში ავტომანქანა გაუფუჭდა. მის გარშემო უძალეე განდა გულშემატკივართა დიდი ჯგუფი. დანიელებს უნდოდათ ქალაქ სანჯვიგამდე ხელით წიყყვანათ მანქანა. მიტნიეი უარზე იდგა. და როდესაც მანქანა ამუშავდა დანიელთა დაუხმარებლად, მაგრამ მათი ერთსულოვანი თანაგრძნობის შეოხებით, ყველას გაეხარდა. ხელი მაგრად ჩამოართვეს ოფიცერს და გამარჯვება მიულოცეს. მთელს კუნძულზე მარტოოდენ ერთი კინოთეატრია ქალაქ რენეში. გერმანელთა თარეშის დროს თეატრი დაკეტილი იყო. გერმანელებმა აკრძალეს ყოველგვარი სანახაობა. დანიელებმა თხოვნით მიმართეს წითელი არმიის სარდლობას—დახმარება გაეწიათ კინოთეატრის გახსნაში. დაუცხოველი საბჭოთა მექანიკოსები რამდენიმე დღეს ფაციფუტში იყვნენ. დადგეს ახალი აპარატურა, მოაწყეს გახშიანება. ოთხი დღის შემდეგ კინოთეატრი სასუიომოდ გაიხსნა. დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ ამბავს დანიელები. მექანიკოს ნიკონოვს ყვავილების თაიგული მიართვეს—რა დიდი რამეა ყვავილების თაიგულიო—იტყვის მკითხველი. უმართებულო იქნებოდა ასეთი მსჯელობა. დანიაში არა ჰყიდიან ყვავილს, არცა სწყვეტენ მას. ვარდი სიმბოლოა ბედნიერებისა და სიცოცხლის. მზოლოდ ნეფე თუ შიართმევს დედოფალს ვარდის თაიგულს, და ეს ძვირფას საჩუქრად ითვლება.

დანიელებს აინტერესებთ წითელარმიელთა ყოფაცხოვრება. პოდპოლკოვნიკ ორლოვის ქვეგანაყოფის მებრძოლებს ესტუმრა დანიელი გლეზი ანდერსენი. ქერა სახის, გრძელუღვაშებიანი დანიელი, განუყრელი ჩიბუხით პირში, ჩამჯდარიყო მეომართა შუა და მხიარულად იღიმებოდა. ჩვენ შევეწწართ ანდერსენის საუბარს ეფრეიტორ ნიკოლოზ მიხეილის-ძე პოცილოვთან. ანდერსენმა ჰკითხა ეფრეიტორს: სად სჯობია ცხოვრება, სად უფრო ლამაზია ბუნება მის სამშობლოში, თუ კუნძულზე? პოცილოვმა ნაღვლიანად გადახედა ბალტიის ზღვის დაუსრულებელ სივრცეს და სიამაყით წარმოსთქვა:

— აქ კარგია, მაგრამ მე ოსტაშკოვო შირჩევნია!—ანდერსენმა თავი გაიქნია. მას არ გაუგონია ასეთი სოფელი.

— მაინც რა არის კარგი თქვენ სოფელში?—დაეკითხა იგი.

— იქ სხვა ცხოვრებაა, დიდი ცხოვრება, —უპასუხა ეფრეიტორმა, — იქ სტალინი ცხოვრობს.

— სტალინი!—აღელვებულად წარმოსთქვა დანიელმა, —მას გაუგონია ეს სახელი. განა სტალინი ოსტაშკოვოში ცხოვრობს, ამბობენ მოსკოვშიაო!

ეფრეიტორს ელიძემა.

— სტალინი ყველგანა ცხოვრობს, თვითელი საბჭოთა აღამიანის გულში!

— ვიცი, რატომ გიყვართ სტალინი, — ამბობს ანდერსენი, — სტალინიცა დიდი ძალა მოგვცათ. როცა კუნძულზე გერმანელები იყვნენ, უფხაკი, ჟქვენი თვითმფრინავი გამოჩნდა. კმ, ოთხასი, ბევრია, მეტად ბევრად. ჩვენც კმ-ს ვყოფოდ სამი თვითმფრინავი გვაქვს. ტანკებიც მომეწონა, ქვემეხებიც. რამდენი იარაღი გქონიათ. სად ამზადებენ? — ქარხნებში! მამ ქარხნებიც მრავლადა თურმე თქვენში. აქ ერთი ქარხანაც არ არის. თქვენი გემები კი არ შემომჩნევია, კატარღას გემად არ ვთვლი. ამაში მგონი გაჯობეთ. გინახავთ გემი „ბორნჰოლმი“? არ გინახავთ. სამწუხაროა. იცით რამდენი წყალუფვისაა იგი? რომ გითხრათ არც დაიჯერებთ, — 600 ტონისა, დიახ, ექვსასი. პურიც ალბად უხვად იცის თქვენს ქვეყანაში. იმ დღეს დავინახე ერთმა რუსმა ჯარისკაცმა პურის ყუა გადაუგდო ძაღლს. ვის გაუგია ასეთი უყაირათობა. განა პური ძაღლის საჭმელია! მე შევეკითხე მას — ცოლშვილი გყავს? — მყავსო, — მიპასუხა. — მამ, რატომ ანიაებ პურს, რატომ ოჯახს არ უგზავნი-მეთქი. გაიციან ჩემს სიტყვებზე და მითხრა: ოჯახს პურიც ეყოფა და რძეც, სად ვაგროვო პურის ნამცეცებიო. საკვირველი კაცია. სიძარტლე მანც ეთქვა. ნამცეციო, ნამცეცი კი არა, კარგად მოზრდილი ნაჭერი გადაუგდო ძაღლს. ჩემთვის პური ფუფუნებაა. ორი სიფრიფანა ნაჭერი რომ მივატანო სადილს, თავი მდიდრად მიმაჩნია. მეტის ჭამას ვერა ვებუადვ. სტუმარი თუ მომივიდა, რა მივართვა? პური ნაკლებად მოგვეპოვება, თევი რამდენიც გნებავთ. არა, როგორც ვინდათ მიიღეთ, არ მომწონს თქვენი ქცევა. პური სიმდიდრეა. სიმდიდრეს კი გაფრთხილება უნდა! — წუწუნებდა ანდერსენი.

ბევრი რამ, რაც საბჭოთა აღამიანის ძეალსა და რბილშია გამჯდარი, რაც ჩვენი ცხოვრების ნორმას წარმოადგენს, განცვიფრებას იწვევს დანიელებში. აი მიდიან ნ ნაწილის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში გვარდიის მაიორ სუშკოვი და ქვეგანაყოფის კომორგი სერჯანტი ტოკარევი. ისინი მეგობრულად საუბრობენ, თანაც იცინიან. გზის გადაღმა სკამზე ჩამოჯდნენ. მაიორმა პორტსიგარი ამოიღო და სერჯანტს პაპიროსი შესთავაზა, ტოკარევა მადლობა გადაუხადა სუშკოვს და სიამოვნებით გააბოლა. ეს სცენა სენსაციას იწვევს დანიელებში. მათ უკვირთ: უფროსი ოფიცერი ამხანაგურად ესაუბრება დაბალჩინიანს და პაპიროსსაც კი სთავაზობს. ანდა ასეთი მაგალითი: სამი ოფიცერი ყიდულობს ნაყინს. ყველას მაგიერ ფულს იხდის კაპიტანი ილია რამიშვილი. გამყიდველი განცვიფრებით შესცქერის „მფლანგველ“ კაპიტანს. რატომ იხდის ფულს ყველას მაგიერ? მდიდარია ალბათ! კუნძულზე ერთადერთი ტრანსპორტია ველოსიპედი. ორიგინალური კონსტრუქციისაა იგი. წინ მომარჯვებული აქვს კალათა. კალათა განკუთვნილია პროდუქტებისათვის. ველოსიპედის უკანა ნაწილზე დადგმულია მეორე კალათა. ხშირად მხიარული ჟივილ-ხივილი მოისმის იქიდან. რაშია საქმე? თურმე კალათაში მცირეწლოვან ბავშვების მოძრავი ბინა ყოფილა. ჩაცუცქებულა პატარა ბიჭუნა, თითებით მაგრად ჩაბლაუჭებია წნულ ჯოხს და მოუსვენრად აცეცებს ცუგრუმელა თვალებს. მიეჩვია პაწაწა სეირნობას დედასთან ერთად. აინუნშიაც არ აგდებს არაფერს!

კუნძულის მოსახლეთა ძირითად საქმიანობას მეცხოველეობა შეადგენს.

დიდრონი და უხერძიანი ძროხები იცის დანიაში. მაგრამ ბედი არ სწყალობთ საცოდავეს. მათ არ შეუძლიათ თავისუფლად გაინაგარდონ იალაღზე და სძოვოს რამდენიც მოესურვებათ. ბალახი დანორძილია, ძროხებს აბამენ რკინის ჯაჭვით. დღიურ ულუფას მოათავენ და მეტს ვერარ მიიღებს. თავს დასტრიალებს მერე თეფშივით შოლოკილ მიწას, ყნოსავს ჩირგვებს და ბლავს. ტყუილად იწუხებს თავს. გამოზომილია შაქრის თუთხიანი მტერი. ასე რომ არ იქცეოდნენ, თივა მთელი წლის განმავლობაში არ ეყოფოდა პირუტყვს. საიდან მოიტანონ?

ფინიებიც საინტერესო ჩვევისანი არიან. სხვაგან ასე მინახავს; ფინია თუ გამოუვიდება მანქანას ან ცხენს, ერთ ალიაქოთს და აურზაურს ასტყნს— დანიაში ფინიები გასერიოზებულან. მოსდევს მანქანას რაღაც ფილოსოფიურად ჩაფიქრებული დრუნჩით და ხმასაც არ იღებს. მოხუცმა დანიელმა მეთევზემ ფრიტო პედერსენმა თავისებური ახსნა-განმარტება მოგვცა — გერმანელების ბრალია, ყველანი ჩაჩუმეს, ძაღლებიც ყფვას გადაეჩვივნენო.

4. მართველები კუნძულზე.

ბალტიის ზღვის პირას ვსხედვართ. ზღვიდან მოჰქრის ნელი სიო. ბორნჰოლმიდან გარკვევით მოსჩანს შვეციის ნაპირი, კვამლიც, ფაბრიკის მიღებიდან ზეცისაყენ რომ მიიკლავება.

როგორ შორს არის ჩვენი სამშობლო, ჩვენი პატარა საქართველო. — „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. შეხედეთ რუკას. თბილისიდან ბორნჰოლმამდე ხუთი ათას კილომეტრზე ნაკლები არ უნდა იქნეს. საიდან სად მოსულან საქართველოს შვილები. ბრძოლების ქარცეცხლში, ტყვისა და ნაღმების გრიალში გადმოლახეს ქართველმა ვაჟებმა ვეებერთელა გზა. მრავალი ადგილი დანაშა მათი წმინდა სისხლით, ბევრი ამხანაგი მიაბარეს უცხო მიწას. დღურ ბესელია იგონებს წითელარმიელ ვალიკო დარჩიას, რომელიც დაიღუპა სოფელ მერეშინოში გროსენდორფის მახლობლად.

— ჩვენ ცოცხალნი დავრჩით, — ამბობს დღურ, — შეიძინი ვიყავით ერთ ათეულში, შეიძინივე აქა ვართ. ვინ გაივლებდა ფუქრად, რომ დანიაში მოვხვდებოდით!

მაგონდება ქართული სიმღერა — „შვიდნი ძმანი გურჯანელნი“... შვიდი ძმა ვნახე ბორნჰოლმში, შვიდი ქართველი, შვიდი უშიშარი მზევრავი, შვიდივე კომუნისტი. შვიდი ოცი წლის ქაბუკი. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან წამოსულან ისინი. ომში დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მძიმე ფრონტულმა ცხოვრებამ დაამშობილა წინათ უცნობი თანამემამულენი.

უფროსი სერჯანტი ტიტვიკო აბრამის-ძე დგებუაძე დაიბადა ოჩემჩირეში, უფროსი სერჯანტი შალვა ბაგრატიის-ძე ბებია სოფელ წითელ ბესლედიაში (სოხუმის რაიონი), ავთანდილ ნეოფიტის-ძე მშვენიერაძე — ზესტაფონიდანაა, ვალერიან გიორგის-ძე ბოლქვაძე ფოთელია, დღურ გრიგოლის-ძე ბესელია ნოსირელი, შალვა ივანეს-ძე შველაყაძე დაიბადა წულუკიძის რაიონის სოფელ კუხში, შოთა ალექსანდრეს-ძე გოლეთიანი — გაგარის რაიონის სოფელ კოლხიდაში. მერვე ქართველი, სიღნაღელი ბიჭი ვასილ გიორჯიას-ძე ყუფარაშვილი — სხვა განაყოფი ითვლება. უნდა მოსულიყო, რატომღაც დაი-

გვიანა, თუ დაყოვნდა სადმე. ჩვიდმეტი ორდენითა და მედლით დააჯილ-
დოვა სამშობლომ შვიდი მშვერავი. კარგად უბრძოლნიათ ძმადრადიებს.
გოლეთიანი მიყვება ეპიზოდებს საფრონტო ცხოვრებიდან. ზოგიერთი
მათგანი ჩაეწერე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მბლით მტრის ბანაკში

ჩვენი ჯარები ცხარე ბრძოლას აწარმოებდნენ ქალაქ გროსენდორფისა-
თვის. არის ასეთი ქალაქი დანციგის ყოფილ „კორილიორში“. წინ გადატი-
ტვლებული მინდორი იყო, მინდვრის მიღმა გორაკი. გორაკთან ჩასაფრე-
ბულიყვენ გერმანელები.

პოლკის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა ეფრემოვმა გამოიძახა ქართველი
მშვერავები.

— საქართველო თავს როგორა გრძნობს?—დაეკითხა ღიმილით.

— უკეთ, ვიდრე საჭიროა!—გაიხუმრეს მშვერავებმა.

— მძიმე საქმეზე გგზავნი!—დაფიქრებით წარმოსთქვა პოდპოლკოვნიკ-
მა, — ზოგიერთი თქვენგანი იქნებ აღარ დაბრუნდეს ამ ოპერაციიდან. ჩამო-
ჯექით ჩემს მახლობლად, სახეს მაინც დაეიხსოვებ.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — სიტყვა ჩამოართვა დგებუაქემ. — ჩვენი,
საქართველოში, ამბობენ: „ვაჟაკსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხი-
სია“. ჩვენ გული რკინისა გვაქვს, მოგვეცათ დაეალება, არაფრისა გე-
შინია!

— ნუ ჩქარობ. არ გვეშინიათ. მშიშარებს არც ვანდობდი ასეთ საქმეს.
რად მინდა მშიშარები? სიმამაცე კარგია. სიმამაცე უაზრო თავგანწირვის
როდი ნიშნავს. ფრონტზე დღეში ათასჯერ შეიძლება მოგვლან. ვაჟაკი მა-
შინ იქნები, თუ ერთი სიცოცხლით ათასი სიკვდილი დაამარცხე. მართალს
ვამბობ?

— მართალია! — დაუდასტურეს მშვერავებმა.

— შეგეჩვიეთ, შეილებად მიმაჩნებართ. თქვენ დაგინახავთ და ჩემი ვა-
სილი მაგონდება. ისიც თქვენი ხნისა იქნებოდა ახლა.

— დაილუბა, განა?

— დაილუბა. ჩემი ხელით გავუთხარე საფლაგი, იმ ხელებით, აკვანს რომ
ურწევდა. ძნელია მოსაგონებლად...

რამდენიმე წამის განმავლობაში ესდუმდით. პოდპოლკოვნიკი მოღუშული
იჯდა. შემდეგ მოულოდნელად წაიოხუნჯა.

— ვიცი თქვენი ხასიათი. გახვალთ აქედან და კორობას დაიწყებთ.
ჩვენს პოდპოლკოვნიკს ძიძაობა უფრო შეშვენის, ვიდრე მეთაურობათ.
ხომ იტყვით ასე, ა? კარგი, კარგი, ვხუმრობ. ყური დამიგდეთ. გორაკს ხომ
ხედავთ? კარგი ბიჭები რომ იყავით ჩემზე აღრე უნდა შეგემჩნიათ. რაო!
შეგისწავლიათ კიდევ! ყოჩაღ, ძმაო. ვცნობ ჩემს არწივებს. იმ გორაკის
მიღმა გერმანელები არიან ჩასაფრებულო. წინ არ გვიშებენ, ცეცხლს გვი-
შენენ. შეტევის ტემპი ნელდება. გაფიქრდით. ადგილზე ჯდომა რას გვარ-
გებს! გორაკის აღება თქვენთვის მომინდვია. გადაცოცდით, გაფრინდით,
გაუჩინარდით, როგორც გინდათ. გორაკი დღეს ჩვენი უნდა იყოს. გასაგე-
ბია ჩემი ბრძანება? მე მგონია გასაგებია. წადით და მოისაზრეთ. გზა და-
მილოცნია.

მშვერავები გამობრუნდნენ. რთული ამოცანა დაუსახა პოდპოლკოვნიკმა.

როგორ აიღონ გორაკი? რამდენი ვარიანტიც არ წამოაყენეს, არცერთმა არ ივარგა. დგებულებამ მაშინ ერთი ხერხი იღონა. მახლობელ გომურში ძველებური ყაიდის გადახურული ეტლი იდგა. გამოათრია გარეთ, ცენტრალურად შეალამაზა და შიგ ორი ცხენი შეუბა.

— დაჯექით, ბიჭებო!—სთქვა დგებულებამ,—გასეირნება, სწრაფად მოხატვრია ვინმეს?

— ხუმრობ თუ, რა დროს სეირნობაა?

— გერმანელებს მინდა ვესტუმრო.

— ეტლით?

— დიახ, ეტლით.

— სთქვი პირდაპირ, რაშია საქმე?

— მაშ მომისმინეთ. პოდპოლკოვნიკის ბრძანება ყველამ გაიგო. ბრძანებას შესრულება უნდა, შესრულებას ქვეა და მოხერხება. როგორ მივადგეთ იმ ტიალ გორაკს? წინ გადაპარსული მინდორია. ვინდ გადაცოცდვ, მაინც შეგამჩნევენ. არც ღამით შეიძლება მიახლოვება. გერმანელები რაკეტებით ანათებენ მიდამოს. საჭიროა ეშმაკობას მივმართოთ. ასე მოვიფიქრე: ყველანი ამ ეტლში ჩაჯდეთ. სადავეებს მე დავიჭერ და კოფოს ამოვიფარები. ეტლი პირდაპირ გერმანელებზე მივაგდოთ, განდოვხტეთ მოულოდნელად და სროლა ავტეხოთ. თუ გაგვიჭრა ეშმაკობამ, კარგია; თუ არა და სიმხდალეს მაინც არ დაგვწამებს არავინ. მოგწონთ ჩემი აზრი?

— კარგად მოვიფიქრებია, იყოს მასე! — დაეთანხმნენ მეგობრები.

შუადღის ორი საათი იქნებოდა, როცა საიდუმლო შავი ეტლი გერმანელებისაკენ დაიძრა. ცხენები დაოთხებით მიგელავდნენ. ეტლში არავან სჩანდა.

— რას მოასწავებს ეს?—გაიფიქრა მტერმა. ცეცხლი არ გაუხსნია, ალბათ ცხენები დაენანა, ხელში ჩამივარდებო. ვის მოუვიდოდა აზრად, რომ ეტლში შეიდი თავზეხელაღებული მწვერავი იყო ჩასაფრებული. ეტლი გორაკს მიადგა. ჭკვიანი ცხენები თავისთავად შესდგნენ.

— ჰალტ!—ნერვიულად წამოიყრანტალა შეშინებულმა გერმანელმა გუშაგმა, —საშეები!—პასუხი არავინ გასცა. მაშინ გერმანელმა შაშხანა გაისროლა. ტყვიამ გაჰკენწლა ეტლის ფერდი და წივილით ჩაესო მიწაში. გერმანელს ფსიქოლოგიური გამოცდა უნდოდა: თუ ვინმე არის ეტლში, ვერ მოითმენს და პასუხს გამცემსო. კვლავ სიჩუმე იყო პასუხად. გერმანელებს გამბედაობა მოემატათ. ორი ჯარისკაცი ძუნძულით გამოემართა ეტლისაკენ. მოულოდნელი ქარიშხალივით გამოვარდნენ ეტლიდან ქართველი მწვერავები. დასჭყვილეს „ვაშა“ და ავტომატის ცეცხლი დაანთეს. მოკლე სისხლისმღვრელ შეტაკებაში დასაყრდენი პუნქტის გარნიზონი ამოწყვეტილ იქნა. ვიდრე გერმანელები მოასწრებდნენ რეზერვების გადმოყვანას, გორაკისკენ დაიძრა სამჭოთა ბატალიონი. ერთ ბატალიონს მეორე მიჰყვა. როგორც შეგუბებული მდინარე შეანგრევს ჯებირს და შხუილით გაინაგარდებს, ისე იხუვლეს მტრისაკენ ჩვენმა ჯარებმა, იერაშით აიღეს ქალაქი გროსენდორფი. ამ გამარჯვებაში ქართველ მწვერავებსაც ედოთ წილი.

მძინარე სნაიპერი

პეტციგერ-ნერუნგის ისარაზე მწვერავებმა შეიპყრეს გერმანელი სნაიპერი. სნაიპერი დაზიანებულ ტანკში იყო დაბუღებული, იქიდან უთვალ-

თვალეზდა ჩვენს მებრძოლებს. რამდენიმე მათგანი დასკრა. როცა არტილერისტები ტანკს ყუმბარას დაუშენდნენ, სწრაფი თხრილში გადაძვრებოდა, შემდეგ კვლავ ამობობდებოდა ძველ ადგილზე. სოციალურ გაუმწარა ხალხს ვერაფერია. მაშინ ბესელია და მშვენიერად „სანადიროდ“ გაემართნენ. მშვერავებმა ზურგიდან შემოუარეს სწრაფს. მშვენიერად მიცოდნენ ტანკთან, გერმანელს არაფერი შეუტყვრა. ფრთხილად ფშვინავდა. ბესელიამ ავტომატის კონდახი უთაქა ძილის გუდას და ხმადებლა უთხრა გერმანულად.

— სადამო მშვიდობისა, ადექ, სტუმრები მოგივიდნენ! გერმანელი დაფეთდა. ბრწყინვალად აცეცებდა არიულ თვალეზს. მშვერავებმა წინ გაიგდეს „მოენე“ და შტაბში მიიყვანეს.

— რომელი ერთი მოგიყვებო, — ამბობს ბესელია, ეპიზოდების მთელი ტომარა დაგვაქვს თან!

საუბრის გაგრძელება სხვა დროისათვის გადავდეთ. მეორე დღეს კი მოვლოდნელად დავტოვეთ კუნძული. არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი მოუფრინდა თვითმფრინავით და თან წაგვიყვანა. გამოშვებობება ვეღარ მოვასწარი.

5. შახვედრა ზრაუდენში.

პოლონეთის ქალაქ გრაუდენცში ჩამოვედით. აქედან მოსკოვს მივემგზავრებით. მატარებლის ვასვლამდე ოთხი საათია. ბოლოს ეცემთ ბაქანზე და მასლათში ეხარჯავთ დროს. უცებ წინ სამი მებრძოლი შემეფეთა. უცნაური ორდენები დაფინახე მათს შერდზე, დაფინტერესდი და შევაჩერე წითელარმიელები. ვკითხე, სადაურები ხართ-მეთქი.

— ქართველები ვართ! — მიპასუხეს თითქმის ერთხმად. პოდპოლკოვნიკმა ბელიაევმა სიცილით შენიშნა — შენ რაღაც ბედი გწყალობს, სადაც წახვალ, ყველგან ქართველი გხედება.

— ცოტანი ვართ, მაგრამ ყველგან ვართ, — მხნედ უპასუხა პოდპოლკოვნიკს ერთმა მებრძოლმა. პასუხი მომეწონა და აღარა დავუმატე-რა მის სიტყვებს.

— ეგ რა ორდენები მიგილიათ?

— იუგოსლავიის ორდენია — „თავისუფლება ხალხს, სიკვდილი ფაშისმს“, მარშალმა ტიტომ ჩაგვაბარა.

— თვითონ ტიტომ?

— მაშ, ზელიც ჩამოგვართვა და დღეგრძელობა გვისურვა. — ბაქნის მახლობლად ერთი მოგრძო სკაში იყო. ჩამოვეჯექით სასაუბროდ.

— თქვენი გვარი? — შევეკითხე გვერდით მჯდომს.

— მე მაფფორია ვარ გრიგოლ ალექსის-ძე — ქუთაისიდან, მეორე ახანაგი ბედოიძეა დიმიტრი ივანეს-ძე, მესამე ალექსანდრე გიორგის-ძე ლანჩაშვილი უნდა იყოს მგონი.

— მგონი, თორემ დღეს გამიცანი, — იწყინა ლანჩაშვილმა. — სამ წელზე მეტია ერთად ვიბრძვით.

— იქნებ მომიყვეთ თქვენი ორდენების ისტორია?

— საამაყო არაფერია, სამარცხვინო საქმე დაგვემართა, — სთქვა მაფფორიამ.

— როგორ თუ სამარცხენო?—გამოცა მამფორიას სიტყვებმა.

— სამივე ტყვედ ჩაგვიგდო მტერმა. მართალია დაპრილები ვიყავით, მაინც ტყვედ ჩავევადით.

— მერე?

— ძნელია ყველაფრის მოგონება. მასსოვს, ხელფეხში მტერს დაჭრილი, მდიოდა სისხლი და ენატობდი—სისხლი შხამად გადამტყუდა და ამ შხამში დაემღრჩვალიყავ. ერთხელ ლანჩაშვილი მოვიდა ჩემთან და ჩურჩულით მითხრა: გრიშა, გული მიკვდება, შენ რომ გიყურებ. ცოცხალი ხარ და მკვდრის ფერი გადევს. თავი არ მოიკლა დარდით, შენი კირიმე. როგორც მოკეთღები, გავეჭვით ამ წყველებს. ჩვენ ჩვენი მივუზღაო მტერს!

მოვილაპარაკეთ. გადავწყვიტეთ გაქცევა. ღრმად გულში ჩავემარხეთ ეს განზრახვა.

1943 წლის სექტემბერში გერმანელებმა იუგოსლავიისკენ გადაგვიყვანეს, სიმაგრეებს აგებდნენ პარტიზანების წინააღმდეგ.

საშინელი ამინდი იდგა. ხან თოვდა, ხან შხაბუნა წვიმა მოდიოდა. ღამე იყო ბნელი, ამ ღამემ გადასწყვიტა ჩვენი ბედი. თავი დავალწიეთ გერმანულ ურჯულებს და მარშალ ტიტოს პარტიზანულ არმიაში მოვედი. ჩაგვრიცხეს პირველი პროლეტარული დივიზიის მეცამეტე ბრიგადაში მეტყვიამფრქვევეებად. ბელგრადის განთავისუფლებაში მივიღეთ მონაწილეობა. გერმანულთა შვიდი კონტრიერიში მოვიგერიეთ, ფაშისტთა ორ ტანკს გავაცხებინეთ სული. სარდლობამ მოგვიწონა ვაჟკაცობა.

— რა შეუპოვრად იბრძვით!—გაიკვირვა იუგოსლავიის ჯარის ოფიცერმა როსტინმა.—რაღაც დიდი დანაშაული უნდა ჰქონდეთ გერმანელებს თქვენს წინაშე! მე სერბიულ ენაზე ვუბასუხე:

— მარტო ჩვენს წინაშე? ვის წინაშე არიან ისინი მართლნი?—შემდეგ მარშალ ტიტოსთან გამოგვიძახეს. ტიტო მოგვესალმა და მადლობა გამოგვიცხადა. იუგოსლავიის ორდენებით დაგვაჯილდოვეს ქართველები.

მამფორია წამოდგა.

— ბოდიში, ვენაში მიგვეჩქარება!—ესა სტჰვა ისეთი ტონით, თითქოს როინის საღვთრზე აპირებდა წასვლას.

ბედნიერი მგზავრობა ვუსურვეთ ერთმანეთს.

1946 წელი.

ქ ე ლ ა რ ე

სამოტივაციო ხალხური ბალადა

1

— ენის სისხლია შენს მახვილზე გადმონადენი,
ელვარდ, ელვარდ!
 ენის სისხლია შენს მახვილზე გადმონადენი,
 რად გაქვს აგრეთი მკაცრი იერი?
 — მრისხანების ეამს შემომაკვდა დღეს შევარდენი,
დედაო ჩემო!
 მრისხანების ეამს შემომაკვდა დღეს შევარდენი
 და ვერსად ენახე მის მაგიერი!

2

— შევარდნის სისხლი არ იქნება აგრე წითელი,
ელვარდ, ელვარდ!
 შევარდნის სისხლი არ იქნება აგრე წითელი,
 შენი მახვილი მუჭაა მეტად.
 — ჩემს წითელმურა რაშს დავარტყი ხმალი შიშველი,
დედაო ჩემო!
 ჩემს წითელმურა რაშს დავარტყი ხმალი შიშველი
 და მკვდარი რაშის მაწუხებშს სევდა!

3

— შენი ბებერი რაშის სისხლი არა ჰგავს ამას,
ელვარდ, ელვარდ!
 შენი ბებერი რაშის სისხლი არა ჰგავს ამას,
 შენი თვალეზი სხვა სიმძიმის არის მნახველი!
 — მაშ, მართალს გეტყვი: შემომაკვდა მშობელი მამა,
დედაო ჩემო!
 მაშ მართალს გეტყვი: შემომაკვდა მშობელი მამა
 და საზარელი მტანჯავს ნადველი!

— როგორ-ღა გინდა მიტევა ცოდვებით საესევე,
 ეღვარდ, ეღვარდ!

როგორ-ღა გინდა მიტევა ცოდვებით საესევე,
 სინანულის გზას რით-ღა მიაგნებ?



— აედრიან ზღვაში დავეგდები უნიჩბო ნავზე,
 დედლო ჩემო!

აედრიან ზღვაში დავეგდები უნიჩბო ნავზე
 და ქარს მივანდობ ნავის იალქნებს.

5

— რა დაემართოს მერე კოშკს და შეს ციხე-დარბაზს,
 ეღვარდ, ეღვარდ!

რა დაემართოს მერე კოშკს და შეს ციხე-დარბაზს,
 როდესაც ნავი გასცურავს იქით?

— შიგ ქარიშხალმა ისეირნოს, წვიმამ და ქარმა,
 დედლო ჩემო!

შიგ ქარიშხალმა ისეირნოს, წვიმამ და ქარმა,
 რათა მიწასთან გასწორდეს იგი.

6

— რა დღეში გრჩება წვრილშვილი და საბრალო ცოლი,
 ეღვარდ, ეღვარდ?

რა დღეში გრჩება წვრილშვილი და საბრალო ცოლი,
 რას დაუტოვებ უმწეო ბედათ?

— კარით კარამდე სამოწყალოდ იარონ ლტოლვილთ,
 დედლო ჩემო!

კარით კარამდე სამოწყალოდ იარონ ლტოლვილთ,
 მათ ვეღარასდროს ვიზილავ შეტად.

7

— მაგრამ დედაშენს რას მიტოვებ, მითხარი შემდეგ,
 ეღვარდ, ეღვარდ!

მაგრამ დედაშენს რას მიტოვებ, მითხარი შემდეგ,
 მე, საკუთარი მკერდით რომ გზრდიდი!

— წყევლას და კრულვას არ მოგაკლებ სიკვდილის დღემდე,
 დედლო ჩემო!

წყევლას და კრულვას არ მოგაკლებ სიკვდილის დღემდე,
 რადგან შენ ცოდვა შთამაგონე, ეს ცოდვა დიდი.

მიჯაჭვული პროზითა

მომხმდენი პირნი

- ძალა და ძალადობა — დემონები.
- ჭეფესტი — ღმერთი-მკვდელი.
- პროზეთე — ტიტანი.
- ზორო ოკეანიდუზისა — ოკეანის ქალთა.
- ოკეანე — ტიტანი.
- იო — ინახის ქალი.
- ჭერმესი — ღმერთი, ზევსის მცნე.

(მოკმედება სწარმოებზ ზღვის ახლოს — მთაში, ჭეფესტს, ძალას და ძალადობას შეხოვილა პროზეთე შემოჰყავთ)

პ რ ო ლ ო ბ ი

ძ ა ლ ა

აჰა, მივედით გზაშორეულ მიწის საზღვართან, სკეითთა უდაბურ, უკაცრიელ, ველურ მხარეში. ჭეფესტო, უნდა აღსარულო მამის ბრძანება: მიდი, ფოლადის დაუმსხვრევი ხუნდი დაადე, სულმთლად შეპბოჭე რკინის ჯაჭვის ფეხბორაკილებით და თვალშეუდგამ კლდეს მისკედე ეს უკეთური. შენი მშვენება, წყარო ყოველ ოსტატობისა, — დეცხლი გიზგიზა მან მოგპარა მომაკვდავთათვის. მაგ ცოდვის გამო, ღმერთებისგან დასასჯელია, რათა ისწავლოს სიყვარული ზევსის ტაბტისა და საბუდამოდ დაივიწყოს კაცთმოყვარობა.

ჭ ე ფ ე ს ტ ი

შენ ძალავ და შენ ძალადობავ, შეუფერხებლად, ნება ზევსისა აღსარულეთ და საქმეს მორჩით. მე კი — ვერ ვბედავ, ნათესავი ეგ ჩემი ღმერთი გრიგალებისგან დაუფარავ კლდეზე მივსკედილა. უნდა გავბედო: მაიძულეზს უცილებლობა! მამის მკაცრ ნების უარობა საშიშარია.

(პროზეთესაკენ)

მართლსმთქმელ დედის — ბრძენ თემიდეს, ძეო უბრძნესო, ჩემდა და შენდაც უნებურად და სავალალოდ, უძლეველ ხუნდით უკაცრიელ კლდეზე მიგჯაჭვაე, სად კაცის სახეს ვერ იხილავ, ვერვის მოუსმენ. მზისგან დამწვარი კანი შვად დაგეხრუება. შევბად მიიჩნევ, როს დაჰფარავს დღის ეღვარებას ის გრილი ღამე, მოციმციმე, კრელკაბიანი.

მაგრამ დილითვე მზე გააშრობს განთიადის ცვარს
და ისევ ავი შეგაძრწუნებს ტანჯვა-წამება,
რადგანაც იგი შენი მხსნელი ჯერ არ შობილა.
აი, რა გერგო ჯილდოდ კაცთა სიყვარულისთვის!
გქონდა დეთის რისხვა თვითონვე ღმერთს შეჯავრება,
ხოლო მომაკვდავთ ქომაგობდი განუზომელად.
ამიტომ დაღექ აწ დარაჯად უდაბურ კლდეთა,
მუხლმოუღრეკლად და უძილოდ სვეტადქცეულის
ზეცას ამოად შეაშფოთებ ზახილ-გოდებით,
რადგანაც ზევსის გულისწყრომა ულმობელია.
სასტიკი არის მბრძანებელი ახალი მუდამ.

ძ ა ლ ა

ქმარა, ამოდ ნუ წუწუნებ და აგვიანებ.
ღმერთთა მგმობელი ღმერთი რისთვის არ გეჯავრება,
ვინც მომაკვდავებს ის საუნჯე შენი გადასცა?

ჰ ე ფ ე ს ტ ი

ნათესაური მე კავშირი მასთან მაშინებს.

ძ ა ლ ა

კეთილი, მაგრამ, დაუკვირდი, მამის ბრძანება
არ შეასრულო, ეგ საშიში უფრო არ არის?

ჰ ე ფ ე ს ტ ი

შენ მუდამ ყბედი, გულქვა, მკაცრი და პირქუში ხარ.

ძ ა ლ ა

ერემლი მალამო ნუ გგონია, და ამის გარდა,
მაგით სარგებელს ეს ვერ ჰპოებს. ფუჭი შრომაა.

ჰ ე ფ ე ს ტ ი

ო, ვით შემზარდა ახლა იგი ხელობა ჩემი!

ძ ა ლ ა

რისთვის შეგზარდა? ამ შრომაში მაგ შენ ხელობას,
აშკარად ვიტყვი, ჭეშმარიტად ბრალს ვერვინ დასდებს.

ჰ ე ფ ე ს ტ ი

ნეტაეი ვისმე სბვას სცოდნოდა ჩემი ხელობა.

ძ ა ლ ა

ყოველ ღმერთს თავისი მძიმე შრომა არგუნა ბედმა,
თავისუფალი მბრძანებელი მხოლოდ ზევსია.

ჰ ე ფ ე ს ტ ი

ვიცი. მის გამო მე არა მსურს აწ შენ გედავო.

ძ ა ლ ა

მაშ, ნუ აყოვნებ, შემოარტყი ეგ სალტეები,
მამა მშობელმა შენ უსაქმოდ რომ არ გიხილოს.

ჰ ე ფ ე ს ტ ი

აჰა, სალტენი მის ხელთათვის, კარგად უცქირე.



ძ ა ლ ა

ჩაუგდე ხელი. მოქნეული დაუშვი ურო,
დასცხე, დაჰკარი მთელის ძალიო. კლდეს მიაჭედე.

ჰ ე ფ ე ს ტ ი

მოვრჩი. ჩემს შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

ძ ა ლ ა

კიდევ დაჰკარი. მოუჭირე მაგრად მარწუხი.
ეგ ოსტატია: გზას მოსძებნის უგზოობაშიც.

ჰ ე ფ ე ს ტ ი

ეს მკლავი მაგრა, საიმედოდ ჩაჭედილია.

ძ ა ლ ა

ეგეც ჩასჭედე. უმეცარმა ვინძლო შეიგნოს,
რომ ზეესი მასზე ბრძენი არის და შორსმჭვრეტელი.

ჰ ე ფ ე ს ტ ი

მხოლოდ ის გამსჯის, კარგად ვიცი, სხვა კი — არავინ!

ძ ა ლ ა

ახლა ფოლადის ორლესული და წამახული
პალო მთლად მკერდში დაატაკე და გაუყარე.

ჰ ე ფ ე ს ტ ი

ვაგლახ, პრომეთე, შენი ტანჯვა მე გულს მიღონებს.

ძ ა ლ ა

არ გეშინია შენ ზეესის მტრის წინაშე მოთქმის?
ფრთხილად: გოდება არ მოგიხდეს საკუთარ თავზე!

ჰ ე ფ ე ს ტ ი

ულფთო ხანახაჲს შენ აქ ზედაე საკუთარ თვალით.

ძ ა ლ ა

ცხედავ: დადგენილ სასჯელს იღებს კუთვნილისამებრ.
ახლა ნეკნებზე შემოაჭდე მას მარწუხები.

ჰ ე ფ ე ს ტ ი

ძალად ვაკეთებ მე ყველაფერს, ნულარ მაჭეზებ.

ძ ა ლ ა

მე განა მართო წაგაჭეზებ? გიბრძანებ კიდევ:
ჩაბრძანდი ქვევით, დაადევი ფეხზეც ხუნდები!

ჰ ე ფ ე ს ტ ი

ყველაფერს მოვრჩი, ჩემი შრომა არ იყო ძნელი.

ძ ა ლ ა

ახლა პალოთა ეს რგოლებიც კლდეში ჩასჭედე, —
შენ აგებ მკაცრი მოსამართლის წინაშე პასუხს.

ჰ ე ფ ე ს ტ ი

გრუხუნის მსგავსი ეგ შენი ხმა საზარელია.



ძ ა ლ ა

იყავ გულჩვილი, ხოლო ამ ჩემ ჯიუტ ხასიათს,
რისხვის სიმკაცრეს ნუ მივინებ და ნუ დასცინი.

პ ე ფ ე ს ტ ი

შებოქილია ბორკილებით სულმთლად, წავიდეთ!

ძ ა ლ ა

(პრომეთეს)

მაშ ითავებდე, იმ ხანმოკლე უსუსურთათვის
მოჰპარე ზეცას საუნჯენი. მოვიდნენ კაცნი
და ახლა შენი ქირთა ნაეი მათ ამოხაპონ!
ამაოდ გთელიან შენ უკვდავნი წინასწარმპყვრეტლად.
წინასწარმპყვრეტი მართლა თუ ხარ, თვითონვე პპოვე
ამ ხაფანგისგან თავდაღწევის საშუალება.

(მეფესტი, ძალა და ძალადობა მიღიან).

პ რ ო მ ე თ ე

(აღღებე მიჯაჭველი)

წმიდა ეთერო და თქვენ კიდევ ფრთამაღონო ქარნო,
ჩქარ მდინარეთა სათავენო, ზღვათა ურიცხვო
ტალღის დიმილო სხივისანო, შენ დედამიწავ,
ყოვლისმზილველო მზისა დისკოვ, — ყველას მოგვიზობთ!
მიცქირეთ: ღმერთი ღმერთებისგან მით ვეწამები.
დასახინრებულ-დაღეწილი აქ უნდა ვიღვე,
დაედნე მირიად საუკუნის განმავლობაში.
ამ ბორკილებით შეჩვენება ჩემი ისურვა
ნეტარ ღმერთების მბრძანებელმა ახლადშობილმა.
ვაი-მე, ვაი,

ამ დღევანდელ ტანჯვასა ვგლოვობ
და თან ხვალინდელ წამებასაც, ორთავეს ერთად.
მწვავე ტკივილთა დასასრული როს ირიცრავებს?
მაგრამ რას ვამბობ? რაც მეწერა — ადრეც ვიცოდი.
მოულოდნელად არა ქირი არ შემეყრება.
უნდა გავუძლო ბედისწერის მოქნეულ უროს,
გადავიტანო მე ეს ხვედრი, რადგანაც ვიცი:
გარდუვალობის მბრძანებლობა უძლველია.
მაინც ჩემს ხვედრზე მეძნელება დუმილი, გლოვატ-
მე ვიტანჯები ასე, რადგან კაცთ მივანიჭე
უხვი საუნჯე — ცეცხლი ძალად მოტაცებული
და შენახული ხმელ ლერწამის ლულა-ღეროში.
მან ხალხს ასწავლა ოსტატობა, ხერხი მრავალი
და დანახვა დიდზე-დიდი გზა ცხოვრებისა.
აი, ამ ცოდვის საპასუხოდ მე ვეწამები
აქ ბორკილებით მიჯაჭველი თავლია ცის ქვეშ.
ვაი-მე, ვაი!

ეს რა ექოა, უხილავი თანაც სურნელი!
ღვთის მოციქულთა თუ მოკვდავთა მესმის ძახილი?



ქართული
ენციკლოპედია



აქ ამოდიან, ამ შავბნელ კლდეზე,
რომ დასტკბნენ ჩემი წამების ხილვით.

მაშ, შემომხედეთ: ღმერთს მიჯაჭვეულს და საბრალოსა,
ზევისს მოძულეს, მტერს, მოსისხლეს ყველა იმ ღმერთთა,
ვინც ქედმოხრილად და სამარცხვინოდ
დიდ ზევისს საზღში მონურად დადის.

კაცთ სიყვარულის გამო ვისჯები.
ჩუ, ისევ მესმის გაფრენილ სირთა
ხმაური, სტვენა და მოქნეული
ფრთისგან გაქრილი ეთერი შხუის.
მზარავს ყოველი, რაც ახლოვდება!

პ ა რ ო დ ი

(ორკესტრზე ჩნდება ფრთიან ეტლში მკდარი ხორც ფერებშია — ოკეანიდებისა).

ხ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი 1

ნუ გეშინია!

ამ კლდეს ეეწვიეთ,
გაჯიბრებულნი მწყობრი ფრთებითა,
ნორჩ ღლეთა შენთა ჩვენ მეგობარნი.
ძლივსლა გავადნეთ ზეეწნა-მუდარით
იმ ჩვენი მამა მშობელის გული.
სწრაფლმავალ ქარმა წარგეტაცა სმენა
და ჩამოგვესმა მღვიმეთა შინა
ხალიბის რკინის ეჭო და გრგვინვა.
დაეგდეთ რიდი და ფეხშიშველნი
გამოვეშურეთ ფრთიანი ეტლით.

პ რ ო მ ე თ ე

ვაი-მე, ვახ-მე,

შვილმრავალ ტეთის ნაშიერნო, ოკეანისა,
ფხიზელი რბენით გარს რომ უვლით მთელ დედამიწას, —
ხედავთ: ვითა ვარ მიჯაჭვეული რკინის ხუნდებით
კლდოვანი ქედის ქარადების, ქვაშვეტთა ზემოდ!
აქ ვდგევარ ახლა სამარცხვინო სადარაჯოზე.

ხ ო რ ო

ანტისტროფი 1

ვხედავ, პრომეთე, ვხედავ და ავი
ნისლი მეცემა მის გამო თვალზე.
ვაფრქვევ მღუღარე ცრემლთა ნაკადულს.
ვხედავ შავ კლდეზე საჭკობად გაკრულს,
ბუშბერაზს, რკინის ხუნდით შერცხვენილს.
მაღალ ოლიმპის საჭის მპყრობელი,
ახალი ახლად მართავს ქვეყანას.
ღღეს უსამართლოდ ბატონობს, მძლავრობს
მკაცრი კანონით ზეესი მზრახველი,
და რაც დიდობა, იქცა არარად!

პ რ ო მ ე თ ე

ნეტავ ჩავეგდე დედამიწის ქვემოლ პადესში,
მკედართა მასპინძლის უსინათლო, შავ ჯოჯოხეთში
და იქ დაედო უნდო ჯალათს რკინის ხუნდები,
რომ ღმერთს, არც ვისმე შესძლებოდა ჩემი დაცევა,
ახლა კი ქართა მოხეტეთა სათამაშო ვარ,
მტერთა საამოდ, გასახარად აქ წამებული.

ხ ო რ ო

სტროფი 2

მინდა ვიცოდე ვის აქვს ქვაგული?
ან ღმერთთა შორის ვინ გაიხარებს?
ვინ არა სტირის შენთან შენსა ჭირს?
მხოლოდ ის — ზევსი ის ბრაზიანი
და ის უწყალო ცდილო...ს აღმოფხვრას
ურანის მოდგმის ბებერი თესლი.
არ მოისვენებს და არ დადგება,
ვიდრე ხელქმნილი გულს არ იჯერებს
და არ წაჰკლევდენ ხერხიან ბრძოლით
ხელთაგან წყვეულ ხელისუფლებას.

პ რ ო მ ე თ ე

თუმცა აქა ვარ ბორკილებით დაკიდებული,
დასახიჩრებულ-შერცხვენილი, — მას დავეპირდები
და მაინც მე მთხოვს ის შეუფე ნეტარ ღმერთების,
რომ მისი სკიპტრის და დიდების დამამხოველი
მე მას ახალი შეთქმულება შევატყობინო;
მაგრამ ხმატკბილი დადადისით ჯადოს ვერ შემყრის,
ვერ დამიმონებს, ვერ მომწუსხავს, ვერ დამიყოლებს,
ვერცა მუქარით შემაშინებს და გამომტეხავს,
სანამ არ ამყრის ავ ბორკილებს
და არ ისურვებს
ამ შეგინების, დასჯისათვის დაჯილდოებას.

ხ ო რ ო

ანტი-სტროფი 2

შენ ხარ მამაცი და შენს სიმწარე,
ვიცი, რომაგიც ვერა გაგტეხავს.
თავისუფალი, პირამოქმელი ხარ.
ელლის ისარი სულში მერკობა.
დიდად მაშინებს მე შენი ზვედრი:
ვახ, თუ ტანჯვის ზღვა ველარ გასცურო!
მენდე — უზომოდ ულმობელია
ავდიდი გული კრონოსის ძისა.

პ რ ო მ ე თ ე

ვიცი, ვით არის იგი ავი და ულმობელი.
მას თვითნებობა უგუნური თვისი უგულო,

მართლა კანონად დაუსახავს და სწამს კიდევაც-
მაგრამ ერთხელაც უამი დაპყრავს და მაშინ იგი,
გახდება მეტად გულკეთილი და მოალერსე.
თავის უღმობელ რისხვას დასთმობს ბედით თელილი.
იჩქარებს შექერას მეგობრული ჩემთან კავშირი,
ჩქარებს, და მეც შესახვედრად გამოვალ მაშინ.



თავი პირველი

უფროსი ოკეანიდი

მარქეი ყოველი აშკარად, სრულად:
რა ბრალს გდებს ზევსი, ან რისთვის გებრძვის?
რად ვტანჯავს, გრისხავს ასე უწყალოდ?
გვასწავე, თუ თქმა არ არის მწარე.

პრომეთე

თქმა მწარე არის, უთქმელობაც — ტანჯვაც ჩემთვის.
ერთიც, მეორეც ყოველისმხრივ უსიამოა.
ოდეს უკვდავთა შორის გაჩნდა უთანხმოება,
ღმერთთა სასტიკი, ბობოქარი, მძინეარი ჯანყი
და განიზრახეს მათ კრონოსის ტახტის დამხობა,
რათა ზედ ზევსი ასულიყო, ზოგს კი სწყუროდა,
არ შესძლებოდა ზევსს იქ ჯდომა მეუფედ ღმერთთა, —
მაშინ ტიტანთა, ცა და მიწის შეილთათვის კიდევ
კარგის-მარჩეველი და შთამბონე მე ვიყავ სწორედ,
მაგრამ ისინი ტყბილი სიტყვით ვერ დავარწმუნე,
რადგან მზაკვრულ ხერხს უარყოფდნენ ქედმაღლურადა
და ღია ბრძოლით იჩემებდნენ გაბატონებას.
დედა ჩემი კი — ერთი, მაგრამ სახელმწიფოალი —
თემიდე, გეა, არა ერთგზის, მომავალ დღეთა
წინასწარკვრეტდა, მეტყველებდა და მასწავლიდა,
რომ ქვეყნად არა მამაცობა და მართა ღონე,
არამედ ხერხი იმკვიდრებსო ძალაუფლებას.
მათ აღთქმა იგი გავუმელაინე, მაგრამ ვანადღეს,
ყურად არ იღეს და სრულად არ შეიწყნარეს.
მაშინ უკეთეს, საიმედო გზად მივიჩინე:
დედას თემიდეს შევევრთოდე და მასთან ერთად,
ნებაყოფლობით, მე ახლა ზევსს მივშველებოდე.
ჩემ რჩევის გამო მოხდა ის, რომ, იმ ჯოჯოხეთის
შავ-ღრმა ჯუღრღულში დაიმარხა კრონოსის მოღვა
და ყველა მისი თანამგზავრნი. მაგრამ შევლისთვის
ღმერთთა მეუფემ უღმობელად იძია შური.
განა ასეთი სენი არ სჭირს თვითმპყრობელობას:
არ დაუჯეროს და არ ენდოს თავის მეგობარს!
ხოლო თქვენ მკითხაეთ: რა მიზეზის გამო მაწვალებს,
რად მასახიჩრებს, მტანჯავს იგი? აშკარად გეტყვით:
მალე, როს ტახტი დაიჭირა მამისეული,
მაშინვე ღმერთებს მიანიჭა ზევსმა პატივი

და საბოძვარი მრავალგვარი განუყო ყველას,
კაცნი ბედშავნი და უგუნური კი დაიფიწყა,
თანაც აღმოფხვრა განიზრახა მათი მოდგმისა,
რომ მის ადგილას დაენერგა სულ სხვა, ახალი.
და ჩემს გარეშე მათი შემწე არაეინ იყო.
მე კი გავბედე შემართება, რათა მოკვდავნი
ჰადესში სრულად შთანთქვისაგან გადამერჩინა.
აი, მის გამო მღრეკს და მღუნავს უბედურება
და ვიტანჯები უმოწყალოდ, შესაბრალოსი.
ვიყავ მოკვდავთა მე შემბრალე, ხოლო ამ ჩემ ზვედრს,
არაეინ გულზე არ იკარებს და არ დაეძებს.
ასე სასტიკად მთრგუნავს ზევსი და ასე მაცხრობს
ის შერცხენილი, ბრაზიანი, ღმერთი მოყივნე.



უ ფ რ ო ს ი ო კ ე ა ნ ი დ ი
გული რკინისა, ანუ ქვისა უნდა ჰქონდეს მას.
ვინც დღეს, პრომეთე, შენს ტანჯვაზე არ შეძრწუნდება.
მე კი მერჩია, არ მენახე შენ სრულიადაც.
გნახე და გული დამედავა, გული დამეწვა.

პ რ ო მ ე თ ე

მტრისთვისაც ახლა სანახავად შესაბრალი ვარ.

უ ფ რ ო ს ი ო კ ე ა ნ ი დ ი

იქნებ: სხვაც რამ ჰქენ უარესი და შორს შესტობე?

პ რ ო მ ე თ ე

ღიახ, მოკვდავნი განვარიდე წინასწარჰვერეტას.

უ ფ რ ო ს ი ო კ ე ა ნ ი დ ი

დამყაყებელთა სენისათვის ეგ მალამოა.

პ რ ო მ ე თ ე

მე მათ აგრეთვე ჩავუნერგე ბრმა იმედები.

უ ფ რ ო ს ი ო კ ე ა ნ ი დ ი

ეგ მომაკვდავებს მართლაც დიდად გამოადგება.

პ რ ო მ ე თ ე

და კიდევ მეტი: მე მათ ცეცხლი არ მივეუტანე!

უ ფ რ ო ს ი ო კ ე ა ნ ი დ ი

ნუ თუ გიზგიზა იმ ცეცხლს ჰფლობენ ეფემერები!

პ რ ო მ ე თ ე

ის მრავალ ხერხს და ოსტატობას ასწავლის კაცთა.

უ ფ რ ო ს ი ო კ ე ა ნ ი დ ი

მივხვდი: შენ ზევსი რა მიზეზის გამო გაწვალეღს.

პ რ ო მ ე თ ე

შტანჯავს, მაწვალეღს, მასახიჩრებს ბოროტი ხელით.

უ ფ რ ო ს ი ო კ ე ა ნ ი დ ი

ამ შენს წამებას სამარცხენოს არა აქვს ბოლო?

პ რ ო მ ე თ ე

არა, სანამდე თვითონ ზეესი არ მოისურვებს.

უ ფ რ ო ს ი ო კ ე ა ნ ი დ ი

ვით არ ისურვებს? იმედს არ სჭერეტ? სცან, რომ შესტოდე? ამას რომ გკითხავ, ჩემთვის დიდად უსიამოა, შენთვის — წამება. მაგრამ მინდა, შენ თავს უშველო და გამოსძებნო გზა-სახსნელი ავებდისაგან.



პ რ ო მ ე თ ე

სანამდე ქირში არ ჩაუდგამს ვისამე ფეხი, მას უბედურის დარიგება ადვილად უჩანს. ხოლო გეტყვით თქვენ: ეს წინასწარ ყველა ვიცოდი და შეგნებულად, ჩემის ნებით ხალხს დავეხმარე. არა უარყოფ, არ ვუფრთხილი მის გამო სასაჯელს, თუმცაღა ასეთ დიდ წამებას არ მოველოდი: ამა უდაბურ, უკაცრიელ და ვერან კლდეთა გულფიცხ ლოდებზე დაკიდებას, მარადჟამ დაშლას. კმარა, იყუჩეთ, აქ ჩემს გამო აწ ნულარ გოდებთ. ეახლეთ მიწას, მალზემალე სცანით ყოველი, — მომავალ დღეთა ჩემთა ბოლო და დასასრული. კარგად მისმინეთ, მომისმინეთ, უშველეთ მას ვინც აქ იტანჯება. მაწანწალა ავებდი განა ერთისგან მუდამ მეორესთან არ ჩნდება სტუმრად!

უ ფ რ ო ს ი ო კ ე ა ნ ი დ ი

პრომეთე, ჩვენი ნებისამებრ, შენს დამაბილზე მსუბუქი ფეხით ამ ეტლიდან გადაფერიხდებით. ვატოვებთ ეთერს და სწრაფლმავალ სირთა ბილიკებს, წმინდა, ცისფერ გზებს. ფრიალოკლიან დედამიწას თავს დაეტრიალებ. მინდა შევიტყო დაწერილებით თუ რა შეგემთხვა და შენი ტანჯვის მოვისმინო მწარე ამბავი.

(ჩნდება ფრთიან მერანზე მჯდარი ბებერი ოკეანე).

ო კ ე ა ნ ე

მეტად შორეულ, იმ შორეულ სამყოფელითგან, პრომეთე, შენკენ გრძელი გზებით მოვეშურები. მე ამ ფრინველმა ჩქარფრთიანმა აქ მომაქროლა, ჩემის ნებითა, უაღვიროდ დაურევებულმა. გწამდეს: მალონებს მეც ეგ შენი უბედურება. ჯერ ერთი: ჩემი თვისტომი ხარ და ამის გარდა ქვეყნად ვინ არის, შენი ბედი ჩემებრ სტანჯაედეს! წრფელი რომ არის ზემოთქმული, თვითონ გაიგებ. მძაფს თვალთმაქცური და ცბიერი სიტყვა საოცრად. მარკვი: შე როგორ დაგეხმარო და აღიარე, რომ არ გყავს ქვეყნად მეგობარი და ნათესავი, ოკეანეზე უფრო ძლიერ რომ გიერთვულოს.

პ რ ო მ ე თ ე

ოჰო, მათცემი შენც მოდიხარ, რათა უყურო
 აქ ჩემ წამებას? დიდად მიკვირს: როგორ გაბედე,
 შენი სახელის მოზიარე — ზღვა ოკეანის,
 იმ პირველქმნილი მღვიმეების კლდეთა დაგდება
 და რკინის-დედის ქვეყანაში ჩამობრძანება!
 ჩემი აებედი შემზარავი შენცა გაშფოთებს?
 შეხედე წარმტაც თვალისსიერს: ზევისი მოკეთეს,
 ვინაც მას ტახტი მოუპოვა და ხელმწიფობა, —
 აწ იგივე ზევისი როგორ ლუბავს და ასახიჩრებს.



ო კ ე ა ნ ე

ვხედავ, პრომეთე. უკეთილეს რჩევით მოგმართავ,
 თუმცა ხარ თვითონ მრავალფერი შენ ხერხიანი.
 ზნე შეიცვალე. დაშოშმინდი და გონზედ მოდი.
 განა ახალი არ ბრძანებლობს ღმერთებს ბატონი?
 შენ კვლავ ჯიუტობ, უხეშ, ტყიურ სიტყვას იძახი
 და თუმცა მალლა და შორსა ზის თვის ტახტზე ზევისი,
 რქაც მიწვდება და იკოდე, მაშინ წარსული
 ტანჯვა და ჭირი თამაშობად მოგეჩვენება.
 დააგდე ბრაზი, გულისწყრომა შენ უბედურო,
 ეძებე ახლა ამ ტანჯვათა გზა და საშველი.
 ვიცი, დრომოკმულ თქმად მიიჩნევ ჩემ ბუობა-სიტყვას,
 მაგრამ, პრომეთე, ქედმაღალი სიტყვის შედეგი
 თვითონ გაქვს ახლა შეგნებული შენ ჩემზედ უფრო.
 მაინც არ დაცხრი, არ დამშეიღდი და ამის ნაცვლად
 ცდილობ ავ ხიფათს დაამატო ისევ ხიფათი.
 ხილი ჩასტიდე ჩემს ნაუბარს და დამოკერე,
 რომ შეუბლით კედელს ვერ გაარღვევ და ვერ შემუსრავ.
 ხედავდე: შეფობს უბატონო, მკაცრი ხელმწიფე.
 მე წავალ მასთან, შევეცდები, იქნების შევძლო
 და გამოვიხსნა ამ უწყალო წამებისაგან.
 შენ კი იყუჩე, დაიმოკლე როგორმე ენა.
 თუ ყოვლის მკოდნე და ბრძენი ხარ, რად არა ფიქრობ,
 რომ ამოთქმას და ურჩ სიტყვას მოსდევს სასჯელი?

პ რ ო მ ე თ ე

მშურს, რადგან ასე დაუსჯელად დაიარები,
 ჩემთა ზრახვათა და საქმეთა თანაზიარი.
 მაგრამ ნუ ზრუნავ და ამოიდ ნუ გაირჯები:
 ნუ გჯერა: ზევისი დაარწმუნო ოდესმე შენა.
 დახე, მაგგვარ გზით არ შეგემთხვეს თვითვე ხიფათი!

ო კ ე ა ნ ე

შენ უკედ იცი დარაგება მოყვასის, ვიდრე
 საკუთარ თავის, სიტყვა შენი დაღადებს ამას.
 მაგრამ ნუ მიჭერ, ნუ მაკაეებ. ვაცი და მკერა,

მჯერა მარტულებს შენ თავს ზეესა და მოისურვებს
ამიერიდან შენს გამოხსნას წამებისაგან.

პ რ ო მ ე თ ე

გაქებ ამისთვის, შენს ქებაში ვიქნები მარად,
რადგანაც შენი მონღომება ძლიერ დიდია.
მაგრამ ამოდ გაირჯები, უქმად იშრომებ
და განუსჯელად, თუ კი შრომას მართლა აბირებ.
აწ განზე დადექ, შენთვის იყავ წუნარად და შევიდად-
მე ვიტანჯები, მართალია, მაგრამ არა მსურს,
რომ ამის გამო სხვაც ეწამოს. სადარღებელად
მე ჩემი ღვიძლი ძმის ატლანტის ბედიც მეყოფა.
შორს — დასაელეთის საზღვარში დგას და მის ღონიერ
მხრებს ებჯინება ცა და მიწის ბოძის სიმძიმე,
არა მსუბუქი და იოლად სატარებელი.
გულს მიკლავს კიდევ კილიკიის მღვიმეთა შინა
ნახული გმირი მომთაბარე, მიწით შობილი,
ტიფონი დევი — ის უჩხული ასთავიანი,
ვინც ყველა ღმერთებს გადაუდგა და აუმხედრდა.
ულრჰიალებდნენ ზარდამცემი ხმა-სტეენით ყმები
და თან აფრქვევდა შმაგ თვალთაგან რისხვას და ცეცხლსა.
ბალით დაემხო სურდა ღმერთის მეუფეობა,
მაგრამ მარადეამ უცხრომელმა ზეესის ისრებმა,
ცეცხლმოდებულმა მეხმა დასცა და მყის განგმირა
და მან დააცხრო იგი კვეხნა, ქადილის გამო.
ელვა უძგერა, მეხმა დასწვა, გაანადგურა;
სულმთლად წაართვა მას ძალღონე უკანასკნელი;
ვიწრო სრუტესთან გაიშალა უმწეო ტანი,
წევს და აწეება მკერდზე ეთნის ფუძე და ფესვი,
მალლა მწვერვალზე ზის ჰედესტი და გამოდმებით
ვარვარა რკინას სჭედს და კვერავს. მაგრამ დრო მოვა, —
მთის წიაღიდან ავარდება ცეცხლის ღვართქაფი
და ველურ ყბებით შიადგება და სულ გადახრავს
მწველ სიცილიის ნაყოფიერ და ფართო ყანებს.
თუმც ზეესმა ცითგან მეზის ისრით დაანახშირა, —
ტიფონი მაინც ხეატით გამდნარ ბრაზს და სიშმაგეს
და ცეცხლის მქმენი ავ გრიგალის ცოფს ამოანთხევს.
მაგრამ რად გინდა, რომ გასწავლი, უფიცი არ ხარ
და ვით გერჩიოს, საკუთარ თავს ისე უშველე,
მე კი დავიციდი, ბედისწერას ბოლომდე შევეცამ,
სანამ გულიდან ზეესი რისხვას არ ამოიღებს.

ო კ ე ა ნ ე

ნუ თუ, პრომეთე, შენ არ იცი, ან არ გსმენია,
რომ გონივრული სიტყვა არის ბრაზის მკურნალი?

პ რ ო მ ე თ ე

პო, თუ ჩვენ დროზე დაეაამებთ გულის ბმო-მუწუქს, —
მაშინ სიმსიენეს დაჩირქებულს არ ვამიზეზებთ.



ოკეანე

ჩემს მონდომების და განზრახვის აღსრულებაში,
შენ რა ცუდს ხედავ, რად არ მოგწონს, გამაგებინე.

პრომეთე

უქმი შრომაა განუსჯელი გულკეთილობა.



ოკეანე

მომეცი ნება, ე მაგ სენით მეც დაესწეულდე,
რადგან ბრძენს შეენის, რომ ხანდახან ბრძევად ჩასთვალონ.

პრომეთე

ჩემად ჩასთვლიან, მეშინია, შენს შეცდომასაც.

ოკეანე

მამ, შენ ნამდვილად ე მაგ სიტყვით მე შინ მისტუმრებ?

პრომეთე

ჩემზე ტირილით, რომ არ გეცეს შენ მისი მტრობა.

ოკეანე

ვინც ყოვლად შემძლე ახალ ტახტზე ახლა დამკვიდრდა?

პრომეთე

დიახ, ნურასდროს შეაშფოთებ იმის გულს შენა.

ოკეანე

გაკვეთილია შენი ჭირი ჩემთვის, პრომეთე.

პრომეთე

წადი. ეცადე შეინახო ეგ დანაფიქრი.

ოკეანე

მე შენი რჩევის უმისოდაც, ვწაბრობ გავსწიო,
ჩემი ფრინველი — ეგ ოთხფეხა, წამახულ ფრთებით
ჰკვეთს ხალვათ ეთერს. მოეწყინა და ეხარება
კვლავ მოისვენოს თვის მშობლიურ ბოსლის ბაგაზე.

თარგმანი ბერძნულიდან ალექსანდრე ძუთათელის მიერ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თვზ. ლუნდბერგი

ლეო ქიაჩელი

ლეო ქიაჩელია წერა დაიწყო ადრე, როცა იგი ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. მაგრამ ეს იყო კალმის 'გულუბრყვილო ვარჯიში'. მას შემდეგ ათმა წელმა განვლო, ვიდრე ის ნამდვილი მწერლის სახელს მოიხვეჭდა. მერე როგორმა წლებმა ცხრამეტი წლის ლეო ქიაჩელი შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ახლოვდებოდა 1905 წლის რევოლუცია. რუსეთისა და უკრაინის სტუდენტობა აკადემიურ სწავლასთან ერთად დიდ დროს პოლიტიკურ მუშაობას ანდომებდა. ახალგაზრდა მწერალი რევოლუციონურმა მოძრაობამ გაიტაცა. 1905 წელს მთელი ქართველი ხალხი აჯანყდა. ლეო ქიაჩელი დასტოვა ხარკოვი და სამშობლოში დაბრუნდა, რათა უშუალო მონაწილეობა მიეღო იქ გაჩაღებულ რევოლუციურ ბრძოლაში.

აჯანყება სისხლში ჩაახრჩვეს. რეაქციამ სახელდახელოდ მოაწყო რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელთა და მონაწილეთა ინსცენირებული პროცესები. ლეო ქიაჩელი 1906 წელს დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს მაშინ საქმაოდ გახმაურებული ე. წ. „ზუგდიდის რესპუბლიკის“ საქმის გამო. სხვებთან ერთად ლეო ქიაჩელსაც კატორღა მოელოდა. მაგრამ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების იარაღი არ დაუყრია და ბრძოლა არ შეუწყვეტია. ადგილობრივმა ორგანიზაციამ ქუთაისის ციხეში გარედან გვირაბი შეიყვანა და პოლიტიკურ პატიმართა მასობრივი გაქცევა მოაწყო. ამგვარად დააღწია თავი ციხეს ლეო ქიაჩელი. მთელი ეს ისტორია შემდეგში მწერალმა დაწვრილებით აღწერა რომანში „სისხლი“.

მწერლისათვის საშიში იყო სამშობლოში დარჩენა. ის გაემგზავრა მოსკოვში, სადაც არალეგალურად ცხოვრობდა თითქმის ხუთი წელი. მოსკოვში ყოფნისას ლეო ქიაჩელი დაუახლოვდა რუსულ ლიტერატურულ წრეებს. წარსულში განცდილის შეცნობის სურვილმა და სამშობლოს დაშორებით გამოწვეულმა სევდამ ხელში კალამი ააღებინეს. მაშინ რუსეთის ინტელიგენციის ნაწილი გატაცებული იყო ე. წ. დეკადენტობით და სიმბოლიზმით. ლეო ქიაჩელი ქართული ლიტერატურისათვის ძველთაგანვე დამახასიათებელ ოდნავად რომანტიკაშეფრქვეულ კლასიკურ რეალიზმს უფრო ეთვისებოდა. მწერლის თემატიკა თანდათან რთულდებოდა. პატარა ნოველებიდან იგი ფართო ტილოებზე გადადიოდა. სწერდა იმაზე, რაც ენახა და განეცადა. ახლა ლეო ქიაჩელი დიდი, თვალსაჩინო თანამედროვე ქართველი პროზაიკოსია. მან მშობლიურ ლიტერატურაში საკუთარი, მეტად საპატიო

ადგილი მოიპოვა:—ის ფსიქოლოგიური მოთხოვნისა და ფსიქოლოგიური რომანის თსტატთა მცირე რიცხვით ჯგუფს ეკუთვნის.

ქართველი ხალხის ისტორია გასაბჭოებამდე მეტად დაძაბული განუწყვეტელი ბრძოლის ისტორიაა იმ ძლიერ მუშობლებთან, რომელნიც საუკუნოების მანძილზე სცდილობდნენ დაემორჩილებინათ დიდ ეკლტურის მქონე, მაგრამ რიცხობრივად პატარა ხალხი, ბუნებრივია, რუსულ-საბჭოთა ბრძოლამ თავის დალი დაასვა ქართულ ხელოვნებას და განსაკუთრებით ქართულ ლიტერატურას.

ამიტომ არის, რომ საშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის თემა ძველთაგანვე ყველა თემაზე უფრო საყვარელი და ბუნებრივია ქართული ლიტერატურისათვის. ლეო ქიაჩელს არ დაურღვევია ეს ტრადიცია. მან გაართულა, გააღრმავა იგი.

ლეო ქიაჩელმა თავის ნაწარმოებებში ასახა მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ის საზოგადოებრივი და იდეური ძვრები, რომელთაც შესცვალეს ხალხის ცხოვრება და მისი წარმოდგენანი.

არაღვალური ცხოვრების პირობებში მუდმივმა მიმოსვლამ მწერალს ვრცელი და მრავალმხრივი მასალა დაუგროვია, ცხოვრებისა და ადამიანის ცოდნა გაუფართოვა. მოსკოვიდან ის შვეიცარიაში გაემგზავრა და ქენევის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. აქ ის მოხვდა ემიგრანტების წრეში, რომელიც მაშინ რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა. ამგვარად რუსული კულტურის გავლენას ევროპული კულტურის გავლენაც დაერთო. საშობლოში გატარებულმა ახალგაზრდობამ ლეო ქიაჩელს შესანიშნავად შეასწავლა ქართული სოფლის ყოფაცხოვრება, ხოლო ორ უნივერსიტეტში სწავლამ, რუსულ-ევროპული მოწინავე იდეების ათვისებამ მას განუბრვი პორიზონტი გაუფართოვა. პირველი იმპერიალისტური ომის წინ ამ მოწინავე იდეების გავლენით მომწიფდა მომავალი გამარჯვებისათვის რუსული და ქართული ინტელიგენცია.

მართალია, ლეო ქიაჩელი არაჩვეულებრივად ხარბია ტიპების, ფერების, ცხოვრების დამახასიათებელი კვანძების და ადამიანის ვნებათა გამოვლინების მიმართ, მაგრამ ის არასოდეს არ დამონებია მის ვანკარვულებაში მყოფ ცხოვრების მდიდარ მასალას: მოფიქრებულის თუ გააზრებულის განხორციელების დროს იგი მეტად თავდაპყრილია, ძუნწი და თითქმის ავადმყოფური ეჭვით შეპყრობილი მის მიმართ. აქედან მომდინარეობს მწერლის ნაწარმოებების სიმჭიდროვე და დამაჯერებელი დაძაბულობა.

ლეო ქიაჩელის შემოქმედების მრავალი თავისებურება ადამიანის ფსიქოლოგიისადმი გამახვილებული ინტერესით აიხსნება. მწერალი გულდასამით სწავლობს თავის გმირებს. ის თითქოს არც კი ენდობა მათ. მითუმეტეს შორს არის მათი ვაიდვალებისაგან. მისი გმირების ხასიათი, რწმენა განცდათა სასტიკ ქარცეცხლში ყალიბდება და მოწმდება, ლეო ქიაჩელს არ ჰყავს შეუფანებელი სტიქიური ბოროტმოქმედი, თუ ვინღ მაშინაც კი, როცა ისინი დროებით სტიქიურობის ნიღაბს ეფარებიან, ისე როგორც არ ჰყავს ვულუბრყვილო წმიდანებიც. მისი ავაზაკები ან განცემლები სიკვდილს ხელობენ, როგორც დამსახურებულ სასჯელს, ხოლო დადებითი გმირების მოქმედება ყოველთვის ემყარება მორალურ-საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებას.

ლეო ქიაჩელის ნოველებს და რომანებს — განსაკუთრებით მისი შემოქმედების მეორე ნახევრის ნაწარმოებებს „ჰაკი აძბას“, „გვადი ბიგვას“ და სხვებს დიდი ოსტატური აღწაგობა ახასიათებთ. მის ნაწარმოებებში რეალურ ნაყილს, ყოველ დეტალს თავისი აუცილებელი ადგილი უჭირავს, სტილი არქიტექტურული ნახაზივით არის დამუშავებული, სინათლე და ჩრდილები განლაგებულია იმგვარად, რომ შეკვეთად გამოაჩინონ გმირთა ყველა აქტორის ღრმად დაფარულ განზრახვას ფარდა ახადონ. ამასვე ემახტურება განსაკუთრებული დაკვირვებით გადმოცემული პეიზაჟიც.

ყველაზე უფრო საყურადღებო კი ის არის, რომ ამ ფორმალურ ოსტატობას ისევე, როგორც პერსონაჟების შერჩევას, მხატვარი უნდა უმადლოდეს არა მხოლოდ თავის ნიჭსა და გამოცდილებას, არამედ კიდევ უფრო მეტად იმ დიდ ინტერესს, რომელსაც ის იჩენს ადამიანის ფსიქოლოგიის მიმართ. იმისათვის, რომ ნაწარმოების გმირმა სავსებით გამოამჟღავნოს თავისი თავი, მწერალი უქმნის მას მძაფრ კონფლიქტებს, ართულებს ფაბულას და აყენებს გადაუჭრელ წინააღმდეგობათა წინაშე. მაგალითად, მონური ფსიქოლოგიით გამსჭვალულ მსახურს აიძულებს დაემორჩილოს თავადს, რომელსაც რევოლუციონერმა მეზღვაურებმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს („ჰაკი აძბა“), ან გზააბნეულ, უქნარა გლეხს აკავშირებს საზოგადოების მტრებთან და სიკვდილის პირამდე მიჰყავს იგი („გვადი ბიგვა“), ან კიდევ სახალხო აჯანყების ხელმძღვანელს სვეალავს უსაზღვრო სიყვარულით იმ მემამულის ქალიშვილისადმი, რომელიც ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად კაცისმკვლელ — ბანდიტს იყენებს („ტარიელ გოლუა“). ეს წინააღმდეგობანი ცხოვრების მიერ არიან ნაკარნახევნი, ისინი მწერლის ფანტაზიის ნაყოფი არ არიან, — მდიდარი და მრავალფეროვანი სინამდვილის ანარეკლს წარმოადგენენ.

ლეო ქიაჩელმა თავის ნაწარმოებებში სამშობლო ქვეყნის ერთერთი ყველაზე უფრო მშფოთვარე ეპოქა ასწერა. ლეო ქიაჩელი როგორც მხატვარი თავის ხალხთან ერთად იზრდებოდა. მისი პირველი დიდი მოთხრობა „ტარიელ გოლუა“ (1915 წ.) შეეხება სამეგრელოს გლეხების აჯანყებას 1905 წელში. ავტოგრაფიული ხასიათის რომანი „სისხლი“ (1927 წ.) ასახავს იმ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებს, რომლებმაც მთელი საქართველო შესძრეს 1905 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ პირველ იმპერიალისტურ ომამდე. მეტად მახვილ და ლაკონიურ მოთხრობაში „ჰაკი აძბაში“ (1933 წ.) ავტორი აგვიწერს სამოქალაქო ომის ეპიზოდს დიდი ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში. მწერლის ნაწარმოებთა შორის საუკეთესო და ფაქტურის მხრით ყველაზე უფრო რთულ რომანში „გვადი ბიგვაში“ ავტორი ასახავს საკოლმეურნეო მოძრაობასა და მშენებლობას საქართველოში. „მამა და შვილი“ და სხვა ნოველები დაწერილია ფაშიზმთან ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის უშუალო მონაწილეთაგან მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით.

ახალგაზრდობის დროს ლეო ქიაჩელი იძულებული შეიქმნა სამშობლოდან უცხოეთში გადახვეწილიყო. მაშინ ის ოცნებობდა თავისი ქვეყნის ისტორიკოსი გამხდარიყო. სინამდვილეში კი იგი მის მემკვიდრედ მოგვევლინა და ორმოცი წლის განმავლობაში ემსახურება მას. მწერალს სურდა ისტორიული საბუთებითა და საქართველოს მიწა-წყალზე უზვად გაბნეულა უძველეს კულტურათა ნაშთებით აეხსნა იმ ისტორიული კატასტროფის მრ-

ზენი, რომლის შედეგად მისმა ხალხმა დაჰკარგა თავისი ძლიერება და დიდება. მას კი წილად ხვდა თანამედროვეთა სულისკვეთებაში ეძებნა და გამოემყდარებინა ნიშნები იმ „ეროვნული ენერჯის ძლიერი ნაკვალის“, რომელიც საუქუნეთა განმავლობაში ჰკვებავდა ქართველი ხალხის „გარდასულ დიდებასა და ძლიერებას“ („სისხლი“).

ეროვნული

არ შევცდებით, თუ ვიტყვი, რომ მწერლის ოცნებასთან დაკავშირებით სინამდვილეს. ეს არის ორი მხარე ერთი და იმავე მოვლენისა, რომელიც ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებას წარმოადგენს. „სუმერიული კატასტროფის“ ნაცვლად მწერალი ღრმად ჩაწვდა 1905 წლის რევოლუციის გამოძრაებულ ძალებს და ამ რევოლუციის შემდეგ დაწყებული საქართველოს თანდათანობითი, მაგრამ გიგანტური აღორძინების პროცესს. მწერალს თავის მოთხრობებსა და რომანებში მეფეებისა და მხედართმთავრების მაგიერ გამოაჩვენებს ჩვეულებრივი ადამიანები და თვითველ მათგანში, გლეხსა და მუშაში, თუ მშფოთვარე ინტელიგენტში პოულობს გამოძახილს, ანარქულს იმ „ენერჯისა“, რომელიც შორეულ წარსულში ქართველი ხალხის დიდებას ქმნიდა. და როდესაც მწერალთან ერთად გვწვიცილთ თანამედროვე ქართველ გლეხების, მუშების და ინტელიგენტების სულისკვეთებას, ვგრძნობთ, რომ „გარდასული ძლიერება“ აწყობილია ხეაურობს, ისე თავდადებულნი არიან ისინი სამშობლო ქვეყნისათვის, ისე ნათელია მათი მისწრაფება და იდეალი. ასეთი გმირები ლეო ქიჩელის ნაწარმოებებში მრავალია და ვერავენ იტყვის, რომ ისინი შემთხვევითნი არიან, იმდენად ღრმა და ექვემუთნანელია მათი ხალხური ფესვები. აი, მოხუცი ტარიელ გოლუა. სამეგრელოში გლეხთა აჯანყების ორგანიზატორი, მისი შვილი ლევანი და ჯერ კიდევ თითქმის სულ ბავშვი მუამბოხე გიო, რომელიც არც ვაჟაკობითა და ერთგულებით უფროსებს არ ჩამოუვარდება („ტარიელ გოლუა“). აი, რეაქციის პერიოდში ბრძოლის ველზე გამოსული არანაკლები მებრძოლი ვაჟაკები—ნიკო, ანდრო, გოგი და სხვები („სისხლი“). ხრლო გაივლიან ათეული წლები და „ზღაპრული“ გმირი—მთიელი ბათაყვა გვევლინება ნამდვილ ხიდად 1905 წელსა და ჩვენს დღევანდელ გმირულ სინამდვილეს შორის („მამა და შვილი“).

ლეო ქიჩელი თვითონ ზედავს და ჩვენც გვაჯერებს, რომ მისი გმირების ძალა მემკვიდრეობით არის გადმოცემული თაობიდან-თაობამდე. სწორედ ამიტომ არის, რომ მისი მოხუცები მხარდამხარ იბრძვიან ახალგაზრდებთან და ქართველ ხალხში შემონახულ გმირულ გადმოცემებში პოულობენ ძალას.

ლეო ქიჩელს უყვარს დინჯი მოხუცები არა ნაკლებ, ვიდრე მჩქეფარე თავდავიწყებული ახალგაზრდები. ხალხისათვის „მამებსა“ და „შვილებს“, პაპებსა და შვილიშვილებს შორის დავა და ბრძოლა უცხოა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საპასუხისმგებლო ეამი დგება. ტარიელ გოლუა შვილისაგან მოითხოვს, რომ მან ხალხის კეთილდღეობას მსხვერპლად მიუტანოს პირადი ბედნიერება. მოხუცის მხარეზეა სიბრძნის, სიდიდისა და არაჩვეულებრივად მგრძობიარე სინილისის ავტორიტეტი. „ზღაპრული“ გმირს ბათაყვას და მის შვილს ჯეგვს მტერთან მხარდამხარ ბრძოლა არ მოუხდათ, მაგრამ უხილავი კავშირი მათ შორის არ შენელებულა მათ დამამორებელ დიდ მანძილზედაც კი. — 1905 წელში ბათაყვა საქართველოს მთიან რაიონებში გლეხთა აჯანყებას ხელმძღვანელობდა და „ერთ ერთ მის თავგან-

წირულ საქციელზე, როგორც ადამიანური პირდაპირობისა და გაბედულების მაგალითზე, მთის ვადალმაც კი ლაპარაკობდნენ. ორმოცი წლის შემდეგ, ჩვენს დროში, ბათაყვა ფრონტზე აცილებს საყვარელ შვილს, გვიგეს და ეუბნება: „ბრძოლაში მტერს არ შეუშინდე... იცოდე როცა მტერი სრულიდით გემუჭრება, განსაცდელის თავიდან ასაცილებლად შეხვედრის საშუალება არსებობს: — დაამარცხო იგი... ჩაიდე მკერდში ქვეშ: მუხრანში მძიმე წუთებში მე მომიგონე“... და შვილს უდიდესი ხიფათის დროს გაახსენდა მამა, მოაგონდა მისი სიტყვები და გაიმარჯვა კიდევაც. მძიმედ დაჭრილი გვიგე ეუბნება ამხანაგებს: „მამა მომეშველო“, ისე ნათლად წარმოუდგა, ისე მკაფიოდ გაიგონა მან მამის ხმა, თუმცა მამა მისგან შორს იყოფებოდა.

მაგრამ ყველაზე უფრო მკვეთრად თაობიდან თაობამდე გადაცემული ხალხური სიბრძნისა და სინიღისის შემოქმედი ძალა ნაჩვენებია რომანში „გვადი ბიგვა“.

გვადი ბიგვა მისივე წარმოდგენით გზაბნეული, წარსულის შხამით მოწამლული უქნარა ადამიანია. თითქმის ორმოცდაათი წლის გვადი ორ ეპოქის მიჯნაზე სდგას, მას სურს შეუმჩნეველად გაძვრეს ორ ქვეყნის შუა და, რაც შეიძლება, იოლად გავიდეს ფონს. მაგრამ ასეთია მხოლოდ თვითონ გვადი. მას არ უნდა, რომ მისმა შვილებმა მისი გზით იარონ. მას უხარია, როდესაც მისი ბავშვები საქმიანობის ან თამაშის დროს ამყვანებენ ისეთ გულწრფელობას, გულადობასა და უმწიკვლობას, რომელიც თვითონ გვადის არ გააჩნია.

ლეო ქიაჩელის ბავშვები მათი მამებისა და პაპებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ისინი ყოველთვის უფრო ჯანსაღი, წმინდა და მხიარული მომავლის წინამორბედნი არიან. თუ პირველი რევოლუციის ხანის მოზარდ თაობას ცხოვრებაში—ისევე როგორც ლეო ქიაჩელის ნაწარმოებებში— იტაცებდა მჩაგვრელ მტერთან უშუალო ბრძოლის წყურვილი, თანამედროვე ახალგაზრდობა, უპირველესად ყოვლისა, გრძნობს, რომ ის ახალი საზოგადოების მშენებელია და ჩაგვრის შიში აღარ ჩრდილავს მის ნათელ გონებას. გიო და ლევანი ყოველთვის მზად არიან იარაღს მოჰკიდონ ხელი თავისდასაცავად. ისინი—1905 წლის პარტიზანები არიან. გვადი ბიგვას ბავშვები კი, მიუხედავად მცირეწლოვანებისა, ფიქრობენ და განიცდიან ისე, როგორც შეეფერება მთლიანი სახელმწიფოებრივი მშენებლობით გატაცებული ხალხის თანამედროვე შვილებს. ისინი უკვე პარტიზანები აღარ არიან— ისინი მომავალი ჯარისკაცებია.

გვადი ბიგვას უფროსი ვაჟი, ბარდლენია, ხანდახან ჩუმად ჰკილავს მამას შეუფერებელი საქციელისათვის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში არაჩვეულებრივ მოკრძალებას იჩენს. ლეო ქიაჩელი ამით შესანიშნავად გადმოგვცემს ქართული ოჯახის დამამშვენებელ ტრადიციას, რომელიც უმცროს უფროსების ურთიერთ დამოკიდებულებაში გამოიხატება.

საერთოდ მისწრაფება მხიარული და თავისუფალი ცხოვრებისაკენ, მეგობრობისა და ურთიერთგაგებისაკენ ერთი დომინანტთაგანია ქართული ლიტერატურისა, რომლის შემოქმედი საბარათლიანად სთვლიდნენ ქართველი ერისთვის დამახასიათებელ სიცოცხლის ხალისს მნიშვნელოვან ძალად არსებობისათვის ბრძოლაში. ლეო ქიაჩელი ამ მხრივ ნამდვილი სახალხო მწერალია: მისი გმირები ცხოვრებისადმი უსაზღვრო სიყვარულით არიან გამ-

სვეალუნნი მამინაც კი, როცა გარშემო სისხლი იღვრება და ცეცხლი ბობოქრობს. ტარიელ გოლუა აჯანყების დღეებში იმისათვისაც კი პოულობს დროს, რომ თავის ყანაში ამუშაოს.

„...ის კი არ ახარებდა ტარიელს ეკრძოდ, რომ მშვენიერი ამინდი იდგა და მის საყვარელ ყანას ზეცა მზის ცხოველყოფელ სხივებს უხვად სთავაზობდა. არც ის, რომ დედაშიწა მის ქირანახელისათვის სხივდენი უქმეს არ ზოგავდა და ამას წინად მძინარე, დაღუპებულ ბუნება ახალ ფარჩის კაბაში გამოწყობილიყო, არამედ ის განსაკუთრებით, რომ მშვენიერ ამინდსა, მზის სხივებსა და აღორძინებულ გარემოს იქით იგი სჭვრეტდა თვითონ ქვეყანას თავისუფლად, მისი ცვალებადობით, განაფხულითა და ზაფხულით, შემოდგომათა და ზამთრით, რომლის არსება ერთი იყო და უცვლელი, ხოლო სახე მრავალი და ცვალებადი... ის ტარიელად არ გრძნობდა თავს. სიხალისე ნორჩი სიმინდისა განცდა იყო ახლა მისი საქუთარი, ხოლო გულზედადი მიწის სინოყიერე—მისი სისხლის მოძრაობა... მადლიანი მზის სხივმფენარობა მისი სიცოცხლის ძალის გამოჩენა, ხოლო განუჭვრეტელი წმინდა ლავარდი ცისა—მისი სულიერი განწყობილება“...

ცხოვრების სიყვარული ჰფარავს ყველა სხვა გრძნობას და ხდება განზოგადოებულ აზროვნებად, ფილოსოფიად. მხოლოდ ტარიელ გოლუა კი არ არის ამ ფილოსოფიით გატაცებული. უკუღმართი გვადი ბიგვაც კი ბუნებას უზიარებს თავის მწუხარებასა და სიხარულს. ლეო ქიაჩელის ყველაზე უფრო პირქუშ ნაწარმოებებში „თავადის ქალი მათა“-სა და „ჯიუტი“-ში, რომლებიც ცხოვრებისაგან უარყოფილ საზოგადოების ფენებს გვიხატავენ, ბუნებით ტუბობა, სიცოცხლისა და შრომის ხალისი უეცრად ანთებული შექივით გაიფლავებენ. საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება მთლიანად ასეთი ხალისით არის გამსჭვალული. ლეო ქიაჩელმა დაწვრილებით აგვიწერა ეს გვადი ბიგვას სულიერი გარდაქმნის ისტორიასთან ერთად.

„გვადი ბიგვა“ ერთერთი საუკეთესო საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებია არა მხოლოდ ქართულ, არამედ რუსულ ლიტერატურაშიც. ამიტომ ითარგმნა რომანი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და უცხოეთის ენებზე და დაჯილდოვებულ იქნა სტალინური პრემიით.

ამ რომანის საზოგადოებრივი მნიშვნელობა გამოიხატება მის ორ ძირითად ტენდენციაში. პირველია —საზოგადოებრივი ნდობის აღმზრდელობითი ძალა, მეორე—კოლექტიური შრომის ნაყოფიერება და მიმზიდველობა.

გვადი ბიგვას იოლი, უკანონო ცხოვრება ერთიან პატიოსან შრომას, ლაზღანდარობა—საზოგადოებრივ მოვალეობას, ოცნება ბედნიერ ცხოვრებაზე ბედნიერ ცხოვრებისათვის ბრძოლას. მაგრამ, როდესაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერა დარწმუნდა, რომ ეს გზაბნეული ადამიანი ბუნებით სალი და გაუბრწუნელია, და საზოგადოების ნდობით აღპურვა იგი, წინ წამოსწია, გვადი ბიგვა გამოიცვალა.

რომანში მნიშვნელოვანი მხოლოდ ის კი არ არის, რომ საზოგადოებას, კოლექტივს შეუძლია თავისი ზეგავლენით გარდაქმნას ადამიანი. კიდევ უფრო არსებითია ის გარემოება, რომ კოლმეურნეობის წევრებს და მთლიანად კოლექტივს აღუღებენ ის უმაღლესი ემოციები, რომლებიც ეგოიზმსა და ანგარებას სთრგუნავენ.

ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში იგრძნობა ჩანასახი იმ შესანიშნავი სინტეზისა, რომელიც აერთიანებს ძველ ზალხურ გემოვნებას და ახალ, თანა-

მედროვე წარმოდგენას სილამაზესა და კეთილშობილებაზე. ამ ჰარმონიის სრული განხორციელება მომავალს ეკუთვნის. საინტერესოა ამ მხრივ „გვადი ბიგვას“ მეოცდახუთე თავი.—დაბანილი და განწყენილი ჰერანტრანგარა გვადი სდგას მამაპაპურ სეიერთან, რომელშიც შენახულია დიდი ბრის უხმარი საგარეო ჩოხა, ბალთებით შემკული ქამარი და გარკვეულმეტრი ხანჯალი. გვადი აპირებს ჩაცმას, რათა შესაფერისად გამოწყობოს სწავსდგეს კოლმეურნეთა წინაშე, რომლებმაც ის ნდობით აღკურვეს.

„გვადის ჯარგვალი არასოდეს ყოფილა ისე განათებული, როგორც იმ დამეს... ხმელი ფიჩხის ცეცხლს ისეთი ალი ავარდნოდა, რომ დვირესაც კი მისწვდნოდა. სულ ტკაცატყუი გაჰქონდა. ზოგჯერ ადამიანივით ჩაიკარკაეებდა კიდევაც, თითქოს კერიის სიღრმიდან თვითონ ნერჩის გახარება ამოაქვს და მთელს ქვეყანას უნდა მოსდვასო... კუთხეში, ბალებსის საწოლს ზემოთ, კედელზე მიმაგრებული სანათური ენთო. მისი ლაპლაპი ცეცხლის ალს ეჯიბრებოდა, ვითომ მასზე უფრო მადლა უნდოდა ავარდნილიყო. მეორეგან სამფეხაზე შედგმული, ორზომად პატრუქ-ამოწყეული კრატის გაფოფრილი ენა ბრიალებდა ნამდვილ ჩირალდანივით.

„რაც კი ჯარგვალში დგამი თუ ჯამი იყო, სარწყავი თუ სარწყული, ყველაფერი ისე ბუყვიანობდა, თითქოს ოქრო და ვერცხლი ყოფილიყო, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი.

„მზის უნახავ, უხმარი რამერუმესაც კი თავი გამოეყოთ მივიწყებულ სორთებიდან. გარდასული სიცოცხლე და ფერი დაბრუნებოდათ“.

რასაკვირველია, ეს სტრიქონები, აეტორის მიერ რეალისტურ ნაწარმოებში წინასწარ განზრახვით შეტანილი, ზღაპრულა მოტივებია, ცხოვრებისაკენ მობრუნებულ გვადი ბიგვას სიხარულის გამოშატველი. მაგრამ ექვსგარეშეა, რომ ამ ფანტასტიურ სურათში აეტორმა ჩააქსოვა სრულიად ნათელი თავისებური აზრი. ყველაფერი ის, რაც ადამიანში არსებითად კეთილია, ღრმა და ღირებულებას წარმოადგენს, თავის ადგილს და გამართლებას ჰპოვებს სრულყოფილი საზოგადოებრივი წესწყობილების დროს.

ადამიანის მომავალ გარდაქმნას ასახავს აგრეთვე რომანის უკანასკნელი სტრიქონები: გვადიმ მოჰკლა მტერი. ის შეძრწუნებულია თავისი მოქმედებით, თუმცა ღრმად არის დარწმუნებული, რომ სხვა გამოსავალი არ იყო. ის ცხადად თუ ბოღვის დროს—ეს სცენა მეტად ოსტატურად აქვს გაკეთებული ლეო ქიაჩელს—ხედავს, როგორ იყრიან თავს მის გარშემო კოლმეურნეები. მათ შორის მისი საყვარელი მარიამიც იმყოფება. გვადის მოჩვენება, რომ მისკენ მისი ბავშვებიც გამოვლიან. აღუღებელი მარიამს ეუბნება: „არა, ჭირიმე! ეს არ იქნება! უკან დაბრუნე... მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მარიამ!“

რადგან ისინი იმ მომავალს ეკუთვნიან, რომელიც აღარ მოითმენს მტრობას და სისხლისღვრას.

ასეთია ეს დაკვირვებული მხატვარი დიდი და მცირე სულიერი კრიზისებისა, ცხოვრების უსამართლობისა და მოუწყობლობის წინააღმდეგ მებრძოლი, მიტრფილე თავისი ქვეყნის დიდი მომავლისა და მეოცნებე ადამიანის სულიერი სიმდიდრისა და ცხოვრების ფორმათა მრავალფეროვნებაზე.

საბჭოთა დემოკრატია და პრევენები

ახლო მომავალში ჩვენი სოციალისტური ქვეყნის გამარჯვებული, გმირი ხალხი შივა საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემს საყვარელი სამშობლოს საუკეთესო მოქალაქეებს, შრომისა და ბრძოლის გმირებს, რათა კვლავ მართონ და განაგონ ქვეყანა მშრომელი ხალხის საბედნიეროდ.

სასიხარულოა და დიდად საამაყო სტალინური კონსტიტუციით დაცულ ქვეყანაში ცხოვრება და მუშაობა. სტალინური კონსტიტუცია ნამდვილი თავისუფლებისა, ძმობა-ერთობისა და თანასწორობის უძლეველი ქარტიაა. ის სრული განხორციელებაა კაცობრიობის მოწინავე ადამიანების საუკეთესო ოცნებათა და მისწრაფებათა, იგი შეუქურაა, რომელიც გზას უნათებს ყველა ქვეყნის ჩაგრულთ.

მომავალი არჩევნები განსაკუთრებული ენტუზიაზმითა და გამარჯვების ბრწყინვალეებით შეამკობენ ლენინ-სტალინის დიდ პარტიას, ჩვენი გამარჯვებების ხელმძღვანელსა და სულისჩამდგმელს.

ჩვენმა ხალხმა დაამარცხა საერთაშორისო იმპერიალიზმის მილიტარისტულ-ფაშისტური შავი ურდოები და ჩვენს სამშობლოს შეუნარჩუნა დამოუკიდებლობა, ღირსება და თავისუფლება.

ჩვენი ხალხის წინაშე ძვეს ახლა ახალი დიდი ღირსეული ამოცანა: დაიმკვიდროს გამარჯვებით მოპოებული მშვიდობიანობა და კეთილი ცხოვრება, განამტკიცოს მატერიალურად, კულტურულად გაამდიდროს და ააყვავოს ჩვენი ძვირფასი ქვეყანა.

უდაოა, რომ ამ საქმეს გმირი ხალხი მოაგვარებს და გადაჭრის იმავე ენერჯით და პატრიოტული ენტუზიაზმით, რაც მან ღირსეულად გამოიჩინა ომში და წარსული დროის მშვიდობიან მშენებლობაში.

ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა თავის შესანიშნავ სიტყვაში, ა. წ. ნოემბერს, თქვა:

„ჩვენი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა განვამტკიცოთ ჩვენი გამარჯვება, რასაც შეუპოვარი ბრძოლით მივალწიეთ და რამაც ვაკაფა გზა ჩვენი ქვეყნის ახალი დიდი აღმავლობისაკენ, ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისაკენ. ჯერ კიდევ არასოდეს არა გეჭონია სოციალისტურ მშენებლობაში ასეთი გაჭაწების პერსპექტივები და საბჭოთა კავშირის ძალთა აყვავების ასეთი შესაძლებლობანი. ჩვენი ხალხი აღსავსეა რწმენით თავისი დიდი საქმისადმი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საქმისადმი“. (ხანგრძლივი ტაში).

ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენ უახლოეს დროში დავძლევთ ყველა სიძნელეს, რაც ომმა შექმნა და ჩვენი ქვეყანა კვლავ შეძლებული, აყვავებული სოციალიზმის ქვეყნად დარჩება.

ჩვენი ხალხი სოციალისტური სახელმწიფოს ღირსეული შვილია; მისი შექმნის, დაცვისა და განმტკიცების მკედელი და დარაჯია. მას ასულდგმულებს სოციალისტური, ნამდვილად ხალხური, უძლეველი დემოკრატია — ხალხის უშუალო თვითმართებლობა, მასების თვითმომკმედების ხელისუფლება.

იგი მოპოვებულია პროლეტარიატისა და მშრომელი მასების მიერ რქტომბრის დიდი რევოლუციის ცეცხლში, ლენინ-სტალინის უწყვეტ მუშაობის ხელმძღვანელობით. ეს დემოკრატია ვითარდებოდა, ღრმავდებოდა, მტკიცდებოდა ათეული წლების განმავლობაში, საბოლოოდ ჩასწერა რა მან თავისი მონაპოვარი დიად სტალინურ კონსტიტუციაში.

„პროლეტარული დემოკრატია მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია ყოველგვარ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე, — ამბობს ლენინი, — საბჭოთა ხელისუფლება მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე თვით ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა“.¹

მართლაც, საბჭოთა ხელისუფლება — ეს არის უმაღლესი, დღემდე ისტორიაში გაუგონარი ფორმა დემოკრატისა.

ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მანქანა ბიუროკრატიული მანქანაა. ე. ი. იგი მოწყვეტილია თავის მუშაობაში ფართო მშრომელი მასების კონტროლს. იგი წარმოადგენს თავის კაბინეტში ჩაკეტილ მოხელეთა აპარატს, იმ მოხელეთა აპარატს, რომელნიც კანცელარიის ფარულ კუნძულებში აჯახრაკებენ ბურჟუაზიის საქმეებს.

საბჭოები კი ჩინოფიციური აპარატი როდია. საბჭოები თვით მშრომელი მასების ორგანიზაციაა.

საბჭოს წევრისათვის, სოფლის საბჭოდან საკავშირო უმაღლესი საბჭოს ჩათვლით, არ არის საჭირო არც სპეციალური მომზადება, არც მოხელის სტაჟი, არც რაიმე უპირატესობა, რომელიც მას სხვა მოქალაქისაგან განასხვავებს. საბჭოს წევრები არიან — დაზგის მუშები, გუთნის გლეხები და მშრომელი ინტელიგენტები. საბჭოს წევრები სრულიადაც არ სწყვეტენ თავის პროფესიულ მუშაობას. ისინი საბჭოში მუშაობას ათავსებენ წარმოებაში მუშაობასთან, მინდვრად მუშაობასთან, სამეცნიერო მუშაობასთან.

„საბჭოები, — სწერს ლენინი, — თვით მშრომელთა და ექსპლოატრებული მასების უშუალო ორგანიზაციაა, რომელიც მათ უადვილებს შესაძლებლობას თვითონ მოაწყონ სახელმწიფო და განაგონ იგი ყოველნაირად, როგორც კი შეიძლება... საბჭოები, რომლებიც მრეწველობის ყველა დარგის ყველა მუშას, შემდგომ ყველა ჯარისკაცს და სოფლის მთელ მშრომელსა და უღარიბეს მოსახლეობას მოიცავენ“.²

სოციალისტური სახელმწიფო წარმოადგენს უკლებლივ მთელი ხალხის სახელმწიფოს. ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება არჩეულ იქნას და აირჩიოს. არ არსებობს არავითარი ცენზი, არც ქონებრივი, არც ბინადრობისა და არც განათლების. საბჭოთა კონსტიტუციაში არ არის არავითარი „შენიშვნები“ და გამონაკლისები. ყველა მოქალაქე უკლებლივ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ორი კატეგორიის ადამიანები — დანაშაულობისათვის სასამართლოს წესით უფლებამართმეულნი და ფსიქიურად დაავადებულნი.

¹ ე. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები ტ. IV, გვ. 117 — 118, 1934 წ. ქართ. გამოცემა.

² ე. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები ტ. IV, გვ. 117 და 139.

საბჭოს წევრი არ არის მოწყვეტილი იმ მასას, რომელმაც იგი აირჩია. არჩევის შემდეგ იგი იმავე წრეში რჩება, სადაც მუშაობდა. განსაზღვრულ დროში იგი საბჭოს სხდომას ესწრება, სწვევებს საკითხებს და მოაწოდებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, მაგრამ ყველა დანარჩენ დღეებში იგი დგას იმავე დაზგასთან, იმავე მუშების გვერდით, რომლებიც ეფა. აირჩიეს, ასრულებს იმავე საწარმოო და საზოგადოებრივ სამუშაოებს, რასაც ყველა ამხანაგები ფაბრიკაში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში და ლაბორატორიაში აკეთებენ; მას არასდროს არ შეუძლია მოსწყდეს მასებს; მას არ შეუძლია გახდეს ბიუროკრატი, ვინაიდან არ შეუძლია ჩაიკეტოს კანცელარიის მალულ კუნძულებში.

ამხანაგი მოლოტოვი თავის ისტორიულ გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნავს:

„საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია ხალხისადმი თავისი სიახლოვით. პარლამენტური დემოკრატიისაგან განსხვავებით საბჭოთა დემოკრატიას ნამდვილი ხალხური ხასიათი აქვს“.

არ ყოფილა მსოფლიოში ისეთი ხელისუფლება, რომლის დროსაც ადამიანებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა შეეთავსებოდათ ყოველდღიურ მუშაობასთან, დაზგასთან, მინდვრად თუ სკოლაში.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოში დეპუტატს აირჩევენ 4-5 წლით და შემდეგ მას თვალთ ვერ ხედავენ; იგი მოწყვეტილია ამომრჩევლებს. თუ ვის ემსახურება იგი, ვის საქმეს აკეთებს, ამაში მას არავინ არ უწყევს კონტროლს, იგი არავის არ აბარებს ანგარიშს.

თავის სიტყვაში ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„თუ ავიღებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, იქ დეპუტატებსა და ამომრჩევლებს შორის არსებობს ერთგვარი თავისებური, მე ვიტყვოდი, საკმაოდ უცნაური ურთიერთობა. სანამ არჩევნები მიმდინარეობს, დეპუტატები ელაციციებიან ამომრჩევლებს, ელაჭუცებიან მათ, ეფიცებიან ერთგულებას, აძლევენ ათასგვარ დაპირებას. გამოდის, რომ დეპუტატები სავსებით დამოკიდებული არიან ამომრჩევლებზე. როგორც კი არჩევნები მოხდა და კანდიდატები დეპუტატებად გადაიქცნენ, — ურთიერთობა ძირფესვიანად იცვლება. ამომრჩევლებზედ დეპუტატების დამოკიდებულების ნაცვლად გამოდის მათი სრული დამოუკიდებლობა. 4 თუ 5 წლის მანძილზე, ე. ი. ახალ არჩევნებამდე, დეპუტატი ისე გრძნობს თავს, რომ იგი არის სრულიად თავისუფალი ხალხისაგან, თავისი ამომრჩევლებისაგან დამოუკიდებელი. მას შეუძლია გადავიდეს ერთი ბანაკიდან მეორეში, მას შეუძლია გადაუხვიოს სწორი გზიდან არასწორზე, მას შეუძლია გაეხადოს ზოგიერთ არა მთლად საკადრისი ხასიათის მახინციებშიც კი, მას შეუძლია ყირაზე გადავიდეს, როგორც მას ნებაეს, — იგი დამოუკიდებელია.“

შეიძლება თუ არა ნორმალურად ჩაითვალოს ასეთი ურთიერთობა? არავითარ შემთხვევაში, ამხანაგებო. ეს გარემოება გაითვალისწინა ჩვენმა კონსტიტუციამ და მან გაატარა კანონი, რომლის ძალით ამომრჩევლებს უფლება აქვთ ვადამდე გაიწვიონ უკან თავისი დეპუტატები, თუ ისინი იწყებენ მელაქედობას, თუ ისინი უხევეენ გზიდან, თუ მათ ავიწყდებათ, რომ დამოკიდებული არიან ხალხისაგან, ამომრჩევლებისაგან.

ეს შესანიშნავი კანონია, ამხანაგებო. დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უმაღლეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ. თუ გზას გადაუხვია, ამომრჩევლებს უფლება აქვთ მოითხოვიან ახალი არჩევნების დანიშვნა, და მათ უფლება აქვთ ეს დეპუტატი, რომელმაც გზას გადაუხვია, ყორანივით გააშავონ (სიცილი, ტაში). ეს შესანიშნავი კანონია. ჩემი რჩევაა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევაა ჩემი ამომრჩევლებსადმი, ახსოვდეთ ამომრჩეველთა ეს უფლება, — დეპუტატთა ვადამდე უკან გაწვევის უფლება, თვალყური ადევნონ თავის დეპუტატებს, კონტროლი გაუწიონ მათ და, თუ ისინი განიზრახავენ სწორი გზიდან გადახვევას, თავიდან მოიშორონ ისინი, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა. მთავრობა ვალდებულია დანიშნოს ახალი არჩევნები. ჩემი რჩევაა — გახსოვდეთ ეს კანონი და გამოიყენოთ იგი საჭიროების შემთხვევაში“.

ჩვენში დეპუტატი მუდამ თვალწინ გვყავს, ჩვენთანაა, იგი ანგარიშვალდებული, საქვეყონტროლო პირია.

თვით სტრუქტურა საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატისა განუზომლად დემოკრატიულია. იგი ემყარება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს, რომელიც შეიცავს შემდეგ ძირითად დებულებებს.

პირველი დებულება — ყველა ორგანო, როგორც საქანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლებისა, არჩევილია.

საბჭოთა სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს ხელისუფლების ისეთი ორგანო, რომელიც ხალხისაგან არ იყოს არჩეული — დაწყებული სასოფლო საბჭოებიდან, საქალაქო საბჭოებიდან, სარაიონო, საოლქო, სამხარეო საბჭოებიდან, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკათა საბჭოებიდან და გათავებული კავშირის უმაღლესი საბჭოთი; არ არის სახელმწიფო მმართველობის არც ერთი ორგანო, რომელიც თავის ფუნქციებს ასრულებდეს ხალხის რწმუნებათა გარეშე.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ირჩევენ მხოლოდ პარლამენტს. ეს პარლამენტი შესდგება ორი პალატისაგან — ქვედა და ზედა პალატისაგან. ქვედა პალატა ირჩევა საყოველთაო კენჭის ყრით. ზედა პალატა სდგება სრულიად სხვა პრინციპის მიხედვით. ინგლისში ზედა პალატას, რომელსაც ლორდთა პალატა ეწოდება, არავენ არ ირჩევენ, არამედ მთელი მისი შემადგენლობა ინიშნება მეფის მიერ სამისდღეშიოდ. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ ინგლისის ბურჟუაზიას, რის შემდეგაც მიიღეს მათ ლორდთა პალატის წოდება. ლორდთა პალატას გაცილებით უფრო დიდი უფლებები აქვს, ვიდრე თემთა პალატას. თემთა პალატის დათხოვნა მეფეს შეუძლია ყოველ დროს, მთავრობასთან შეთანხმებით. ლორდთა პალატის დათხოვნა არავის არ შეუძლია, იგი არავიზე არაა დამოკიდებული.

სრულიად ასევე ინიშნება იმპერატორის მიერ ზემო პალატა — პერთა პალატა იაპონიაში.

საფრანგეთში ზედა პალატა — სენატი — ირჩევა არა საყოველთაო კენჭის ყრით, არამედ დეპარტამენტების მმართველობების მიერ, რომლებიც ვაჰართა, ბანკართა და მიწათმფლობელთა ორგანოებს წარმოადგენენ.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფო მმართველობის მრავალრიცხოვანი ორგანოები: სამინისტროები, გუბერნატორები, პრე-

ფექტურა და სხვა აღმასრულებელი აპარატები არავეისგან არ ირჩევა, არამედ პარლამენტის მიერ ინიშნება; სახელმწიფო მმართველობის ყველა ორგანო იქ ინიშნება ზემოდან ისეთი მოხელეებიდან და პირებიდან, რომელთაც არავითარი რწმუნება ხალხისაგან არა აქვთ.

მართალია, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ირჩევენ მუნიციპალურ მმართველობებს, მაგრამ მუნიციპალიტეტები სახელმწიფო მმართველობის ორგანოები როდია; ისინი სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ორგანოებია. ისინი კირწყალვენ ქუჩებს, აკეთებენ ბაღებს, აშენებენ სკოლებს, თეატრებს, კლუბებს და ა. შ.

საბჭოები კი უბრალო მუნიციპალური ორგანოები როდია, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების სრულუფლებიანი ორგანოებია.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 94-ე მუხლი ასკვნის:

„სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მხარეებში, ოლქებში, ავტონომიურ ოლქებში, ოკრუგებში, რაიონებში, ქალაქებში, სოფლებში (სტანიცებში, სოფლებში, ხუტორებში, ყიშლაკებში, აულებში) წარმოადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები“.

დემოკრატიული ცენტრალიზმის მეორე დებულება ლაბარაკობს, რომ დეპუტატები პასუხისმგებელი არიან და ანგარიშს აბარებენ ამომრჩეველთ. ეს არ არის არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. იქ დეპუტატი არავეის არ აბარებს ანგარიშს, არც არის ვალდებული ჩააბაროს ანგარიში, პირიქით, საბჭოს წევრი მუდამ აბარებს ანგარიშს ამომრჩეველებს თავისი მუშაობის შესახებ, მისთვის მიცემული განაწილის შესრულების შესახებ.

მესამე დებულება—ამომრჩეველებს უფლება აქვთ უკან გამოიწვიონ თავისი დეპუტატი ყოველ მომენტში.

არცერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ეს არ არის. იქ თქვენ აირჩიეთ დეპუტატი, მიეცით მას უფლება ოთხი წლით და თქვენ უკვე აღარ გაძვთ უფლება ამ ხნის განმავლობაში ჩამოართვათ მას მანდატი.

სტალინურ კონსტიტუციის 142-ე მუხლი ამბობს: „თვითეული დეპუტატი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ამომრჩეველებს თავის მუშაობაში და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მუშაობაში და ყოველთვის შეიძლება უკან იქნას გაწვეული თანახმად ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებისა კანონით დადგენილ წესით“.

მეოთხე დებულება—დეპუტატები პასუხს აგებენ თავისი ავი საქციელი-სათვის, დანაშაულისათვის საერთო-სასამართლო წესით თანაბრად ყველა სხვა მოქალაქესთან ერთად და არავითარი შეღავათები მათთვის არ არსებობს.

ასეთია საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატის მშენებლობის დემოკრატიული პრინციპები.

მაგრამ ჩვენი კონსტიტუცია არ შემოსაზღვრავს სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობას მხოლოდ საბჭოთა დეპუტატებით. ვარდა საბჭოებში არჩეულებისა, სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობას დებულებენ უშუალოდ თვითონ ამომრჩეველებიც, —სოციალისტური შეთავსების გზით. ეს ინსტიტუტი ორგანიზებულია შემდეგი სახით:

რიგითი მუშას, რომელიც დაზგასთან მუშაობს და საბჭოს დეპუტატი არ არის. მუშათა კოლექტივის რწმუნებულად მიაველინებენ დაწესებულებაში მთელი რიგი ისეთი სახელმწიფოებრივი სამუშაოების შესასრულებლად,

როგორცაა: გადასახადების აკრეფა, წესრიგის დაცვა საზოგადოებრივ ადგილებში, ქუჩაში მოძრაობის რეგულირება, სასამართლოში გამოცემა საზოგადოებრივი ბრალმდებლის სახით, სხვადასხვა დაწესებულებისა და უწყების ძირეული კონტროლი და რევიზია და ა. შ. თითქმის სახელმწიფო მმართველობის ყველა ორგანოს ჰყავს ათეულობით და ასეულობით მუშა-შემთავსებელი, რომელნიც თავისი მუდმივი სამუშაოდან თანხსუტკალსათ თებში უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ასრულებენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ხაზით.

სოციალისტური შეთავსება — ეს სახელმწიფოებრივი აპარატის მუშაობის ახალი ფორმაა, გაუგონარი და არნახული ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. დაზვის მუშა დროდარო ასრულებს ფუნქციებს, უმთავრესად სახელმწიფოებრივი აპარატის მუშაობის კონტროლის ხაზით და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების დასახმარებლად, იღებს რა ამით უშუალო მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

სოციალისტური სახელმწიფოს პრინციპები ისეთია, რომ მის მართვა-გამგეობაში მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის მთელი მოსახლეობა, ყველა მშრომელი, ათავსებენ რა ამ საქმეს თავის ყოველდღიურ მუშაობასთან წარმოებაში თუ მინდვრად. ეს არის უსახელმწიფო საზოგადოებაზე გადასვლის გზა, იმ საზოგადოებაზე, როცა ზედმეტი გახდება ადამიანთა ყოველგვარი მართვა და მოკვდება ყოველგვარი დემოკრატია.

„რაც უფრო სრულია დემოკრატია, — სწერს ლენინი, — მით უფრო აბლოს არის მომენტი, როდესაც ის ზედმეტი ხდება. რაც უფრო დემოკრატულია „სახელმწიფო“, უმდგარი შეიარაღებული მუშებისაგან, რომელიც „უკვე აღარ წარმოადგენს სახელმწიფოს ამ სიტყვის საკუთარი აზრით“, მით უფრო სწრაფად იწყებს კედომას ყოველი სახელმწიფო.

ვინაიდან, როდესაც ყველანი ისწავლიან მართველობას და ნამდვილად დამოუკიდებლად გაუძღვებიან საზოგადოებრივ წარმოებას, დამოუკიდებლად განახორციელებენ აღრიცხვასა და კონტროლს მუქთახორებზე, უზრუნველად მცხოვრებლებზე, გაიძვერებზე და მათ მსგავს „კაპიტალიზმის ტრადიციების დამცველებზე“, მაშინ ამ საყოველთაო-სახალხო აღრიცხვიდან და კონტროლიდან თავის დამჯერება აუცილებლად ძნელი, ისეთი უადრესად იშვიათი მოვლენა იქნება, უეჭველია, ისეთი სწრაფი და სერიოზული სასჯელით დაისჯება (ვინაიდან შეიარაღებული მუშები — პრაქტიკული ცხოვრების ხალხია და არა სანტიმეტალური ინტელიგენტები და, საექვოა ვისმეს მისცენ ნება ზემორობისა მათ მიმართ), რომ ძალიან მალე ჩვეულებად გადაიქცევა ადამიანთა ყოველი საერთო ცხოვრების არართული, ძირითადი წესების დაცვის აუცილებლობა“¹.

სოციალისტური დემოკრატია ფორმალური, აბსტრაქტული დემოკრატია კი არ არის, არამედ ნამდვილი, რეალური, საყოველთაო-სახალხო ხელი-სუფლებია, სახელმწიფოს საყოველთაო-სახალხო მმართველობა. სოციალისტური დემოკრატია არის ნამდვილი თანასწორობისა და თავისუფლების დემოკრატია.

„ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისუფლება, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ სჯერდება მოქალაქეების

¹ ვ. ი. ლენინი, რჩული ნაწერები ტ. IV, გვ. 83, 1934 წ. ქართ. გამოც.

ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამ უფლებათა გარანტიების საკითხებზე, ამ უფლებათა განხორციელების საშუალებების საკითხზე. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს მაქსიმალურ უფლებათა თანასწორობას, არამედ კიდევ უზრუნველყოფს მას კონსტიტუციის რეჟიმის ლიკვიდაციის ფაქტის, ყოველგვარი ექსპროპრიაციის მოქალაქეთა განთავისუფლების ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს შრომის უფლებას, არამედ კიდევ უზრუნველყოფს მას საბჭოთა საზოგადოებაში კრიზისების არარსებობის ფაქტის, უმუშევრობის მოსაბოძის ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს დემოკრატიულ თავისუფლებებს, არამედ კიდევ უზრუნველყოფს მათ საკანონმდებლო წესით გარკვეული მატერიალური საშუალებებით. ამიტომ ვასაგებია, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის დემოკრატიზმი წარმოადგენს არა „ჩვეულებრივსა“ და „საყოველთაოდ აღიარებულ“ დემოკრატიზმს საერთოდ, არამედ სოციალისტურ დემოკრატიზმს.¹

რაღა განსხვავებაა სოციალისტურ დემოკრატიზმსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს შორის. იქაც საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრაა. გარეგნულად, თითქოს, არაერთი განსხვავება არ არის, მაგრამ არსებითად განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ იქ უფლება გამოცხადებულია აბსტრაქტულად, ფორმალურად და მისი რეალიზაცია არაა სათანადო საშუალებებით უზრუნველყოფილი. თქვენ უფლება გაქვთ არჩეული იყოთ, უფლება გაქვთ ისაღილოთ პირველხარისხოვან რესტორანში, უფლება გაქვთ იართოთ კურორტებზე, მაგრამ თქვენ არ გეძლევათ საშუალებანი იმ უფლებათა განხორციელებისათვის.

ამიტომ ბურჟუაზიული კონსტიტუციით აღიარებული უფლებები დარბილ მოსახლეობისათვის რჩება ცარიელ სიტყვად, მოჩვენებად, უბრალო ლაყბობად. იგი რეალურია მხოლოდ კაპიტალისტებისათვის, მდიდრებისათვის. ამ საკითხზე ერთი ფრანგი ბურჟუაზიული ჟურნალისტი და პარლამენტის დეპუტატი — თეოდარ დელეზი სწერს:

„საფრანგეთში ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ატაროს ოქროს საათი და ლაიკის ფეხსაცმელი, საჭიროა მხოლოდ, რომ მან შეეძლოს მათი ფასის გადახდა. ამნაირადვე, ყოველი მოქალაქე შეიძლება იყოს დეპუტატობის კანდიდატი, საჭიროა მხოლოდ, რომ მას თავის განკარგულებაში ჰქონდეს საშუალებანი საარჩევნო კამპანიის ხარჯებისათვის.

მთელი უბედურება იმაშია, რომ ეს ძვირი ღირს. საჭიროა გააერცლო მთელს ქალაქში ან სოფლად ფურცლების უამრავი რაოდენობა: დაბეჭდო და გააერცლო მოსახლეობაში შენი. პოლიტიკური კრელოს შინაარსი, მოწოდებანი, სურათები და ბიოგრაფიები; გქონდეს შენს განკარგულებაში გაზეთები შენი იდეების დასაცავად და შენი მოწინააღმდეგეების სახელის გასატეხად: აწყობდე კრებებს, ჭიკაობდე ამისათვის შენობებს, უმართავდე ნადიმს ამომრჩეველთ, სადილებს — გავლენიან პირებს, გყავდეს მთელი არმია ფურცლების დამტარებლებისა, საარჩევნო აგენტებისა, რომლებიც ორატორობენ ყავახანებში, და ამასთანავე არ იფიწყებდე და ჩუმად უღებ-

¹ ი. სტალინი, „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, გვ. 27—28. 1936 წ. ჭართ. გამოც.

დე ხოლმე ხელში მერყევ ამომრჩევლებს რამდენიმე ვერცხლის ან ოქროს ფულს. ყველაზე იაფი არჩევნები შეფასებულია 10 ათას ფრანკად, მაგრამ ზოგიერთ ადგილას იგი 200 ათას ფრანკამდე ღირს (დაწერილია 1911 წელს, ეს მაჩვენებლები ამჟამად, ალბათ, საქიროა გავადიდოთ 30ჯერ მაინც).¹

ბურჟუაზიული კონსტიტუციები იძლევიან მხოლოდ ცარიელ უფლებებს, არ იძლევიან რა მისი რეალიზაციისათვის არავითარ საშუალებებს. ამიტომ იქ ლარობათვის უფლება რჩება ლიტონ სიტყვად, რომელიც საქმით ვერ ზორციელდება.

ამას ვერ მალავს ნახევრად ფაშისტი ფრანგი პროფესორი მ. ორიუ. იგი თავის წიგნში: „საჯარო სამართლის საფუძვლები“ წერს: „სამოქალაქო საზოგადოებას აქვს ერთადერთი უზერხულობა, ერთადერთი მანკი, ეს ის, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ინდივიდუალურ პირთა პრაქტიკულ თანასწორობას, რომ იგი კმაყოფილდება მართლმოდენ იურიდიული თანასწორობით და ვერ აღწევს ფაქტიურ თანასწორობას, და რომ, პირიქით, იგი იყენებს ცხოვრებისა და კლასების უთანასწორობის ფორმებს თავისი გამაგრებისა და განმტკიცებისათვის, სარგებლობს ამ უთანასწორობით, როგორც მამოძრავებელი საშუალებით, აღმართავს სოციალურ კიბეს, როგორც საბაზრო ანძას, რომლის მწვერვალზედაც ჩამოკიდებულია მატერიალური სიკეთენი ან მისატყუებელი რამ მედიდურობისათვის და ამით ხელს უწყობს ადამიანთა ნებისყოფის დაძაბვას“.

ჩვენი კონსტიტუცია, ბურჟუაზიულისაგან განსხვავებით, ფიქსირებულ უფლებებთან ერთად ყველას აძლევს ამ უფლებათა რეალიზაციის თანაბარ მატერიალურ საშუალებებს.

ავიღოთ სტალინური კონსტიტუციის 118-ე მუხლი.

„სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, ესე იგი გარანტირებული სამუშაოს მიღების უფლება მათი შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.“

შრომის უფლება უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალთა განუხრეკელი ზრდით, სამეურნეო კრიზისების შესაძლებლობის აღკვეთით და უმუშევრობის ლიკვიდაციით“.

სოციალიზმი ისეთი წყობილებაა, რომლის დროსაც სამუშაოს და ღირსეული ხელფასის მიღება უზრუნველყოფილია, ვინაიდან იქ შეუძლებელია ეკონომიური კრიზისები და უმუშევრობა.

კონსტიტუციის 119-ე მუხლი უზრუნველყოფს დასვენების უფლებას: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება“.

„დასვენების უფლება უზრუნველყოფილია სამუშაო დღის შემცირებით მუშათა უდიდესი უმრავლესობისათვის 8 საათამდე, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ყოველწლიურ შვებულებათა დაწესებით — სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით, მშრომელთა მომსახურებისათვის სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და კლუბების ფართო ქსელით“.

დასასვენებელი სახლები, კლუბები და სანატორიუმები არსებობს ბურ-

¹ თ. დელუზი, „დემოკრატია და ფინანსური ოლიგარქია საფრანგეთში“, გვ. 39 — 40.

უვაზიულ ქვეყნებშიც, მაგრამ მშრომელებისათვის ისინი მიუწვდომელია, ვინაიდან მათით სარგებლობა ძვირი ღირს.

თანახმად კონსტიტუციის 121-ე მუხლისა — „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება“:

„ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო-სავალდებულო-დაიწყებითი განათლებით, უფასო განათლებით — უმაღლესი განათლებით, უმაღლეს სკოლაში მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობისათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედაენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით“.

უმაღლესი განათლება რომ მიიღოს რომელიმე ბურჟუაზიულ ქვეყანაში, სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა დახარჯოს სულ მცირე 20 ათასი ოქროს მანეთი.

ჩვენი უნივერსიტეტის დასამთავრებლად საჭირო არ არის განსაკუთრებული საშუალებანი, უნდა გქონდეს მხოლოდ სურვილი და გულმოდგინება; უფასოდ იძლევიან არა მარტო მასწავლებლებს, წიგნებს და სხვა სახელმძღვანელოებს, არამედ ბინასაც, სტიპენდიას 200-დან 400 მანეთამდე თვეში.

აი როგორ უზრუნველყოფს ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება მოსწავლეებს. იგი არა მარტო აცხადებს განათლების უფლებას, არამედ გამოცხადებული უფლების ფაქტიური რეალიზაციის საშუალებებსაც იძლევა.

კონსტიტუციის 122-ე მუხლი ლაპარაკობს:

„ქალს სსრ კავშირში ენიჭება მამაკაცთან თანასწორი უფლებანი სამეურნეო, სახელმწიფო კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.“

ქალთა ამ უფლებების განხორციელების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია იმით, რომ ქალს მინიჭებული აქვს მამაკაცთან თანასწორი უფლება შრომისა, შრომის ანაზღაურებისა, დასვენებისა, სოციალური დაზღვევისა და განათლებისა, დღის და ბავშვის ინტერესთა სახელმწიფო დაცვით, ორსულობის დროს ქალისათვის შევებულების მიცემით — ხელფასის შენარჩუნებით, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების ფართო ქსელით“.

მაშასადამე, არა უბრალოდ ცხადდება თანასწორობა, არამედ იგი უზრუნველყოფილია ყველა საშუალებით ამ თანასწორობის ნამდვილი რეალიზაციისათვის.

სტალინური კონსტიტუციის 123-ე მუხლი ლაპარაკობს:

„სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში ურყევ კანონსწარმოადგენს.“

უფლობის რაიმე პირდაპირი, ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან, პირიქით მოქალაქეთა პირდაპირი, ან არაპირდაპირი უპირატესობის შემოიღება მათი რასიული და ნაციონალური კუთვნილების მიხედვით, აგრეთვე რასიული ან ნაციონალური განკერძოებულობის, ან სიძულვილისა და ქედმაღლობის ყველგვარი ქადაგება — ისჯება კანონით“.

ნისხლის სამართლის კოდექსის მეხლი, რომელიც სჯის ეროვნებათა თანასწორობის დარღვევას, უმნიშვნელოვანეს მეხლად ითვლება; იგი პროპაგანდულად სახელმწიფო დანაშაულობათა თავში და შეადგენს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მეხლის ნაწილს ნიშნით 21.

იგი ლაპარაკობს:

„პროპაგანდა ან აგიტაცია ეროვნული ან სარწმუნოებრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოსაგდებად, აგრეთვე ამავე ხასიათის ლიტერატურის დამზადება, შენახვა და გავრცელება გამოიწვევს:

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე.

იგივე მოქმედება ომიანობის პირობებში ან მასიური მღელვარების დროს; თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ორი წლისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება იწვევს თვით უმალდეს ღონისძიებამდე — დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით“.

არჩევნებში ჩვენთან არსებობს ნამდვილი თანასწორობა; მისი დარღვევა არაფერს არ შეუძლია, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში არ არის კაპიტალი და კაპიტალისტები. არც რეგისტრაციისათვის, არც აგიტაციისა და პროპაგანდისათვის პრესაში, არც მიტინგებზე, არსად არცერთ კაპიქს არ ღებულობენ არცერთი კანდიდატისაგან. ჩვენში არ არის არაფითარი ცენზი და შენიშვნები, რომელთაც შეეძლოთ თანასწორობის დარღვევა და რაიმე უპირატესობის მიცემა ერთისათვის მეორის წინაშე. ჩვენთან არჩევნებში თანასწორი უფლებით ღებულობენ მონაწილეობას არმია და ფლოტი, ქალაქი და სოფელი, მამაკაცები და ქალები.

ბურჟუაზიული მეცნიერები, მჯღაბნელები, ჟურნალისტები — კაპიტალის დაქირავებული აგენტები, აკრიტიკებენ ჩვენს კონსტიტუციას იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტია, რომ სხვა პარტიათა არსებობა ჩვენთან არ არის ნებადართული. „როგორღია თანასწორობა გაქვთ თქვენ, — ამბობენ ისინი, — თქვენთან ერთი პარტიაა, სხვა პოლიტიკური პარტიების არსებობა არ არის დაშვებული“.

ისინი დემოკრატიის ხარისხს ზომავენ მასში მონაწილე პარტიათა რაოდენობით; ეს გვიჩვენებს ბურჟუაზიული პოლიტიკური მეცნიერების შეზღუდულობას და უსუსურობას.

თუ დემოკრატიის სიფართოვე და სისრულე არჩევნებში მონაწილე პარტიების რიცხვით ისაზღვრება, მაშინ ჰინდენბურგის ვეიშარული რესპუბლიკა ინგლისის დემოკრატიაზე სამჯერ უფრო დემოკრატიული ყოფილა, რადგან მის არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 12 პოლიტიკური პარტია, ხოლო ინგლისში კი არასდროს არ ყოფილა 4-ზე მეტი პარტია.

დემოკრატიის ღირსებას და სინამდვილეს არჩევნებში მონაწილე პარტიათა რაოდენობა კი არ აბასიათებს, არამედ ფართო მოსახლეობის სრულყოფილი მონაწილეობა.

თვით ბერძნული სიტყვა — დემოკრატია — ხალხის მმართველობას ნიშნავს და არა პარტიათა მმართველობას.

სინამდვილეში სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილე პარტიათა რაოდენობა დამოკიდებულია არა დემოკრატიის პრინციპზე, არამედ მმარ-

თველი კლასის ბუნებაზე, თვით იმ საზოგადოების ბუნებაზე, რომელიც სახელმწიფო მმართველობას ანხორციელებს.

ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოადგენს ანტაგონისტურ კლასების ჯამს, რომელნიც განუწყვეტლად იბრძვიან ერთმანეთს შორის. რამდენიმე პარტიის არსებობა იქ სრულიად კანონზომიერია.

„პარტია არის კლასის ნაწილი, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — მისი მოწინავე ნაწილი. რამდენიმე პარტია და, მაშასადამე, პარტიების თავისუფლება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც არიან ანტაგონისტური კლასები, რომელთა ინტერესები მტრული და შეურთვებელია, სადაც არიან, ვთქვათ, კაპიტალისტები და მუშები, მემამულეები და გლეხები, კულაკები და ღარიბები და ა. შ.“¹

ბურჟუაზიული საზოგადოების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ბურჟუაზიული კლასი, მთლიანად აღებული, არაა მონოლიტური. იგი შესდგება ფაბრიკანტების, ვაჭრების, ბანკირების, მიწათმფლობელების და სხვათა სხვადასხვა ფენებისაგან და ფრაქციებისაგან, რომელთა ინტერესებიც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

საქმე იმაშია, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების მთელ სიმდიდრეს კქმნის პროლეტარიატი და ითვისებს ბურჟუაზია ზედმეტი ღირებულების სახით, რომელსაც ბურჟუაზიის სხვადასხვა ფრაქციები ერთმანეთს შორის ინაწილებენ.

განაწილების დროს ირკვევა, რომ რაც უფრო მეტს ღებულობს ბანკირი, მით უფრო ნაკლები რჩება მრეწველებს, ვაჭრებს, მიწის მაგნატებს და ა. შ. თვითუფლ ფრაქციას სურს ნაძარცვიდან რაც შეიძლება მეტი მიითვისოს. აქ იგივე ხდება, რაც ყაჩაღებს შორის; როცა ისინი ძარცვავენ, შეთანხმებული არიან, როცა ნაძარცვს იყოფენ, ისინი ერთიმეორის წინააღმდეგ იბრძალებიან.

ამიტომ, ცხადია, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას, ბურჟუაზიულ დემოკრატიას, ბურჟუაზიულ ხელისუფლებას არ შეიძლება სათავეში ჩაუდგეს ერთი პარტია, რომელიც ბურჟუაზიული კლასის ერთი ფრაქციის, ერთი ჯგუფის მხოლოდ ეწირო ინტერესებს იცავს. თვითუფლ ფრაქციას თავისი პარტია ჰყავს, თავისი პროგრამა აქვს.

ბანკირთა პარტია ცდილობს, რომ კაპიტალის პროცენტი დიდი იყოს, მრეწველთა პარტიისათვის კი სასურველია საბითუმო ფასები უფრო მაღალი იყოს, ხოლო პროცენტი — უფრო დაბალი. ვაჭართა პარტიისათვის სასარგებლოა საბითუმო ფასების შემცირება და ა. შ.

აი რატომ ახასიათებს ბურჟუაზიულ დემოკრატიათა რამდენიმე პარტიის სისტემა.

სულ სხვაგვარი ბუნებისაა პროლეტარიატი. პროლეტარიატი არ არის დაწოფილი ცალკე ფრაქციებად. მუშათა კლასი მონოლიტურია. ამ კლასის შიგნით არ არის განსხვავება ინტერესებში; რაც სასარგებლოა რკინიგზელისათვის, ის სასარგებლოა ფეიქრისათვის, ის სასარგებლოა მაღაროელისათვის და, პირიქით, რაც შრომის ერთი დარგის მუშებისათვის საზიანოა, ის საზიანოა სხვებისათვისაც. როცა ხელდასი ეცემა ქვანახშირის მრეწველ-

¹ ი. სტალინი, „სსრ კავშირის კონსტიტუციის შესახებ“. გვ. 33, 1936 წ. ქართ. გამოც.

ბაში, ამას მოსდევს მელითონეთა, ფეიქართა და სხვა სამრეწველო მუშათა ზღვრის შემცირება და — პირუტყუ.

ეს ნიშნავს, რომ პროლეტარული კლასი მონოლიტურია, მის შიგნით არ არის სხვადასხვა ინტერესები და ამიტომ შეუძლებელია სხვადასხვა პარტია არსებობდეს, ვინაიდან პარტია არის კლასის ინტერესების გამომხატველი.

აი რატომ არის კომუნისტური პარტია ერთადერთი პარტია მსოფლიოში, რომელიც გამოხატავს არა მარტო ერთი ქვეყნის პროლეტარების ინტერესებს, არამედ ყველა ქვეყნის პროლეტარების ინტერესებსაც, ვინაიდან ყველა ქვეყნის პროლეტართა ინტერესები სოლიდარულია. სწორედ აქედან გამომდინარეობს ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

ეს არის პროლეტარიატის ერთიან მისწრაფებათა გამოხატულება, ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ინტერესთა სოლიდარობის საფუძველზე. ამიტომ პროლეტარული დემოკრატია შეიძლება განხორციელებულ იქნას ერთადერთი პარტიის, კომუნისტური პარტიის მიერ ყველა ქვეყანაში და არაერთი სხვა პარტია საერთაშორისო პროლეტარიატს არ შეიძლება ჰყავდეს.

აი რას ამბობს ლენინი:

„მუშათა კლასის დიქტატურა ტარდება ბოლშევიკთა იმ პარტიის მიერ, რომელიც ჯერ კიდევ 1905 წლიდან და უფრო ადრე შეუერთდა მთელს რევოლუციურ პროლეტარიატს... ეს ის პარტიაა, რომელიც 1905 წელს აღმოჩნდა მუშათა მასების სათავეში, რომელიც იმ დროიდან, და რეაქციის დროს 1905 წლის შემდეგ შეუერთდა მუშათა კლასს“.¹

ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე ამბობდა:

„სსრ კავშირში უკვე აღარ არიან ისეთი კლასები, როგორც კაპიტალიზმში, მემამულეები, კულაკები და ა. შ. სსრ კავშირში არის მხოლოდ ორი კლასი — მუშები და გლეხები, რომელთა ინტერესები არა თუ მტრული არ არის, არამედ, პირიქით — მეგობრულია. მაშასადამე, სსრ კავშირში არ არას ნიადაგი რამდენიმე პარტიის არსებობისათვის და, მაშასადამე, ამ პარტიების თავისუფლებისათვისაც. სსრ კავშირში არის ნიადაგი მხოლოდ ერთი პარტიისათვის, კომუნისტური პარტიისათვის. სსრ კავშირში არსებობა შეუძლია მხოლოდ ერთ პარტიას — კომუნისტთა პარტიას, რომელიც გაბედულად და ბოლომდე იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს. ხოლო რომ იგი ამ კლასთა ინტერესებს ცუდად არ იცავს, ამაში არა მგონია შესაძლებელი იყოს რაიმე ეჭვის შეტანა“.²

აი კიდევ ერთი ადგილი ჩვენი პარტიის ლიტერატურიდან:

„კომუნისტური პარტია განსხვავდება მუშათა მთელი მასისაგან იმით, რომ იგი მიმოხილვას უკეთებს მუშათა კლასის მთელ ისტორიულ გზას მთლიანად და ცდილობს ამ გზის ყველა მოსახვევზე დაიცვას არა ცალკეული ჯგუფების, არა ცალკეული პროფესიების ინტერესები, არამედ მთლიანად აღებული მუშათა კლასის ინტერესები“.

„...კომუნისტური პარტია მთლიანად აღებულია მუშათა კლასის ეკონომ-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. XXIV, გვ. 423 და 426. რუს. გამოც.

² ი. სტალინი, „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, გვ. 32. ჭრთ. გამოც.

მიუჩი, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ბრძოლის ინტერესებს ერთნაირად უწყევს მომსახურებას.

კომუნისტური პარტია უნდა წარმოადგენდეს როგორც პროფესიული კავშირების, ისე მუშათა დემუტატების საბჭოების და პროლეტარულ ორგანიზაციის ყველა სხვა ფორმათა სულს¹.

უწყებებს რა ანალიზს სოციალისტურ საზოგადოებას, ამხანაგებს მსგავსად ინი ამბობს:

„ჩვენში არ არსებობენ თავისთავის ერთიმეორისადმი დამპირისპირებელი პარტიები, სწორედ ისევე, როგორც ჩვენში არ არსებობენ ერთიმეორისადმი დამპირისპირებული კაპიტალისტთა კლასი და კაპიტალისტთა მიერ ექსპლოატირებული მუშათა კლასი. ჩვენი საზოგადოება შესდგება მხოლოდ და მხოლოდ ქალაქისა და სოფლის თავისუფალი მშრომელებისაგან — მუშებისაგან, გლეხებისაგან, ინტელიგენციისაგან. თვითუფლ ამ ფენას შეიძლება ჰქონდეს თავისი სპეციალური ინტერესები და ასახოს ისინი არსებული მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშუალებით. მაგრამ რაკი კლასები არ არსებობენ, რაკი კლასებს შუა ზღვარი იშლება, რაკი სოციალისტური საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის რჩება მხოლოდ ერთგვარი, მაგრამ არა ძირითადი განსხვავება, არ შეიძლება იყოს მასაზრდობელი ნიადაგი ერთმანეთს შორის მეტრძოლ პარტიათა შექმნისათვის. სადაც არ არსებობს რამდენიმე კლასი, არ შეიძლება იყოს რამდენიმე პარტია, ვინაიდან პარტია არის კლასის ნაწილი“².

დიად მუშათა კლასს არ შეიძლება ყადდეს ერთზე მეტი პოლიტიკური პარტია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს სოციალისტური დემოკრატიის განხორციელებისათვის. განა ჩვენ უმალდეს ან ადგილობრივ საბჭოებში, მარტო კომპარტიის წევრებს ვირჩევთ? არა მარტო პარტიულებს, არამედ ჩვენ ვირჩევთ უპარტიოებსაც.

თანახმად სტალინურ კონსტიტუციის 141-ე მუხლისა: კანდიდატებს არჩევნების დროს წამოაყენებენ საარჩევნო ოლქების მიხედვით.

კანდიდატთა წამოყენების უფლება უზრუნველყოფილია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებებისათვის: კომუნისტური პარტიული ორგანიზაციებისათვის, პროფესიული კავშირებისათვის, კომპერატივებისათვის, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისათვის, კულტურული საზოგადოებებისათვის. მაშასადამე, როგორც დემუტატთა კანდიდატთა წამოყენების, ისე არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ჩვენი ქვეყნის ყოველ მოქალაქეს, ვისაც სათანადო ასაკი შეუსრულდა, მიუხედავად სქესისა, ეროვნებისა და პოლიტიკური მისწრაფებისა. ასეთი ფართო საარჩევნო უფლებები არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არ არსებობს ფორმალურადაც-კი, სხვას რომ ყოველივეს თავი დავანებოთ.

ასეთი უმართებულოა და უშინაარსო სოციალიზმის მოწინააღმდეგეთა კრიტიკა. ეს კრიტიკა ულოგიკო და უსაფუძვლოა.

სტალინური კონსტიტუციის ყბადარებული კრიტიკოსები თავის უბილო კრიტიკით ამტკიცებენ არა სოციალისტური დემოკრატიის შეზღუდულობას, არამედ ბურჟუაზიული სოციალიზმის შეზღუდულობას, რომელსაც არ ეს-

¹ ი. სტალინი, „საუბარი რომი ჰოვარდთან“, გვ. 14 — 15. 1939 წ. ქართ. გამოც.

მის კლასობრივი საზოგადოებისა და პოლიტიკური წყობილების ძირითადი საკითხები.

სტალინური კონსტიტუცია — ეს არის დღემდე არნახული, უდიდესი პარტია ქვეშაირი თანასწორობისა და თავისუფლებისა; იგი უდიდესი ისტორიული დოკუმენტია, რომელიც იწვევს მთელი მოწინავე კაცობრივების განცვიფრებას, მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებას სტალინის საქმისათვის.

სტალინური კონსტიტუცია გამარჯვებული სოციალიზმისა, — ეს არის გრანიტი, რომელზედაც აღმართულია საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული და პატრიოტიზმი, ხალხისა, რომელიც უტყუარი ნაბიჯით მიდის გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ.

ჩვენი დემოკრატია ჩვენს წინსვლასთან ერთად სულ უფროდაუფრო გაღრმავდება, სულ უფროდაუფრო მეტად ჩააბამს რა სახელმწიფოს უშუალო მართვა-გამგეობაში უკლებლივ მთელ მოსახლეობას.

ჩვენი სახელმწიფოს ფორმები თანდათან შეიცვლება ჩვენს წინსვლასთან შეფარდებით. და ეს წინსვლითი მოძრაობა ჰქმნის ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც ჩვენი დემოკრატიის ჩარჩოები სულ უფრო და უფრო გაფართოვდება.

დაიწყო არჩევნებისათვის მზადება. პარტია და საბჭოთა ხელისუფლება აკეთებენ ყველაფერს, რაც მათზეა დამოკიდებული, რათა თვითუღმა მოქალაქემ განახორციელოს თავისი უფლებები და აირჩიოს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები — სოციალიზმის საქმისათვის თავდადებული, მეტროდონი, სტახანოველები, შრომისა და არმიის გმირები. ისინი ჩვენს ქვეყანაში მილიონობითაა და ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ გვყავს გმირები, რომელიც შეგვიძლია ავირჩიოთ, გვყავს ხალხი, რომელსაც შეგვიძლია ჩაეაბაროთ გამგებლობის სადავე.

საბჭოთა პატრიოტიზმი მოითხოვს აქტივობას არჩევნებში, ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის ბრძოლაში, ვინაიდან არჩევნები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეა.

ახლანდელი არჩევნები ერთხელ კიდევ გვიჩვენებს ჩვენი ხალხის იმ უდიდეს აქტივობას, რომლის გაუგონარი მაგალითებიც მან დიდ სამამულო ომის ფრონტებზე გვიჩვენა.

დეკაბრისტები საქართველოში

(დეკაბრისტების აჯანყების 120-წლისთავისათვის)

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიასთან შეერთებულ იქნა აღმოსავლეთი საქართველო. შემდგომ ამავე მიმართულებითვე გადაწყდა დასავლეთ საქართველოს ბედის საკითხიც. ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის შესახებ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოღვაწე ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის „მოკლე ისტორიულ ნარკვევში“ 1801-დან 1831 წლამდე¹ სწერს:

„...ამ შემთხვევამ მეფე გიორგი (აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელი მეფე. გ. ხ.) დაარწმუნა, რომ შეუძლებელი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნება გარეშე ძალის დაუხმარებლად. მან მიმართა რუსეთს, იცოდა რა ქართველების ძველთაგანი მისწრაფება მისდამი და არც შემცდარა არჩევანში. მის განზრახვას ხალხი ერთსულოვანი სიბარულით შეხვდა“.

რუსეთთან საქართველონ შეერთება მომზადებული იყო მომდევნო ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობით. რამდენიმე საუკუნის მანძილზე ქართველ ხალხს ურთიერთობა ჰქონდა რუს ხალხთან, დახმარებასა და მხარდაჭერას ჰპოებდა მასში თავისი იმ ურიცხვი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ცდილობდნენ მოესპოთ საქართველოს დამოუკიდებლობა და თვითმყოფობა.

დიდი სამამულო ომის დღეებში, ქართველ-მებრძოლთა წერილში თავისი ხალხისადმი, საქართველოს მშრომელებისადმი, ამის შესახებ მართებულად და მკაფიოდ ნათქვამია შემდეგი:

„...ქართველ ხალხს ისტორიის გრძელ მანძილზე უძებნია გულითადი მეგობარი, ჭირისა და ლხინის მოზარე ნამდვილი მოძმე, რომელიც განსაცდელის დროს უფთანდობდა მას და მეგობრულ ხელს უწყვიდდა. ოდი-ოვე ჩვენი წინაპრების თვალი დიდი რუსეთისკენ მიპყრობილა და მეთქვსმეტე საუკუნეიდან ქართველთა შეგნებაში რუსთა ქვეყანა სასურველ მოძმედ გამოსახულა. ჩვენი ხალხის სახელმწიფო მოღვაწენი და სახელოვანი მწერლები რუსეთისადმი შეურყეველი ნდობით და სიყვარულით იყვნენ განმსჯელებელი. მათ მთელი თავისი ძალღონე შეაღიეს დიდ რუსეთთან კავშირისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეს. მათი მისწრაფება ქართველ ხალხში მომწიფებულ სულისკვეთებას გამოხატავდა“.²

¹ ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებს. თავდ. ს.ბ. კ.მ. ს.მ.ბ. გამ. 1943 წ. გვ. 10.

დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის ერთად ცხოვრებამ კიდევ უფრო გააძლიერა და გააღრმავა მათი მეგობრობა, რუსეთი ქართველი ხალხის მეორე სამშობლო გახდა, თავის მხრივ „საქართველო მშობლიური მხარე, წმიდა თავისუფლებისა და გაბედული, ამაყი სულის სკოლა“ გახდა რუსი ხალხის მრავალი საუკეთესო შვილისათვის, — ნათქვამი იქნა 1913 წლის 16 მაისის „პრავდის“ მოწინავე სტატიაში.

მაგრამ მეფის დესპოტიზმი, სწავრავდა რა თავის საკუთარ ხალხს, უფლებებს ჰყრიდა და ავიწროებდა მეფის რუსეთის მრავალრიცხოვან ეროვნებებს, მათ შორის ქართველ ხალხსაც. „მეფის მთავრობა მიისწრაფოდა ჩაეხრჩო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ეროვნებათა ძალდატანებითი „გარუსების“ პოლიტიკას. ცარიზმი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა“.¹

მეცარი კოლონიური რეჟიმი დაემატა იმ ჩაგვრას, რომელსაც ქართველი ხალხი განიცდიდა თავისი გაბატონებული კლასების მხრით.

რუსეთთან საქართველოს შეერთებისთანავე მან დაჰკარგა დამოუკიდებლობა და ფაქტიურად გადაქცეულ იქნა რუსეთის იმპერიის პროვინციად.

საქართველოს და ჩრდილო კავკასიის მთავარ სამხედრო და სამოქალაქო უფროსად დაინიშნა კავკასიის ხაზის ჯარების მთავარსარდალი. საქართველოს უშუალო მართვა-გამგეობისათვის დაწესებულ იქნა ევრეთწოდებული საქართველოს უმაღლესი მთავრობა. ყველგან გამეფდა მმართველობის სამხედრო მეთოდები და საერთოდ მხედრული ყაიდა, უკანონობა და თვითნებობა, მეჭრთამეობა, ბიუროკრატიაში და მოსყიდვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ცარიზმის საგადასახადო პოლიტიკა და შემამულეთა სასარგებლოდ ურიცხვ ბევართა შესრულება აჩანაგებდა გლეხთა მეურნეობას.

ცარიზმის მწაგვრელური პოლიტიკა და ექსპლოატაცია გაბატონებული კლასების მხრით ქართველი ხალხის წინააღმდეგობას იწვევდა. XIX საუკუნის მთელი პირველი ნახევარი საქართველოში ჩატარდა გლეხთა აჯანყებების ნიშნით.

ცარიზმის ძალადობა და ჩაგვრა მშრომელი მასების მიმართ თვით რუსი ხალხის მხრითაც გადამჭრელ წინააღმდეგობას იწვევდა.

„ჩიენთის ყველაზე მეტად მტკივნეულია იმის დანახვა და გრძნობა, — სწირს ამის გამო ლინინი. — რა ძალადობას, ჩაგვრას და დაცინვას განიცდის ჩიენი მშვიინიერი სამშობლო მათის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრით. ჩიენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას იწვევდა ჩიენს წრეში, ველიკოროსების წრეში“.²

ერთ-ერთი პირველი მოწინავე რუსი ადამიანი, რომელმაც ხმა აღიმართა ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიისა და საქართველოში, იყო მწერალი ვ. ტ. ნარეენი. ნარეენის თაღისებური და ბრწყინვალე ნიჭი შეფასებული იყო ჯერ კიდევ ბელინსკის მიერ, რომელიც მას სთვლიდა რევოლუციური სკოლის მამამთავრად რუსულ ლიტერატურაში და დროის მიხედვით პირველ რუს რომანისტად. როგორც მოწინავე და განათლებული მწერალი, რომელიც ზედკიდ მშრომელი ხალხის მძიმე მდგომარეობას, ნარეენი მხატვრული სიტყვის საშუალებით გაბედულ

¹ სავ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლი კურსი, გვ. 7.

² ლენინი, თბზუღებანი, ტ. XVIII, გვ. 937.

ბრძოლას აწარმოებდა რეაქციის შეგნული ძალებისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 20 წლის კაბუჯი, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1801 წელს, ნარეჟნი სამსახურს იწყებს საქართველოს უმაღლესი მთავრობის კანცელარიაში. კავკასიასა და საქართველოში იმ დროს მთავარსარდლად იყო გენერალი კნორინგი, ხოლო საქართველოში მმართველის თანამდებობა ეკავა პ. ი. კოვალენსკის. ეს უკანასკნელმა მმართველმა განაგებდა როგორც სატრაპი, ანგარიშს არ უწევდა არც თავისებურ კულტურას, არც ზნე-ჩვეულებებს, არც ენას, არც ადათებს. კოვალენსკიმ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა როგორც პირადი გამდიდრების საშუალება. „კოვალენსკის დანიშვნა, — იძულებული იყო დაეწერა ოფიციალურ ისტორიკოსს ვეიდენბაუმს, — რომელიც გრაფ ვალერიან ზუბოვის მფარველობით სარგებლობდა ძალიან შეუფერებელი იყო (გრაფი როსტოპჩინი მას ზუბოვის ქმნილებას უწოდებდა). ჯერ კიდევ მეფე გიორგი XII-თან რუსეთის რეზიდენტად ყოფნის დროს მან ქედმაღლური და უკმეხი ქცევით საერთო უკმაყოფილება დაიმსახურა თბილისში. ახლა, როცა სრულფუნქციონირებელი განმკარგლებელი გახდა საქართველოში, მან აუშვა თავისი უგვანო ინსტინქტები, რომელთა შორის ანგარება უკანასკნელ როლს როდის თამაშობდა“.

„საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში არა თუ საჯაროდ იღანძლებოდნენ, — სწერს მეორე ისტორიკოსი დუბროვინი, — არამედ კიდევაც სცემდნენ. მარტოდენ ეკვის მიტანით აღამიანებს იჭერდნენ, ხელებს უკრავდნენ უკან, კისერზე მარყუჟს აცმევდნენ და როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებს, ქვეითად მიერეკებოდნენ 50 ვერსზე ან მეტ მანძილზე. მოხლეებს და ოფიცრებს ძალით მიჰყავდათ სოფლებიდან ქალები და გოგონები და აუპატიურებდნენ მათ“.

საყოველთაო უკმაყოფილება საქართველოში ხელისუფალთა თვითნებობისა და ძალადობის წინააღმდეგ იმ ზომამდე გაიზარდა, რომ მეფის მთავრობა ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა ამ ქვეყნიდან გაეწვია როგორც გენერალი კნორინგი, ისე საქართველოს სამოქალაქო მმართველი კოვალენსკი. უკანასკნელი პასუხისგებაშიც კი მისცა სენატმა უაპარატი ბორტომოქმედებისა და ანგარებისათვის. ნარეჟნიმ, როგორც საზოგადოებრივი სინამდვილის გაბედულმა მამხილებელმა, კეთილშობილი მიზანი დაისახა — ემხილებინა და დაეგმო ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის გამტარებლები. ნარეჟნი სწერს რომანს „შეგნული წელი, ანუ მთიელი თავადები“, სადაც ოსი თავადის კაიტუყისა და ასტრახანის ძლიერი ზანის სამსურტიანის თავგადასავალის აღწერის სახით ნამდვილად გამოხატულია საქართველოს სამოქალაქო მმართველის კოვალენსკისა და გენერალ კნორინგის თვითნებობანი. თავისი გმირის პირით აი რას მოგვეთხრობს ნარეჟნი საქართველოში გაბატონებულ ზნე-ჩვეულებათა შესახებ: „სარდალად ვულდამშვიდებით იჯიბავს სამხედრო მსახურთა ჯამაგირს; ხოლო თუ ვინმე ბუზღუნს დაიწყებს, ის, ფალაკაში (საგანგებო დაზგა გასაროზგავედ) ჩასმული, უფრო ხმამაღლა აღრიადლება, ვიდრე თქვენი ქვეშევრდომნი ღრიალებდნენ, როცა მათ მათრახის ორდენის კავალრობას უბოძებდნენ

¹ Утверждение русского владычества на Кавказе, Тифлис. 1901 г. стр. 40—41.

² П. Дубровин, Закавказье от 1803 — 1806 г. СПб. 1866 г. стр. 53.

ბოლშე. ვეზირი, რომელსაც თავი მოაქვს როგორც ცხვრების მწყემს, — უფლებამოსილი, ხელით კრეკს მთელ ხალხს, ჯიუტებს კი ტყავსაც აძრობს. ზოგიერთნი, რომელთაც სრულიად არა ესმოდათ რა პოლიტიკისა შეეცადნენ წარმდგარიყვნენ ხანის წინაშე და ეჩივლათ თავიანთი მხარე ხეღრის შესახებ, მაგრამ ასეთი თავხედობა ჩვეულებრივ, — სხეულებზე მდგარი ლითისათვის, — სასტიკად ისჯებოდა, ხოლო ამ უგუნურებს ხატებში: მტკიცებისათვის და აცხადებდნენ". თავის რომანში ნარეყნი არ ინდობს არც ადგილობრივ ფეოდალებს, რომლებიც გლეხების მიმართ გაუგონარ სისასტიკეს იჩენდნენ, ურცხვად ავიწროვებდნენ და ძარცვავდნენ მათ.

იჩანთან და თურქეთთან მთელი რიგი წარმატებითი ომების შემდეგ XIX საუკუნის 30-იანი წლებისთვის რუსეთმა საბოლოოდ განამტკიცა თავისი პოზიციები ამიერ-კავკასიაში. 1814 წელს მთავრდება საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობა: მოსკოვსა და თბილისს შორის მყარდება რევულარული საფოსტო კავშირი. ამ ფაქტებმა და აგრეთვე შავი და კასპიის ზღვებით წესიერმა მიმოსვლამ გააადვილეს სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცება რუსეთსა და საქართველოს შორის. რუსეთის მთავრობას ესახება ამ მხარის ახალ სიმდიდრეთა ათვისებისა და იმპერიისთვის შეერთების ფართო გეგმა. რუსეთის საზოგადოებაშიც ჩნდება ინტერესი კავკასიისადმი და განსაკუთრებით საქართველოსადმი. თუმცა ლომონოსოვი, ლერჩავენი, ყუკოვსკი კავკასიაში არასოდეს არ ყოფილან, მაგრამ ეს მხარე მათაც ასახეს თავიანთ პოეზიაში.

წარსული საუკუნის 30-იანი წლებისთვის კავკასიისა და საქართველოს შესახებ უკვე საგრძნობი ორიგინალური ლიტერატურა შეიქმნა.

ქრნალ „ვესტნიკ ევროპაში“ დაიბეჭდა ნ. პელტის სტატია: „შეხედულება საქართველოზე ისტორიული და სტატისტიკური მხრით“. ცალკე წიგნად გამოვიდა ზ. ბრონევესკის ნაშრომი „უახლესი გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები კავკასიის შესახებ“.

ახალ მხარესთან გაცნობისა და მის შესახებ ცოტად თუ ბევრად სწორი ცნობების გაერყელების საქმეში დიდი როლი ითამაშა გაზეთმა „ტიფლისკი ევლომოსტი“, რომელიც გამოდიოდა 1828 წლიდან იმ დროს ცნობილ ლიტერატორ სანკოვსკის რედაქციით. ოფიციალურ მასალებთან ერთად გაზეთში იბეჭდებოდა სტატიები კავკასიის ხალხთა ისტორიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ხალხური შემოქმედების შესახებ. აქედან ყველაზე საინტერესო სტატიები იბეჭდებოდა ცენტრალურ პრესაშიც.

რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველ პერიოდში აქ პოლიტიკელებთან და მოხელეებთან ერთად მრავლად მოაწყდნენ ყოველი ჯურის ზნელი საქმისნები, იოლი გამდიდრების მაძიებელნი. მათ სახელი მოიხვეჭეს აღმამუთობელი ბოროტმოქმედებებით, უკანონობითა და თვითნებობით.

მაგრამ დროთა განმავლობაში საქართველოში ხედებიან რუსი ხალხის მოწინავე წარმომადგენლებიც მათ ინტერესებთ და ზიბლავთ არა მარტო დიდებული ბუნება, თავისებური ქვეყნის რომანტიკა, ძლიერ შეგრძნებათა ძიება, არამედ იმის სურვილიც, რომ გაერყნენ ნამდვილ ვითარებაში, თა-

ვისი წვლილი შეიტანონ რუსული და ქართული კულტურის დაახლოების საქმეში. საქართველოში ზედმიწევნით კეთილშობილი რუსი პატრიოტები—დეკაბრისტები, მეფის მთავრობის მიერ გადმოსახლებულნი კავკასიაში, რომელიც იმ დროს „დამღუბველ“, „თბილ ციხიბრად“ იყო მიჩნეულა.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა დიდი რუსი მწერალი ა. ს. გრიბოედოვი, რომელიც თბილისში პირველად ჩამოვიდა 1816 წელს, როდესაც მწერლობის და შემდგომ აქ ცხოვრობდა დროგამოშვებით 1828 წლის 9 სექტემბერამდე. გრიბოედოვის ახლო მეგობრები იყვნენ დეკაბრისტები: კ. რილეევი, პ. კახოვსკი, ა. ბესტუჟევი, ნ. ბესტუჟევი, ა. ოდოევსკი, ე. ობოლენსკი, კიუხელბეკერი. იგი იცნობდა პ. პესტელს, ი. იაკუშინს, ს. ტრუბეცკოს, სერგი და არტამონ მურავიოვებს და სხვ. გრიბოედოვი იზიარებდა დეკაბრისტების შეხედულებებს რუსეთში ბატონყმობის გაუქმების, საჯარო სასამართლოს შემოღების და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების საჭიროების შესახებ. მან იცოდა დეკაბრისტების განზრახვები და მათ მიერ ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ. ჩრდილოეთის საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება გრიბოედოვის ფარული საზოგადოების წევრად მიღების შესახებ, მაგრამ რილეევს შეგნებულად არ მოჰყავდა სისრულეში, „ენანებოდა რა საფრთხეში ჩაეგდო ასეთი ნიჭიერი ადამიანი“. გრიბოედოვმა თავისი გამოქომაგებით გენერალ პასკევიჩის წინაშე კავკასიაში გადმოსახლებულ ბევრ დეკაბრისტს შეუმსუბუქა მათი ზედრი. კიდევ მეტი. ამჟამად საარქივო დოკუმენტების მიხედვით ცნობილია, რომ გრიბოედოვმა 1828 წელს თურქმანჩაის ზავის შეკერის გამო ნიკოლოზ I-თან შეხვედრის დროს მამაცობა გამოიჩინა და მეფეს სთხოვა შეემსუბუქებინა დეკაბრისტების ზედრი საერთოდ.

საქართველოს მთავარმართებლის გენერალ ა. პ. ერმოლოვის დროს (1816 — 1827 წ.) გრიბოედოვს უჭირა დიპლომატიური მდივნის თანამდებობა, ხოლო 1827 წელს ერმოლოვის შემცვლელ გენერლის ი. ფ. პასკევიჩის დროს იგი განაგებდა ირანთან და თურქეთთან ურთიერთობის განყოფილებას, აგრეთვე იყო სახაზინო ექსპედიციის უფროსად. ერმოლოვის დროს თბილისში მსახურებდნენ აგრეთვე ე. კიუხელბეკერი, ა. იაკუბოვიჩი და ა. აენარიუსი, რომლებიც შემდგომ პასუხისგებაში იყვნენ მიცემული დეკაბრისტების საქმეზე. გრიბოედოვი განსაკუთრებით დაუახლოვდა პოეტსა და კრიტიკოსს ვ. კ. კიუხელბეკერს, რომელიც დეკაბრისტთა ჩრდილოეთის საზოგადოების წევრი იყო; მან 1825 წლის 14 დეკემბერს სენატის მოედანზე ესროლა დიდს მთავარს მიხეილ პავლეს-ძეს.

როგორც პუშკინი სწერდა, გრიბოედოვმა საქართველოში „დაპყრო რვა წელი განმარტოებულ, დაუღალავ მეცადინეობაში“.

საქართველოს ცის ქვეშ გაიფურჩქნა დიდი მწერლის და დრამატურგის შემოქმედებითი გენია. თბილისში მან დასწერა პირველი მოქმედებები გენიალური კომედიისა „ვაი ჰკუისაგან“, რუსული კლასიკური ლიტერატურის ძვირფასი მარგალიტისა. კიუხელბეკერმა თავის დღიურში გრიბოედოვის შესახებ ჩასწერა: „იგი კომედიას „ვაი ჰკუისაგან“ თითქმის ჩემს თვალწინ სწერდა, ყოველ შემთხვევაში პირველად მე მივითხავდა ყოველ ცალკეულ გამოსილას მისი დაწერისთანავე. ლიტერატურის მკვლევართა ვარაუდით 1827 წელს ბაგრატიონის სახლში შინაურ სცენაზე დაიდგა ამ კომედიის ნაწყვეტები. ოფიციალურად „ვაი ჰკუისაგან“ თბილისის სცენაზე დაიდგა

1832 წელს. გრიბოედოვმა დასწერა პოემა მონად გაყიდულ კახელი ქაბუ-
ლის ცხოვრებიდან.

ქართულ ხალხურ თქმულებათა მიხედვით გრიბოედოვს თბილისში დაუ-
წერია აგრეთვე რომანტიკული ტრაგედია „ქართული ღამე“, რომელშიც
ჩვენამდე მოაღწია ნაწყვეტების სახით და რომელიც ეხება კატრინევიჩის
საყიბნის, ბულგარინი, რომელსაც გრიბოედოვმა წაუკითხავდნენ
„ქართული ღამიდან“ სწერდა: „ტრაგედია, ქართულ ზღაპარზე დამყარებუ-
ლი, ისევე რომ დამთავრებულყოფი, როგორც დაიწყო, მშვენიერა იქნებოდა
არა მარტოდუნ რუსული, არამედ მთელი ევროპის ლიტერატურისა. გრი-
ბოედოვმა ჩვენ წაგვიკითხა ნაწყვეტები, და ყველაზე გულცივ ადამიანებ-
საც კი გული აუჩუყა“.

გრიბოედოვს საქართველო შეუყვარდა და ის მას სთვლიდა თავის მეორე
სამშობლოსავე. მან შეისწავლა ქართული ენა, საუცხოოდ ვაიცნო ქარ-
თული ზნე-ჩვეულებები, ეკონომიკა, ისტორია, ხალხურა შემოქმედება.

გრიბოედოვის თანამედროვე ლიტერატორი ვ. ნ. გრიგორიევი მის შესა-
ხებ სწერდა:

„საქართველო მისი მოღვაწეობის ნამდვილი ასპარეზი იყო. აქ გაატარა
მან ლიტერატურულ შრომასა და სამსახურში თავისი ცხოვრების საუკე-
თესო წლები. საქართველო მას უყვარდა ისე მზურვალედ, ისეთი წმიდა
გულით, როგორც იშვიათ ადამიანებს თუ უყვართ თავისი სამშობლოც
კი“. გრიბოედოვი დაჯილდოებული იყო დიდი სახელმწიფო მოღვაწის ნი-
ჭით და მან ბევრის გაკეთება შესძლო ქართველი ხალხის კეთილდღეობი-
სათვის. იგი კიცხავდა კავკასიის მართვის კოლონიურ მეთოდებს და ამას
საკმაო სიცადრით გამოხატავდა სამსახურებრივ ბარათებში, ლექსში „ჩე-
გემის მძარცველი“. „დაშინებით, და წყალობათა გაცემით მოქმედება,—
სწერდა გრიბოედოვი,—მხოლოდ განსაზღვრულ დრომდე შეიძლება, მხო-
ლოდ ესასტიკესი მართლმსაჯულების წყალობით ურჩევდებიან დაპყრობი-
ლი ხალხები გამარჯვებულთა დროშებს“. გრიბოედოვი გენერალ პასკევიჩს
ურჩევდა შინაური თვითმმართველობის საქმეში დამოუკიდებლობა მიენი-
ჭებინა ქართველი ხალხისათვის, ანგარიში გაეწია მისი თავისებური კულ-
ტურისთვის, ადათებისა და ზნე-ჩვეულებებისთვის.

„აქაურ ხალხს ნუ მოახვევთ თავზე, — სწერდა ის, — მის ზნე-ჩვეულების
შეუფერებელს უცხო კანონებს, რომელიც არც ესმის და არც არაეინ ღე-
ბულობსო. ხალხს დაუყენეთ საკუთარი ამორჩეული მოსამართლეები, რო-
მელთაც ის ენდობაო. თუ შეიძლება, ნუ შეეხებით მის შინაურ გამგობას;
მის მმართველობაში და სამართალში მხოლოდ მთავრობის მხრით არჩეული
დებუტატები დაესწრონ ხოლმეო, სხვაფრივ ძალას ნურაფერში და-
ატანთო“¹.

ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან ნ. ფალავანიშვილთან და ვ. კილა-
შვილთან ერთად გრიბოედოვი მონაწილეობას იღებს კომისიაში, რომელიც
რუსულ ენაზე თარგმნიდა „მეფე ვახტანგის კანონდებულებებს“, რომ
ამით შესაძლებლობა შეეკმნათ რუსულ სამართლის წარმოებაში ქართული
კანონები გამოეყენებინათ. იგი მონაწილეობას იღებს მხარის რეფორმის
პროექტის შედგენაში და, ამ ეპოქის მკვლევართა აზრით, იგი უნდა იყოს

¹ ურნ. „კვალი“ № 2, 1895 წ. გვ. 2.

ავტორი ბარათისა: „ზოგიერთი მოსაზრებანი საქართველოს და მისი მოსახლერე ოლქების შესახებ“. ამ ბარათში გაეცხვლია ბატონკეპობის არსებობა საქართველოში და წამოყენებულა წინადადება მისი ამ მთლად გაუქმების, ანდა, ყოველ შემთხვევაში, შეზღუდვისა. 1827 წელს გრიბოედოვმა პასკევიჩის სახელზე დასწერა მოხსენება ქალაქ თბილისში შესახებ აგების უკეთესი საშუალების შესახებ. როგორც ვიცით, 1795 წელს თითქმის სრულიად დანგრეულ იქნა ირანელი დამპყრობლის აღმამამად-ხანის მიერ. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ პ. დ. ზეილესისთან ერთად 1828 წლის სექტემბერს გრიბოედოვმა დაამთავრა შედგენა დიდი „ბარათისა ამიერ-კავკასიაში რუსეთის კომანანის დაარსების შესახებ“. ეს ბარათი იმის მაჩვენებელია, რომ მისი ავტორი საუცხოოდ იცნობდა მხარის ეკონომიკას, მის ზალხთა საჭიროებებს. ბარათის ავტორები წინადადებას იძლევიან გამოყენებულ იქნას მხარის ბუნებრივი სიმდიდრენი, გაფართოებულ იქნას ვაჭრობა, გაიზნას ბაზრები, მოეწყოს ნაოსნობა მდ. მტკვარზე და სხვ.

გრიბოედოვის ინიციატივით განზორციელებულ იქნა კავკასიის ბევრი რაიონის არსებობად პირველი სოციალურ-ეკონომიური გამორკვევა, რომლის შედეგად 1835 წელს პეტერბურგში გამოცემულ იქნა ოთხ ტომად ნაშრომი „კავკასიის იქითა რუსეთის სამფლობელოების მიმოხილვა“. გრიბოედოვი ფაქტიური დამაარსებელი იყო გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტი“-სა, რომელშიც იგი აქტიურად თანამშრომლობდა. რუსულ გამოცემასთან ერთად იმავე სახელწოდებით გაზეთი ლიტერატურული დამატებით გამოდიოდა ქართულ ენაზედაც. მისი რედაქტორი იყო ს. დოდაშვილი. ამ გაზეთში პირველად დაიბეჭდა ნაწყვეტები პუშკინის „ვევგენი ონეგინიდან“, მისივე „სიზმარი“, „ლამის რომანსი“, ოარგმანი ს. რაზმაძისა.

ბევრი რამ გააკეთა გრიბოედოვმა სახალხო განათლების დარგშიც, მის სახელთანაა დაკავშირებული საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა თბილისში, ხოლო საქართველოს ქალაქებში — სამაზრო სასწავლებლებისა. გრიბოედოვის წინადადებით თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გადაკეთდა გიმნაზიად, სადაც განათლება მიიღეს ნ. ბარათაშვილმა, მ. თუმანიშვილმა, რ. ერისთავმა, ილია ჭავჭავაძემ და სხვ.

როდესაც გრიბოედოვის ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფი, ცნობილი ქართველი მოღვაწე ო. ერისთავი ლაპარაკობს კავკასიის ზალხთა წინაშე გრიბოედოვის დამსახურებათა შესახებ, იგი სწერს:

„გრიბოედოვი ერთ-ერთი პირველი რუსთაგანი იყო, რომელიც სიყვარულით მოეკიდა ჩვენს მხარეს, ის გონივრულად უყურებდა მის მომავალს და მზურვალედ თანაუგრძნობდა მის ბედს. მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა, თუ პირველმა არა, შესძლო იმის გაგება, რომ კავკასიაში ცხოვრობენ და იცხოვრებენ ისეთი აღამიანები, რომლებიც სიმპატიის, მხარდაჭერისა და სიყვარულის ღირსნი არიან რუსთა ქვეყნის ყველა რიგიანი აღამიანის მხრით“.

თავის მხრით, გრიბოედოვს, როგორც თავის ეპოქის მოწინავე აღამიანს, უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებოდა საქართველოს პროგრესიული ინტელიგენცია. გრიბოედოვი დაახლოვებული იყო და ურთიერ-

* „Заря Востока“ № 12 за 1940 г.

თობა პქონდა გ. ერისთავთან, გ. ორბელიანთან, ნ. ბარათაშვილთან, ს. დო-
დაშვილთან. იგი ხშირი სტუმარი იყო თბილისის „საუკეთესო წარებისა“
და „წარჩინებულთა ოჯახებისა“.

მაგრამ ნამდვილი მეგობრობა და სიბოზო გრძობედოვმა პოეტი XIX საუ-
კუნის პირველი ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი მწიგნობრის,
ა. გ. ჭავჭავაძის ოჯახში. ა. ჭავჭავაძე ცნობილია, როგორც ერთ-ერთი
უნიჭიერესი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი. როგორც დიდი პატრიოტი,
თავისი დროის უგანათლებლესი ადამიანი, ა. ჭავჭავაძე უახლოეს მონა-
წილეობას იღებდა თავისი ქვეყნის ყოველგვარ პროგრესულ წამოწყებებ-
სა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში. ჭავჭავაძის ოჯახი ქარ-
თული საზოგადოების ცენტრი იყო, აქ თავს იყრიდნენ პოეტები, მწერლები,
საზოგადო მოღვაწეები. ჭავჭავაძის სალონში გულთბილად ხვდებო-
დნენ საქართველოში მოხვედრილ მოწინავე რუს ადამიანებსაც.

გრძობედოვს შეუყვარდა ჭავჭავაძის ქალიშვილი ნინო ალექსანდრეს
ასული და ცოლად შეირთო ის.

უკვდავმა კომედიამ „ვთაი ჭკუისაგან“ შესამჩნევი გავლენა იქონია ქარ-
თული თეატრის ისტორიაზე. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას გიორგი
ერისთავის შემოქმედებაზე. „ვთაი ჭკუისაგან“ პირველად სრულად თარგმნა
გ. ნ. წინამძღვარიშვილმა და გამოცემულ იქნა თბილისში 1853 წელს. ქარ-
თულ სცენაზე ეს კომედია პირველად სრულად დაიდგა 1885 წელს ქუთა-
ისში. ჩაცვის როლს ასრულებდა ცნობილი ქართველი მსახიობი კ. მესხი.

დიდი პოეტი, გენიოსი, რუსი ხალხის სიამაყე და დიდება ა. ს. პუშკინიც
ფორმალურად არ ყოფილა დეკაბრისტების არც ერთი ორგანიზაციის წევ-
რი მაგრამ, როგორც ვიანემსკი ამბობს, პოეტი „ცხოვრობდა და იგზნებოდა
ამ შფოთარე ვულკანისებურ ატმოსფეროში“ პუშკინი მკვიდროდ იყო და-
კავშირებული დეკაბრისტ პ. პესტელთან, ს. ვოლკონსკისთან, ვ. რაევსკის-
თან, ვ. დავიდოვთან, ი. იაკუშკინთან, მ. პუშკინთან, ვ. კიუხელბეკერთან
და სხვ.

პუშკინის მგზნებარე და მრისხანე ლექსები „ოდა თავისუფლებაზე“, „სო-
ფელი“, „ჩაადაეეს“, პოლიტიკური ეპიგრამები, რომელნიც შეესატყვისე-
ბოდნენ დეკაბრისტების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს, მო-
უწოდებდნენ ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

1826 წელს პუშკინი გადასახლების აღვილიდან, მიხაილოვსკიდან, გაი-
წვიეს მოსკოვში ნიკოლოზ I-თან. პოეტს არ დაუფარავს თავისი თანა-
გრძნობა დეკაბრისტებისადმი და გაბედულად განუცხადა მეფეს, 1825
წლის 14 დეკემბერს რომ პეტერბურგში ვყოფილიყავი, აჯანყების მონა-
წილეთა რიგში ვიქნებოდით.

თავისი დიდი ხნის განზრახვის განხორციელების და აგრეთვე იმ მიზნით,
რომ თავი დაეღწია მეთვალყურეობის სულუმეხუთავი ატმოსფეროსთვის,
1829 წლის ზაფხულში პუშკინი მიემგზავრება არზრუმში, მოქმედ არმი-
აში. იგი დაესწრო ბევრ ბრძოლას და თურქების ციხე-სიმაგრის არზრუმის
აღებას. ფრონტზე პუშკინი მეტ დროს ატარებდა ნიქეგაროდის პოლკის
მეთაურთან, ნ. ნ. რაევსკისთან, თავის მეგობართან, ინახულა თავისი ძმა
ლევ სერგის-ძე და კავკასიაში გადმოსახლებული ბევრი დეკაბრისტი.

არმიაში გამგზავრებისას პუშკინი რამდენიმე ხნით შეჩერდა თბილისში.
თანამედროვეთა დამოწმებით, მას აღტაცებით შეხვდა და ზეიმი გაუმართა

ქართულმა საზოგადოებრივობამ. იგი შეხვდა ა. ჭავჭავაძეს, გ. ორბელიანს, ს. დოდაშვილს და სხვ. ბევრ ქართველს პუშკინი იცნობდა ვერ კიდევ მოსკოვსა და პეტერბურგში, ხოლო გვარდიის პრეობრატენსკი პოლკის კაპიტანი ა. ლ. დადიანი, რომელიც პასკევიჩთან მსახურობდა აღმუშებლად, პოეტის დედაშვილისშვილი იყო.

როცა ვაეკასიაში წასასვლელად ემზადებოდა, პუშკინმა საჩუქრად მისი ნაწარმი გაეცნო ამ მხარის და მის ხალხთა შესახებ არსებულ ლიტერატურას, როგორც რუსულს, ისე უცხოეთისას, ადგილობრივ, თბილისში, კი იგი განაგრძობდა ზნე-ჩვეულებების, ყოფაცხოვრების, ხალხური შემოქმედების შესწავლას. პუშკინი გაეცნო მის დროის ქართული პოეზიისა და ხალხური სიმღერების საუკეთესო ნიმუშებს. „არზრუმს მოგზაურობაში“ პუშკინს მოჰყავს თარგმანი ლექსისა „ახალ აღნაგო სულო“, რომლის ავტორი იყო დ. თუმანიშვილი. ეს ლექსი იმ დროს დიდად პოპულარული იყო. პუშკინი გატაცებული იყო საქართველოთი, იგი მისი ზეშთაგონების ერთ-ერთი წყარო გახდა.

თვითონ პუშკინი საქართველოს შესახებ სწერდა: „თვალწარმტაცი მხარე რამდენი! ქეშმარატი პოეზია გადმოვიღე, რამდენი სხვადასხვა შთაბეჭდილებანი განვიცადე“.

რუსულ ლიტერატურაში პუშკინმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღნიშნა ქართველი ხალხის პოეტური თავისებურებანი, მისი ნიჭიერება, მამაცობა, გულადობა. ის სწერს: „ქართველები მეომარი ხალხია. თავისი გულადობა მათ დაამტკიცეს ჩვენი დროშების ქვეშ“.

პუშკინმა, როგორც რუსული ახალი ლიტერატურის მამამთავარმა, დიდი როლი ითამაშა რუს და ქართველ ხალხთა კულტურულ კავშირ-ურთიერთობის განმტკიცების საქმეში, ორიგინალური ქართული ლიტერატურის შემდგომ გაფურჩქვნაში და მასში რეალიზმის დამკვიდრებაში. პუშკინის ნაწარმოებს ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე თარგმნიდნენ ქართულ ენაზე ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ს. რაზმაძე, შემდგომ კი პუშკინს თარგმნიდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ.

თავდაზნაურთა წრიდან გამოსულმა რევოლუციონერებმა თავგანწირული გმირობა, გულწრფელი სიყვარული და თავდადება გამოიჩინეს სამშობლოსა და თავისი ხალხისადმი, და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში 1825 წელს პირველად მოაწყვეს აჯანყება ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, რათა ბოლო მოეღოთ „ძალადობისთვის, ჩაგვრისა და აბუჩად აგდებისთვის“¹. დეკაბრისტები იმიტომ დამარცხდნენ, რომ ისინი ვანმარტოვებულად მოქმედებდნენ, არ მუშაობდნენ ხალხის მასებში და არ ამზადებდნენ მათ ბრძოლისთვის ცარიზმის წინააღმდეგ. ლენინი დეკაბრისტების შესახებ სწერდა, რომ „ეიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად დაშორებული არიან ისინი ხალხსო“².

მეთის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა დეკემბრის აჯანყების მონაწი-

¹ ლენინი, ობზ., ტ. XVIII, გვ. 21.

² ლენინი, ობზ., ტ. XV, გვ. 468.

ლევს. 1826 წლის 13 ივლისს პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში ჩამოახრჩვეს პ. ი. პეტელი, ს. ნ. მურავეიოვ-აოსტოლი, ნ. ბესტუჟევი-რეპინი, ფ. რილევი და პ. გ. კახოვსკი. 114 დეკაბრისტი ჩინებისა და თავდასაპროტების წოდების ჩამორთმევის შემდეგ დანაშაულების სიმძიმესა და მძიმეობით სხვადასხვა ვადით გაგზავნილ იქნენ ციხიბრძოლში—ზოგი კატეჯულაში, ზოგი სამუდამო გადასახლებაში. 2 კაცი გადმოსახლეს კავკასიაში. შემდგომ აქვე გამოყვანილ იქნა კიდევ 39 კაცი, რაც მსჯავრდებულთა საერთო რიცხვის 33 პროცენტს შეადგენს. კავკასიაში გადმოსახლეს კიდევ 27 კაცი, ეგრეთწოდებული „ჩარეულნი“, ე. ი. ისეთი პირები, რომელთაც ბრალდებოდათ დეკაბრისტებისადმი თანაგრძნობა ანდა რაიმე ურთიერთობა პქონდათ ფარულ საზოგადოებებთან, დასასრულს, კავკასიაში გამოგზავნეს ჩერნიგოვის პოლკი, რომელმაც დეკაბრისტების ზღვამდგანელობით აჯანყება მოახდინა უკრაინაში, აგრეთვე გვარდიელთა ნაჯრები პოლკი, შედგენილი მოსკოვისა და გრენადერთა პოლკების იმ ასეულეებისაგან, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 1825 წლის 14 დეკემბერს სენატის მოედანზე გამოსვლაში. ამ პოლკის შემადგენლობაში ითვლებოდა 33 ოფიცერი და 1.333 ჯარისკაცი¹.

კავკასიაში გადმოსახლებული ყველა დეკაბრისტი სამხედრო პირება იყვნენ, ისინი ჩამოქვეითებული იყვნენ რიგოსნებად და ჩარიცხული იმ სამხედრო ნაწილებში, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კავკასიის იმ დროის ომებში.

დეკაბრისტები ჯარისკაცთა ჩვეულებრივ მძიმე ჰაბანწყვეტაში იყვნენ, ცხოვრობდნენ საერთო სადგომებში, ატარებდნენ ტანსაცმელის დაწესებულ ფორმას, იცავდნენ სასტიკ დისციპლინას და უთვალავ წვრილმან ფორმალობას, განიცდიდნენ უფროსების წვრილმან შარებს და შევიწროებას, აგრეთვე უკიდურესად უზღუდავდნენ მათ თავისუფლებას.

დეკაბრისტებს არც იმის იმედები უმართლდებოდათ, რომ, თუ ომში თავს გამოიჩენდნენ, შესძლებდნენ სამსახურში დაწინაურებას და მით თანაღიანი უფლებების აღდგენას.

კავკასიის არმიამ, რომელიც განსაკუთრებით მკაცრი და მძიმე პირობებში მოქმედებდა, და არ ღალატობდა სუვოროვის ტრადიციებს შეიმუშავა საუცხოო საბრძოლო თვისებები—გამძლეობა, გულადობა, გაკვირებათა გადატანის უნარი, ამხანაგობისა და ურთიერთდახმარების გრძნობა. კავკასიის არმიამ გამოზარდა და თავისი წრიდან წამოაყენა ბევრი გმირი, ნიჭიერი მხედართმთავარი და მეთაური, რომელთაც არა ერთხელ უჩვენებიათ რუსეთის არმიის სამხედრო ხელოვნება. მწერალი ე. სოლოგუბი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში და კარგად იცნობდა კავკასიის არმიას, სწერდა: „აქ ჩვენს თვალწინ გაიარა გმირთა მთელმა თაობამ, აქ სწარმოებდა საზღვაო ბრძოლები. აქ შეიქმნა ვეჟაკურ საქმეთა მთელი მართიანე, მთელი ზეპირი რუსული ილიადა, რომელიც ჯერ კიდევ ელოდება

¹ პროფ. ა. ლ. პრენიაკოვი, „1825 წლის 14 დეკემბერი“, მოსკოვი, 1926 წ., გვ. 196. ცნობები კავკასიაში დეკაბრისტების ყოფნის შესახებ მოიპოვება დეკაბრისტ ლორერის, განგებლოვის, ბელიაევის, როზენის, პუშინის მემუარებში და მოვონებებში. 1903 წლის იანვრის „რუსკიაი სტარინაში“ მოთვსებულია ე. ვეიდენაულის სტატია: „დეკაბრისტები კავკასიაში“. საქართველოს სსრ შინაგარეო ურთიერთობების საარქივო განყოფილებაში ინახება აგრეთვე ს. ესპანის გამოუცემი ნაწილი ხელნაწერი „დეკაბრისტები კავკასიაში“.

თავის მეზობებს¹. ამ არმიის მსახურობდნენ უფროსთა შემადგებლობის ბევრი ქართველი. ბევრმა მათგანმა თავისი სამხედრო ხელისუფლებით და პირადი მამაცობით დიდად გაითქვეს სახელი. საეკლესიო დავისასხეულთა იყო გენერლები, როგორც ი. მ. ანდრონიკოვი, მ. კ. ამირაჯიბი, ი. გ. ჭავჭავაძე, ი. ნ. აბხაზი, ი. მელიქოვი, პოლკოვნიკი ი. ს. კვინიტაძე და სხვ. კავკასიის არმიის წარმატებით მოქმედებდნენ აგრეთვე ქართველთა მსახურული რაზმები, რომელნიც საბრძოლო წარჩინებისათვის არა ერთხელ ყოფილან დაჯილდოებული გიორგის დროშებით. არმიის მოსამსახურე ქართველებს ურთიერთობა და მტკიცე მეგობრობა ჰქონდათ დამყარებული მოწინავე რუს ოფიცრებთან.

კავკასიაში გადმოსახლებულ დეკაბრისტებს და საერთოდ მოწინავე ოფიცრებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა გენერალი ნ. ნ. რაევსკი, ცნობილი მებრძოლი გენერლისა და 1812 წლის ომის გმირის შვილი. რაევსკი დაახლოებული იყო სამხრეთის საზოგადოების ბევრ წევრთან, ურთიერთობა ჰქონდა მათთან და პეტრე-პავლეს ციხეშიც იჯდა რთვე-სამხედრო ნიჟისა და პირადი მამაცობის გარდა რაევსკი დიდი ჰუსის პატრონი იყო, მრავალფეროვანი განათლება ჰქონდა, განიარჩოდა დემოკრატიული შეხედულებებით და ადამიანებთან დამოკიდებულებაში მიმზიდველი იყო. ის ძალიან დამეგობრებული იყო პუშკინთან, რომელმაც მას უძღვნა მთელი რიგი თავისი ნაწარმოებები: „კავკასიელი ტყვე“, „ანდრე შენიე“ და სხვ. რაევსკი მეთაურობდა ნიჟეგოროდის პოლკს, რომელიც მონაწილეობას იღებდა სამხედრო მოქმედებაში თურქეთის წინააღმდეგ. რაევსკისთან მსახურობდნენ დეკაბრისტთა სამხრეთის საზოგადოების წევრი ნ. ნ. სემიჩევი, დეკაბრისტი ზ. გ. ჩერნიშევი, ნ. ნ. ორეიცი და სხვ. ნიჟეგოროდის პოლკში მსახურობდა აგრეთვე ბევრი ქართველი ოფიცერი. რაევსკი კარგად ეპყრობოდა მათ, ხშირად პატივებდა სადილზე, მართავდა მათთან ლიტერატურულ საუბრებს და სხვ. ასეთი შეხედრები განსაკუთრებით გახშირდა მოქმედ არმიის პუშკინის მოსვლის დროს. ეს შემთხვევა რაევსკის იაფად არ დაუჯდა. როცა რაევსკი 1829 წლის დეკემბერში შებენილებაში იმყოფებოდა, თბილისში მოვიდა მეფე ნიკოლოზ I განკარგულება რაევსკის დაპატიმრებისა და მ დღე-ღამით დაპატიმრების შემდეგ სამსახურში რუსეთს გადაყვანის შესახებ. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ რაევსკის დაპატიმრების ბრძანების შესრულება დაეღებულე ჰქონდა მაშინ სამხედრო სამსახურში გენერალ-მაიორის ჩინით მყოფ ა. ჭავჭავაძეს. მაგრამ მან თავი მოიკავიდა, რადგან არ უნდოდა სისრულეში მოეყვანა ეს უსამართლო განკარგულება.

საქართველოში ცხოვრობდა პოეტი-დეკაბრისტი ალექსანდრე ოდოევსკი, ერთ-ერთი უაღრესად მიმზიდველი და დიდად ნიჟიერი პიროვნება, გრიბოედოვის, ა. ბესტუჟევის, რილევის და ლერმონტოვის მეგობარი, დეკაბრისტთა ჩრდილოეთის საზოგადოების წევრი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა 12 წლის კატორღა და მხოლოდ 1837 წელს იქნა გადმოყვანილი კავკასიაში უბრალო ჯარისკაცად. 1839 წლის 15 აგვისტოს ოდოევსკი გარდაიცვალა ავთვისებიანი მალარიით შავი ზღვის სანაპიროზე სოქის ახლოს.

ოდოევსკი დიდხნობით ცხოვრობდა თბილისში და ძალიან დაუახლოვ-

¹ Б. Эсадае — „Летопись Грузии“, стр. 203.

და პროგრესული ქართველი ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელს, და დიოდა ლიტერატურულ სალონებში. იგი დაახლოვებული იყო ა. მუხომანსთან, რომელმაც ქართულად თარგმნა მისი ლექსი „ვარდი და მარტინი“. ეს ლექსი დაწერილი იყო ქართული პოეზიის გავლენით. ოდოვესკიმ მთელი რიგი საუცხოო და გრძნობიერი ლექსები უძღვნა მუხომანს („საქართველოს დაქორწინება რუსეთის სახელმწიფოსთან“ და სხვ.). დეკაბრისტი როზენი სწერს: „ოდოვესკის მე მივესწარი თბილისში, სადაც ის იმყოფებოდა დროებით, ავადმყოფობის გამო. იგი ხშირად დადიოდა თავის მეგობრის გრიბოედოვის საფლავზე, ხოტბას ასხამდა მის ხსოვნას, ხოტბას ასხამდა საქართველოს მხატვრული ლექსებით“¹.

საქართველოში არა ერთხელ ყოფილა კავკასიაში გადმოსახლებული ა. ბესტუევი-მარლინსკი. იგი ცხოვრობდა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში და ახალციხეში. ა. ბესტუევი დეკაბრისტთა ჩრდილოეთის საზოგადოების თვალსაჩინო და აქტიური წევრი იყო. იგი, დაახლოვებული იყო რილევეთან, გრიბოედოვთან, კიხელ-ბუკერთან, პესტელთან და სხვ. რილევეთან ერთად ა. ბესტუევი 1823 წლიდან სცემდა დეკაბრისტების ლიტერატურულ ორგანოს „პოლიარნაია ზვეზდას“. დიდად და მრავალფეროვნად ნიჟერი ბესტუევი გასული საუკუნის 20—30-იანი წლების რუსული რომანტიზმის ერთ-ერთი უაღრესად ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. ბელინსკის თქმით, ბესტუევი-მარლინსკი იყო „ჩვენი პირველი მთხრობელი, შემოქმედი, ანდა, უკეთესად რომ ვთქვათ, რუსული მოთხრობის დაწყებები“. 30-იანი წლების რუს მკითხველებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ბესტუევის ნარკვევები და მოთხრობები კავკასიის ცხოვრებიდან („ამალატ-ბეგი“, „მოლა-ნური“, „მთიელებთან ტყვედ ნაპოფი ოფიცრის ნაამბობი“ და სხვ.). ბესტუევი, ისე როგორც გრიბოედოვი, კიხედა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას კავკასიაში. ბესტუევისთვის უცხო იყო დიდმპყრობელური შოეინიზმი, იგი თანაგრძნობით და პატივისცემით ეკიდებოდა კავკასიის ხალხებს, მათს გმირულ ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის. მარლინსკის მოთხრობათა რომანტიკულ გმირებს კავკასიის ცხოვრებიდან ახასიათებთ ვაჟაკობა, მამაკობა, კეთილშობილება, ძლიერი ნებისყოფა, გულადობა, მეგობრობის დიდი გრძნობა. ა. ბესტუევემა ერთ-ერთმა პირველთაგანმა დასვა საკითხი კავკასიის ხალხთა აწმყოსა და წარსულის სერიოზულად შესწავლის საჭიროების შესახებ. თვითონ ის ზედმიწევნით დაეუფლა აზერბაიჯანულ ენას, რამაც საშუალება მისცა მას რუსულ ენაზე გადაეთარგმნა, მაგალითად, ლექსი პუშკინის გარდაცვალების გამო, დაწერილი აზერბაიჯანელი ხალხის ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ახუნდოვის მიერ. საქართველოში ბესტუევი იცნობდა ბევრ ქართველ მწერალსა და პოეტს, დადიოდა ლიტერატურულ სალონებში. მან დაიმსახურა კავკასიის ხალხთა სიყვარული და პატივისცემა. ბესტუევი იმულებული იყო ოთხ წელიწადზე მეტი ეცხოვრა არაჩვეულებრივ მძიმე პირობებში დარუბანდს. როდესაც, ბოლოს, ის საქართველოში გადმოიყვანეს, „სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ირანელებმა, რუსებმა,—დარუბანდის ნახევარმა,—ბესტუევი ვააცილა შორი გზით... მისი კეთილი და მხიარული ხასიათი, აზერბაიჯანული ენის კარ-

¹ В ссылку (Записки декабриста) Соч. А. Розена, Москва, 1900 г. стр. 200.

გად ცოდნა, სავალალო და ბევრისთვის გაუგებარი ბედი,—ყველაფერი ეს დარუბახდელთა გულებსა და აზრებს იზიდავდა განდევნილისაჲნი¹.

ა. ბესტუჟევი პირველი რუსი პოლიტიკური ტუსალი იყო, რომელიც რამდენიმე ხაას იჯდა თბილისის ბნელ შეტეხის ციხეში. ფიზიკურად და მორალურად მოტეხილი ბესტუჟევი, სასოწარკვეთილებამდამსჭვდნულნი მტკიცებით ეტებდა სიყვდილს და კიდევაც დაიღუპა იგი 1837 წლის 17 ივნისს (ქვე სტილით) რუსთა რაზმის მიერ ადღერის კონცხის დაკავების დროს.

ბესტუჟევის შემოქმედებამ გამოძახილი ჰპოვა საქართველოშიც. ასე მაგალითად, ქართულ ჟურნალ „სისკარში“, რომლის რედაქტორი იყო ცნობილი ქართველი მწერალი და დრამატურგი გ. ერისთავი (გამოდიოდა 1852 წლიდან), დაიბეჭდა „მოლა-ნურის“, „ამალატ ბეგის“ და სხვ. თარგმანები.

საქართველოში მსახურობდა სახელგანთქმული სამხედრო ინჟინერი მ. ი. პუშჩინი. იგი უბრალო ჯარისკაცად ირიცხებოდა შესანჯრეთა მე-8 პოლკში, ფაქტიურად კი ასრულებდა კავკასიის ფრონტის საინჟინრო ჯარების უფროსის მოვალეობებს, პუშჩინი მონაწილეობას იღებდა აბას-აბადის, სარდარ-აბადის, ვრეევანისა და ახალციხის ალყასა და აღებაში. შესანჯრეთა იმავე მე-8 პოლკში მსახურობდა ა. ს. განგებლოვი, ეროვნებით ქართველი. განგებლოვი პეტერბურგში მსახურობდა იმპერატორის პოლკში, ურთიერთობა ჰქონდა დეკაბრისტებთან და ჩრდილოეთის საზოგადოების წევრი გახდა. იგი გადმოსახლებული იყო კავკასიაში, მონაწილეობას იღებდა ერევანის, ახალციხისა და ოლთის აღებაში; მან რამდენიმე ხანს დაჰყო თბილისში, სადაც ურთიერთობა ჰქონდა ქართულ საზოგადოებასთან; მის ბინაზე თავს იყრიდნენ თბილისში მცხოვრებნი დეკაბრისტები. კავკასიაში გადმოსახლებული ნ. ი. ლორერიც, დეკაბრისტთა ჩრდილოეთის საზოგადოების წევრი, ქართველი იყო დედის მხრით, ციციანოვების გვარიდან. შესანჯრეთა მე-8 პოლკში რაგოსნად მსახურობდა აგრეთვე ჩრდილოეთის საზოგადოების წევრი პ. პ. კონოვნიცინი.

საქართველოში მსახურობდა პესტელთან დაახლოებული უკრაინის ქვეითი პოლკის მეთაური ნ. გ. ბურცევი, განათლებული და დიდი ქუთის ადამიანი. კვლევამებისა და დეკაბრისტების გასამართლების შემდეგ იგი სასჯელს იხდიდა ბობრუსის ციხეში. 1827 წლიდან საქართველოში ბურცევი ჯერ მსახურობდა თბილისის, ხოლო შემდეგ მეგრეთა პოლკში. გარდაიცვალა მძიმე კრილობისაგან, რომელიც მიიღო თერაპიების წინააღმდეგ ბრძოლაში გაბურთთან. დასაფლავებულია ქ. გორში, სადაც მისი პოლკი იდგა.

პასკევიჩის დროს კავკასიის არმიის შტატში თვალსაჩინო როლს თამაშობდა პუშჩინის ამხანაგი ლიცეუმში, გრიბოედოვის მეგობარი, დეკემბრის აჯანყების მონაწილე ვ. დ. ვალხოვსკი.

დეკაბრისტმა ვ. ა. ისკრიცკიმ შეადგინა ახალციხისა და არზრუმის საფაშოების სამხედრო-ტოპოგრაფიული აღწერილობა, აგრეთვე ბორჯომის მამულისა. თავისი ეპოქის დიდად განათლებული ადამიანი იყო დეკაბრისტი ვ. დ. სუხოტოკოვი. დეკაბრისტი ა. თ. კორნილოვიჩთან ერთად 1824 წელს მან გამოსცა ისტორიული აღმანახი „რუსსკაია სტარინა“. სუხოტოკოვი იცნობდა პუშჩინს. საქართველოში გადასახლების დროს სუხოტოკო-

¹ Голубев. Бестужев (Маряинский), Москва, 1938 г. стр. 382.

ვი მსახურობდა პასკევიჩთან, ასრულებდა მდივნის მოვალეობას. პასკევიჩის დავალებით სუხოტუკოვმა შეკრიბა მასალები 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ისტორიისათვის. იგი თანამშრომლობდა კავთევე გაზეთ „ტიფლისკიე ველომოსტში“.

კახეთში (წითელი წყარო) ერევნის ქვეითი ჯარების პოლკში რეველანად მსახურობდა ა. ო. კორნილოვიჩი. იგი იყო განსაკუთრებული ნიჭის მქონე პეტრონი ადამიანი, ყოველმხრივ განვითარებული, იცოდა თითქმის ყველა ევროპული ენა. კორნილოვიჩი სწერდა სტატიებს რუსეთის ისტორიაზე, თანამშრომლობდა ევროპულ ენის ოტენესტვა“, „სევერნი არხივი“, „პოლიარნია ზეზლა“ და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სუხოტუკოვთან ერთად მან 1824 წელს გამოსცა ისტორიული აღმანახი „რუსსკიაი სტარინა“. კორნილოვიჩის არაჩვეულებრივი ნიჭიერებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 22 წლის ასაკში უკვე ჰქონდა გვარდიის გენერალური შტაბის შტაბსკაპიტანის ჩინი. 1824 წელს ის გახდა დეკაბრისტთა სამხრეთის საზოგადოების წევრი. სასამართლომ მას მიუსაჯა 12 წლის კატორღა. საქართველოში გადმოყვანილ იქნა 1832 წელს, სადაც ჯარისკაცის გაუხარეულ ცხოვრებას ეწეოდა. კორნილოვიჩის ცდა—გადმოსულიყო თბილისში და იქ ლიტერატურული შრომისთვის მოეკიდა ხელი, უშედეგო დარჩა. გარდაიცვალა ნადევლის ანთებით 1834 წლის აგვისტოში. კორნილოვიჩთან ერთად ერევნის პოლკში მსახურობდა გ. მ. გოლიცინი.

„ზარბაზნების გრიალმა სენატის მოედანზე მთელი თაობა გამოადვიცაო“, — სწერდა გერცენი. ამ თაობას ეკუთვნოდა დიდი რუსი პოეტი ლერმონტოვიც, რომელსაც ლენინაჩსკიმ სამართლიანად უწოდა „დეკემბრის განწყობილებათა უკანასკნელი და დიდად გულწრფელი გამოძახილი“. თავისი ცნობილი ლექსისათვის „პოეტის სიკვდილი“ ლერმონტოვი დაპატიმრებულ იქნა და შემდეგ 1837 წლის თებერვალში გადაიყვანეს ნიეგოროლის პოლკში, რომელიც კახეთში იდგა (დაბა ყარაგაჩი). ამავე პოლკში ამ დროს მსახურობდა პოეტი-დეკაბრისტი ოდოევსკი. მათ შორის გაიბა და განმტკიცდა მეგობრობა. ცნობილ ლექსში „ა. ი. ოდოევსკის ხსოვნას“ ლერმონტოვმა ბრწყინვალედ დაახასიათა თავისი ნადრევიად გარდცხვლებული მეგობარი, ნიკოლოზის რეკიემის მსხვერპლი.

იმავე წლის ოქტომბერში ლერმონტოვს საშუალება მიეცა სამ კვირაზე მეტი ეცხოვრა თბილისში, სადაც ურთიერთობა ჰქონდა ქართველ საზოგადოებასთან. ფიქრობენ, რომ იგი ზედმეტი გენიალურ ქართველ პოეტს ნ. ბარათაშვილს და ქართულ რომანტიზმის სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებს: ა. ქავკავაძეს, გ. ორბელიანს, ვ. ორბელიანს და სხვ. ლერმონტოვთან დაახლოვებული იყო ლიტერატორი და სამხედრო მოღვაწე კ. მამაცაშვილი. საქართველოში მოგზაურობას, ქართველ ხალხთან დაახლოებას და მისი შემოქმედების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლერმონტოვის გენიის გაფურჩქენისათვის. ბელისკი, რომელიც ლერმონტოვის შესახებ სწერდა როგორც „ღრმა და ძლიერი სულის მქონე ადამიანზე“, ამავე დროს აღნიშნავდა, რომ „კავკასიამ სრული ხარკი აიღო ჩვენი პოეტის მუხიდან“. თვითონ ლერმონტოვი კავკასიას და საქართველოს უწოდებდა „მშობლიურს, სასწაულთა ქვეყანას“, რომ მისმა „გენიამ გვირგვინი დაიწნა კავკასიის ხეობებში“. თავის ნაწარმოებებში ლერმონტოვმა მოგვცა საქართველოს ბუნებრივ მშვენიერებათა აღწერა და პოე-

ტური ფორმით შემოსა ქართველი ხალხის ცალკეული თქმულებები („დემონი“, „მწირი“ და სხვ.).

თავის მხრით, ლერმონტოვის შემოქმედებამაც საკეთილად გავლენა იქონია ქართულ ლიტერატურასა და პოეზიაზე. ჯერ კიდევ დიდმა ქართველმა მწერალმა ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა ლერმონტოვისა და ბატონო მჭედის შემოქმედების ახლო ნათესაობა. ქართულ ენაზე ლერმონტოვის „მწიკის“ საუკეთესო ქართულმა პოეტებმა: ა. ჭავჭავაძემ, გრ. ორბელიანმა, ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა და სხვ.



საქართველოში გადმოსახლებული დეკაბრისტები განირჩეოდნენ განათლებით, ნიჭიერებით, თავმდაბლობით პირად ცხოვრებაში. მათ შეინარჩუნეს გულწრფელი სიყვარული სამშობლოსა და თავისი ხალხისადმი, განმსვენებული იყვნენ მათი თანამედროვე საზოგადოების მოწინავე რდევებით. მათთვის უცხო იყო ნაციონალისტური ცრურწმენები. მიუხედავად პირადი ცხოვრების მძიმე პირობებისა, ხელისუფალთა მხრით შევიწროებისა, დეკაბრისტები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ ადამიანურ ღირსებებს და ურყევად ინარჩუნებდნენ თავიანთ დემოკრატიულ შეხედულებათა დამოუკიდებლობას. თბილისსა და საქართველოს სხვა ადგილებში ყოფნის დროს ისინი არ სწყყეტდნენ კავშირს ერთმანეთთან, ხშირად იკრიბებოდნენ ერთად, როგორც თვითმპყრობელური წყობილებისა და ბატონყმობის წინააღმდეგ თანამებრძოლნი, აწყობდნენ ლიტერატურულ საუბრებს. შეძლებისდაგვარად ისინი მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ასე, მაგალითად, ისინი თანამშრომლობდნენ გაზეთ „ტიფლისკე ვედომოსტში“. ამ ეპოქის მკვლევარი ნ. კ. ვენიკოლოპოვი სწერს: „თუ შევდევლობაში მივიღებთ იმას, რომ საქართველოში იმ დროს ცხოვრობდნენ აქ გადმოსახლებული დეკაბრისტები რომელთა შორის ვხედავთ ისეთ დიდ ლიტერატურულ ფიგურებს, როგორც არიან ბესტუვეე-მარლინსკი, კორნილოვიჩი, კრივცოვი და სხვ., რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედრისა და საღამოების ერთად გატარებისა, გარკვევით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ „ტიფლისკე ვედომოსტის“ რედაქციის მუშაობაში ხოლო დეკაბრისტი სუბორტკოვი კიდევაც თანამშრომლობდა ამ გაზეთში“¹.

დეკაბრისტების ჯგუფმა: ბესტუვეემა, ლაშკევიჩმა და „ფარულ საზოგადოებათა მონაწილემ“ ნ. ზუბოვმა, რომლებიც გენერალ ბებუთოვის კორპუსში იმყოფებოდნენ, სცადეს გამოეცათ გაზეთი „ახალციხისკი კურიერი“, მაგრამ პირველი ნომრის შემდეგ გაზეთის გამოცემა აკრძალული იქნა.

იმ ადამიანებზე, რომლებთაცან დეკაბრისტებს შეხვედრა უხდებოდათ, ისინი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდნენ სიმტკიცით, მორალური სიწმიდით, სულიერი კეთილშობილებითა და თავის რწმენათა ურყევობით.

ვასილი საუკუნის 40-იანი წლების თბილისის საზოგადოებაზე ტორნაჟ სწერს: „იმ პირთა რიცხვს, ვინც მრავალრიცხოვანი გახადეს ჩვენი წრის

¹ Н. К. Ениколопов. „Грибосдов в Грузии и в Персии“, стр. 80.

ინტერესი, უდავოდ ეკუთვნოდნენ ბევრი შეწყნარებული დეკაბრისტთაგან, რომლებიც კავკასიაში იხდიდნენ სამშობლოსგან მოშორების თავიანთი სსსჯელის უკანასკნელ წლებს. ეს იყვნენ ადამიანები, რომელთაც პეტრეს ნაწილად მიღებული ჰქონდათ კარგი აღზრდა, ზოგიერთი მათგანი შეიანიშნავე სულიერი თვისებებით იყვნენ აღჭურვილი, გამობრძნოდნენ უბედურებაში და ცხოვრების მძიმე გამოცდილების გაკვეთილებს მიღებული. ახალგაზრდობისათვის ისინი წარმოადგენდნენ მსხველ მაგალითსა და გაკვეთილს¹.

1832 წელს თბილისში ხელისუფალთა მიერ აღმოჩენილ იქნა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის განთავისუფლებას ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიალური ჩაგვრისაგან. შეთქმულების მონაწილეებს შემუშავებული ჰქონდათ საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი წყობის გეგმები (ფარული საზოგადოების ზოგიერთი წევრი რესპუბლიკური წყობილების მომხრე იყო), ისინი ფიქრობდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებათ გლეხები, ქალაქის ღარიბობა, აგრეთვე ჯარის ნაწილები, სადაც ნაგარაუდვეი იყო სათანადო მუშაობის ჩატარება ქართველ ოფიცერთა დახმარებით. ამ მოძრაობაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ისეთი ცნობილი ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეები, როგორც იყვნენ გ. ორბელიანი, ა. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, გ. ერისთავი, დ. ყიფიანი, ფ. კიკნაძე, ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე და სხვ. მოძრაობის მონაწილეებს მხარს უჭერდა და თანაუგრძნობდა ისეთი ავტორიტეტის პიროვნება, როგორც ა. ჭავჭავაძე. როგორც ახლა დადგენილია, ფარული საზოგადოების მოწყობის იდეა წარმოიშვა ჯერ კიდევ 1826 — 1827 წლებში პეტერბურგს, იქ მყოფ ქართველებს შორის.

სხვათა შორის, პეტერბურგში დეკაბრისტების აჯანყების დამსწრეთა სხვა ქართველებს შორის იყვნენ ს. რაზმაძე და ს. დოდაშვილი, ამასთანავე უკანასკნელს დაპატიმრების შემდეგ გაჩხრეკის დროს უნახეს ასლი ჩაშლილ წერილისა თავისი ცოლისადმი, რომელიც დაწერილი იყო ჩამოხრჩობის წინდღით. პოეტი ვ. ორბელიანი თავის მეგობართა წრეში ხშირად კითხულობდა რილევის ლექსს „ნალივიაიკოს აღსარება“, ზოლო პოეტმა ვ. ორბელიანმა ეს ლექსი შეუფარდა საქართველოს ცხოვრების პირობებს და დასწერა „გივი ამილახვარის აღსარება“.

როგორც კვლევა-ძიებით გამოირკვა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეები თავის კრებაზე ხშირად იგონებდნენ დეკაბრისტების აჯანყებას და განსაკუთრებული პატივისცემითა და აღტაცებით იხსენიებდნენ დეკაბრისტების ბელადთა სახელებს: პესტელსა და რილევეს.

შემდარი არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ ნაციონალურ-განთავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე ქართველებზე დიდი გავლენა უნდა მოეხდინა დეკაბრისტების აჯანყებას და მათთვის უნდა ჩაენერგა იდეა თავის სამშობლოში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების აუცილებლობის შესახებ.

საქართველოში დეკაბრისტებმა მოიხვეჭეს ცარიზმის წინააღმდეგ, ყოველგვარი ტირანის წინააღმდეგ მებრძოლთა შარავანდელი, თავისი ეპოქის მოწინავე იდეების მატარებელთა შარავანდელი. დეკაბრისტების ბრძოლამ,

¹ „Русский вестник“ № 4 за 1869 г., стр. 700.

მათმა იდეოლოგიამ, ბევრი მათგანის უშუალო ურთიერთობამ ქართველ ხალხთან მათი აქ გადასახლებაში ყოფნის დროს, საკეთილო გზაზე დააბრუნა ზოგნი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სულტურულ ცხოვრებაზე.

რუსი ხალხის ორიგინალური, თავისებური, შემოქმედებითი უფროსი, მისი მოწინავე და ნაყოფიერი იდეები შემდგომ კიდევ უფრო მეტს გვატევენ აბღენდა ქართველი ხალხის გონებრივ და ზნეობრივ ცხოვრებაზე.

რუსი და ქართველი ხალხის ძმური ერთიანობა სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა თანამეგობრობისა და ურთიერთდახმარების ნიადაგზე საერთო სამშობლოს ბედნიერებისათვის, მისი საუცხოო მომავლისათვის, სოციალისტურ რევოლუციისათვის ბრძოლაში.

„საქართველო ის ქვეყანაა, — ნათქვამია „პრავდის“ მოწინავე სტატიაში, — სადაც პირველად გაშალა მძლავრი ფრთები ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გენიამ. ლენინისა და სტალინის მეგობრობა საბჭოთა ქვეყნის ხალხთა უღრმესი გამოსახულებაა. წმიდა ძმობის გრძნობით არის აღსავსე ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა, რომელმაც შექმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირი“¹.

¹ „Правда“, 1943 წლის 16 მაისი.



სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XIX საუკუნის დასაწყისში¹

ოსმალეთის აღმოსავლეთით XIX საუკუნის დასაწყისამდე მძლავრ მეზობლად მხოლოდ ირანი ითვლებოდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სამცხე-საათაბაგო მძლავრი რუსეთის უშუალო მეზობელიც აღმოჩნდა. ამიერიდან სამცხე-საათაბაგო, ანუ გურჯისტანის ვილაიეთი გადაიქცა იმ ასპარეზად სადაც იხლართებოდნენ საერთაშორისო წინააღმდეგობანი ერთის მხრივ რუსეთსა და ირანს შორის, ირანსა და საქართველოს შორის; მეორეს მხრივ: რუსეთსა და ოსმალეთს შორის, ოსმალეთსა და საქართველოს შორის ირანისა და თურქეთის შორის არსებულ წინააღმდეგობათა ჩათვლით.

ეს გართულებულ ვითარება თავისთავად გადაიქცა სამცხე-საათაბაგოში მყოფ ფაშების პარტიკულარიზმის ტენდენციის უფრო მეტად გაძლიერებისა და საერთოდ პოლიტიკურ კორუპციის გამწვავების დამატებით ხელშემწყობ პირობად. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შედგენილ აქტებში, სადაც ლაპარაკია რუსეთის მეზობლად აღმოჩენილ საფაშალიკოთა ფარგლების განსაზღვრაზე, მოცემულია ფაშების მოქმედების შემდეგი დახასიათება: „დედა ქალაქს დაცილებულნი თურქეთის ყველა მესაზღვრე უფროსნი თავის ადგილს იკავებენ ხშირად მემკვიდრეობით და მთავართა გვარს წარმოადგენენ; ამიტომ ერთგვარ თვითმპყრობელობას იჩენენ და მათი მომიჯნავე ოლქების საქმეებში იღებენ მონაწილეობას საკუთარი მოსაზრებით-ო“.²

მაგრამ ამ ამონაწერის ის ადგილი, რომელიც ფაშების დამოუკიდებელ მოქმედების მთავარ მიზეზად სთვლის მათ დაცილებას ოსმალეთის სატახტო ქალაქიდან, ჩვენის აზრით არ უნდა ჩაითვალოს მართებულად, ვინაიდან ასეთივე მანძილი აღნიშნულ ფაშებსა და კონსტანტინოპოლს შორის XVII საუკუნის დასაწყისშიაც არსებობდა, ხოლო ფაშების განდგომასულთანისაგან, რამდენადაც ეს ცნობილია იმ დროინდელ ოსმალეთის ისტორიიდან, ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. ანდა ავიღოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის დასაწყისში არზრუმის ფაშა, მიუხედავად მასთან კონსტანტინეპოლის სიახლოვისა, სრულიად დამოუკიდებლად სთვლიდა თავის თავს სულთანისაგან, განა არ ლაპარაკობს მანძილის სიდიდის ნაკლებ მნიშვნელობაზე პარტიკულარიზმის ტენდენციის საქმეებში? მინისტრის ამხანაგი ჩარტორიისკი ციციანოვისადმი გამოგზავნილ მიმართვაში არზრუმის ხელმძღვანელ თაიარ-ფაშის შესახებ სწერდა:

„თქვენს ბრწყინვალეობას მოეხსენება, რომ ტრაპიზონის თაიარ-ფაშამ, ბათალ-ფაშის შეილმა არაერთხელ გამოიჩინა თავისი მიდრეკილება რუსეთი-

¹ თავი წიგნიდან „სამცხე-საათაბაგო ოსმალთ ბატონობის უკანასკნელ პერიოდში“.

² Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. I, стр. 113.

სადმი. დიდად სასარგებლო იქნებოდა დაგვეწყო მასთან მიწერ-მოწერა, უკეთეს ჯერ არავითარი ურთიერთობა არა გაქუთ მასთან, აგრეთვე შევა-
მოწმით არზრუმის ფაშის განწყობილება და სწირ-სწირად გვეტყვიანოთ მე-
ზობელ ყარისს და ახალციხის ფაშებს თქვენი შეხედულებით, ~~სათვის~~ სა-
კადრისი საჩუქარი, რათა მუდამ შეგობრულ თანხმობაში გვეყვებოდნენ¹.

თაიარ ფაშა თავდაპირველად სცილილობდა სრულ უკმაყოფილებობის
მოპოვებას სულთანისაგან. ამ მიზნის განსახორციელებლად მან ჩაატარა
მთელი რიგი მოლაპარაკებანი ანატოლიის სხვა ფაშებთანაც, რათა შეთანხ-
მებით გამოსულიყვენენ საერთო ძალებით ცენტრალური ხელისუფლებას
წინააღმდეგ, მაგრამ როგორც სჩანს ეს ცდა მარცხით დამთავრდა. კონს-
ტანტინეპოლში მალე გამოამქლავდა თაიარ ფაშის ორგულობა სულთანის
მიმართ, თუმცა სწრაფი და გადამწყვეტი ღონისძიებების მიღება სულთ-
ანის მხრით ამას არ მოჰყვა. მიუხედავად ამისა, იცოდა რა თაიარ ფაშამ
სულთანის სასახლის გადაწყვეტილება მისი სიკედილით დასჯის შესახებ.
დაიწყო მოლაპარაკების წარმოება რუსეთის ხელისუფლებასთან ლიტვინო-
ვის მეშვეობით. 1805 წლის 29 ოქტომბრის მიმართები ციციანოვი აცნო-
ბებდა ჩარტორიისკის შემდეგზე: „ტრაპიზონის თაიარ-ფაშასთან მიმოწე-
რის დაწყების თაობაზე მოვალე ვარ ვაუწყო თქვენს ბრწყინვალებას, რომ
თქვენი ბრწყინვალების საპატიო მოწერილობის მიღების წინ თაიარ-ფაშამ
თვითონ მოგვცა ამის საბაბი; მან თავისი სანდო კაცი გამოუგზავნა ლიტვი-
ნოვს და დააბარა, უკეთეს ლიტვინოვს არ შეუძლია მასთან საქმეში ჩაებას,
მაცნობოს მე, რომ იგი რუსეთის მფარველობას ეძებს, სურს სამეგრელოს
ნაპირებიდან დაბრუნებული ჩვენი ზომალდებით ყირიმს გაემგზავროს და
პირობას იძლევა რუსეთის ქვეშევრდომი გახადოს შავ-ზღვის მთელი აღმო-
სავლეთი მხარე ანაბიდან და მთელი ანატოლია“².

თაიარ-ფაშის ეს შერეე დაპირება, ე. ი. ანატოლიის გადაცემა რუსეთი-
სათვის მხოლოდ ფიქტია იყო, რადგან, როგორც ეს ჩვენ ზევით დავინახეთ,
მისი მოლაპარაკება ანატოლიის სხვა ფაშებთან, მარცხით დამთავრდა. ხოლო
მისი დაპირება — შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროების გადაცემაზე
თითქოს რეალურ ელფერს ღებულობდა, რადგან თაიარ-ფაშას ჰყავდა საკ-
მაო რაოდენობით თავისი პოლიტიკური მომხრეებისა აფხაზეთის სამფლო-
ბელოში. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ როცა სულთანმა გასცა
განკარგულება მეამბოხე ფაშის თავის მოკვეთის შესახებ, თაიარ-ფაშამ
თავი აფხაზეთს შეაფარა.

სულთანმა იმის გამო, რომ თაიარ-ფაშას მიეცა თავშესაფარი აფხაზეთ-
ში, პასუხი მოსთხოვა აფხაზთა მმართველს ქელეშ-ბეგს და გასცა განკარგუ-
ლება თაიარ-ფაშის თავის გაგზავნის შესახებ კონსტანტინეპოლში. ქელეშ-
ბეგი თავის მხრივ აგვიანებდა ბრძანების სისრულეში მოყვანას და აშკარად
ინენდა არაერთგულ დამოკიდებულებას ცენტრალურ ხელისუფლებისადმი
სხვა საკითხებშიაც. თაიარ-ფაშის გავლენით თვითონაც დაიწყო მოლაპარა-
კების ჩატარება რუსეთის მმართველობასთან ამ უკანასკნელის მფარველობის
მოპოვების მიზნით. ციციანოვი გრაფ ვორონცოვისადმი თავის მიმართვაში
1808 წლის 27 ოქტომბერს აფხაზთა მმართველის ქელეშ-ბეგის შესახებ
სწერდა: „ეს მოციქულები ირწმუნებოდნენ, რომ მათი მთავრის მეზობელი

¹ იქვე, გვ. 885.

² Акты, т. II, стр. 889.

ქელეშ-ბეგი, რომლის სამფლობელოსაც შეადგენს შავი ზღვის ნაპირი ფოთიდან ახაპისაკენ ანაკლიამდე მისი ჩათვლით, ელის რუსეთის ჯარების ჩაყვას ოდიშში, რათა მათ ჩაბარდეს მთელი სამფლობელოთანი.

ქელეშ-ბეგის მოლაპარაკება რუსეთთან მისი მფარველობის ქვეშ ყოფნის შესახებ 1806 წელს თითქმის წარმატებით დამთავრდა, მაგრამ ქელეშ-ბეგი მოკლულ იქნა საკუთარ შვილის არსლან ბეგის მიერ, რომელიც რუსეთის ორიენტაციის მატარებელი იყო. მამის მკვლელმა ამის შედეგ მოახერხა მხოლოდ სუბუმ კალეს ძალით დაკავება. აფხაზეთის სხვა ადგილები კი დარჩა ქელეშ-ბეგის უფროსი შვილის სეფერ ალი ბეგის განკარგულებაში. სეფერ ალი ბეგიც, ისე როგორც მისი მამა, რუსეთის მომხრედ გამოდიოდა, ამის შედეგად იყო, რომ 1810 წელს მთელი აფხაზეთი დაექვემდებარა რუსეთის მმართველობას.

ამგვარად ოსმალეთის სამხედრო ფეოდალური სახელმწიფო XIX საუკუნის დასაწყისისათვის შინაგანი რღვევისა და გახარჭნის საქმეში უკიდურესობამდე იყო მისული; მაგრამ თუ ოსმალეთის ცენტრალურ ზეღისუფლებას არ ემორჩილებოდნენ მის მიერ დაპყრობილ და თითქმის ერთის შეხედვით საბოლოოდ დამორჩილებულ ადგილების ფაშები, მით უმეტესი მდგომარეობა იქნებოდა ოსმალეთთან ვასალურ დამოკიდებულების მქონე მხარეებში. სამეგრელოს მდგომარეობის შესახებ აი რას სწერდა ციციანოვი ვორონცოვს:

„რამდენადაც მოციქულების სიტყვებითა და თავად დადიანის მიერ ჩემთვის მოწერილი წერილების კილოთი შემძლია დავასკვნა, მისი და მთელი ზღვის სიბარული გულწრფელი და უსაზღვროა, სრულიად რუსეთის ქვეშევრდომად ყოფნას რომ ითვალისწინებს. ეს მით უფრო დასაჯერებელია, რადგან თურქეთის მართვა-გამგეობამ თავისი უღარდებლობით ცალ-ცალკე ჩაუგდო ისინი მსხვერპლად მათ მეზობლებს“¹.

მართალია სამეგრელო ფაქტიურად დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა, მაგრამ ოსმალეთი მაინც სთვლიდა მას საკუთარ გავლენის სფეროდ და ფოთში მდგომ თურქული გარნიზონით სცდილობდა სამეგრელოს საბოლოო დამორჩილებას. მეორეს მხრივ სამეგრელოს სამთავროს შემოერთებას ლაშობდა იმერეთის მეფე სოლომონი. სამეგრელოს მთავრისათვის იქმნებოდა ძალზე რთული პოლიტიკური ვითარება, ამიტომ იყო, რომ ის ასე ხშირად აგზავნიდა თავის კაცებს რუსეთის მმართველებთან მფარველობის ძიების მიზნით. დადიანის რუსეთის მიმართ ამგვარ განწყობაზე ციციანოვი მეფისადმი გავზავნილ თავის მოხსენებით ბარათში 1803 წლის 27 ოქტომბერს სწერდა: „დასასრულ თავადმა დადიანმა, სამეგრელოს მთავარმა, იმერეთის მეფის მიერ დევნილმა და შევიწროებულმა, ჰოვია საშუალება სომხეთით და მთებით გამოეგზავნა თავისი მოციქულები ჩემთან ხაზზე, საიდანაც ისინი გუშინ წინ თბილისს ჩამოვიდნენ და მოიტანეს ხეხეხილი მთავრის წერილობითი დადასტურება იმისა, რომ მას სურს მიიღოს სრულიად რუსეთის იმპერიის და საიმპერატორო უდიდებულესობის ბედნიერი ქვეშევრდომობა“².

რაც შეეხება ოსმალეთის სხვა ვასალურ კუთხეებს გურიას და იმერეთს

¹ Акты, т. II, стр. 463.

² იქვე, გვ. 465.

³ Акты, т. II, стр. 462.

უცნი ზომ მთლად დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავიანთ თავს და ძალიან იშვიათად თუ ასრულებდნენ სულთანის ასეთ განკარგულებებს, რომლებიც ბრველთა თვალსაზრისით მისაღები არ იყო. იმერეთის მეფე როლომონი იმდენად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა, რომ ოსმალეთის ფაშები რიც შემთხვევაში ისულებულნი იყვნენ მასთან შეეთანხმებოდნენ ულოგიერთი საკითხები. მართალია იმერეთის მეფე რუსეთის მიმართაც საშინაო საქმეებში არა დაქვემდებარების პოლიტიკას, მაგრამ ოსმალეთის გავლენის ქვეშ მყოფ მმართველ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მაინც რუსეთის მფარველობისაკენ მიილტვოდა.

თუ რამდენად ძლიერი იყო ფაშების ეს ტენდენცია—რუსეთის მფარველობის მოპოების საქმეში და რამდენად დამაფიქრებელი ოსმალეთის ხელისუფლებისათვის, თვალსაჩინოდ სჩანს კონსტანტინეპოლში მყოფ რუსეთის წარმომადგენელ იტალინსკის წერილიდან (გამოგზავნილია ციციანოვის სახელზე 1803 წლის 15 ივნისს). იტალინსკი ამ წერილში აღნიშნავს: „ამასთან მოვალეობად მიმაჩნია გავუწყოთ თქვენო ბრწყინვალეებაე, პორტას ძალიან არ სიამოვნებს, რომ შავი ზღვის ნაპირზე მრავლდება რუსეთის მომხრე ოლქების რიცხვი და რომ კავკასიის მხარეში მთელ ჩვენს მოძრაობას დიდი ცნობისმოყვარეობით ადევნებენ თვალყურს ის სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ ყოველმხრივ აენონ რუსეთსა და ოტომანთა პორტას შორის არსებულ მეგობრობისა და კეთილი თანხმობის კავშირს“¹.

ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რუსეთის მიმართ ერევნის, ახალციხის (ზოგიერთი) და ყარსის მმართველებიც. უკანასკნელის მმართველი მამედ-ფაშა თავიდანვე აღმოჩნდა რუსეთის ძლიერ სახელმწიფოს გავლენის ქვეშ. თავდაპირველად მასთან რუსეთის მმართველ პირთა დამოკიდებულება განისაზღვრა მხოლოდ დიპლომატიური მოლაპარაკებით მეგობრულ კავშირის დამყარებაზე ურთიერთ შორის, შემდეგში კი რუსეთი ღებულობს მასზე მფარველობას, რის გამოც ოსმალეთის მიერ მამედ-ფაშა გადაყენებულ იქნა 1807 წელს და მის ნაცვლად დაინიშნა ალი-ფაშა.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება თუ განვიხილავთ მამედ-ფაშას მიერ წამოყენებულ პირობებს მფარველობის ძიების საქმეში, იგი თხოულობს რუსეთის ხელისუფლებისაგან შეუწარჩუნონ მას თავისი თანამდებობა მეგვიდრეობის პრინციპზე დაყრდნობით. ეს არის მისი მთავარი მოთხოვნა. როგორც სჩანს მეგვიდრეობით საფაშალიკოს გადაცემა ოსმალეთის მიერ მამედ-ფაშას ამ დროისათვის უკვე იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა. ამ გარემოებას ადასტურებენ ოსმალეთის სხვა ფაშებიც რუსეთისათვის ანალოგიურ მოთხოვნათა წაყენებით.

მფარველობაში შესვლის არა ნაკლებ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა რუსეთისაგან შეიარაღებულ ძალებით დახმარების მიღება ირანელების საწინააღმდეგოდ. ის ფაშები, რომლებიც განაგებდნენ ირანის საზღვართან ახლო მდებარე საფაშალიკოებს, ვერ ღებულობდნენ თავის დროზე შეიარაღებული ძალებით დახმარებას ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებისაგან ირანელების თავდასხმების შემთხვევაში და თვითონ კი თავიანთ სამფლობლოს დაცვისათვის საკმაო შეიარაღებული ძალები არ მოეპოებოდათ.

ციციანოვი რუსეთის მთავრობას სისტემატურად სთხოვდა ნებართვას ფაშებისათვის ასეთ დახმარების გაწევაზე. იგი 1805 წლის 29 ოქტომბერს

¹ იქვე, გვ. 873.

ჩარტორიისკის სწერდა... „უბანისოდ (ლაპარაკია შეიარაღებულ დახმარების გაწევაზე ირანელების საწინააღმდეგოდ) მათ ვერაფრით შეაღებინებთ ხელს სპარსეთთან შეერთებაზე, ეინაიდან რამდენადაც აღემატები-ვი ცოდნისა და საქმის ვითარების გამო ვიცი, მთელი აქაური ფაშები დიდ შიშში ჰყავს სპარსეთს და როცა ამითთან იქიდან მოდის სარქლქან-შენელო მოციქული, ამით არ იციან თუ როგორ მიიღონ სხვა ვერც უარს გაუბედავენ, რა მოთხოვნაც უნდა წარუდგინოს, როგორც ეს მოხდა შარშან, როცა მე ერევანთან ვიჯავი, რომ ყარსის ფაშები სპარსეთის მოთხოვნით მხოლოდ და მხოლოდ შინის გამო აწვდიდნენ მათ სურსათს, თოფის წამალს და ტყვიას“.¹

ციციანოვი ამ მხრივ ოსტატურად იყენებდა შექმნილ წინააღმდეგობებს ირანსა და ოსმალეთს შორის. დახმარებას უწყევდა ყარსის ფაშას ირანელების წინააღმდეგ, ის განუწყვეტლივ ჰპირდებოდა შეიარაღებული ძალებით დახმარებას აგრეთვე იმ ფაშებს, რომლებსაც ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლებისაგან დავალებული ჰქონდათ რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ ხელში ჩაგვდოთ სულთანისაგან განდგომილი და შეამბოხე ფაშები, ცოცხლად წარევიღათ ისინი სულთანთან, ან მათი მოკვებითი თავები გაეგზავნათ კონსტანტინეპოლში.

მაგრამ ამიერკავკასიის სრულიად დაპყრობის საქმეში ზემოდ ჩამოთვლილი ფაშების რუსეთის მხარეზე გადაბირება თუმცა მნიშვნელოვან ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა, მაინც გადაწყვეტი როლი მოპოებულ წარმატებებს შენარჩუნებაში ახალციხის საფაშალიკოს უნდა მიეკუთვნებოდა, ეინაიდან ყარსის ფაშა, ახალქალაქის, ჩილდირისა და ბათუმის მმართველი ბეგებიც ახალციხის მმართველის, როგორც სამჯილიანი ფაშის, დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. უფრო მეტიც: ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი საქართველოს სხვა კუთხეების (იმერეთის, სამეგრელოს, გურიის) ერთგულებისათვის „თვალყურის დევნება“ სულთანის მიერ დავალებული ჰქონდა ახალციხის ფაშას.

ამგვარად ახალციხის საფაშალიკო წარმოადგენდა ოსმალეთისათვის იმ სამხედრო სტრატეგიულ ბაზას, საიდანაც ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებში ოსმალეთს შეეძლო დრმად შექრა ამიერკავკასიაში. ახალციხეში ამ მიზნებისათვის ოსმალეთის ხელისუფლება ადრევე უყრიდა თავს საკმარის დიდ ძალებს სხვადასხვა ადგილებიდან. ლეკების დიდი რაოდენობა გადმოდიოდა სამცხე-საათაბაგოს საზღვრებს და ახალციხის დაქირავებულ ჯარის ნაწილებში ირიცხებოდა. მაგრამ სანამდე დადგებოდა ოსმალეთისათვის ეს ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები ლეკების ამ ბანდებს ახალციხის ფაშები აქეზებდნენ საქართველოზე თავდასხმებისათვის. ლეკების ეს შემოსევები ახალციხის საზღვრებიდან, ნაკლები სიმწვავეით არ იგრძნობოდა ქართლის მოსახლეობის და სხვა ქართველთა მიერ, ვიდრე ლეკების ანალოგიურ თავდასხმებს შეიგრძნობდნენ კახელები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

ციციანოვი დაეინებით მოითხოვდა რუსეთისაგან სამცხე-საათაბაგოს, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილის განთავისუფლებას ოსმალეთისაგან და როდესაც იმ დროინდელი საერთაშორისო მდგომარეობის გამო მან კატეგორიული უარის შესახებ ცნობა მიიღო ევროპელებისაგან, იგი დაკმაყოფილდა შემდეგი მიმართვის გაგზავნით: „რამდენადაც ოტომანთა პორტის საკუთრების შენარჩუნება ესოდენ დაკავშირებულია სახელმწიფო

¹) АНТМ, т. III, стр. 607—608.

სარეგლობასთან, — როგორც თქვენმა ბრწყინვალეებამ ამისნა, ახალციხის
ღაბობაზე ლაპარაკს ვეღარ ვბედავ... თუმცა ამ ეამად 600 ლეკი შევიწ-
როებული გენერალ მითორ თავად ორბელიანის მიერ, რომლებიც ჩემი
დარწმუნებით და რეგებ ფაშის მტკიცე მოთხოვნით გაყვანილი არიან
ახალციხის ფარგლებიდან და საქართველოზე გაატარეს. ამის შესახებ
მაგრამ სანამ ახალციხე იზიდავს ლეკებს, რომლებმაც იტანჯა მტკიცე
ხელსაწყოებელია თურქეთის სამფლობელოები და რომლებიც იქიდან განუ-
წყვეტლივ ეწვეიან დაუსჯელად მტაცებლობას, შეუძლებელია თავს ვი-
დით საქართველოს სრული უზრუნველყოფა.“¹

მაგრამ თუ რუსეთის ხელისუფლება გერჯერობით ერიდებოდა თვით
ახალციხის და მის საფუძვლივს საწინააღმდეგოდ რაიმე სერიოზული წა-
ბიჯის გადადგმას, ეს როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გამოწვეული იყო
ამ დროინდელი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე რუსეთის მე-
გობრულ დამოკიდებულებით ოსმალეთის მიმართ. ამ მიზეზს ემატებოდა
არა ნაკლებ საყურადღებო პირობა, სახელდობრ ახალციხე და მისი საფუ-
ძვლივო წმინდა სამხედრო, სტრატეგიული თვალსაზრისითაც პირდაპირი
იერიშებისათვის მიუვალი ხდებოდა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით.
ბორჯომ-ახალციხის ვიწრო ხეობა და განსაკუთრებით კი აწყურის ზღუდე
არ იძლეოდა რაიმე შესაძლებლობას ჯარის ნაწილთა დიდი მასებით თავი-
სუფალ მოქმედებისათვის.

ენგელსი როცა იხილავდა სამხედრო ოპერაციების გაშლის საკითხს ოს-
მალეთის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში. სამცხე-საათაბაგოში მიმავალ
გზების მნიშვნელობას შემდეგნაირად განმარტავდა: „არსებობს სამი გზა
ერთი მიჰყვება მტკვრის ზემოწელს ახალციხეზე, მეორე არაქსის ზემოწელს
ერევანზე, მესამე მიდის ყარსში მთების გადავლით. სამივე ეს გზა ორივე
მხრიდან დაცულია მაგარი ბოზიციებით, და ფორპოსტებით, და ძნელი ვა-
დასაწყვეტია, რომელი მათგანი უფრო ხელსაყრელია რუსებისათვის და
რომელი მათგანი თურქებისათვის. კიდევ უნდა დავმატოს, რომ ახალციხე
გზით თურქეთის არმიას შეუძლია პირდაპირ შევიდეს კავკასიის ყველაზე
უნებადს ადგილებში“...“² ეს გარემოება კარგად პუნდა გათვალისწინებუ-
ლი რუსეთის სარღლობას და ოსმალეთის წინააღმდეგ მომავალ სამხედრო
ოპერაციების დაწყებისათვის წინასწარ მზადებას აწარმოებდა სხვა მიმარ-
თულებით. განზრახული იყო პირველყოელისა ახალქალაქის ციხე-სიმაგრის
განადგურება, შემდეგ ხერთვისისა და ასპინძის, როგორც ახალციხის მი-
სადგომების დაკავება და ბოლოს იერიშების მიტანა თვით ახალციხეზე.

მეორე მიმართულება, რომელიც ითვალისწინებდა ახალციხის შემოვლას
და ამ გზით მის მოწყვეტას ოსმალეთისაგან ეს იყო ერევნისა და შემდეგ
ყარსის მხარეების დაკავება. აღნიშნულ პუნქტების დიდი სტრატეგიულ
მნიშვნელობა კიდევ იმით იზრდებოდა, რომ ამ ადგილებს დაკავებით რუ-
სეთის ჯარები პეკეთდნენ ორად ოსმალეთ-ირანის საზღვრებს და ამით სობ-
დნენ შესაძლებლობას ამ ორი ისლამის სამყაროს გაერთიანებისას რუსე-
თის წინააღმდეგ ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ამით
უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სანამდე დაიწყებოდა გადაწყვეტი ბრძო-
ლა, რუსეთის სარღლობამ ფართოდ გაშალა მუშაობა უპირველეს ყოელისა

¹) Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. II, стр. 894

²) Фридрих Энгельс, статьи и письма по военным вопросам, стр. 47—48.

ახილქალაქის, ყარსის, ერევნის, მაგიზნერდის და სხვების მმართველთა მოსყიდვა-გადმობირების საქმეში. როგორც ზევით დავინახავთ ამ მუშაობამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო და ამგვარად შეიქმნა წინასწარ აუცილებელი პირობები ახალციხის მხარის საბოლოო განთავისუფლებისათვის ოსმალთა ბატონობისაგან.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისით აღინიშნა ახალციხის ხელმძღვანელ მაჰმედ საბიდ-ფაშის მართველობის გართულება. მისდამი დაქვემდებარებულ ყარსის ფაშამ და გამსაკუთრებით კი აჭარის სელიმ-ადამ გამოიჩინეს ღრთლვა დამოუკიდებლად მმართველობის საქმეში; ეს უქანასკნელნი მთელი რიგ შემთხვევებში უარს აცხადებდნენ საბიდ-ფაშის მითითებათა განხორციელებაზე. სელიმ ალა იქამდეც კი მივიდა, რომ მოისურვა რუსეთის ხარდლობასთან საიდუმლო კავშირის დამყარება. 1800 წელს კოვალენსკისადმი გაგზავნილ წერილებში ის აცხადებდა, რომ დიდი სურვილი გააჩნია რუსეთთან დაახლოვებისა და მასთან მეგობრულ ურთიერთობის დამყარებისა. ამავე დროს კოვალენსკის ის სთხოვდა შეამდგომლობას მფარველობის აღმოჩენის საქმეში, ოღონდ ეს პირველ ხანებში უნდა ყოფილიყო საიდუმლოების დაცვით.

მეორეს მხრით, საბიდ-ფაშის მოხელეთა შორის შეიქმნა მის საწინააღმდეგოდ ოპოზიციონური ჯგუფი, რომელმაც დაიწყო თავისი დამრღვევი მუშაობა, საბიდ-ფაშის მახლობელ ნათესავის შერიფ-ფაშის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფმა თავის გაგლეხა გააერცელა მოხელეების, შეიარაღებულ ნაწილების და ლეკებს შორის. 1802 წელს მომხდარ გადატრიალების შედეგად შერიფ-ფაშამ ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და საბიდ-ფაშა განდევნილ იქნა და თავი შეაფარა იმერეთში, ხოლო იმერეთის მეფე სოლომონსა და შერიფ-ფაშას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობის გამო საბიდ-ფაშა დაბრუნებულ იქნა ახალციხეში, სადაც ის სიკვდილით დასაჯეს.

მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ სულთანმა ამ ახლადმოვლინებული ფაშის მომხრე არ იყო და ამიტომ შერიფ-ფაშამ დარაზმა თავისი ძალები იმ შემთხვევისათვის, თუ კი კონსტანტინეპოლიდან დაიწყებოდა გამოლაშქრება მის წინააღმდეგ. შერიფ-ფაშის შეიარაღებულმა ძალებმა ქალაქში მდებარე ორივე ციხე გაამაგრეს. მიღებულ იქნა აგრეთვე ზოგიერთი ღონისძიება იმ ადგილების გამაგრებისათვის, საიდანაც, მოსალოდნელი იყო არზრუმის სერასკიარის ჯარების გამოჩენა. ამის შესახებ გენერალი კნორინგი 1802 წლის 26 მარტს თავის მოხსენებითს ბარათში მეფეს ატყობინებდა, რომ შეამზოხე შერიფ-ფაშის წინააღმდეგ ოსმალეთმა გააგზავნა ახალციხეში ჯარი 20.000 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დავალებული აქვს შერიფ-ფაშის დათრგუნვა და ახალციხის საფაშალიკოში წესიერების აღდგენა.

ვითარების გართულებასთან დაკავშირებით შერიფ-ფაშამ, თავის მხრივ, დახმარებისათვის მიმართა გენერალ ლაზარეს, მაგრამ ლაზარემა უარით უპასუხა, რის გამოც ლაზარემა მადლობის წერილები მიიღო ჩილდირისა და არზრუმის ვალიებისაგან და ყარსის სერასკიარისაგან. ამ მხრივ ლაზარემა უშუალო დახმარებაც კი აღმოუჩინა ოსმალეთის ხელისუფლებას შეამზოხე შერიფ-ფაშის წინააღმდეგ. როცა მისი ნაწილები სდევნიდნენ საქართველოში მოთარეშე ლეკებს, ლაზარემა იმ მოტივით, რომ ლეკების დასჯა უნდოდა, თავის ჯარები მიაყენა ახალციხის საზღვრებს და შერიფ-ფაშას შეუქმნა დამატებითი საშიშროება.

ახალციხის ფაშის ამ გართულებული მდგომარეობით ისარგებლა სელიმ-ალა ყიფიანმა, რომელიც თავიდანვე მომხრე იყო სიკვდილით დასჯილ საბიდ-ფაშისა და ერთხანად მის თანამებრძოლსაც კი წაბოლოვებდა. მან შერისძიების მიზნით, თუ საკუთარი ვაბატონების სურვილით, დაიწყო ბრძოლა შერიფ-ფაშის წინააღმდეგ. წინასწარ მოახდინა მუხამბეზის დახმარებაზე შეთანხმება, ერთის მხრით, ყარსის მამულ-ფაშისა და მისი მხრის მხრით კი აქარის მმართველ სელიმ ალა ხიმშიაშვილთან და გენერალ კნორინგთან, როცა ეს სამხედრო ბლოკი ახალციხის ფაშის წინააღმდეგ ყიფიანმა დამთავრებულად ჩასთვალა, მან შესთავაზა შერიფ-ფაშას დახმარების გაწევა, როგორც რუსების, ისე სერასკირის ჯარების წინააღმდეგ, მხოლოდ იმ პირობით, რომ შერიფ-ფაშა მძლევლად მისცემდა თავის ძმას.

როგორც შემდეგში გამოიჩვენა, სელიმ-ალა ყიფიანის სამოქმედო გეგმები კარგად იყო წინასწარ გაანგარიშებული. შერიფ-ფაშის ძმა, რომელიც მძევლად იქნა წაყვანილი და შემდეგში სიკვდილით დასჯილი, შერიფ-ფაშისათვის საუკეთესო დამხმარეს წარმოადგენდა თავისი ავტორიტეტით იმდროინდელი ახალციხის მმართველ წრეებში. შერიფ-ფაშის ძმის მოცილების შემდეგ სულ ადვილი გახდა თვით შერიფ-ფაშის დამარცხება ბლოკის მომხრეთა მიერ. 1802 წლის 17 ოქტომბერს ახალციხე დაკავებულ იქნა სელიმ ხიმშიაშვილისა და სელიმ-ალა ყიფიანის მომხრეებით, ხოლო შერიფ-ფაშამ თავისი მზღებლებით მოასწრო ახალციხიდან გაქცევა. როგორც წყაროებიდან სჩანს, ამ ბრძოლაში შერიფ-ფაშის მართველობით უკმაყოფილო ფართო მოსახლეობა ღებულობს აქტიურ მონაწილეობას სელიმ ალა ხიმშიაშვილისა და სელიმ ყიფიანის მხარეზე.

ამ მოყვანილი აქტების ცნობის თანახმად ახალციხიდან შერიფ-ფაშის განდევნის შემდეგ ახალციხის ფაშად დანიშნულ იქნა რეჯებ-ფაშა, ხოლო ამავე დროს, ე. ი. 1803 წლისათვის კაფუჯი ბაშად სელიმ-ალა ხიმშიაშვილი. შერიფ-ფაშა ახალციხიდან გაქცევის შემდეგ იკავებს ჩილდირის მხარეს და შემდეგ თავის ნათესავ ბაიაზეთის ფაშის დახმარებით ოლთის ციხეც მის განკარგულებაში გადადის. შერიფ-ფაშის საბოლოო მოსპობისათვის გაიცა სულთანის სპეციალური ფირმანი. როგორც დოკუმენტებიდან სჩანს, 1803 წლის 21 აგვისტოში გაურკვეველი მიზეზებით გადაყენებულია რეჯებ-ფაშა და ახალციხის ფაშად დანიშნულია სელიმ-ალა ხიმშიაშვილი, რომელმაც სულთანის დაავლებით სდია შერიფ-ფაშის შეიარაღებულ ძალებს. ბრძოლებში გამარჯვებული გამოვიდა ხიმშიაშვილი, რომელმაც შერიფ-ფაშა განდევნა როგორც ჩილდირის მხარეიდან, ისე ოლთიდანაც და ამავე დროს აიძულა ბაიაზეთის ფაშა ბოდიში მოეხადნა სულთანის წინაშე მოლაღატე შერიფ-ფაშისადმი დახმარების გაწევისათვის.

ამგვარად სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის მმართველობის პირველი პერიოდი განისაზღვრა თითქოს სულთანისადმი ერთგულ დამოკიდებულებით. სელიმ-ფაშამ შესძლო საფაშალიკოში „წესრიგის დამყარება“, მის დაქვემდებარებულ ადმინისტრაციული ერთეულების (ახალქალაქის, ყარსის, მაგრიზბერდის, აქარის) უფრო მკიდროდ შემოერთება და მოსაზღვრე ადგილების გამაჯრება. მან დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს სხვა მეზობელ მხარეებთანაც. იმერეთის მეფე ამ მოლაპარაკებათა შედეგად უფრო მეტად დაუკავშირდა სელიმ-ფაშას იმ მოსაზრებით, რომ ამ უკანასკნელისაგან მიიღებდა საჭირო შეიარაღებულ დახმარებას რუსეთის წინააღმდეგ, სელიმ-ფაშა და-

მოგვრების საშუალებით უკავშირდება აგრეთვე გურიას, რომლის მეფობა-
ბელი სიმონი თავის ქალიშვილს აძლევს ცოლად სელიმ-ფაშის ქალიშვილს
იპას. ახალქალაქის მმართველად და ციხის მცველადაც დანიშნული იყო
სელიმ-ფაშას მახლობელი და ნათესავი მამედ-ალა შერვაშიძე.

მაგრამ სელიმ-ფაშის ერთგულება სულთანისადმი დიდხანს არ გაგრძელ-
და. უკვე 1805 წლიდან სელიმი ახალციხის საფაშალიკოს მმართველად
ლობაში იჩენს აშკარა დამოუკიდებლობას. ყველა ამას დაემატა ის გარე-
მოვლაც, რომ ოსმალეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ სელიმ-ფაშის
გამლიერება საეკვოდ და თავის საზიანოდ მიიჩნია. იმისათვის, რომ შეესუს-
ტებინათ სელიმის სიძლიერე, სულთანის სასახლე უშუალოდ დაუკავშირდა
ახალციხის საფაშალიკოსადმი დაქვემდებარებულ ყარსის ფაშასა და სხვა
მხარეების მმართველობას და დაიწყო მათი წაქეზება სელიმის წინააღმდეგ.
ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ სელიმი აღარ დაემორჩილა ცენტრალურ
ხელისუფლებას მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებში.

1807 წელს რუსეთის სარდლობამ, დარწმუნდა რა იმაში, რომ ყარსის
ფაშა ვერაგულად არღვევს თავის დაპირებას — შევიდეს რუსეთის მფარვე-
ლობაში, გადასწყვიტა ყარსის საფაშალიკოს შეიარაღებული ძალით დაკა-
ვება. გენერალ ნესვეტაევმა მიიღო განკარგულება ყარსის წინააღმდეგ
სამხედრო ოპერაციების დაწყებისათვის. ამასთან დაკავშირებით იუსუფ-
ფაშა მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალებით სულთანის მიერ გამოგზავ-
ნილ იქნა ყარსის დასაცავად რუსებისაგან. გათვალისწინებული იყო, რომ
იუსუფ-ფაშას უშუალო დახმარებას გაუწევდა სელიმ-ფაშის შეიარაღებული
ძალები, მაგრამ, მიუხედავად იუსუფ-ფაშის მთელი რიგი მოთხოვნისა,
სელიმ-ფაშამ არ მიაწოდა მას რაიმე დახმარება...

ამის შემდეგ ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებისათვის საკვებით
აშკარა გაზდა სელიმ-ფაშის განდგომის ფაქტი. მისი თავხედური საქციელი
ოსმალეთისათვის აუტანელი შეიქმნა. სულთანმა გადასწყვიტა მემამოხე
ფაშების დასამორჩილებლად გამოეგზავნა საკმაო რაოდენობის დამსჯელი
რაზმები. ამოცანის შესრულება დაევალა აზრუმის სერასკირს ბაბა-ფაშა
ფახლეფანს, რომელიც 15.000 კაცით დაიძრა ახალციხის სელიმ-ფაშის წი-
ნააღმდეგ. მოწინააღმდეგეების ძალთა არათანაბრობის გამო სელიმ-ფაშა
ხიმშიაშვილი იძულებული გახდა მიენებებინა ახალციხისათვის ფაეი და
შენიშნულიყო საკუთარ სამფლობელოში, რომელიც იმყოფებოდა აჭარის მი-
უხედ აღგლებში. ბაბა-ფაშის მიერ ახალციხიდან რამოდენიმეჯერ დამს-
ჯელი რაზმების გაგზავნა სელიმ-ფაშის წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა.
ამგვარად გამოირკვა, რომ მცირერიცხოვანი დამსჯელი რაზმები ამ საქმე-
ში ვერაფერს გახდებოდნენ.

გენერალ რტიშჩევის თქმით ბაბა-ფაშის მიერ უკანასკნელად გაგზავნილი
დამსჯელი რაზმი 6000 კაცისაგან შესდგებოდა. შესაძლებელია ეს რაზმიც
უშედეგოდ უკან დაბრუნებულიყო, რომ სელიმ-ფაშის ერთერთ ყველაზე
უფრო დაახლოვებულ პირს თავის მოლაპარტური საქციელით ხელი არ შეეწყო
ბაბა-ფაშის შეიარაღებულ ნაწილებისათვის, სელიმ-ფაშა სიკვდილით დასაჯეს.

სელიმის დათრგუნვის შემდეგ ბაბა-ფაშამ ახალციხის მმართველად და-
ნიშნა თავისი ნათესავი მამედ რეშიდ-ბეგი და ამგვარად თითქოს ახალცი-
ხის საფაშოში დამყარდა „წესრიგი“.

მამედ რეშიდ-ფაშამ გაბატონებისთანავე მოიხურვა ერთბაშად მოესპო
ყველა ის პირები, რომლებიც ახალციხის საფაშალიკოს მოსახლეობას ამა

თუ იმ სახით აკავშირებდა სელომ-ფაშა ხიმშიაშვილთან. ამ მიზნით ახალციხეში პირველ ყოვლისა დაიწყო აჭარელი ელემენტების დღევანდელი მოხელე, რომელიც აჭარელი იყო წარმოშობით, დატყვევებული სამსახურიდან. მაგრამ „რეფორმების“ ჩატარების პროცესში გამოიჩინა, რომ მოხელეთა დიდი უმრავლესობა აჭარლებისაგან იყო და სამხედრო დარგშიც საბასუხისმგებლო თანამდებობანი მათ ხელში აღიონდა. ამ გეგმად მამედ რეშიდ ფაშას ღონისძიებებს ბუნებრივად დიდი წინააღმდეგობანი გადაეღობენ წინ. რამდენადაც მატულობდა თანამდებობებთან მოხსნილ პირთა რაოდენობა, იმდენად იზრდებოდა მამედ რეშიდ-ფაშისადმი საწინააღმდეგოდ განწყობილი ოპოზიციონური ჯგუფი. ერთი ხელის დაკვრით მესხეთის მოწყვეტა აჭარისაგან და ამით კი ახალციხის მხარის მოსახლეობის დაცილება ეროვნული შეგნებისაგან შეუძლებელი აღმოჩნდა.

ყოველივე ამის შედეგად 1816 წელს ახალციხის საცაშალიკოში დაიწყო აჯანყება, რომლის შესახებაც ამჟვე წლის 1 ივნისს გენერალ ლ. ორბელიანი გენერალ რტიშჩევს აცნობებდა შემდეგს:

„ჩემს მიერ ახალციხეს წარგზავნილი, იქიდან დაბრუნდა და ამბავი მომიტანა, რომ იქ გაჩაღებული ამბოხების მიზეზი იყო 5 თუ 6 ქალი, რომლებიც სოფლებიდან ჩამოვიდნენ და იხილეს ფაშასთან სოფლებში ჩაყენებული ჯარების მიერ მათთვის მიყენებული შეურაცყოფის შესახებ. ეს საჩივარი მათ მაშინ მოახსენეს ფაშას, როცა იგი განკარგულებას იძლეოდა სიმაგრეების აგების შესახებ, მაგრამ მან არ მოისმინა მათი თხოვნა, გაწყრა და გაავლო ისინი; უკანმიმავალ ქალებს შემოეყარა ყალბ-აღასი ოღლი სულეიმან-აღა, რომელიც ქუჩაზე მოდიოდა და თან ახლდა 30 ახალგაზრდა კაცი; ქალებმა ახალგაზრდებს განუმარტეს, რომ დღეს ისინი შეურაცყვეს ჯარებმა, ამასთან ფაშამ არ მოისმინა მათი თხოვნა და გამოჰყარა დაუჟამაყოფილებლად. თანაც დასძინეს, რომ „ხელ თქვენი ცოლებიც ასევე შეურაცყოფილ იქნებიან, როგორც ჩვენ“.

სულეიმან-აღამ რომ ეს გაიგონა იმ ქალებისაგან, მაშინვე წავიდა ფაშასთან, წაიყვანა ვინც ახლდა, და რომ მივიდა მასთან, სტაცა ხელი საკინძეში და უთხრა წამო. წარესდგეთ ღვთის სამსჯავროს წინაშე. ფაშამ მაშინვე უთხრა თავის ამალას: აკუწეთ ეს ურჯულლო!

სულეიმან-აღამ ეს ბრძანება რომ გაიგონა, იძრო ხანჯალი, მიიმედ დასჭრა ფაშა მარჯვენა მხარში, დასცა იგი ძირს და შესძახა თავის ამხანაგებს აკუწეთ ესენი ყველანიო! ამ უკანასკნელთ ფაშის ამალის უმეტესი ნაწილად ახოცეს, ხოლო ვინც გადაარჩა, გაძარცვეს და გაუშვეს. ქალაქის მცხოვრებლებმა შეიტყვეს ამ შუთის ამბავი, წამოვიდნენ ყველანი, მიესიენ ფაშასთან მყოფ მოხელეებს და ჯარებს, ხოცავდნენ მათ, ძარცვავდნენ და ქალაქიდან მიერეკებოდნენ; ფაშა ხელში ჩაიგდეს, რამდენიმე დღეს დაპატიმრებული ჰყავდათ საბაჟოში, მასთან იყო ერთი მსახური, შემდეგ ბინამისცეს მამედ-აღას სახლში.

ახალციხის მცხოვრებლებმა ამ ამბოხების ამბავი აცნობეს აჭარის მცხოვრებთ, თანაც დასძინეს: „ჰაიდა-ბაშ მამედ მტარვალმა თქვენ აგაოხრათ და თუ თქვენ იგი მშვიდობით გამოუშვით, ჩვენც აგაოხრებთ; ჩვენ მის წინააღმდეგ ჯარები გავგზავნეთ, ამიტომ თქვენც გამოუდგეთ, სდევნეთ იგი და, ჩვენ რომ შევირთდებით, ვეცალოთ არ გაუშვათო“.

აჭარლებმა მიიღეს ეს ცნობა, თავს დაესხნენ მტარვალ მამედს ზურგიდან, ხოლო ახალციხელები რომ შეზდნენ, ბრძოლა გაუმართეს. ამას ისეთი

საპტიკი ხოცე-ელეტა მოჰყვა, რომ მტარვალ მამედის 8 ათასი კაცი საგან შემდგარა ჯარიდან მხოლოდ 400 კაცი გადარჩა იმით, რომ ისინი გამაგრდნენ კობლიანის მაზრის ერთ სოფელში; მაგრამ რა კი ალყა შემოეკეცილი იყვნენ, თან საშინლად შიმშილობდნენ, ისე რომ ცხენებს სჭამდნენ მიტლებული გახდნენ დანებებოდნენ მათთან მისულ მამედ ალასკერტე უწყებმა მტარვალ მამედს, იგი ტყვედ ჰყავს აჭარელ ბეგ ტუნა მამედს. ჩუბურაყმა ბაბა-ფაშამ რომ ყოველივე ეს გაიგო, არზრუმელი მამასახლისები მიუვზავნა ახალციხის მცხოვრებთ და მათი პირით თითქმის თხოვნით და არა ბრძანებით შეუთვალა ახალციხელებს, ახალციხის ფაშა და მტარვალ მამედი მთელი მათი ჭონებთანად გამოამიგზავნეთ და მაშინ გაეარჩევ, ვინ არის დამნაშავე, ფაშა თუ ქალაქ ახალციხის მცხოვრებლებით, ხოლო რთვა ჭეშმარიტებას გამოეარჩევ, მართალს ჯეროვნად დაეკამყოფილებო. მაგრამ მცხოვრებლებმა ამასე უპასუხეს, ჩვენ თხოვნა ხელმწიფეს გაუგზავნეთ და მათ მანამ არ ვადმოგვემთ, სანამ ხელმწიფის ნებართვა არ იქნებაო, ამასთან სთქვეს: „დაე ხელმწიფემ გაგვასამართლოს და არა თქვენო“.¹

როგორც ამ ცნობიდან სჩანს აჯანყების ხელმძღვანელად გამოდის ყალა აღასი ოღლე სელეიმან-აღა. იგი ჩვენ მიერ ზემოთაღნიშნულ ობოზიციურ ჯგუფის ერთერთი აქტიური მონაწილე იყო, ამავე ღროს აჭარელიც. აქარან ძმური ხელი ვაუწოდა ახალციხის მოსახლეობის ქართულ ეროვნების შეგნების მტარებელ ელემენტებს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში და მამასადამე ახალციხის 1816 წლის აჯანყებაც უნდა ჩაითვლოს ეროვნულ განმთავისუფლებელ მოძრაობის ერთერთ ეტაპად.

ამასვე ვაფიქრებინებს ის ვარემოებაც, რომ მალე ამ აჯანყებას მოჰყვა გლეხთა აჯანყებანი საქართველოს სხვა მეზობლად მდებარე მხარეებშიაც: იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში. მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის, გურიის და სამეგრელოს აჯანყებანი არ დაემთხვენენ უშუალოდ ახალციხის გამოსვლებს, მაინც შეიძლება ითქვას, რომ გლეხობის ეს ცალკეული აჯანყებანი მთლიანი საქმის ცალკეულ რგოლებს წარმოადგენდნენ და თუ 1816 წლის აჯანყება ახალციხეში ჩახშობილ იქნა და 1817 წელს ეროზლოვი აცნობებდა ვრ. ნესელორდეს, რომ: „В Ахалцихском нашалаыке прекращены неустройства“-ო, სამაგიეროთ 1818 წელს გენერალი ველიამინოვი იტყობინებოდა: რომ ახალციხის ყოფილი მმართველი ლაუტფი ალი-ფაშა განთავისუფლდა მოვალეობიდან, ახალი მმართველი ჯერ კიდევ არ დანიშნულა და ახალციხის საფაშალიკოში საერთოდ, დიდი არეულობაო.

ამ ვარემოებას უშუალოდ მოჰყვა იმერეთის აჯანყება 1818 წელს, რომელმაც თავიდანვე ფართო ხასიათი მიიღო და საშიშ მოვლენად გადაიქცა (ამ შემთხვევაში) რუსეთის მმართველობისათვის. გენერალმა სისოევმა, მომავალი საშიშროების თავიდან აცილების მიზნით მოახდინა შეიარაღებულ ნაწილების განლაგება სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ადგილებში, საიდანაც უნდა მომხდარიყო აჯანყებულების წინააღმდეგ იერიშების მოტანა. შეიარაღებულ ძალთა ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მოთავსებულ იქნა ბაღდაღში, რომელიც წარმოადგენდა შემაკავშირებელ ცენტრს ახალციხესა და იმერეთს შორის.

საქმე იმაშია, რომ აჯანყებული იმერეთი ახალციხიდან ფართლად უ-

¹ Акты, т. V, стр. 839—840.

ბუღოზა დახმარებას. ახალციხიდან იგზავნებოდა დენთი, ტყვია და სხვა საომარი საშუალებანი. გარდა ამისა ახალციხიდან (თავაჩხილზე) გადავლით (აბასთუმნის მოკლე გზა ბალდაღზე) ასეულობით მამაკაცები მიწვევებულდნენ აჯანყებულთა დახმარებისათვის. ასეთივე დახმარება ეძლეოდა გურიის აჯანყებას, რომელიც დაიწყო ამავე ხანებში (1819 წ.) მამაკაცები გურიის საზღვარს და მოიცვა თითქმის მთელი სამეგრელოც. 1819 წ. მამაკაცები

აჯანყებულ გურიაში, ვენერალ ერმოლოვის ცნობით, აჭარიდან და ქობულეთიდან 1500 კაცზე მეტი გადავიდა დახმარების გაწვევისათვის, მიუხედავად ერმოლოვის სასტიკი პროტესტებისა, რომლებიც იგზავნებოდნენ ახალციხის ფაშის მისამართით, რუსეთის ხელისუფალნი ამის წინააღმდეგ ვერაფერს ვახდენენ, რადგან აჭარლები და ქობულეთელები არ ემორჩილებოდნენ ფაშის უამრავ მითითებებს ამ საკითხზე.

თვით ახალციხის ფაშების მდგომარეობა ხშირი აჯანყებებისა და ამბოხებების შედეგად ძალზე მერყევი იყო, რის გამოც გახშირდა ახალციხის ფაშების სწრაფი გადაყენება, სიკვდილით დასჯა და ახლების დანიშვნა ტყვეების ნაცვლად. დაწყებული სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის გარდაცვალებიდან (1815) რუსეთის ჯარების მიერ ახალციხის დაკავებამდე (1828 წ.) ახალციხეში ათზე მეტი ფაშა გამოიცვალა. ასეთ ვითარებაში ხვდებოდა ყოფილი სამცხე-საათაბაგო და კერძოთ ახალციხის საფაშალიყო მომდევნო ამბების განვითარებას.

აღმოსავლურმა საკითხმა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში უფრო მეტად გააძლიერა წინააღმდეგობანი დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის და „მომაკვდავის შემგვიდრეობის“ დაუფლების წყურვილმა თვითველა მათგანი აიძულა გაემხებებინა მთელი თავისი ყურადღება ოსმალეთის შინაგანი მდგომარეობის ყოველგვარ მოვლენათა დეტალურად შესწავლისათვის.

თუმცა სერბების ორივე აჯანყება და საბერძნეთის ნაციონალური რევოლუცია მარცხით დამთავრდა ისევე, როგორც ფაშების ცალკეული განდგომები, მაინც ყველასათვის ცხადი იყო, რომ ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო შინაგან ხრწნას განიცდიდა და სწრაფად მიემართებოდა საბოლოო დაღუპვისაკენ. ოსმალეთის რღვევით დაინტერესებული თვითველი სახელმწიფო მოუთმენლად მოელოდა ამ დღეს.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მაჰმუდ II გამეფებისას იძულებული გახდა რეაქციისადმი დათმობაზე წასულიყო, უარი ეთქვა სელიმ III რეფორმების გაგრძელებაზე, რეფორმების მომხრე პროგრესული ელემენტები განდევნა და სხვა, რამდენიმე ხნის განმავლობაში მან, მაინც მოახერხა ისეთი ღონისძიებათა გატარება, რომლებიც იძლეოდნენ ცოტად-თუ ბევრად ოსმალეთის მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობას.

ოსმალეთის რეაქციის ძირითადი დასაყრდენი ბექტაშთა ორდენი და მისი ერთგული მოკავშირე იენიჩარობა მაჰმუდ II შესძლო გენადგურებინა 1826 წელს. ამ გვირგვინს ოსმალეთის შეაარაღებული ძალების ევროპულად გარდაქმნისათვის საუკეთესო პერსპექტივები იშლებოდა. გარდა ამისა ჩატარებულ იქნა ზოგიერთი რეფორმები აღმინისტრაციულ დარგშიც. ამიერიდან ჩამოყალიბდნენ: საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა. მართალია, ჩატარებული რეფორმები სრულიადაც არ ისახავდნენ მიზნად ფეოდალურ ურთიერთობის შეცვლას ოსმალეთში, მაგრამ ისინი მაინც ხელს უწყობდნენ მდგომარეობის თუნდაც დროებით გაუმჯობესებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ, თუ ოსმალეთში რეფორმების

გატარებამდე ინგლისში, საფრანგეთში და რუსეთში ვერ გამოიხატეს საერთო
ქნა საბერძნეთის პროტექტორატობის საკითხში, ერთი ძეგარეს ხელს შეწყ
ლიდნენ საბერძნეთის მფარველობის საბაბით ოსმალეთის შინაურ მფარველ
რეობის ჩარევამ და პასიურად მოელოდნენ ოსმალეთის თავისთავად და
ლას, ახლა საბივე ერთად საბერძნეთისათვის ფართო ავტონომიურ მფარველ
ქების დემარშით წარდგენ ოსმალეთის წინაშე.

ავსტრიამ უარი განაცხადა შეერთებულყო სამი სახელმწიფოს კავშირ-
თან საბერძნეთის საკითხში და ამით გათამამებულმა მაჰმუდ II უარი გა-
ნაცხადა მოკავშირეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. კანინგის წარმო-
მადგენელს, რომელიც შუამდგომლობდა საბერძნეთის განთავისუფლება-
სათვის, მაჰმუდმა განუცხადა რომ: სულთანს არ მოსწონს ირლანდიელებს
მდგომარეობა, მაგრამ ის მიიხსნის არ ერევა ინგლისის შინაურ საქმეებში
და არ მოითხოვს ირლანდიელებისათვის ავტონომიას.

ამის შემდეგ გადასწყდა, რომ მოკავშირეები შეიარაღებულ ძალით აიუ-
ლებდნენ სულთანს დათხოვბაზე წასულიყო. 1827 წლის 18 ოქტომბერს მო-
კავშირეთა ესკადრები გამოიხდნენ ნავარინში, სადაც გაჩერებული იყო
ოსმალეთისა და ეგვიპტის საზღვაო ფლოტი, რომელიც შესდგებოდა 90
გემისაგან 15,000 მეზღვაურით. ორი დღის შემდეგ მოკავშირეთა ესკადრა
შევიდა ნავთსადგურში. ოსმალეთს წარედგინა მოთხოვნა მოეცილებინა თა-
ვის საზღვაო ფლოტი საბერძნეთისაგან. დაიწყო ბრძოლა მოწინააღმდეგეთა
შორის, რომელიც გაგრძელდა მხოლოდ 2 საათსა და ოსმალეთის საზღვაო
ფლოტის სრული განადგურებით დამთავრდა.

ყოველივე ამას უნდა მოჰყოლოდა ოსმალეთის სრული თანხმობა საბერძ-
ნეთის-საკითხში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქმე იმაშია, რომ ინგლისი
მიიხსნის და მიიხსნის დიდად კმაყოფილი არ დარჩა ნავარინის ბრწყინვალე გა-
მარჯვებით. ინგლისის დიპლომატია მზად იყო ნავარინის ბრძოლა გამოეც-
ხადებინა უბედურ შემთხვევადაც კი, ხოლო კანინგის გარდაცვალების შემ-
დეგ, ინგლისის ხელისუფლების სათავეში ველინგტონის გასვლისას (იანვარ-
ში 1828 წელი) ინგლისის კაბინეტი შეეცადა რუსეთის კავშირიდან საფ-
რანგეთის ჩამოცილებასაც.

ამით გათამამებულმა მაჰმუდ II გამოსცა სულთანის მოწოდება, რითაც
რუსეთი ცხადდებოდა ოსმალეთის მოსახლე მტრად და რითაც სულთანი
ყოვლად მოურიდებლად სთვლიდა თავის ძველ დათხოვბებს (აკერმანის და
სხვა ხელშეკრ.) მოტყუების ხერხად—ახალი ომის მომზადებაში დროის მო-
გებისათვის.

ოსმალეთის მზადება რუსეთთან ომის დაწყების საქმეში გამოაშკარავებუ-
ლი იქნა სხვა მხრითაც. 1828 წლის დსაწყისში რუსეთის ომი ირანთან
დამთავრებას უახლოვდებოდა. მაგრამ ოსმალეთი ჯერ კიდევ არ იყო მომ-
ზადებული ომის დაწყებისათვის, ამიტომ ოსმალეთმა მიიღო ყოველგვარი
ლონისძიება იმისათვის, რომ ირანი არ წასულიყო რუსეთთან საზავო ხელ-
შეკრულების დადებაზე. ოსმალეთი ირანს დაჰპირდა დაუყოვნებლივ დახ-
მარების აღმოჩენას შეიარაღებულ ძალებით, როცა კი სამცხე-საათაბაგოს
ფაშები საამისოთ მომზადებულნი იქნებოდნენ.

რუსეთის ხელისუფლებამ, წინასწარ გაითვალისწინა რა მოსალოდნელი
გართულებანი, ირანში მყოფ თავის სარდლობას დაეავალა სამხედრო ოპერა-
ციების დაჩქარება. თეირანი იძულებული გახდა მიეღო რუსეთის პირობები
ზავის დასაღებად, მაგრამ სასწრაფოდ მაჰმა თავის მემკვიდრე აბას-მირზა,

რომელიც გამოგზავნილი იყო მოსალაპარაკებლად, ამ საკითხებში უფლება აყრილად გამოაცხადა და მოლაპარაკების გაჭიანურების მიზნით ეს უფლებები გადასცა თავის მეორე შვილს პასან ალი-მირზას. რუსეთის სარდლობისათვის ცხადი გახდა ოსმალეთის დიპლომატიის საქმიანობის შედეგები ირანის სასახლეში.

ერკანდულში

ამ საკითხში არანაკლებ ექვემდებარება იწვევდა სამცხე-საფხველეთში და მოკიდებულება რუსეთის მიმართ. 1826 და 1827 წლის დასაწყისში ყარსის, აზრუმის, ახალციხისა და სხვა ფაშებმა თითქოს შეთანხმებულად შესწყვიტეს არამეგობრული დამოკიდებულება რუსების მიმართ. საზღვრებზე ყოველგვარი თავდასხმები ოსმალეთის მხრივ მინიმუმამდე დაევიდა. ლეკები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში აწარმოებდნენ განუწყვეტელ თავდასხმებს ქართლსა და იმერეთზე, 1826—27 წლებში იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ საღმე. უფრო მეტიც: ყარსის და ახალციხის ფაშები ხიამოვნებით რთავდნენ ნებას რუსეთის ჯარებისათვის სურსათ-სანოვავის მიყიდვისათვის. მაგრამ 1827 წლის მეორე ნახევრიდან ყველაფერი ეს უცბად შეიცვალა.

ახალციხის მმართველმა იშმაილ-ფაშამ პირველმა განაცხადა უარი სურსათ-სანოვავის გაყიდვაზე.

რუსეთისათვის საესეებით ცხადი გახდა ომის აუცილებლობა ოსმალეთის წინააღმდეგ და როცა ლონდონის ცდები საფრანგეთის რუსეთისაგან ჩამოცილებამზე უშედეგოთ დაამთავრდა, იმპერატორ ნიკოლოზ I 1828 წლის 6 იანვარს ევროპის სახელმწიფოებს აცნობა თავის განზრახვა ომის დაწყების შესახებ. 1828 წლის 7 მაისს რუსეთის ჯარებმა კიდეც დაიწყეს გადასვლა მდინარე პრუტზე. ამ გვარად ნავარინის ომი, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე თვის ისტორია გააჩნდა, გადაიქცა პროლოგად რუსეთ-ოსმალეთის ომისა. ამ ომმა ფართო ხასიათი მიიღო და ორი მიმართულებით გაიშალა: ბალკანეთი და მცირეთავია.

სამხედრო ოპერაციების გაშლა მცირეთავიაში შედარებით დაგვიანებით მოხდა. იგი დაიწყო მხოლოდ 1828 წლის 14 ივნისიდან არტაჩაის გადაღახვით ყარსის მიმართულებისაკენ გრაფ პასკევიჩის ბელმძღვანელობით. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ კავკასიაში მომქმედ რუსეთის არმიის მოქმედებისათვის უძნელესი პირობები იყო შექმნილი და თუ ამ არმიამ, იმ დროისათვის, მტერზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, ეს უპირველეს ყოვლისა რუსი ჯარისკაცის დიდი ამტანიანობით და დაუშრეტელი მამაცობით უნდა აიხსნას.

თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ამიერ კავკასიაში მომქმედ რუსების არმიას არ უნდა ჰქონებოდა იმედი ადგილობრივად სურსათ-სანოვავით მომარაგებისა. ვინაიდან ზედიზედ მომდევნო რამდენიმე მოუსავლიანი წელიწადი (1824, 25, 26) ადგილობრივ გლეხობას უქმნიდა შიმშილის საშიშროებას, ოსმალეთის საფაშალიკოებიდან ზომ 1827 წლიდან არაფრის შესყიდვა აღარ შეიძლებოდა. ამ გვარად სურსათ-სანოვავის დიდი რაოდენობა უნდა შემოზიდულიყო ჩრდილოეთიდან. არც კლიმატიური პირობები იყო მაინც და მაინც ხელსაყრელი ჩრდილოეთის შეუჩვენეელ ჯარისკაცებისათვის.

მაგრამ ყველაზე უფრო მთავარი სიძნელე იყო ის სოციალ-პოლიტიკური ვითარება, რომელიც შეიქმნა ომის დასაწყისისათვის. იმერეთი, გურია, სამეგრელო და ნაწილობრივ ქართლის ის მიუდამობი, რომლებიც მდებარეობდნენ ახალციხის საფაშალიკოსთან, მოძრაობამ მოიცვა, სომხეთის ცალკეულ

რაიონებში ამოქმედდნენ ქურთების ტომები. ამით ისარგებლეს ოსმალთა მმართველებმა და თავის აგენტები დიდი რაოდენობით დაგზავნეს ამ დ-ვილებში, სადაც მოსახლეობდნენ ისლამის სარწმუნოების მქონე ხალხები.

ჩრდილო კავკასიის და ყუბანის ველებზე მოსახლე მაჰმადიანი ერები იწყებდნენ წინააღმდეგობის გაწევას. დაღესტანის ლეკების, მსხვილებისა და სხვების შრიოთ იქმნებოდა საშიშროება დარიალის ჩაქეცივისა, მაშასადამე გადაწყვეტილა და ამ გვარად ამიერ კავკასიაში მოქმედი არმიისათვის ზურ-ვიდან იერიშების მოტანისა.

რუსეთის სარდლობას ყველა ეს სიძველეები უნდა გადაეღაბა მანამდე სანამ მოხდებოდა აქტიური სამხედრო ოპერაციების დაწყება ოსმალეთის წინააღმდეგ. ოსმალეთიდან სამხედრო ოპერაციების ხელშეწყობისათვის მოვლინებულ იქნენ გალობ-ფაშა და ქიოსა მაჰმედ-ფაშა, გალობ-ფაშა ეკუთვნოდა იენიჩართა წოდებას, თუმცა, როგორც ამბობდნენ, მისი პრო-ექტით მოხდა იენიჩარების განადგურება და ჯარების ახალი სისტემის შე-მოღება. გალობ-ფაშა მონაწილეობას ღებულობდა ბუხარესტის დიპლომა-ტიურ მოლაპარაკებაში და ერთხანად დროებით უმალესი ვეზირის თანამ-ღებობაც ეკავა. სამხედრო საქმის, როგორც სჩანს დიდი არაფერი ესმოდა და ამიტომ მასთან ერთად მოავლინეს თანაშემწედ ქიოსა მაჰმედ-ფაშა, რომელმაც სახელი გაითქვა ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლით ეგვიპტეში. მაჰმედ-ფაშა მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე რუსეთის წინააღმდეგ ევროპის ბრძოლებში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მაინც და მაინც მნიშვნე-ლოვანი წარმატებები მას არ ჰქონია და სამხედრო მომზადების თვალსაზ-რისით გაცილებით უფრო დაბლა იდგა აბდი-ფაშაზე, რომელიც მანამდე ხელმძღვანელობდა ოსმალეთის ჯარებს აზიის ნაწილში და რომელიც ოფი-ციალურად „გაურკვეველი“ მიზეზის გამო ოსმალეთის სულთანის მიერ უკან იქნა გაწვეული.

ოსმალეთის სარდლობამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი საზღვრების როგორც დაცვისათვის, ისე იერიშების წარმოებისათვის საქართველოში შეჭრის მიზნით. რადგან ოსმალეთის სარდლობის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს ბათუმი წარმოადგენდა, ამიტომ სასწ-რაფოდ მოახდინეს ამ სიმაგრის უფრო მეტად განმტკიცება. რუსეთის სარდლობის ცნობით აქ გადმოტანილი იქნა ოსმალეთიდან დამატებით 16 სპილენძის ქვეშები, ახალციხეს გაიგზავნა დიდი რაოდენობით დამატებითი ცხენოსანი რაზმები; ახალქალაქში წავიდა 1000 ლაზი ამ სიმაგრის დასაცა-ვად, არდაგანის გარნიზონმა 1000 კაცამდე მიაღწია, არზრუმიდან ყარსში გადმოვიდა 3000-ზე მეტი ცხენოსანი არტილერიით, ასევე შევსებულ იქნა აწყურის გარნიზონი და სხვა.

რუსეთის სარდლობისათვის იერიშების მიტანა ყველაზე მოსახერხებელი აღმოჩნდა ყარსის მიმართულებით და, როგორც ზევით იყო ნათქვამი, პას-კეიჩმა თავის ძალები, რომლებმაც თავი მოიყარეს გუმრის მახლობლად, დასძრა ოსმალეთის წინააღმდეგ. 19 ივნისს პასკევიჩის ჯარები უკვე იმყო-ფებოდნენ ყარსიდან 3 ვერსის დაცილებით სოფელ ექიჩიქეში. რამდენიმე დღის შეტოვარი ბრძოლების შემდეგ 27 ივნისს დაეცა ყარსის ცნობილი ციხე-სიმაგრე, რომლის გარნიზონიც 11000-მდე კაცისაგან შესდგებოდა. ამ გვარად რუსეთის სარდლობის სამხედრო გეგმის ერთერთი ძირითადი აბო-ცანა ბრწყინვალედ გადაწყვეტილ იქნა სულ მოკლეხნის განმავლობაში. ყარსის დაკავების შემდეგ საჭირო გახდა დაუყოვნებლივი მოქმედება ახალ-

ციხის წინააღმდეგ, რადგან სარწმუნო წყაროები იტყობინებოდა ქიოსა-
ფაშის (რომელსაც ახლდა 30—35,000 კაცამდე) ახალციხისაკენ გამოლაშ-
ქრების შესახებ. ყარსიდან ახალციხისაკენ პასკევიჩის ჯარის მიერ მოქმედება ორი მიმართულებით (არდაგანისა და ახალქალაქის) შესწმე მი-
მართულება — არწრუმისაკენ სელა, სტრატეგიული თვალსაზრისით მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან ჯარის ნაწილები დიდი მანძილით დაეკიდებოდნენ
თავიანთ დასაყრდენ ბაზას — საქართველოს.

არც პირველი მიმართულება (არდაგანზე სელა) იძლეოდა ხელსაყრელ
შესაძლებლობებს. გზა არდაგანიდან ახალციხისაკენ ჯარების მასობრივად
სვლისათვის საეხებით გამოუსადეგარი იყო. ახალქალაქის მიმართულება კი
მისაღები იყო შემდეგი მოტივებით: ა) გზა ფართო და თავისუფალი ყო-
ველგვარ მოსალოდნელ თავდასხმებისაგან, ბ) ახალქალაქის საფაშალოკოს
სიახლოვე საქართველოსთან და ე) ახალქალაქი იძლეოდა სურსათ-სანოვ-
ვით ჯარების მომარაგების შესაძლებლობას.

ახალქალაქის ციხე-სიმაგრე ბევრად არ ჩამოუვარდებოდა ყარსის თავ-
დაცვის სიძლიერეს. ჯერ კიდევ ადრე რუსეთის ჯარებმა ორჯერ სცადეს
მისი დაკავება. ერთხელ 1807 წელს გულაოვიჩის ხელმძღვანელობით, რომ-
ლის დროსაც რუსებმა ბრძოლაში დაჰკარგეს 1500 კაცამდე და იძულებუ-
ლი იყვნენ უკან დაეხიათ, ხოლო მეორედ 1811 წელს კოტლიარიეცკის
ხელმძღვანელობით.

ახალქალაქის ციხეს თავგამოდებულად იცავდა 1500 თურქი ჯარის-
კაცი, მაგრამ მოწინააღმდეგის მიღავრი არტილერიის ცეცხლისა და გა-
ბეღული იერიშების შედეგად ახალქალაქის გარნიზონმა მინება ციხე; თავი
და გაიტყა. 23 ივლისისათვის ახალქალაქი მთლიანად დაკავებულ იქნა რუ-
სეთის შეიარაღებულ ძალების მიერ.

ახალქალაქის დაცემის შემდეგ რუსების შემტევ ნაწილებს გზა გაეხსნათ
ახალციხისაკენ, თუმცა ამ უკანასკნელთან მიახლოებისათვის კიდევ საჭი-
რო იყო ორი დაბრკოლების გადალახვა: ზერთვისის ციხის ხელში ჩაგდება
და ასპინძის გამაგრებული პუნქტის დანგრევა; ზერთვისის ციხე თავისთა-
ვად არ წარმოადგენდა დიდად გამაგრებულ ადგილს, მისი გარნიზონიც
შეღარებით ყარსთან და ახალქალაქთან უფრო მცირე იყო. სამაგიეროდ
ზერთვისს საუკეთესო სტრატეგიული მდგომარეობა გააჩნდა. იგი მთლიანად
ჰეტაგდა ვასასვლელ გზას ახალქალაქიდან ახალციხისაკენ. მისი გვერდის
ახედა ჯარებისათვის ტექნიკურად შეუძლებელი ხდებოდა. ზერთვისში ად-
რევე გაიგეს ახალქალაქის ციხე-სიმაგრის დაცემის შესახებ, ამიტომ დიოწ-
ყო დაუყოვნებლივი სამზადისი თავდაცვისათვის. ზერთვისის მოსახლეობის
დიდი ნაწილი ტყეში, ან მიუვალ ადგილებში გაიხიზნა. ზერთვისის ციხის
დაცვის გაძლიერების მიზნით მოახდინეს ტოლოშის, ზერთვისის და სხვა
სოფლების მოსახლეობის თურქული ელემენტების მობილავაცია, ყველა
ზიდები, რომლებიც წარმოადგენდნენ ციხესთან მისასვლელებს, აჰყარეს და
ციხეში ჩაიკეტნენ.

მალე გამოჩნდნენ ზერთვისის მიდამოებთან გენერალ ოსტენ-საკენის ცხე-
ნოსანი ნაწილები. საკენისაგან პოლკოვნიკმა რაევსკიმ მიიღო წინადადება—
თავისი ცხენოსანი რაზმებით მოეხდინა გაქვეულ ოსმალების უკან დაღევ-
ნება. როცა რაევსკის რაზმები მიაღწენ ზერთვისის ციხის კედლებს, ყო-
ველგვარ წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ციხის გარნიზონმა კაპიტულა-
ცია გამოაცხადა. ჯერ კიდევ უკან არ იყო დაბრუნებული ზერთვისის გა-

ხიზნული მოსახლეობა, როცა რუსების ხელში, ასევე ადვილად, გადავიდა ასპინძის გამაგრებული პუნქტიც. რუსეთის სარდლობა სწრაფი ტემპებით განაგრძობდა შეტევების წარმოებას და ეს სისწრაფე რუსთა ჯარისკაცების მამაცობასთან ერთად გადაიქცა ამიერკავკასიაში ბრძოლების წინააღმდეგობით დამთავრების გარანტიად.

დადგა ჯერი ყოფილ სამცხე-საათაბაგოს ცენტრზე, ოსმალებმა (ქვემო ქართლში) ბატონობის დასაყრდენზე იერიშების მიტანისა; მაგრამ პასკევიჩის ჯარებს ამ მხრივ გაცილებით მეტი წინააღმდეგობათა გადალახვა მოელოდა. ეს სიძნელები, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობდა ახალციხის სიმაგრის დამცველთა ბრძოლის უნარიანობაში. ახალციხის გარნიზონმა ჯერ კიდევ 1810 წელს სასტიკად დაამარცხა გენერალ გრაფ ტორმახოვის ჯარები. მაგრამ ახალციხე არა მარტო რუსების მიმართ იჩენდა დიდ წინააღმდეგობას, არამედ ის ხშირად არ ემორჩილებოდა თვით სულთანებსაც და როდესაც ოსმალთა ხელისუფალი მოაგლენდნენ დამსჯელ რაზმებს ახალციხელების წინააღმდეგ, უმრავლეს შემთხვევაში დამსჯელი რაზმები ვერ ახერხებდნენ თავიანთი მიზნის მიღწევას.

თავისთავად საინტერესოა ის გარემოება, რომ როცა ქიოსა-ფაშამ აცნობა ახალციხეს მისი მზადყოფნა მოეწოდებინა ახალციხისათვის დამატებითი შეიარაღებული ძალები დახმარების გაწვევის მიზნით, ახალციხემ ამაზე უარი უბასუბა, მოიმიზეზა რა საკმაო სურსათ-სანოვავის უქონლობა. ეს მიზეზი როგორც შემდგომ ამბებიდან გამოირკვა, სრულებითაც არ შეეფერებოდა სინამდვილეს. ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ როცა რუსმა ჯარებმა დაიკავეს ახალციხე, მათ ხელში ჩაუვარდათ უამრავი სურსათ-სანოვავე დატოებული ოსმალების მიერ. გარდა ამისა დამატებითი დამხმარე ჯარების გამოგზავნის უადგილობას ახალციხე აღსტურებდა იმით, რომ საკუთარი ძალებიც (10.000 კაცი) საკმარისად მიიჩნდა ციხე-სიმაგრის დაცვისათვის.

რუსეთის ჯარებისათვის შემდგომ მნიშვნელოვან სიძნელეს ქ. ახალციხის მდებარეობასთან კარგად შეხამებული, იმ დროისათვის მნიშვნელოვანი, ციხე-სიმაგრის დანგრევა წარმოადგენდა. ციხე აგებული იყო ფრიალო კლდეზე, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი თავისი მძლავრი საარტილერიო საცეცხლეებით მიტვალს ხდიდა ეგრედწოდებულ ჯირითმოედანს, სოფელ მარდას თავის ვაკე მინდვრებით და მდინარე ფოცხოვის წყლის სწორ სანაპიროებს, საიდანაც უნდა მომხდარიყო იერიშების დაწყება. პასკევიჩის ჯარები სწორედ ამ მიმართულებით მიდიოდნენ. 4 აგვისტოს საღამოს მათ დაიბააყეს ახალციხიდან 6 $\frac{1}{2}$ ვერსის დაშორებით და იმისათვის, რომ ბანაყის მარცხენა ფრთა დაცულიყო მტრის მოსალოდნელი თავდასხმისაგან პოდპოლკოვნიკ მიკლაშევსკის ბატალიონმა სანგრები ვათხარა სოფელ ქალის ვაკეზე. მეორე დღესვე დაიწყო იერიშების მიტანა, ცხენოსანმა რაზმებმა (ყაზახების ნაწილების ჩათვლით) და არტილერიამ მიაშურა გორაკ ტაფშანთაფისაკენ, რომელიც მის გარშემო მდებარე დაბლობებს გადაჰყურებდა და ერთის შეხედვით საუკეთესო პოზიციას წარმოადგენდა შემტევ ნაწილებისათვის. მალეობის დაკავების შემდეგ თვალსაჩინო გახდა, რომ რუსი სარდლობის პირველად შედგენილი გეგმა შეტევების წარმოებისათვის არ იყო ხელსაყრელი, ამიტომ საჭიროდ იქნა ცნობილი ციხის შემოვლა ფოცხოვის წყლის მარცხენა ნაპირის მიმართულებით; ადგილმდებარეობის უცოდინარობის გამო ხერსონის გრენადერთა პოლკმა აუხვია სწორ მიმართუ-

ლებას მარცხით და დაადგა სოფელ ტატანისის გზას, მაგრამ ძირითადი ნაწილები მიანიც გაეიდნენ დანიშნულ ადგილებში სოფელ წირასა და წყრუთში. ამგვარად ახალციხეზე იერიშების მოტანა დაიწყო სოფ. წირასა, წყრუთისა, სხვილისის და სოფელ ივლიტის მიმართულნი. მალე მინდორი ყულა, რაბათის სასაფლაოს მიდამოები, „ფრანკების“ ყოფილი ეკლესიის ტერიტორია და ეგრეთწოდებული ზედტყევის მიწათუბლები ციხის მინარეთთან, გადაიქცნენ უშუალო ბრძოლების ასპარეზად.

„ჩვეულებრივი, მამაცური სულსკვეთებით აღფრთოვანებულმა, ამაყი დამოუკიდებელი ტომების ჩამომავალმა, ვაჟკაცობისა და ძარცვის წარმატებით აღზრდილმა ახალციხის მოქალაქეებმა გამოიყვანეს 8-დან 10 ათასამდე საკუთარი მედგარი დამცველი“.

„მტერი, რომელიც ყოველი მხრიდან დაფარული იყო, სეტყვასავეით ისროდა ტყვიას. ვულადობა იმდენად დიდი იყო, რომ ზოგნი საითათაოდ, სრული თავგანწირვით ხმალდახმალ ეკვეთებოდნენ მსროლელთ. მებრძოლთა შორის იყვნენ ქალებიც კი, რომელნიც შეიარაღებულნი იყვნენ, მამაკაცის ტანსაცმელი ჩაეცვათ. სახეები შავად შეეღებათ და ეგვიპტის ფაშის არაბებს დამსგავსებოდნენ.“¹

სასტიკი სისხლისმღვრელი ბრძოლები. დაწყებული 5 აგვისტოდან, შეუწყველად გრძელდებოდა 15 აგვისტომდე. ბოლოს რუსი ჯარისკაცების მამაცობამ და გამბედაობამ საქმე გამარჯვებით დაამთავრა. აღსანიშნავია ის, რომ ამ ბრძოლებში უდიდესი ენერჯია და ინიციატივა გამოიჩინა ქართულმა გრენადერთა პოლკმა. მან არაერთხელ აიძულა მოწინააღმდეგე დეტოვებინა პოზიცია პოზიციაზე და უკან დაეხია. 15 აგვისტოს დილის 8 საათზე გრენადერებმა პირველმა დაიკავეს ციხე და იქ თავიანთი დროშა ააფრიალეს. ამიერიდან ოსმალთა ბატონობის მძლავრი დასაყრდენი სამცხე-საათაბაგოში—ახალციხე განთავისუფლდა. ამას მოჰყვა აწყურისა და შემდეგ არდაგანის დაკავებაც. ამგვარად ყოფილი სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვანი ნაწილი ოსმალ დამპყრობელთა რამდენიმე საუკუნის ბატონობისაგან ჩამოცილებულ იქნა და იგი კვლავ დაუბრუნდა თავის სამშობლოს—საქართველოს. „მეორე მხრივ დიპლომატიით გამოწვეულმა ფლოტის უმოქმედობამ საშუალება მისცა რუსებს გადაეხსნათ სამეგრელოში ორი დივიზია ქვეითი ჯარი მეხუთე კორპუსიდან და ამრიგად თითქმის 20.000 კაცით გაედიდებინათ გრაფ ვორონცოვის არმია. ასეთი მაშველი ძალით მას არა თუ შეეძლო თურქები გაეჩერებინა ნაპირთან, არამედ ისიც კი იხილა, რომ გენერალ ანდრონიკოვის კორპუსმა გაათავისუფლა ახალციხის ციხე და დაამარცხა მტერი გაშლილ ველზე ამ ქალაქის ახლოს. რუსები ფიქრობენ, რომ მათ 10.000 კაცით უკუაქციეს 18.000 თურქი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეთ ვარაუდს არ ვიზიარებთ. მაგრამ უნდა ვადიაროთ, რომ ანატოლიათურქეთის არმიაში დიდძალი არარეგულარული ჯარი იყო და თითქმის სულ არ მოაპოვებოდნენ ევროპული ოფიცრები განსაკუთრებით უმაღლეს თანამდებობაზე და გენერალურ შტაბში; ეს გარემოება დიდ უპირატესობას ანიჭებდა რუსებს თურქების წინაშე, თუნდაც თანაბარი რაოდენობის ჯარები რომ ჰყოლოდათ.“²

¹) История военных действий в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах. изд. 1836 г., стр. 326—327.

²) Фридрих Энгельс, Статьи и письма по военным вопросам, стр. 63.



შენიშვნები არისტოტელეს „კომენტიკის“ შესახებ *

გასულ წელს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პროფ. ს. დანელიას თარგმანით, ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ანტიკური ესთეტიკური აზროვნების უშესანიშნავესი ძეგლი — არისტოტელეს „პოეტიკა“. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის გამო, ამხ. გ. ჯიბლაძემ და ალ. ქუთელიამ გაზეთ „კომუნისტა“ და „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოაქვეყნეს წერილები, რომლებშიც აღნიშნეს, როგორც თვით გამოცემის მნიშვნელობა და მთარგმნელის დამსახურება, ისე დიდი ერთდროით დაწერილი გამოკვლევების ღირსება და სადავო მხარეებიც.

ბუნებრივია, მათი აქ გამოორება ზედმეტი იქნებოდა. ამიტომ ჩვენი შენიშვნები დასახელებულ წერილებთან შედარებით უფრო განსაზღვრული ხასიათისაა. ისინი შეეხებიან პროფ. ს. დანელიას გამოკვლევაში წარმოდგენილ არისტოტელეს ესთეტიკის მხოლოდ ძირითადი პრინციპების, სახელწოდებების, მიბაძვისა და კათარსისის თეორიების ანალიზს.

I

არისტოტელეს თვალსაზრისით ხელოვნება მიბაძვაა. მიბაძვა შეადგენს ხელოვნების არა მარტო სპეციფიკის, არამედ საერთო ბუნების განსაზღვრულ ფაქტორსაც.

ეს თვალსაზრისი, საერთო სახით აღებული, როგორც ცნობილია, არ იყო ახალი ესთეტიკური აზროვნებისათვის: მიბაძვის პრინციპი ანტიკური ესთეტიკის საერთო პრინციპს წარმოადგენდა. მაგრამ, ამავე დროს, როგორც აგრეთვე ცნობილია, მიბაძვის არსის არისტოტელეს მიერ განვითარებული გაგება არსებითად განსხვავდება არისტოტელეს წინამორბედთა თვალსაზრისისაგან. არისტოტელეს ესთეტიკის ეს თავისებურება, კერძოდ ის განსხვავება, რომელიც არისტოტელესა და მისი მასწავლებლის პლატონის მიბაძვის თეორიებს შორის არსებობს, ამომწურავი ანალიზით აქვს მოცემული პროფ. ს. დანელიას. მოუხედავად ამისა, პროფ. ს. დანელიას ის დასკვნები, რომლებიც შეიცავენ მიბაძვის, როგორც გარკვეული ცნების შინაარსის განსაზღვრას არისტოტელეს ესთეტიკურ პრინციპთა საფუძველზე, ჩვენის აზრით, შეცდარია.

პროფ. ს. დანელიას განსაზღვრით, მიბაძვა არისტოტელეს ესთეტიკაში იგუევა, რაც „ტიბის შექმნა“, ტიპიზაცია ან „მხატვრული ტიპების“ გადმოცემა თანამედროვე გაგებით. „არისტოტელემ, — სწერს პროფ. ს. დანელია, — გადაამუშავა ეს ცნება (ლაპარაკია მიბაძვაზე) და აღმოაჩინა, რომ

*) კამათის წესით. — რ. ე. დ.

ზაძეა, რომელსაც ეწევა ყოველი ხელოვნება, არის ტიპიზაცია".¹ „არისტოტელეს მოძღვრებით, ხელოვნება ჰქმნის ტიპებს (ე. ი. აწარმოებს მოვლენათა ტიპიზაციას), და ყოველი მისი ნაწარმოები მხატვრული იმედივით, რამდენადაც ის იძლევა ტიპებს“.² მართალია, არისტოტელე არ ხმარობს ტერმინს „ტიპს“, მაგრამ სამაგიეროდ იგი ხმარობს სხვა გამოხატულებულ „ნიშნავს“ „მსგავს“, „ხატს“, „სურათს“, „წარმოდგენას“ „სურათს“.³ იმას, რაც თავისი მოდელის მსგავსია და არის ამ მოდელის (ორიგინალის) სურათი, სახე ან წარმოდგენა“. ეს კი უფროს იმას, რასაც ჩვენ დღეს „ტიპს“ ვუწოდებთ“.⁴

ამრიგად, პროფ. ს. დანელია, ერთის მხრივ, ურთიერთთან აიგივეებს მხატვრული სახისა და ტიპის ცნებებს, ხოლო მეორეს მხრივ, არისტოტელეს მიზაძეის თეორიაში ხედავს „ტიპების შექმნის“ თეორიას. „მაშასადამე,—ასკენის ის,—სინამდვილისადმი მიზაძეა, რომელიც ხელოვნების ძირითად ფუნქციას და განუყრელ ნიშანს შეადგენს, იგივე ყოფილა არისტოტელესათვის რაც სინამდვილისაგან მხატვრული სახეების ან ტიპების შექმნა“.⁵

პროფ. ს. დანელიას ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისი სახით საქმე გვაქვს თანამედროვე ესთეტიკაში ნათლად გარკვეული ტიპისა და სახის ცნებების ურთიერთში აღრევასთან. ტიპი და სახე არ არის ერთიდაიგივე მოვლენების გამომხატველი ცნებები, რადგან სახე უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ტიპი. სახელდობრ, ყოველი ტიპი მართლა სახეა, მაგრამ ამავე დროს ყოველი სახე არ არის ტიპი. ტიპი მხატვრული სახის გამოვლენის ერთერთ სახეობას წარმოადგენს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დაკავშირებულს გარკვეულს შემოქმედებით მეთოდთან. ამიტომ სინამდვილის ყოველგვარი მხატვრული განზოგადოება არ უკავშირდება „მხატვრული ტიპის შექმნას“.

მაგრამ შესაძლებელია არისტოტელეს ესთეტიკური პრინციპები მხატვრული სახის ისეთ გაგებას შეიცავდეს, რომელიც მხოლოდ მხატვრული ტიპის ცნებას ემთხვევა. ცხადია ამ შემთხვევაში უფრო არსებითი ამ გარემოებებს გარკვევაა.

გავეცნოთ ფაქტებს.

არისტოტელეს ერთერთ უდიდეს დამსახურებას ესთეტიკური აზროვნების წინაშე წარმოადგენს ის გარემოება, რომ ის ხელოვნების სპეციფიკას ხელოვნების სინამდვილისადმი ასახვით დამოკიდებულებაში ხედავს. მისი თვალსაზრისით, ხელოვნება სპეციფიკურია იმიტომ, რომ იგი გვევლინება როგორც სინამდვილის შემეცნების სპეციფიკური ფორმა, სახელდობრ მიზაძეა. თვით მიზაძეის ცნების განსაზღვრისათვის, როგორც თვით პროფ. ს. დანელიაც აღნიშნავს, არისტოტელე არც ერთხელ არ ხმარობს ტერმინს „ტიპს“. „პოეტიკაში“ გვხვდება სხვა ტერმინი, სახელდობრ Σικωv, რომელიც თვით პროფ. ს. დანელიას თარგმანით ნიშნავს ხატს, სახეს, სურათს. ცხადია, ეს ცნება, არსებითად სახის ადეკვატური ცნებაა; მაგრამ, მეო-

¹ არისტოტელე, „პოეტიკა“, გვ. XLV.

² იქვე, გვ. LXII.

³ იქვე, გვ. LXI.

⁴ იქვე, გვ. LXXII.

ბაჟი მაგრამ მეორეს მხრივ, პროფ. ს. დანელიას დასკვნის წინააღმდეგ, ის არ უდრის იმას, რასაც დღეს ტიპს ვუწოდებთ“.

რას შეიცავს და როგორ იქმნება იგი? ანდა: რით ხასიათდება მისი მიბაძვის პროცესი?

მიბაძვა შემეცნების, „ობიექტური ცოდნისაყენ მისწრაფებას ნიშნავს, როდესაც სახეობაა“. იმის ნათელ ანალიზს, თუ რით განსხვავდება შექმნის ეს ფორმა მეცნიერებისაგან, რომელიც აგრეთვე სინამდვილის შემეცნებას წარმოადგენს, არისტოტელე იძლევა „პოეტიკის“ მეცხრე თავში, პოეზიის სპეციფიკის განსაზღვრის სახით. ამ განსაზღვრით, პოეზიის თავისებურება არ მდგომარეობს თავისთავად აღებულ პოეტურ ფორმაში. „ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან არ განირჩევიან იმით, ლაპარაკობენ ისინი ლექსით თუ პროზით, ვინაიდან ჰეროდოტეს ნაწარმოები შეიძლება ვალექსილიყო და ის მაინც ლექსად გამოთქმული ისტორიული ნაწარმოები იქნებოდა არა ნაკლებ, ვიდრე პროზით დაწერილი. ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც მოხდა, მეორე კი ლაპარაკობს იმის შესახებ თუ რა შეიძლება მომხდარიყო. ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მეტად მნიშვნელოვანი ვიდრე ისტორია. პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი, ისტორიას კი უფრო მეტად მხედველობაში აქვს ცალკეული“.¹ „აქედან ცხადია, რომ საჭიროა პოეტი იყოს უფრო მეტად ამბავის შემთხვევლი, ვიდრე ლექსების; რამდენადაც იგი ასახვის გამო არის პოეტი, ხოლო ასახავს იგი მოქმედებებს, და რომ მას შეხვედროდა აესახა ის, რაც ხდება“, კერძოდ, რაც „დამაჯერებელია და შესაძლებელი რომ ხდებოდეს“, „იგი მაინც არა ნაკლები უფლებით პოეტი იქნებოდა“.²

ციტირებული სტრიქონები ნათელს ხდის, რომ არისტოტელეს თვალსაზრისით, პოეზია ხასიათდება სინამდვილის არა პირდაპირი გამოკრებით, არამედ ის იძლევა სინამდვილის განზოგადოებულ ასახვას შესაძლებელი სინამდვილის სახით, ე. ი. ის ანსაზიერებს იმას „თუ რა მოხდებოდა და რა არის ალბათობის ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი“. ამავე დროს „პოეზია უფრო ფილოსოფიურია და მნიშვნელოვანი“, ე. ი. აღნიშნული განზოგადობა, ისტორიისაგან განსხვავებით, სინამდვილისააღმი უფრო მეტ აზროვნულ დამოკიდებულებას გულისხმობს.

თუ აქ აღნიშნულს დაეუკავშირებთ არისტოტელეს შეხედულებას ბელოვანების ესთეტიკურა არსის შესახებ, მაშინ ნათელი იქნება, რომ მიბაძვა არისტოტელესათვის გულისხმობს სინამდვილის ისეთ განზოგადობას, რომელიც გვევლინება, როგორც ალბათობის ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი სინამდვილის მხატვრული განსაზიერება, მხატვრული სახის (სურათის) შექმნა. ამრიგად, მიბაძვის არსი იმის ასახვაში კი არ მდგომარეობს რაც არის, არამედ იმის მხატვრულ შეთხზვაში, ასახვაში, განსაზიერებაში, რაც შეიძლება არსებულებით და რასაც ბელოვანი არსებულის მხატვრული განზოგადობის, არსებითად იგივე — ილიალიზირების, ბელახლა წარმოქმნის (რეპროდუქციის) გზით აღწევს. ამიტომ საცესებით მართალი იყო ნ. ჩერნიშევსკი, რომელმაც თავის რეცენზიაში „პოეტიკის“ რუსული თარგმანის შესახებ, არისტოტელეს „მიბაძვა“ განმარტა, როგორც „воспроизведение“.³

¹ იქვე, გვ. 20.

² იქვე, გვ. 22.

³ Н. Чернышевский, „Избр. Фил. сочинения“, Москва, 1838 г., გვ. 430.

ველაფერი ეს კი, ცხადია, არ უდრის იმას, რასაც თანამედროვე ესთეტიკა სინამდვილის ტიპურ ასახვას, ანდა „ტიპების“ შექმნას უწოდებს და რაც, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებით მეთოდთან, სახელდობრ რეალიზმთან. სინამდვილის ტიპური განსახიერებისა და რეალიზმის ეს შინაგანი ერთიანობა ხაზგასმითაა აღნიშნული გერკილევ ფრ. ენგელსმა რეალიზმის ცნობილ განსახიერებაში. აღნიშნული განსახიერებით, გარდა ღებლებების სისწორით გადმოცემისა, გულისხმობს ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოში განსახიერებას. ამრიგად, ტიპის და რეალიზმის ცნებები ჩვენს დროში, კერძოდ მარქსისტულ ესთეტიკაში, ორგანიზულად არიან ურთიერთთან დაკავშირებულნი. ამიტომ არისტოტელეს ესთეტიკურ მსოფლმხედველობაში ტიპის თანამედროვე გაგების ძიება ნიშნავს რეალიზმის თანამედროვე გაგების ძიებასაც. ასეთი ძიებისათვის კი, როგორც უკვე ვნახეთ, არისტოტელეს ესთეტიკურ ნააზრევში არავითარი საფუძველი არ არსებობს. სამაგიეროდ, პროფ. ს. დანელია, არისტოტელეს ცალკეულ შეხედულებათა ურთიერთთან, არ გადააკარბებთ თუ ვიტყვი, ხელოვნური დაკავშირებით, თვითონ ქმნის ამ საფუძველს; იგი ხელაღებით ასკენის, თითქოს, არისტოტელეს ესთეტიკაში ხელოვნების მთავარ გამოცანად *implicite* აღიარებული იყოს, „რომ ხელოვნებამ ისე მიბადოს ქვეყანას ან ისე წარმოადგინოს იგი, როგორც არის ეს ქვეყანა სინამდვილეში“. ამაზე მეტი მხატვრულ რეალიზმს არა უთქვამს რა.¹

თუ რამდენად შორს დგას ეს დასკვნა არისტოტელეს ესთეტიკის ძირითადი პრინციპისაგან, ეს აქამდე აღნიშნულიდან აშკარად სჩანს. ამიტომ აქ განვისახიერებთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ამ დასკვნას ასეთივე ბედი აკავშირებს რეალიზმის ისტორიასთანაც, რადგან მასში არსებითად უარყოფილია მხატვრული რეალიზმის თვალსაზრისის განვითარება არისტოტელეს შემდეგ. სხვა გარემოებას რომ თავი დავანებოთ, ასეთი გაგების წინააღმდეგ, არისტოტელეს ესთეტიკის მსოფლმხედველობრივი საფუძვლის ხასიათთან ერთად, ნათლად შეტყულებს შემდეგი ფაქტიც: ხელოვნების ისტორია არისტოტელეს ეპოქისათვის, განსაკუთრებით ბერძნული ხელოვნება, რომელსაც არისტოტელეს ესთეტიკა ემყარება ძირითადად, რეალიზმის პრინციპებს იმდენად მკრთალად, ხოლო იდეალიზირების თვალსაზრისის იმდენად ძლიერად შეიცავდა, რომ ამ შემოქმედებითი პრაქტიკის თეორიული განზოგადობის საფუძველზე, შეუძლებელი იყო მხატვრული რეალიზმის ისეთი თეორიის შექმნა, რომელსაც შეეძლებოდა თანამედროვე ესთეტიკურ პრინციპებთან, კერძოდ რეალიზმის თანამედროვე გაგებასთან გათანასწორება.² უფრო მეტიც: არისტოტელეს ესთეტიკა, თუმცა, სპეციალურ ლიტერატურაში გაერცელებული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, რეალისტური ესთეტიკაა, რეალისტური ესთეტიკური პრინციპების პირველ კლასიკურ გამოვლენას წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ამისა, რეალიზმი, როგორც

¹ „პოეტიკა“, გვ. LXXIV.

² ბერძნულ ხელოვნებასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს პროფ. ს. დანელიას შემდეგი დებულება: „ბერძნული კულტურა ესთეტიკაში ხასიათდება, ხელოვნებამ შთანთქმა საბერძნეთში კულტურის სხვა კომპონენტები, უწინარეს ყოვლისა კი რელიგია. თუ ეგვიპტელის, ბაბილონელის, ფინიციელის ან ძველი ქართველის დამოკიდებულება ბუნებისადმი რელიგიურ ხასიათს ატარებდა, ბერძენმა შესძლო უფრო თამაში, უფრო თავისუფალი, ეფრო ადამიანური პოზიცია დაეკვირა ბუნების მიმართ“ („პოეტიკა“, გვ. 30).
ცხადია პროფ. ს. დანელია საცხებით მართალია, როდესაც ის მიუთითებს ბუნებისადმი

შემოქმედებითი მეთოდი, მაშასადამე, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვის გარკვეული თვალსაზრისი, გარკვეული შემოქმედებით მსოფლგაგება, არისტოტელეს მასში არ დაუსაბუთებია და არც შეეძლო დაესაბუთებია. იგი მხოლოდ ჩანასახის, ცალკეულ მომენტების სახით არის მოცემული ამ ესთეტიკურ სისტემაში. ეს გასაგებიცაა, რადგან რეალისტურმა მხატვრებმა და რეალიზმის ესთეტიკა, არსებითად, სხვადასხვა მოვლენებზეა დაფუძნებული. აღნიშნულს უნდა დაემატოს ისიც, რომ მხატვრული რეალიზმი, მას შემდეგაც, რაც იგი მთლიანი, ჩამოყალიბებული ფორმით გამოვლინდა, გარკვეულ განვითარებას განიცდიდა. შორს რომ არ წავიდეთ, საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ სოციალისტური რეალიზმი, რომელიც არსებითად განსხვავდება რეალიზმის სხვა ისტორიულ ფორმებისაგან, თუ გნებავთ გასული საუკუნის კლასიკური რეალიზმისაგანაც. ამიტომ არისტოტელეს პრინციპებიდან მართლაც, რომ გამომდინარეობდეს დასკვნა ხელოვნებაში სამყაროს ისე წარმოდგენის შესახებ, როგორც ის არსებობს სინამდვილეში, ეს მეტად ზოგადი დებულება არავითარ შემთხვევაში არ გვაძლევს უფლებას განვაცხადოთ: ამაზე მეტი მხატვრულ რეალიზმს არა უთქვამს რაო“.

II

კათარსისის (განწმენდის) თეორია, როგორც ცნობილია, მეტად განსაზღვრული სახით არის წარმოდგენილი არისტოტელეს ესთეტიკური ნაპოვნისში. კერძოდ, თვით კათარსისის ცნების უშუალო ანალიზი (განსაზღვრა) მასში მოცემულია მხოლოდ ერთხელ და ამავე დროს, მაშინაც ალბათ „პოეტაიკის“ ტექსტის ცნობილი ხასიათის გამო, საკმაოდ ბუნდოვანი ფორმით.

დამოკიდებულებას თავისებურებაზე ანტიკურ ბერძნულ ხელოვნებაში. მაგრამ, მეორეს შორის, ის არ არის სწორი, როდესაც აცხადებს, რომ თითქოს ხელოვნებას „შთაინთქას საბერძნეთში კულტურის სხვა კომპონენტები, უწინარეს ყოვლისა კი რელიგია“.

ანტიკურ ბერძნულ ხელოვნებას არა მარტო არ შთაინთქავს შესატყვისი ეპოქის ბერძნული რელიგია, არამედ, პირიქით, არსებითად მიხედვით ამოდიოდა, რადგან ამ ხელოვნების ნიადაგსა და ასრენალს ბერძნული მითოლოგია წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი გარემოება ხაზგასმით აქვს აღნიშნული კ. შარტის „პოლიტ. ეკონომიის კრიტიკისათვის“ დაწერილ შესავალში. „ცნობილია, — სწერს კ. შარტი დასახელებულ შესავალში, — რომ ბერძნული მითოლოგია, შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც“ (იხ. დასახელებული შრომის ქართული გამოცემა, გვ. 35). „ეგვიპტურა მითოლოგია ვერასოდეს ვერ გახდებოდა საბერძნეთის ხელოვნების ნიადაგად და წილად. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ერთი მითოლოგია [უნდა ყოფილიყო] ეს. ანაირად [ბერძნული ხელოვნების ნიადაგი] არასგზით არ შეეძლო [შეექმნა] ისეთი საზოგადოებრივ განვითარებას, რომელიც გამოირჩეხვს ყოველ მითოლოგიურ დამოკიდებულებას ბუნებასთან. ყოველ გამოითვებულ მიმართებას მისადმი, მაშასადამე მითოლოგიისაგან დამოკიდებულ ფანტაზიის მოთხოვნს ხელოვნებისაგან“ (იქვე, გვ. 36). ამრიგად, ბერძნული ხელოვნება ემყარებოდა არა ესთეტიკურს, არამედ ბერძნულ მითოლოგიას, ბუნებისადმი მითოლოგიურ დამოკიდებულებას. ბერძნული მითოლოგია კი, როგორც ცნობილია, შინაგან ურთიერთობაში იმყოფებოდა ბერძნულ რელიგიასთან. და თუ მიუხედავად ამის, ბერძნული ხელოვნება თავისებურია (ბუნებისადმი თავისებური დამოკიდებულებით ხასიათდება), ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ თავისებური იყო თვით ბერძნული მითოლოგია და რელიგია, რომლებიც თავისებური საზოგადოებრივი განვითარების შედეგს წარმოადგენენ.

პროფ. ს. დანელიას ზემოთმოყვანილი დასკვნა არ არის სწორი ეგვიპტელის, მამლონიელისა და ფინიციელის გვერდით ძველი ქართველის დასახელების მხრივაც. ძველი ქართველის დამოკიდებულება ბუნებისადმი თითქმის არასოდეს არ ყოფილა განსაზღვრული მხოლოდ რელიგიით, ხოლო ქართული მხატვრული კულტურის აყვავებაში ბერძნული კი, როგორც ცნობილია, რელიგია, არსებითად, მართლაც შთაინთქა ე. წ. საერო მიმართულებამ.

„ტრავგედია, — ვკითხულობთ „პოეტის“ მეექვსე თავში, — არის ასახვა დიადი და დასრულებული მოქმედებისა, რომელსაც გარკვეული სიღრმე აქვს, ასახვა შემოვლებული ენით, მისი სხვადასხვა სახეებით სხვადასხვა ნაწილში, ასახვა მოქმედებით და არა თხრობით, ასახვა, რომელიც შეცოდებისა და შიშის გზით ამგვარ ენებზე უკეთესად განწმენდას აღწევს“ (ხაზგასმა ჩემია. — შ. დ.)¹. აღწერის სიტყვები გვევლინება განწმენდის ცნების აღნიშნულ ერთადერთ უშუალო განსაზღვრად.² მაგრამ, ცხადია, კათარსისის ასეთი ბედი არ ნიშნავს თითქოს მხოლოდ ამ რამდენიმე სტრიქონით იფარგლებოდეს ამ უაღრესად პრობლემატური თეორიის აზრი საერთოდ არისტოტელეს არისტოტელეს ესთეტიკაში. არისტოტელეს მთელი ესთეტიკურ სისტემის ორგანულად უკავშირდება ეს განსაზღვრა, რის გამოც ამ უკანასკნელის საიდუმლოება არისტოტელეს ესთეტიკურ პრინციპთა მთლიანობაში პოულობს მთლიან გამოხატულებას, ახსნას. ამიტომ განწმენდის თეორიის გაგება ორგანიულად არის დაკავშირებული არისტოტელეს ესთეტიკის ძირითად პრინციპების გაგებასთან. პროფ. ს. დანელიას თეორიულად სავსებით სწორად აქვს გათვალისწინებული ეს ფაქტი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გათვალისწინება მის ნარკვევში არ უკავშირდება, არც აღნიშნულ პრინციპების, ისე არც თვით განწმენდის თეორიის არსის სწორ გაგებას.

პროფ. ს. დანელიას დასკვნით, „არისტოტელეს თეორიის თანახმად, ტრავგედია იმით აღწევს კათარსისს, რომ ხატავს ტიპებს და ამ ტიპების საშუალებით ავიწყებინებს მყურებელს მის ემპირიულ „მე“-ს, გამოყავს იგი „მე“-ს საპყრობილედან.“³ ამრიგად, კათარსისი გულისხმობს „თავისი პირადი „მე“-დან ამოსვლას, თვით ემპირიული „მე“-ს იმ ვიწრო კედლების გარღვევას, რომლებშიც ჩვენ ჩაგვკეტა ჩვენი ბიოლოგიური არსებობის შენარჩუნების პრაქტიკულმა ინტერესმა და კაცობრიობის დიდ ოკეანესთან შეერთებას.“⁴

კათარსისის თეორიის ამგვარი გაგების დასაბუთებას პროფ. ს. დანელია სიბრაღულისა და შიშის განსაზღვრით იწყებს. „სიბრაღული და შიში, — სწერს ის, — არიან თანატანჯეები. ან ტანჯვაზე წარმოდგენის საშუალებით გამოწვეული ტანჯეები.“⁵ ეს განსაზღვრა, ცხადია, ცალმხრივია, რადგან როგორც სიბრაღულის, ისე შიშის მიზეზი მასში მხოლოდ სუბიექტის გარეშეა დანახული. მაგრამ ეს ცალმხრივობა მხოლოდ დასაწყისია იმ მეტად

¹ „პოეტის“, გვ. 13 — 14.

² პროფ. ს. დანელია ამ განსაზღვრას შემდეგი სახით თარგმნის: „ასახვა, რომელიც შეცოდებისა და შიშის აღძვრის საშუალებით იმგვარ ენებთაგან განწმენდას აღწევს“. ეს თარგმანი არ არის ზუსტი, რადგან სიტყვა „აღძვრის“ არ არის ბერძნულ ტექსტში. ხოლო ის სიტყვა კი რომელსაც პროფ. ს. დანელია თარგმნის „საშუალებით“, უფრო მართებულია თარგმნოს „გზით“. ამიტომ ჩვენ უფრო მართებულად მივჯავნა ამ ფრაზის ის თარგმანი, რომელიც ჩვენს ციტირებაშია წარმოდგენილი. (ბერძნულ ტექსტთან შევადარეთ პროფ. ს. ყაუხჩიშვილის დაზმარებით).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პროფ. ს. დანელიას თარგმანის აღნიშნული თავისებურება ემყარება თვით პატივეც. მოთარგმნელის ჭეშმით განხილულ თეორიას კათარსისის თეორიის შესახებ.

³ „პოეტის“, გვ. CX.

⁴ იქვე, გვ. CXI.

⁵ იქვე, გვ. XCVIII.

მოულოდნელი და ყოველგვარ გამართლებას მოკლებული მსჯელობისა, რომელსაც მომდევნო სტრიქონებში ანვითარებს პატივცემულ პრინციპალს. აი ეს მსჯელობაც: ტანჯვა იგივეა არც დაშლისა და დაღუპვის სუბიექტური ან ფსიქიური განცდა, თვით დაღუპვა კი ბუნებისათვის უცვლელად არღვევს ბედს წარმოადგენს. „მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივს ჩვენს ცხოვრებაში სიბრაულისა და შიშის გრძნობებს ჩვენ არ განვიცდით დაღუპვის ამ მოვლენათა უმრავლესობის მიმართ. რატომ? იმიტომ, რომ ამ მოვლენათა გამტკვლი საგნები ჩვენ არ მიგვანჩნია სუბიექტურად და მათი დაღუპვის ქვეშ ჩვენ არ ვამჩნევთ ამ დაღუპვის სუბიექტს ან ფსიქიურ განცდას, ე. ი. ტანჯვას. იქ კი, სადაც ტანჯვას არ ვამჩნევთ, არც სიბრაულის განცდა გვაქვს და არც შიშისა.“¹

პროფ. ს. დანელია აღნიშნული საგნების რიცხვს აკუთვნებს ადამიანსაც: არა მარტო „კლდე, ხე, ნადირი, არამედ კაციც კი იშვიათად გვებრალება ხოლმე, ვინაიდან კაცსაც კი ჩვენ მხოლოდ იშვიათად ვუღებთ როგორც სუბიექტს. ჩვენს ყოველდღიურს ცხოვრებაში კაცი არის ჩვენი წარმოდგენისათვის ისეთივე ობიექტი, ისეთივე საგანი ან ნივთი, როგორც სხვა ყოველი სხვა ობიექტი“. ადამიანებში ჩვენ ვამჩნევთ „მხოლოდ ზედაპირს, მხოლოდ გარეგნულ მხარეს, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ჩვენს პრაქტიკულ ინტერესებთან, ჩვენი საკუთარი. არსებობის შენარჩუნებასთან, ხოლო მათ შინაგან არსებაში, მათ სულში, არ ვიხედებით და არც კი ვფიქრობთ იმაზე, რომ ამ ადამიანებს აქვს თავისი შინაგანი არსება, თავისი სული“. კიდევ მეტიც: „ყოველდღიურს ჩვენს ცხოვრებაში ადამიანთა უმრავლესობა ისახება ჩვენს წინაშე უცხო და უსულო მანქანებად, მერყევედ ლანდებად, რომლებიც სინამდვილე ჩვენთვის ზოგჯერ მთლად სარწმუნო არც კი არის, თითქოს ჩვენ გვეძინოს და სიზმარში გვესმოდეს მათი ფუსფუსი. სხვანაირად მიდგომა ადამიანთა უმრავლესობისადმი ჩვეულებრივს ჩვენს ცხოვრებაში ჩვენ სენტიმენტალიზმად ან გრძნობათა აღვირაბსნილობად მიგვანჩნია, და ზოგჯერ იძულებული ვართ შეგნებულად ვებრძოლოთ ასეთ სენტიმენტალიზმს, რადგან ამას მოითხოვს ჩვენი პრაქტიკული ინტერესი. ან სად გვეყოფოდა სულიერი ენერჯია იმისათვის, რათა ყოველდღიურს ჩვენს ცხოვრებაში ჩვენს პრაქტიკულ ინტერესებზე ავმალლებულიყავით და ჩვენს გარშემო არსებულ ადამიანებში დავგვენახა ჩვენი ძმები, ჩვენსავით სულიერი სუბიექტები, რომლებიც ჩვენს მსგავსად იტანჯებებიან ცხოვრებაში“. ყველაფერი ეს კი პროფ. ს. დანელიას რწმენით იმდენად აშკარად ახასიათებს ადამიანთა ურთიერთობას, რომ შეუძლებელია იგი „მშვენიერად გათვალისწინებული არქიტონოდა პლატონის მოწაფე არისტოტელეს“ (ხაზი ყველგან ჩემია.—მ.დ.)² ამრიგად, როგორც უკანასკნელი ფრაზიდან ირკვევა, ციტირებულ სტრიქონებში დახატული სურათი გამოხატავს პროფ. ს. დანელიას რწმენასაც.

¹ იქვე.

² იქვე, გვ. XCIX.

ცხადია, არსებობენ ცალკეული ადამიანები, რომლებიც საკუთარი პრაქტიკული ინტერესების ნაჭუჭში არიან ჩაეტილნი და სამყაროს მართლაც მძინარე ადამიანის თვალებით უცქერიან. მაგრამ ამ ცალკეული შემთხვევის განზოგადობა და საერთოდ ადამიანთა ურთიერთობის ისეთ ფერებით დახატვა, როგორცაა ეს პროფ. ს. დანელიამ დაგვიჩვენა, უკმაყოფილოა, უდავოდ ჩვენთვის უცხო მსოფლმხედველობა და ადამიანის უდიდეს შეურაცყოფას წარმოადგენს.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ მსჯელობაში მოცემული თვალსაზრისის მცდარობის დასაბუთებას, რადგან ეს გარემოება, ჩვენი დრმა რწმენით, ყოველგვარი კომენტარიებისა და მტკიცების გარეშეც აშკარაა. აქ საჭიროა აღნიშნოს სხვა გარემოება, კერძოდ ის ფაქტი, რომ აღნიშნული თვალსაზრისი არა მარტო საერთოდ მცდარია, არამედ არც ერთი დეტალითაც არ უკავშირდება არისტოტელეს არცერთ პრინციპს. მეტიც: არისტოტელეს მსოფლმხედველობა არსებითად ასეთი თვალსაზრისის განვითარების შესაძლებლობის უარყოფადაც კი გვევლინება. საილუსტრაციოდ, სხვა არგუმენტებს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია მოვიგონოთ „პოეტიკის“ მეორე თავი. აქ წარმოდგენილი განსაზღვრით, ადამიანს განსაკუთრებული მიდრეკილება ახასიათებს ცოდნისაკენ, მის ირგვლივ მოცემული სამყაროს შეცნობისაკენ და ამავე დროს ცოდნის შეძენა სასიხარულო და სასიამოვნოა არა მხოლოდ ფილოსოფოსისათვის, არამედ სხვებისთვისაც. ეს მიდრეკილება ცხადია, არ გამორიცხავს ადამიანის ადამიანისადმი ღამოკიდებულების სფეროსაც.

არისტოტელეს მსოფლმხედველობის აღნიშნული ხასიათით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ პროფ. ს. დანელია ზემოთციტირებულ სტრიქონებში იძულებული იყო თვით არისტოტელეს შეხედულებებს კი არ დამყარებოდა, არამედ ადამიანის ადამიანებისადმი ღამოკიდებულების საკუთარ ანალიზს და ევარაუდა, რომ თითქოს შეუძლებელია ამ ანალიზის ციტირებული შედეგი „მშვენივრად გათვალისწინებული არ ქონოდა პლატონის მოწიფე არისტოტელეს“.¹

პროფ. ს. დანელიას ვარაუდს არ შეიძლება მოენახოს არავითარი საფუძველი გარდა ერთი მომენტისა; ეს არის თვით პროფ. ს. დანელიას სურვილი დასაბუთოს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი თავისი თეორიისა კათარსისის თეორიის შესახებ. კერძოდ, დაამტკიცოს, რომ, თითქოს, არისტოტელეს თვალსაზრისით, იმისათვის, რომ ადამიანს ადამიანები არ ეჩვენებოდეს, როგორც ლანდები, უცხო და უსკულო მანქანები, რომ ადამიანს სჯეროდეს ადამიანთა არსებობა, როგორც მასავეთ სულიერი სუბიექტისა და იაინი სიზმრად არ ქონდეს წარმოდგენილი, საჭირო იყოს განთავისუფლება (განწმენდა) საკუთარ „მე“-საგან, და რომ, თითქოს, ამ განწმენდას ახდენდეს ტრაგედია თანატანჯვის გამოწვევის საშუალებით. ამრიგად, დავიმტკიცოს,

¹ შესაძლებელია პლატონის დასახელება პროფ. ს. დანელიას ციტირებულ დასკვნაში გამოწვეული იყოს იმ პრინციპების გამო, რომლებიც საფუძვლად უდევს ხელოვნების შემეცნებითი ბუნების პლატონისეულ გაგებას. თუ ეს ასეა, მაშინ სწაან პროფ. ს. დანელიას ამ შემთხვევაში არ მიიღია მხედველობაში ის არსებითი განსხვავება, რომელიც როგორც ამ მხრივ, ისე აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მხრივ არსებობს პლატონსა და არისტოტელეს შორის და რაც გარკვევით აქვს მითითებული თვით პროფ. ს. დანელიას თვითმარკვევის პირველ ნაწილში.

რომ, თითქოს, არისტოტელეს თეორია გულისხმობდეს განწყენდის ობიექტად მყოფებლის სულიერი ქვეყნის აღიარებას, ხოლო თვით განწყენდის ცნების ქვეშ მყოფებლის საკუთარი „მე“-საგან განთავისუფლებასა და სხვა ადამიანთა ბედის გათვალისწინების უნარით აღჭურვას, ანდა სხვა სიტყვებით რომ გადმოვცეთ — „მე“-ს სფეროდან საერთოს¹ სფეროში გადასვლას.

პროფ. ს. დანელიას თეორიის მეორე ძირითადი პრინციპიც, ცხადია, ამ თვალსაზრისის განვითარებას წარმოადგენს. იგი შეიცავს განწყენდის, როგორც ესთეტიკური მოვლენის განსაზღვრას. სახელდობრ, პროფ. ს. დანელია ფიქრობს, რომ, თითქოს, არისტოტელეს თვალსაზრისით, საკუთარი „მე“-ს დაეიწყება და „კაცობრიობის დიდ ოკეანესთან შეერთება“ ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევდეს. ამიტომ განწყენდის პროცესი პროფ. ს. დანელიას დასკვნით, წარმოადგენს ესთეტიკურ აქტს, იგივე ტრაგედიის ესთეტიკური არსის საფუძველს.

პროფ. ს. დანელიას ეს საერთო დასკვნა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ძირითადად სწორად გადმოგვეცემს არისტოტელეს თვალსაზრისს. მიუხედავად ამისა, პროფ. ს. დანელიას თეორიის ორივე აღნიშნული პრინციპი, რომელთა გზით მკვლევარი ამ დასკვნამდე მიდის, ისეთივე ბედით ხასიათდება, როგორც აღმოჩნდა ზემოთ განხილული შეხედულება ადამიანის ადამიანებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ფაქტები:

არისტოტელე ტრაგედიის, როგორც უკვე ციტირებულ განსაზღვრაში, ისე საერთო ანალიზის პროცესში გარკვევით მიუთითებს, რომ განწყენდა წარმოადგენს შეცოდებისა და შიშის აღმძვრელ მოქმედების ასახვის თვისებას. ამრიგად, კათარსისის სახით არისტოტელე აღნიშნავს ტრაგედიის ასახვით თავისებურებას, როგორც ამ ჟანრის არსის შემადგენელ ერთ-ერთ სპეციფიკურ მომენტს, დაკავშირებულს „მიბაძვის საგნის“, იგივე — ტრაგედიის თემატიკურ-შინაარსობრივი ბუნების თავისებურებასთან. ამიტომ, ცხადია, კათარსისის საიდუმლოება უნდა ვეძიოთ არა მყოფებლის სულიერ ქვეყანაში, სადაც შედგება წარმოდგენილი, არამედ თვით ტრაგედიის „მე“-ს სფეროში, სადაც თვით კათარსისია მოცემული, როგორც ამას სრულიად სამართლიანად ჩადიოდა მთელი რიგი მკვლევარებისა. მართალია, ეს მკვლევარები ვერ აღწევდნენ სასურველ შედეგს, მაგრამ ამის მიზეზი აღნიშნული მეთოდი (ძიების ასპარეზი) კი არ იყო, არამედ არისტოტელეს ესთეტიკური მსოფლმხედველობის არასწორი გაგება.

წარმოდგენილი თვალსაზრისის ნათელსაყოფად საკმარისია მიეთითოთ იმ გარემოებას, რომ არისტოტელე არა მარტო საერთოდ ხელოვნების, არამედ ცალკეული ჟანრების სპეციფიკის ანალიზსაც სინამდვილის მხატვრული ასახვის (მიბაძვის) თვალსაზრისით ახდენს. მისი დასკვნით, ჟანრებს ურთიერთისაგან განასხვავებს სამი ნიშანი: „მიბაძვის საშუალებები, მისაბაძი საგანი და მიბაძვის ხერხი“.² ბუნებრივია, ტრაგედიის ზემოთ ციტირებულ განსაზღვრავს ამ პრინციპს ემყარება. სახელდობრ, განსაზღვრის ძირითად ნაწილში აღნიშნულია მიბაძვის საშუალებები, ხოლო ბოლო (ჩვენს მიერ ბავჯასმულ) ნაწილში კი მიბაძვის საგანი და ხერხი, ე. ი.

¹ იქვე, გვ. 7.

ას თუ ტრაგედია სინამდვილის რომელ მხარეს ასახეობს და რა სახით ასახეობს.

ჩვენთვის არსებითს ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი მომენტები (ჩემებო) წარმოადგენენ; ამიტომ მხოლოდ მათ ირგვლივ შეგვირდებით.

როგორც ეს ტრაგედიის ზემოთ ციტირებულ განსაზღვრებაში ვხედავთ, სინამდვილეს თვალსაზრისით, ტრაგედია ანსახეობს „სინამდვილის არა ყოველ მხარეს, ანდა არა ყოველგვარ მოქმედებას, არამედ მხოლოდ ასეთ მოქმედებას, რომელიც შიშსა და სიბრალულს იწვევს. „ტრაგედია, — სწერს არისტოტელე „პეტიკის“ მეცხრე თავში, — არის ასახვა არა მხოლოდ დასრულებულის, არამედ შიშის და სიბრალულის აღმძვრელი მოვლენებისა.“¹ ამიტომ ამბავი, რომელიც წარმოადგენს ტრაგედიის მიზანს და გვევლინება, როგორც მოქმედების ასახვა, ყოველთვის შეიცავს უბედურებას: ტრაგედია, არის ასახვა „მოქმედებისა და ცხოვრებისა ბედნიერებასა და უბედურებაში“. — ვკითხულობთ „პეტიკის“ მეექვსე თავში.“² ამ მომენტს გარეშე არ არსებობს ტრაგედია. მაშასადამე, ეს მომენტი გვევლინება, როგორც ტრაგედიის ქანრული სპეციფიკი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი.

მეორე დრამატული ქანრი — კომედია კი ასახეობს არა ასეთ მოქმედებას, არამედ მდარე ადამიანების ხასიათებს, მათი სასაცილო თვისებების (მხარეთა) მიხედვით.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ტრაგედიის აღნიშნული „მიბაძვის საგანი“ სინამდვილეში იწვევს ტანჯვას, სულიერ წვალუბასა და მწუხარებას. ხელოვნების ამოცანას კი, არისტოტელეს თვალსაზრისით, წარმოადგენს სიამოვნების გამოწვევა. ეს ამოცანა, ცხადია, არსებითია ტრაგედიისათვისაც. მაგრამ, ამავე დროს, „ტრაგედიაში, — სწერს არისტოტელე, — საჭიროა ვეძიოთ არა ყოველგვარი, არამედ მისთვის შესაფერი სიამოვნება, ხოლო ვინაიდან პოეტი ვალდებულია მიბაძვის საშუალებით გამოიწვიოს სიამოვნება, რომელიც სიბრალულისა და შიშისაგან გამომდინარეობს, ამიტომ, ცხადია, რომ ეს უნდა იყოს ჩანერგილი თვით ფაბულაში“ (ხაზგასმა ჩემია. — შ. დ.).³ ამრიგად, ტრაგედია შიშისა და სიბრალულის აღმძვრელი მოქმედების განსახეურებით იწვევს სიამოვნებას, რაც თვით ამ მოქმედების ასახვიდან, იგივე ამბავიდან (ფაბულიდან, თანამედროვე გაგებით — სიუჟეტიდან) გამომდინარეობს. მაშასადამე, ის ერთნაირი და დამატული მგზნებარე განცდა, რომელსაც ტრაგედიაში ასახული მოქმედება ქმედებს მაყურებელში უკავშირდება არა იმ შედეგს, რასაც იგივე მოქმედება იწვევს სინამდვილეში, სახელდობრ ტანჯვას, მწუხარებას, შემწარავ ემოციებს, არამედ ესთეტიკურ სიამოვნებას. ყველაფერი ეს კი ნათელს ხდის, რომ განწმენდის თეორია გულისხმობს არა მაყურებლის საკუთარ „მე“-საგან განწმენდას, არამედ ტრაგედიაში ასახული მოქმედების განწმენდას იმ თვისებისაგან, რომელიც მას სინამდვილეში ახასიათებს. ანდა სხვა სიტყვებით, რომ ვაღმოგვცეთ: განწმენდა განეკუთვნება თვით ასახვის სფე-

¹ იქვე, გვ. 23.

² იქვე, გვ. 15.

³ იქვე, გვ. 27. ანალოგიურ შეხედულებას ავითარებს არისტოტელე „პოლიტიკის“ 23-გ თავშიც.

როს და გვევლინება, როგორც თავისებური საგნის ასახვის თავისებური ბერძნი. სინამდვილეში მხოლოდ ასეთია არისტოტელეს სიტყვების ნამდვილი აზრი: „ტრაგედია არის ასახვა დიდი და დასრულებული მოქმედებისა, ასახვა მოქმედებით და არა თხრობით, ასახვა, რომელიც შეცოდებისა და სიბრძნის გზით ამგვარ ვნებათა განწმენდას აღწევს“. ამიტომ ეს განსაზღვრა სრულიად ნათელი იქნებოდა თუ მას შევავსებდით „პოეტიკის“ მეცხრე თავის განმარტებით აღებული სიტყვებით შემდეგი სახით: „... ასახვა, რომელიც შეცოდებისა და შიშის აღმძვრელი მოვლენების განსახიერების გზით ამგვარ ვნებათაგან განწმენდას აღწევს“.

მაგრამ არისტოტელეს თვალსაზრისით, ის, რასაც ჩვენ კათარსისი ვუწოდებთ, არ ახასიათებს მხოლოდ ტრაგედიას, მას ლიტერატურის სხვა ეანრებისა და ხელოვნების სხვა დარგების სფეროშიც ვხვდებით. „რასაც სინამდვილეში უსიამოვნებით შეგებდავდით, — სწერს არისტოტელე, — იმის ნამდვილად უსიამოვნებელ სურათს სიამოვნებით ვუცქერდით, — აი, მაძალიან უსაძაგლესი ცხოველებისა და მკვლარების სურათებს“.¹ ანალოგიურ მოვლენებს ვხვდებით არისტოტელეს დროისათვის ისეთ ეანრშიც, როგორიცაა ეპოპეა და რომელშიც ტრაგედიას „მიბაძვის საგანი“ უფრო უშუალო გამოხატულებას პოულობს. (მაგ. პომპროსის პოემები). ამავე დროს, კათარსისი არისტოტელეს განსაზღვრით, როგორც ეს ნათლად გამოძინარეობს აქამდე აღნიშნულიდან, ტრაგედიის სპეციფიკის შემადგენელ მომენტს წარმოადგენს.

როგორ უნდა გავიგოთ ეს გარეგნობა? ზომ არ ეწინააღმდეგება ის კათარსისის ზემოთ წარმოადგენილ გაგებას.

ცხადია, არა. რადგან ტრაგიკული, საერთოდ ის, რაც შიშსა და სიბრაალულს, მწუხარებასა და უსიამოვნებას იწვევს სინამდვილეში, ხელოვნების სხვა დარგებსა და ლიტერატურის სხვა ეანრებში ვლინდება, როგორც ასახვის ერთ-ერთი სფერო და არა ერთად-ერთი ობიექტი. აგრეთვე, არისტოტელეს ეპოქისათვის ასეთი თემატიკა კიდევ უფრო განსაზღვრული სახით იყო დამახასიათებელი საერთოდ ხელოვნებისათვის, ვიდრე შემდეგ საუკუნეებში. ტრაგედიაში კი მოცემულია, როგორც სისტემა, როგორც აუცილებელი თემატიკური თვისება.

მაშასადამე, კათარსისი, არისტოტელეს მოძღვრებით ხელოვნებისათვის საერთოდ დამახასიათებელი თვისებაა. თუ მიუხედავად ამისა დიდი ბერძენი ფილოსოფოსი მას განსაკუთრებით უთითებს ტრაგედიის ანალიზში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ტრაგედიას ეს მოვლენა ახასიათებს, როგორც ეანრული სპეციფიკის ერთ-ერთი ძირითადი მომენტი, როგორც სისტემა.

მაგრამ ყველაფერი ეს კათარსისის თეორიის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს. ამ თეორიის მეორე მხარე განწმენდის ხაფუძელის განსაზღვრას შეიცავს და ამავე დროს, ორგანიულად არის დაკავშირებული საერთოდ ესთეტიკურ სიამოვნების ხაფუძელის ანალიზთან. დამახასიათებელია, რომ არისტოტელეს ესთეტიკური ნააზრევის ეს უკანასკნელი მომენტი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა სახითაა ასახული პროფ. ს. დანელიას ნარკვევაში. ერთის მხრივ, მისი თვალსაზრისით არისტოტელეს მიბაძვის ცნების ანალი-

¹ იქვე, გვ. 6.

ზიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა: „ხელოვნებას აპყავს კაცო მსოფლიოს კანონზომიერების ჰერეტიკამდე და ამით აძლევს ფეხ მას ესთეტიკურ სიამოვნებას“. როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს ის დასკვნაა, რომელსაც ემყარება, როგორც ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, პროფ. ს. დანელიას თეორია არისტოტელეს კათარსისის თეორიის შესახებ. მეორე მხარე პროფ. ს. დანელია ამტკიცებს, თითქოს „არისტოტელეს აზრით, მისთვის არის სასიამოვნო და სასურველი, რომ მისი საშუალებით ხორციელდება სილამაზე, და მხატვრული ნაწარმოების გასამართლებელი საბუთი სწორედ ამ სილამაზეში არის საძიებელი და არა სხვაგან“.¹ ამრიგად აქ აშკარა წინააღმდეგობებთან ვეაქვს საქმე: ხელოვნების ნაწარმოებისაგან მიღებული ესთეტიკური სიამოვნების საფუძველად პირველ შემთხვევაში ხელოვნების შემეცნებით ბუნება, ხოლო მეორე შემთხვევაში ხელოვნებაში განხორციელებული სილამაზეა აღიარებული. ამასთანავე ერთად, რაც მთავარია, არსებითად არც ერთ მათგანში არ არის სწორად ასახული არისტოტელეს თვალსაზრისი, რადგან დიდი ესთეტიკური ორივე აღნიშნულ მომენტთა მთლიანობაში ხედავდა ესთეტიკური სიამოვნების სამშობლოს და არა ცალკე აღებულ რომელიმე მათგანის სფეროში. მიბაძვა, როგორც შემეცნება და მიბაძვა, როგორც სილამაზე, ანდა სხვა სიტყვებით რომ გადმოგვეთ, ხელოვნების, როგორც შემეცნებითი, ისე ესთეტიკური „მე“, ამ შემთხვევაშიც ერთი მთლიანი მოვლენის სახით ქონდა მას წარმოდგენილი. ამ მთლიანობის პირველ მომენტზე განსაკუთრებით გვევლინება მითითებულ „პოეტიკის“ მეოთხე თავში. „პოეზიის შექმნის“ ორი მიზეზის ანალიზთან დაკავშირებით: „მიბაძვის შედეგი კი, — სწერს არისტოტელე „პოეტიკის“ აღნიშნულ თავში, — ყოველ კაცს ახარებს“, რადგან „სწავლის მიღება ძალიან საამოა არა მხოლოდ ფილოსოფოსებისათვის, არამედ აგრეთვე სხვებისათვისაც“.² მეორე მომენტი კი სხვადასხვა სახით ხაზგასმულია „პოეტიკის“ მთელ რიგ თავებში. მისი სახით, არისტოტელე უთითებს იმ გარემოებას, რომ ცოდნის შეძენა იწვევს სიამოვნებასა და სიხარულს საერთოდ, მაშინ, როდესაც ხელოვნება ხასიათდება არა ყოველგვარი სიამოვნების, არამედ მხოლოდ ესთეტიკური სიამოვნების გამოწვევით. ასეთ შედეგს კი ის შემეცნების მხატვრული ფორმის, იგივე—ცოდნისა და სილამაზის სინთეზის გზით აღწევს.

ამავე საფუძველს ემყარება, არისტოტელეს თვალსაზრისით, კათარსისიც. ხელოვნება, მასასადამე ტრაგედია, არის მიბაძვა სინამდვილისადმი და არა თვით სინამდვილე. მიბაძვა კი წარმოადგენს მხატვრულ ასახვას, იჯე ცოდნისა და სილამაზის მთლიანობას.

რომ მიბაძვა არისტოტელესათვის შემეცნებას შეიცავს ე. ი. ცოდნის თავისებური სახეა, ეს არაერთხელ აღინიშნა ზემოთ. რაც შეეხება მიბაძვის მშვენიერებით „მე“-ს, ეს მოვლენა არისტოტელეს არა მარტო ზოგად ესთეტიკურ პრინციპებში აქვს ხაზგასმული, არამედ მის კონკრეტულ ანალიზსაც კი იძლევა ტრაგედისათვის დამახასიათებელი ამბის სიდიდისა და შემადგენლობის ანალიზთან დაკავშირებით. მისი დასკვნით, ტრაგედიაში განსახიერებული ამბავი გარკვეული სიდიდით და წყობით ხასიათდება: „ტრა-

¹ იქვე, გვ. LXXI.

² იქვე, გვ. 8.

გედიაში ეს არის პირველი და უმთავრესი¹, რადგან თვით სიმშვენიერე „სიდიდესა და წყობაშია“.²

ამრიგად, ტრაგიკული მოქმედება, საერთოდ სინამდვილის ის ნაწილი რომელიც ჩვენში შიშსა და სიბრალულს, მწუხარებასა და ტანჯვას ან ზიზლსა და სიბუღილს იწვევს, ხელოვნებაში ასახული გვევლინება მხოლოდ მაშინ როცა როგორც სინამდვილის მხატვრული განზოგადოებაა, როცა როგორც ცოდნისა და მშვენიერების სინთეზი, მაშასადამე, როგორც სინამდვილის შემეცნება და სილამაზე სინამდვილას შესახებ. ეს გარემოება კი იწვევს მის გაწმენდას „ენაპირულობისაგან“, რის გამო აღამიანი მას ითვისებს არა როგორც თვით ცხოვრებას, სინამდვილეს, არამედ მხოლოდ ეს თეატრიკურ-შემეცნებითი თვალსაზრისით. ამიტომ აღამიანი ხელოვნების ასეთი ნაწარმოების წინაშე კი არ იტანჯება და წვალობს ან ზიზლისა და უსიამოვნო გრძნობებით კი არ აღივსება, არამედ გარკვეული ერთანტელის შემცველ ესთეტიკურ სიამოვნებას განიცდის. კერძოდ, ტრაგიდიის მყურებელი თუმცა „ცახცახებს სიბრალულისა და შიშის ემოციებისაგან“, მაგრამ იმავე დროს ეს განცდები მასში ტანჯვას კი არ იწვევს, არამედ ესთეტიკურ სიამოვნების აღძვრულ მაღალ გრძნობებშია ჩამარხული, — ტანჯვას ერთიკული სიამოვნება სცვლის.

ჩვენი აზრით, მხოლოდ ეს ზოგიერთი მომენტის მხრივ უკვე ცნობილი დასკვნა გამომდინარეობს არისტოტელურ ესთეტიკური პრინციპების თანმიმდევრული განხილვიდან.

ამით ვამთავრებთ ჩვენს შენიშვნებს პროფ. ს. დანელიას ნარკვევის შესახებ. ცხადია, ის რაც ამ შენიშვნებში ავლნიშნეთ, არ ნიშნავს, თითქოს, ამ საინტერესო ნარკვევს არ ჰქონდეს თავისი ღირსება, და არც იმ დიდ დამსახურებას აყენებს ჩრდილს, რომელიც ნარკვევის ავტორს მიუძღვის „პოეტის“ თარგმნის სახით.

¹ იქვე, გვ. 17.

² იქვე, გვ. 18.



ქეთევან ირემიაძე — „ლიტერატურული მადალიონები“

საბლიტბამი. 1945 წ.

ყოველი ნაწარმოები, რა თემსაც არ უნდა ეხებოდეს, უპირველეს ყოვლისა, ავტორის სულიერ სამყაროს გვიჩვენებს. თვით თემის არჩევაც კი, თუ იგი ნებაყოფლობითია, მაგვითითებს დამწერის ინტერესთა და მისწრაფებათა ხასიათზე.

უძრავოდ გარდაცვლილი მწერლის, ქეთევან ირემიაძის, ახლახან გამოცემული კრებულის „ლიტერატურული მადალიონები“ თემა ქართველი ქალის სახე შორეულ და ახლო ისტორიულ წარსულში. მხოლოდ ერთი პატარა ნაკვეთი „ვინ იყო ავტორი ლექსისა „ისევ შენ და ისევ შენ“, სკოლებმა ამ დემატურ რკალს. ყველა დანარჩენი — როგორც ბიოგრაფიულ-კრიტიკული წერილები ქართველ მწერალ ქალებზე, ისტორიულ-მხატვრული ნაკვეთები — „ჩრქვენი ქალი ისევ“ და „ქართველი ქალები“, ისე სამი თავი დაუმთავრებელი ისტორიული რომანიდან „ქეთევან“ ამოცანად ისახავს გვიჩვენოს ქალი ოჯახს გარეთ, საზოგადოებრივ-სახელმწიფო მოღვაწეობის სარბიელზე.

რამდენადაც ვიცით, ნაკვეთები ქართველ მწერალ ქალებზე ავტორს დაწერილი აქვს დიდი სამამულო ომის დაწყებამდე. ეს იმას ნიშნავს რომ, უკრ კიდევ მანამდე ვიდრე ჩვენი ქვეყნის შიშვე განსაცდელი საბჭოთა ქალისაგან მოითხოვდა მთელი მისი ფიზიკური და სულიერი ენერჯის დახმარება საშობლოს თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად, ქეთევან ირემიაძემ იგრძნო და დაინახა საჭიროება ეჩვენებია ჩვენთვის, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობისათვის, რომ იმ იდეურ-ზნეობრივ სატყელებს რომელსაც ქართველი ქალი ამდღავენდა უკრ ვიგანტური მწივნებლობის სტალინურ ხელწოდებში და შემდეგ — დიდი სამამულო ომის წლებში, თავის დასაყრდენი ჰქონდა ქართველი ხალხის წარსულში, რომ ქართველი ქალები არ არიან უწინაპრონი.

დროის შესაფერხი ასეთი თემის არჩევა ცხადყოფს მწერალი ქალის სწორ საზოგადოებრივ აზროს, მისი ლიტერატურული ინტერესების აქტუალობის და სრულ შესაბამისობას საბჭოთა სინამდვილის მიერ მწერლის წინაშე აღძრულ ამოცანებთან. ამასთან საკულისხმო და აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქეთევან ირემიაძემ თავისი კვლევის და მხატვრული შემოქმედების ობიექტად აირჩია ცხოვრება და მოღვაწეობა მტწილად იმ ქართველი ქალისა, რომელიც ან დავიწყებული იქნენ სრულიად დაუმსახურებლად ან წარმოდგენილი იყვნენ ცალმხრივად და არა სრულად. მისწრაფება აღდგენილ იქნას სიმართლეთა და სისრულით სახე ლეწლ-მოსილ ადამიანთა, მისწრაფება მივხლოს მათ დამსახურების მიხედვით, მოწმობს ჩვენი მწერალი ქალის კეთილშობილებას, მაღალ ეთიერ შეგნებას და კულტურას.

მისსავე პასუხისმგებლობის გრძობას მკითხველის წინაშე ცხადყოფს ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულ ქალთა პორტრეტების დასახატად, მათი პიროვნებისა და შემოქმედების განსაკუთრად ქეთევან ირემიაძის მოძებნილი, შესწავლილი და გამოყენებული აქვს არა მარტო ჩვენი ლიტერატურის მკვლევართა მიერ დამუშავებული და დადგენილი მასალები, არამედ დღემდე უცნობი წყაროები, — კერძო პირთა არქივები, ზეპირგადმოცემები, მოგონებები და ცალკეულ მოღვაწეთა გამოუქვეყნებელი ეპისტოლარული მემკვიდრეობა. სწორედ ამიტომ ქეთევან ირემიაძის ნაკვეთები ბევრს ასეთს რამეს, ახალს შეიცავენ, რაც მანამდე არათუ მისთვის მკითხველისათვის, არამედ სპეციალისტებისთვისაც კი არ ყოფილა ცნობილი.

რა იყო და მაგალითად, ჩვეულებრივმა მკითხველმა მწერალ ქალ ბარბაჯე ჯორჯაძეზე? — მხოლოდ ის, რომ ბ. ჯორჯაძემ იყო ილია ჭავჭავაძის ერთერთი მოწინააღმდეგე, ერთი მთავარი წარმომადგენელი ძველი თაობისა, რომელიც წინ აღუდგა ილიას და მის თანამედროვეთაგან წამოწყებულს ერის რეფორმას, მესამოციანეთა რეალისტურ მიმდინარეობას მხატვრულ მწერლობაში. ჩვენი მკითხველის მესხიერებაში ბარბაჯე ჯორჯაძემ ცოცხ-

ლობდა მხოლოდ როგორც მწერალი კონსერვატორი და რეტორგანი, რომელიც დავიწყებას გადაიბრუნა მხოლოდ იმის გამო, რომ პოლიპიებით მიჰქრია ფსევდო ლიტერატურის იმ დიდ გემს, რომელსაც ნახევარი საუკუნის მანძილზე მესაქეობას უწევდა დიდი ილია.

ქეთევან ირემიძემ გააბათილა, გაიქარწყლა ეს დიდხინით დამკვიდრებული ცალმხრივი შეხედულება და თავის ნარკვევში მკითხველს ბარბარე ჯორჯაძე გამაყენებდა ნიჭიერი შემოქმედი-ლირიკოსი, პროზაიკოსი და დრამატურგი, რომელმაც სწორედ ლიტერატურაში როდი გაიერთლა და რომელმაც შემდეგ თავის შემოქმედებით პრაქტიკაში განიცადა ახალი ლიტერატურული სკოლის იდეური გავლენა, მიიღო და გაიზიარა ის, რასაც ახალგაზრდობაში უარყოფდა, გამოვიდა მამაკაცთან ქალთა უფლებრივი გათანაწილების, ქალის საზოგადოებრივ მოღვაწეობის მქადაგებლად და ქობაგად. ბ. ჯორჯაძის სახით „ლიტერატურული მედალიონების“ ავტორმა დაგვიხატა მშობლიურ კულტურისა და მწერლობისათვის თავდადებული მოღვაწე ქალი, რომელშიც ამ დიდი საზოგადოებრივი საქმისადმი ისეთი ერთგულება და გულმოდგინება გამოიჩინა, რომ თავის ყოველ დიდ მოწინააღმდეგეთა — ილიასა და აკაკის გულწრფელი პატივისცემა დაიმსახურა.

არ შეიძლება ამგვარ მანერით არ გაიმსჯელოს ბ. ჯორჯაძისადმი დღევანდელი მკითხველიც, როცა იგი ქეთევან ირემიძის ნარკვევს გულაღივითად, და გაეცნობა დრამატურული სახეს ცხოვრებას პირველი ქართველი მწერალი ქალისას, რომელსაც ვერც ნიეთიერმა ხელმოკლებამ, ვერც ოჯახური საქმეებით გადატვირთვამ, ვერც ხშირმა ვადასვლა-გადმოსვლამ ერთ კლთხიდან მეორე კუთხეში და ვერც ხანგრძლივმა ავადმყოფობამ ვერ გააღდებინა კალამი ხელიდან, და რომელსაც ბოლომდე შერბა სულიერი სიმტკიცე პატრიოტული გზებით აღსავსე მრავალმხრივი შემოქმედებით თავისი წვლილი შეეტანა ქართველი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ამ ნარკვევის გადაკითხვის შემდეგ არ შეიძლება არ გავიზიაროთ ავტორის სწორი და სამართლიანი დასკვნა: „მე-19 საუკუნის სიტყვაკაზმულ მწერლობაში ბარბარე ჯორჯაძისა, მართალია, თავის შემოქმედებით არ წარმოადგენს პირველხარისხოვან სამწერლო დიგურს, მაგრამ მისი შესწავლა აუცილებელია. შეუძლებელია ჩინი საზოგადოებრივ-კულტურული ყოფის შეტად თვალსაჩინო პერიოდის — საპოციანი წლების სრულად და სავსებით გავგზავთავალისწინება ისე, რომ მისში სითანადო ადგილი არ დაეთმოს ბარბარე ჯორჯაძის, როგორც ძველი თაობის თავისებურ მოღვაწეს“. ქეთევან ირემიძის ნარკვევი იძლევა რა მკაფიო წარმოდგენას ბ. ჯორჯაძის როლსა და ადგილზე მე-19 საუკუნის საზოგადოებრივ ლიტერატურულ მოძრაობაში, უწყველად ავსებს ხარვეზს ახალი ლიტერატურის ისტორიაში.

ასევე გარკვევით და მკაფიოდ აქვს ქეთევან ირემიძეს წარმოდგენილი ბ. ჯორჯაძის თანამედროვე მეორე მწერალი ქალის — ნინო ორბელიანის როლი და მნიშვნელობა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურისათვის. სამწერლო ასპარეზზე ნინო ორბელიანის გამოხვლას, როგორც ეს ამ ნარკვევიდანაც ცხადად ჩანს, ბ. ჯორჯაძისებური საზოგადოებრივი რენოვანის და ვახშაურება არ ჰქონია, ალბათ, იმიტომ რომ მის არ მისვლია კონფლიქტი და შეხლა-შემოხლა ახალი თაობის მოღვაწეებთან, პირიქით, ნინო ორბელიანი იმოთხივებ მოექცა მოწინავე თავადაზნაურული ახალგაზრდობის ზეგავლენის ქვეშ და თავისი პირადი ცხოვრებით თამამად დაარღვია საუკუნოებით განმტკიცებული წესები პატრიარქალურ საზოგადოებისა. ქეთევან ირემიძისაგან დახატული პორტრეტი ნინო ორბელიანისა ასე გამოიზიარება: ეს არის პირველი ახალსტრუქტურა ქალი, დიდი ამაჰმის ოჯახის შვილი, რომელიც არ შეუშინდა ყხად აღების და პირველი გამოვიდა სტენაზე, იშვიათი არტიკულური ტემპერამენტი გამოამჟღავნა; იგი საუკეთესო მომღვინი, ჩინებული ორატორი და იმპროვიზატორი, მრავალი ორგანიზალური ლექსის ავტორია, მათთვის პანგების შემრიგევი და შემსრულებელია, იმ თავითვე მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ყოველგვარ საზოგადოებრივ წამოწყებაში (ახის აქტიური წევრი წერა-კითხვის საზოგადოებისა, ნაძალადევის მუსიკათა ბიბლიოთეკის დამაარსებელი-ორგანიზატორი) და სხვ. მაგრამ მთავარი მინიც მისი პოეტური შემოქმედებაა. მკვლევარის სიტყვით, ნინო ორბელიანი ბარათაშვილის და წესპოევე წლების პოეტების ნიჭიერი მიმდევარია, რომლას მულოდური ლექსები ერთის მხრივ, გამაყენალული არაა მელანქოლიურ-ელეგიური განწყობილებით, ნაღვლიანი მოკანებებით, თავისი დროის სინამდვილისადმი ერთგვარი სატირულ-სარკასტული დამოკიდებულებით და მეორეს მხრივ, უახლოვრო სიყვარულით სამშობლისადმი, რომელსაც იგი აკაკის მსგავსად დაერდომოდ სატრფოს უწოდებს. ამასთან მისი ლექსები აღსავსენი არიან

ღრმა რწმენით, რომ საქართველოს სიკვდილი არ უწყობია, რომ ის კვლავ აღსდგება, კვლავ გახდება თავისუფალი, ძლიერი და აყვავებული, ნინო ორბელიანი ყოველგვარი მისტიციზმისა და აღმოსავლური ენებრიანობისაგან თავისუფალი, გულისა და გონების ამბლბებული სიყვარულის მფარველია, რომელიც ქართველ მწერალ ქალთაგან „პირველი ქართველი დავთრავად პირადელ გრძნობებზე და თავისი ლექსებით დამტკიცა რომ ქალის შექმნა თავისუფლად იმეროს თავის დაქაზ და წმინდა გრძნობებზე“. მკვლევარის დასკვნით, მარტო ეს გარემოება კმაზა იმისათვის რომ ნინო ორბელიანი მწერლობის დამფუძნებელი, საყოთარი ხმის პოეტად, რომელიც დასაფასებელია უფრო მეტად იმისთვის, რომ იგი ბოლომდე ერთგული დარჩა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, იმ დიდი პოინტიური იდეებისა, რომლებიც მას ჩააგონეს ჩვენი კლასიკური ლიტერატურის დიდმა კორიფეებმა.

დავრდომილსა და თავშესაფარში მოთავსებულს, ყველასაგან მიტოვებულ მოხუც პოეტ ქალს სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე შინაც ერთი სურვილი, ერთი ნატვრა ასულდგმულებდა — როგორმე თავი დაედნია მარტოობისათვის და თავისი ხმა მიეყენინა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხისათვის. არ შეიძლება აულღებულად წყაიკითხთ გულწრფელი თანაგრძნობით დღევრელი ცხოვრება ამ ტემპერამენტური ქართველი პოეტი ქალისა, რომელსაც ახალგაზრდად ჰქონდა ესოდენ ბედნიერი და მზიარული, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელი დღენი — ესოდენ სევდიანი სიბრალელის აღმმგრელი და დამაღონებელი.

თავისი ქვეყნის და მშობლივი ხალხის მოჭირანახულედ, მშობლიურ მწერლობისათვის თავდადებულ მხატვრად წარმოვიდგინო მკვლევარი ეკატერინე გაბაშვილს, რომელმაც მოახერხა ეზიდნა მამაც ტვირთი თერთმეტი შვილის დედისა და ამავე დროს მხტვალე მონაწილეობაც მიეღო საზოგადოებრივ საქმიანობაში, შესძლო ყოფილიყო აქტიური წევრი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, ერთ-ერთი ენერჯიული მებრძოლი ქართული თეატრის აყვავებისათვის, პირველი ქალთა პროფესიული სკოლის დაარსების ინიციატორი და, რაც მთავარია, შესძლო ყოფილიყო აქტიური პრავალი მოთბრობისა და რომანისა, რომლებიც უპასუხებდნენ ცხოვრებისაგან წამოჭრულ მწვევე საკითხებს, და მკითხველში აღვივებდნენ ღრმა თანაგრძნობას ყველა დამცირებულისა და შეურაცყოფილისადმი და მრძოლის სურვილს ადამიანის კაცური ღირსების აღდგენისათვის.

ეკატერინე გაბაშვილი, ქეთევან ირემაძის სწორი და მართებული დახასიათებით, რადიკალურად მოაზროვნე ხალხოსანი მწერალია, რომელიც თავისი მხატვრულა და პუბლიცისტური შემოქმედებით თანამიმდევრულად და გადაუხვევლად იღწოდა ქალის სამოქმედო ასპარეზის გაფართოებისათვის, იმ აზრის გავრცელებისათვის, რომ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამაღლებს ქალს ზნობრივად და ინტელექტუალურად რომ აქტიური საზოგადოებრივი მოქმედება, „საკვეყნო სარბიელი ამხტვლებს ქალის ნიჭს, ღნარს, მოვალეობის შეგნებას“. ე.კ. გაბაშვილის ღრმა რწმენით, ქალმა დედის ღუნჭია როგორც თავისი უპირველესი და უპირატესი ფუნქცია, უნდა შეინარჩუნოს, მაგრამ ოჯახში, დიხასხლისობაში არ უნდა ჩანთვას მთელი მისი არსება, ამ თვალსაზრისით აღტურვილი მწერალი ესარჩლება მხოლოდ ისეთ კორწინებას, რომელსაც საფუძვლად უდევს არა ანგარება, არა სიმდიდრე და ან რაიმე მატერიალური მოსაზრება, არამედ სულიერი მეგობრობა, იდეურ-მორალური ერთიანობა, სავითო მისწრაფება — მაღალი იდეალებისაკენ. ეხმარება რა ცხოვრების მწვევ და დიდ პრობლემებს, ე.კ. გაბაშვილი როგორც ჰემარტი მხატვრის შეფერება, მკითხველს თავზე კი არ ახვევს თავის იდეებს, არამედ პოულობს თავის დროის სინამდვილეში ისეთ დამაჯერებელ ტიპიურ საბეებს და მდგომარეობებს, რომელთა მიხედვით თვით მკითხველს გამოაქვს მსჯავრი ცხოვრების აჯარვიანობაზე და სინამდვილის შეცვლის აუცილებლობაზე.

როგორც სწორად აღნიშნავს ქეთევან ირემაძე, ე.კ. გაბაშვილის მხატვრულ შემოქმედებაში ისმის არა მარტო საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების მჯარისკემა, მისში სიცოცხლობს საქართველოს ბუნება, მისი აქორილი მთებითა და ხავერდოვანი ველებით. ამაღებული მდინარეებით და ანკარა ნაკადულებით, ლავფარდოვანი ცითა და მთვარიანი ლამებით. ე.კ. გაბაშვილი შეხარის მზურს საქართველოს და ღრმად სწამს, რომ მის წარმტაც წიაღში გამარჯული ქართველი ხალხი თავისი მარჯვენით შექმნის ბედნიერ ცხოვრებას. მწერალ ქალს სწამს თავისი ხალხისა და მთელი კაცობრიობის მიმავალი. „მას სჯერა, რომ მოქმედებს, შრომას, ცოდნას მოპყვება ადამიანის ზნობრივი სრულყოფა; მოხბდავად ხანდაზმულობისა, სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიაც მისწრაფობა იგი საქმისა და მოქმედებისაკენ“.

როს საშინელებაა, — უთქვამს ნარკვევის ავტორისათვის ეკატერინე ვაბაშვილს, — როდესაც გრძობ რომ ზორცი ბერდება და მიზანძალა, სურს ასევეს ჯერ ახალგაზრდა სულს და ზმირად მივიწყებს ჩემს ფიზიკურ უძლურებას. ამ სიტყვებით, — ამბობს ქეთევან ერემაძე, — მწერალი ქალი თითქმის შორიდან ეხმარებოდა ვორე ზანდს, რომელსაც ასევე შობუტებულობის ვამს წარმოუთქვამს: «ვეცადოთ არ მოვეცდეთ, კიდევ დიდხანს ვიცხოვროთ, ცხოვრება მეტად საინტერესოა».

ღიალ, ეს ასე! და ჩვენმა მკვლევარმავე შესაძლოა დაეხატა მეტად საინტერესო, აქტიური ცხოვრება სამი ქართველი მწერალი ქალისა, რომლებმაც გააღვიეს რა ძველი საზოგადოების მიერ შეზოხებული ვიწრო წრე, საქართველოს მოველინენ ქალის საზოგადოებრივი მოღვაწეობის პიონერებად და სამშობლოს საკეთილდღეოდ გაწეული თავიანთი უნაგრო დედსურობელი ამავით ცხადმყვეს, რომ მათაც გამოჰყლიათ „მარად ნეტარ დედათა სული“, რომელმაც იხსნა საქართველო და ქართველი ხალხი გადაგვარებისა და ფიზიკური გადაშენებისაგან.

ქართველი ქალის ამ სულის სამტკიცეს, სამშობლოს თავისუფლებისათვის და მისი ღირსებისათვის ბრძოლის დროს ქართველი ქალის ქედმოუხრებლობასა და თავგანწირვას ეხება ნარკვევი „ქართველი ქალები“, რომელსაც საფუძვლად უდევს ალექსანდრე ოზბეღიანის ხაყლებად ენობელი მოთხრობა „უმაწყო სისხლი“, სადაც გადმოცემულია ტრადიციული ამბავი მთაწმინდის მონასტერში შეფარებული სამი ქართველი ასულისა. მთ შაჰაბაზის ურდოების შემოსევის ვამს სამშობლოსა და სარწმუნოების დაცვად მოწამებრივად სიკვდილი აწუიობინეს. ქართველი ქალის დეაწლი, შენიშნავს ნარკვევის დასაბრუნს ქეთევან ერემაძე, მარტო ის კი არ არის, რომ იგი სამშობლოს მეტრობუებს უზრდიდა, არამედ ისიც, რომ ძელებუდობის დღეებში ქვეყნის დასაცავად თავათაც გამოდიოდა იარაღით ხელში, სულის მშენობის, სიმამაცის, გმირობის, ქედმოუხრებულობის გასაიყარ ძალას ამუღანებდა.

ამ ქართველ ქალთა შორის ერთი პირველთაგანია ქეთევან დედოფალი, რომლის თავგანწირვა და მოწამებრივი იღასრული ქართველი ქალის სულიერი შემქმნელობის მავალითად იქცა მთელი თაობებისათვის.

ზუნებრივია, თუ ქეთევან ერემაძემ, რომელმაც თავის ერთ-ერთ ამოცანად ქართველი ქალის იდეურ-მორალურ სახის ჩვენება დაიხსნა, მთელი თავისი შემოქმედებითი გულისყური და შესაძლებლობა ამ დიდებუებოვანი ადამიანის ქეთევან დედოფლის ცხოვრების მხატვრულ აღდგენას მიჰაყრა.

მწერალი ქალის მეგობრებმა იციან, რომ მრავალტანჯული დედოფლის პიროვნება ეველანზე მეტად ხიბლავდა ქეთევან ერემაძეს და გულში უღვიძებდა წყურვილს, სანტყვარ ოცნებას მხატვრულად აღდგინა მისი სახე. მაგრამ იგი ერთობაშად როდეს შესდგომია ამ რწული ამოცანის გადაწყვეტას. ქეთევან ერემაძის მიერ ევროპელ და რუსთა კლასიციზმების შესწავლა, ზოგიერთი მათი ნიმუშების თარგმნა, თვით ზემოთ განხილულ კრიტიკული-ბიოგრაფიული ნარკვევების დაწერა შეიძლება ჩაითვალოს მოსამზადებელ პერიოდად ისეთი რთული შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტისათვის, როგორც არის რომანის დაწერა ქეთევან წამებულზე.

შეთხველისთვის ადგილი შესამჩნევია, რომ ჯერ კიდევ თავის ნარკვევებში ქეთევან ერემაძემ გვიჩვენა მხატვრული ეზროვნებისა და თხრობის შესანიშნავი უნარი, თითქმის ყოველი ნარკვევის დასაწყისშივე ავტორი ახერხებს ცხოვლად, პლასტიკურად, კოლორატურად წარმოუდგინოს შეთხველს სახე თავისი გმირისა და დასაწყისშივე შეიყვანოს შეთხველი აღებული ეპოქის იდეურ-მორალურ ატმოსფეროში, ასუნთქოს იგი იმ ჰაერით, რომლითაც სუნთქავს ესა თუ ის სოციალური ფენა გადასული ეპოქისა.

მეტიდმეტე საუკუნის, ე. ი. ამ ხანის მხატვრულ წარმოსახვას, რომელსაც ჩვენ თითქმის სამი საუკუნე გვაშორებს, ცხადია, მეტი სიმწველე და დაბრკოლება ელბება. ამ შორეულ ეპოქის სული მწერალმა უნდა ამოიკითხოს არა მარტო მატანება და წერილობითი დოკუმენტებში, არამედ შორეული წარსულიდან შემორჩენილ და ჩვენამდე მოღწეულ მატერიალურ ნაშთებშიც — ხასხლეთა და ციხე-კოშკთა ნანგრევებში, საცხოვრებელ ბინებსა და დარბაზების მორფულობაში, ტანაცმელსა და სამხედრო საჭურველში. ქეთევან ერემაძეს ეს კარვად ჰქონდა გათვალისწინებული და იმისათვის, რომ მთელი არსებით ჩაწეული-მოდა ეპოქის ხასიათს, მე-17 საუკუნის საქართველოსა და სპარსეთის ვითარებას, იმდროინდელ ადამიანთა ფსიქოლოგიას, გულმოდგინედ გაეცნო ქართულ, რუსულ, სპარსულ ისტორიულ წყაროებს, საკუთარი ფეხით მოიარა და შეიწავლა ქეთევან დედოფლის ცხოვრებასა

და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილები და იქ დაცული ისტორიული ძეგლები (გრემი, მუხრანის და სხვ.).

ქეთევან ირემიანის მიერ გაწეულმა შრომამ, ძლიერი პოეტური წარმოსახვით უნარითან შეერთებულმა, მოგვცა მეტად საინტერესო ნაუფი, — სამი თავი ისტორიული რომანისა „ქეთევან“. გატაცებით კითხულობთ ამ ფრაგმენტებს და გიპყრობთ სიხარულით, რომ ნიჭიერ მწერალს არ დასცალდა მისი დამთავრება.

ქეთევანი

თავის ნაწარმოების მთავარ გმირს ქეთევან ირემიანე გვიხატავს, ქვედაქვეყნის ქვეყნებსა და გარემოცვაში: პირველად მუხრანის სასახლეში, სადაც დედოფალს კონსტანტინე ბატონიშვილის ვერავინ — მეფე ალექსანდრეს მხაკერულ მოვლის ამბავს აუწყებენ. შემდეგ კახეთისაკენ სალაშქროდ გამგზავრებულს, ვხათ მონასტერში შეჩერებულს და სალოცავად გამანაკრებულს; კვლავ ლაშქართორთ ხეობაში მიმავალს, საომრად აღკვეთილი ლაშქარის წინ სუვედროშის ქვეშ თორთ ცხენზე მჯდარს ახეჯრასმხელს; ბრძოლის დროს ბეჭობზე მდგარს და ომის მიმდინარეობას მეთვალყურეს; გამარჯვების შემდეგ — გრემის სასახლეში მისულს და თავის ქვეყნის ბედზე დაფიქრებულს, საქართველოს გამოეღებისა და გამთლიანებისათვის ზრუნვით შეპყრობილს; დასასრულს, ჩვენ ვხედავთ ქეთევანს უცხოეთში, მტარავლისაგან ტყვედ ქმნილს, თიერანის მოედან შაჰის შუაგულში აფიზგიზებულ კოცონზე დასაწვავად მოყვანილს, ფანატიკური ბრძოთი და ჯალათებით გარემოცულს, რომელიც მეღვრად წინ უდგას მტარავლის მოთხოვნას ლარკუსს ქრისტე და სამშობლო, იტანს არაადამიანურ გვემასა და წამებას, თავისი მოწამებობრივი სიკვდილით ამარცხებს მოსისხლე მტერს, თავისი თავგანწირვით ცხადყოფს რომ ქეთევანა, მშობელი ესეთი დიდებულებოვანი ადამიანისა, მოუდრეკელი და უძლეველია. ამ სამს ფრაგმენტში ვხვდვართ, ვხვალა ვითარებაში ჩვენს თვალწინ დგას ქეთევანი — ამაყი და შეუპოვარი, მოღალატეთა და მტერთა მიმართ სასტიკი და დაუნდობელი, მაგრამ მუდამ სათნო და ლეთის მოსავი, სულგარმელი და შეუდრეკელი ჯოჯოხეთურ წამების წუთებშიდაც კი. შეადამიანურ ძალას, ამ სულიერ სიმტკიცესა და მწიგნობს მას აძლევს უსაზღვრო სიყვარული თავისი ქვეყნისადმი, რომლის გავრთიანებას, აღორძინებასა და კეთილდღეობას შეაღწა და შესწირა თავისი სიცოცხლე. ქეთევან წამებულთ ეს არის — სიმშოლო მრავალტანჯული საქართველოსა.

სახე დედოფლისა ასეთი ცხოველყოფელი არ იქნებოდა, რომ აეტორს ცოცხლად არ ჰქონდეს დახატული მისი გარემოცვა — დიდგვაროვანი აზნაურები, სარდლები, მუდრები, შინაყმები, ფარეშები, მათი ყოფაქცევით, სიტყვა-პასუხით, ეთიკეტით. ისტორიულად შედრეილი დეტალებით ქეთევან ირემიანე ახადგინა არა მარტო გარეგნული მხარე ეპოქისა, არა მარტო „სამოსელი“ ძველი დროისა, არამედ მისი სული, ფსიქოლოგია, ზნე და ჩვეულება გარდასული თაობებისა. აეტორმა გამოჰმეღეუნა არა მარტო ადგილისა და დროის კოლორიტის გრძნობა, არამედ ზუსტი სიტყვიერი მისალის მოძებნისა და შერჩევის ნიჭი, ადამიანების ხასიათების გამოკვეთის უნარი აღებულთ ეპოქის ისტორიული თავისებურების მიხედვით.

დეკორატიულ-სანახაობითი აქუსტარები, რომლებსაც ქარბად მიმართავს მწერალი, სვესებით გამართლებულია, რადგან თვალწინმოქრელი მოკაზმულობა მეფეთა და ფეოდალთა ყოფის დამახასიათებელი იყო, და ამ სანახაობათა აღდგენის გარეშე წარმოუდგენელია ეპოქის კოლორიტული წარმოსახვა.

მწერალმა ქალმა სათუთი ხელით გამოქერწილ მინანქრებში მოათავსა სახეები კეთილშობილ დიდებულებოვანი ქართველი ქალებისა, რომელთაც მუდმივ განუშორებელ თანამგზავრად თან გაჰყვება სახე „ლიტერატურული მედალიონების“ აეტორისა — სულით ლამაზი ქეთევან ირემიანისა.



შინაარსი:



დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავი,
 ვ. შ. შოლოხოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო
 სხდომაზე 1945 წლის 6 ნოემბერს

3

მხატვრული ლიტერატურა

აღ. აბაშელი — სტალინის დროშა (ლექსი)	20
ირ. აბაშიძე — ომის წინ (ლექსი)	21
აღ. ადამია — სტალინი იცავდა მოსკოვს (ლექსი)	21
ი. გრიშაშვილი — სტალინის მონუმენტი ფოთში (ლექსი)	22
ს. ეული — გზა შორეული (ლექსი)	22
ს. ეარდოშვილი — აქ დაიბადა (ლექსი)	25
კ. კალაძე — გორი, დეკემბრის ოცდაერთი (ლექსი)	27
გ. კაჭახიძე — აქ ბელადი დაიბადა (ლექსი)	29
ბ. კეშელავა — განთიადისას (ლექსი)	30
ალოო მაშაშვილი — ძველი მანარა (ლექსი)	30
კ. ნადირაძე — სტალინი (ლექსი)	31
ს. შანშიაშვილი — შენ გულმართალო, ხელმართალო ადამიანო! (ლექსი)	31
გრ. ცეცხლაძე — აივანზე (ლექსი)	32
კონსტ. ჭიჭინაძე — ომის შემდეგ (ლექსი)	32
შ. დადიანი — მენჯი-რობუ (რომანი)	34
რ. ქორჭია — მზე წითლად ამოდიოდა (მოთხრობა, დასასრული)	54
გ. ლომიძე — ომის გზებზე (ნარკვევი)	71
ედვარდ — სკოტლანდური ხალხური ბალადა (თარგმ. ინგლისურიდან გივი გაჩეჩილაძის მიერ)	89
ესქილე — მიჯაჭვული პრომეთე (თარგმანი ბერძნულიდან ალექსანდრე ქუთათელის მიერ)	91

ქიტიკა და ლიტერატურის ისტორია

მვგ. ლუნდბერგი — ლეო ქიჩელი (წერილი)	103
ი. ტალახაძე — საბჭოთა დემოკრატია და არჩევნები (წერილი)	110
აკად. გ. ხაჭაპურიძე — დეკაბრისტები საქართველოში (წერილი)	124
გ. ტივაძე — სამცხე-საათაბაგოს პოლტიკური ვითარება XIX საუკ. დასაწყისში (წერილი)	141
მ. დუდუჩავა — შენიშვნები არისტოტელეს „პოეტიკის“ შესახებ (წერილი)	159

ბიბლიოგრაფია

გ. წულუკიძე — ტეთევან ირემაძე — „ლიტერატურული მედალიონები“	172
--	-----

ფან 10 836.

23/15



ვეიკოვიჩი
გოსპუბლი

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ**

„ИНАТОВИ“

ГОСМЗДАТ ГРУЗИИ